

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ИНСТИТУТ ИСТОРИИ И ЭТНОЛОГИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
I. JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND
ETHNOLOGY

*ავტორები უღრმეს მადლობას უხდებიან
TBC ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-
მჯდომარეს ბატონ მამუკა ხაზარაძეს ნი-
ნამდებარე კრებულის გამოცემის ფინანსუ-
რი დახმარებისათვის.*



თბილისი
2001

КАВКАЗСКО-БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ СБОРНИК

Посвящается профессору Н. В. Хазарадзе
в связи с 70-летием со дня рождения

X

CAUCASIAN AND NEAR-EASTERN STUDIES

Dedicated to Professor N. Khazaradze
on Her Seventieth Birthday

Тбилиси
Tbilisi
2001

კავკასიურ-ახლოდღმოსავლური ქრებული

X

ექლვნება პროფესორ ნანა ხაზარაძეს
დაბადების 70 წლისთავის
აღსანიშნავად

თბილისი
2001



კრებულში ქვეყნდება ახლო აღმოსავლეთის, საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი სტატიები და რეცენზიები. მათი ავტორები არიან ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები.

კრებული განკუთვნილია ძველი ისტორიის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, ფილოლოგებისათვის და ძველი ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

В сборнике публикуются статьи и рецензии, посвященные древней истории Ближнего Востока, Грузии и Кавказа. Их авторами являются историки, археологи, этнографы, лингвисты.

Сборник предназначен для специалистов, работающих в области древней истории, для филологов и для читателей, интересующихся древней историей.

რედაქტორი: აკად. გ. გიორგაძე,

რეცენზენტები: პროფ. ზ. კიკნაძე
დოც. ნ. ნოზაძე

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის გამომცემლობაში „მემატიანე“

მთავარი რედაქტორი: თ. ქყონია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ა. რუაძე

მ. ბუტიკაშვილი

ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის, ძველი მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის ისტორიის, საერთოდ, კულტურის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ქართველი ხალხის ეთნოგენეზისისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნანა ხაზარაძეს 70 წელი შეუსრულდა.

წელთა სიმრავლემ ვერაფერი დააკლო მის ქალურ მშვენიერებას, კდემამოსილებას, ინტელექტუალობასა და მაღალნიჭიერებას. ჟამთა სიავემ - არაერთმა ოჯახურმა უბედურებამ - ვერ გატეხა მისი ძლიერი ნებისყოფა, შემართება და მომავლის რწმენა, რაც გვერდით მყოფთათვის განსაცდელის გაძლებისა და უკეთესი მომავლის იმედი გახდა.

ნ. ხაზარაძე დაიბადა თბილისში, გამოჩენილი ექიმის - ვ. ხაზარაძის ოჯახში. მას ბედად დაჰყვა მომავალში ექიმთა გარემოცვაში ცხოვრება - მისი მეუღლე ვახტანგ ფიფია, მამამთილი - უკვე ლეგენდად ქცეული ქირურგი ბატონი ეგნატე ფიფია, შვილი გიორგი, ძმა დავითი - ყველანი ამ დიდი ჰუმანური დარგის მსახურნი იყვნენ და არიან.

ინტერესი ისტორიისადმი ნანა ხაზარაძემ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლების წლებში გამოავლინა. პირველი მოხსენება მან 1947 წ., პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში (დღევანდელ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში), მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაიკითხა, თემაზე: „აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ბრძოლა საქართველოს ისტო-

რის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ" (კონფერენცია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი). ქ. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ ნანა ხაზარაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა (1949 წ.). ისმენდა ს. ყაუხჩიშვილის, გ. ჩიტაიას, გ. გოზალიშვილის, შ. მესხიას, გ. ნიორაძის, მ. ლორთქიფანიძის, ო. ჯაფარიძის, რ. ხარაძის და სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა ლექციებს. აქტიურად იყო ჩაბმული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო მე-13 და მე-14 კონფერენციებზე ნაკითხულმა მისმა მოხსენებებმა, რომელთა თეზისები 1951-1952 წლებში გამოქვეყნდა, პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება დაიმსახურა.

1952 წელს ნანა ხაზარაძემ სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრაზე, რომელიც 1955 წელს წარჩინების დიპლომით დაამთავრა. ძველი ისტორიის კათედრაზე მან მეცნიერული წრთობის სერიოზული სკოლა განვლო. დაეუფლა ისტორიული კვლევა-ძიების მეთოდს, შეისწავლა ძველადმოსავლური (აქადური, ურარტული) და კლასიკური (ძველი ბერძნული, ლათინური) ენები, სისტემატურად ეცნობოდა 50-იანი წლების ახალ სამეცნიერო ლიტერატურას, ესწრებოდა გამოჩენილი რუსი ისტორიკოსების საჯარო ლექციებს. ძველი ისტორიის კათედრაზე 1952-1955 წლებში ძველი მსოფლიო ისტორიის თვალსაჩინო მეცნიერები: აკადემიკოსი ვ. ავდიევი, პროფესორები გ. რედერი, კ. ზილინი, ს. უტჩინკო, ა. ბოკუჩანინი, ვ. სოკოლოვი და სხვები მოღვაწეობდნენ. ნანა ხაზარაძის სადიპლომო ნაშრომის, თემაზე: „ურარტუს საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. VIII ს-ში“, მეცნიერ ხელმძღვანელი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი სა-

უნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორი, აკადემიკოსი ა. ავდიევი იყო. სადიპლომო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და გამოსაქვეყნებლად იქნა რეკომენდირებული.

1957 წელს ნ. ხაზარაძე უკვე ლაბორანტია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფის (ამჟამად - ისტორიისა და ეთნოლოგიის) ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებისა, რომელიც 1954 წელს აკად. გ. მელიქიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა. ქალბატონ ნანას აქ მოუხდა მუშაობა მისი მომავალი დიდი მეგობრების წრეში - მ. ინაძესთან, ლ. ჯანაშიასთან, დ. ხახუტაიშვილთან, ელ. მენაბდესთან, და სხვებთან ერთად. იგი სწორედ ამ განყოფილებაში ეზიარა დიდ მეცნიერებას, გამოიჩინა მკვლევრისათვის აუცილებელი თვისებები და დიდი გატაცება ძველი საზოგადოების, განსაკუთრებით, უძველესი მცირე აზიის საიდუმლოებათა ამოხსნისა. აქ განვლო მან შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა საფეხური - იყო უმცროსი, უფროსი, ნამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. 1990 წლიდან დღემდე ქალბატონი ნანა ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელია. ამავე წლიდან იგი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელია.

პირველი სამეცნიერო სტატია ნ. ხაზარაძემ გამოაქვეყნა სწორედ ამ ორმოციოდე წლის წინათ წინამდებარე კრებულის I ტომში (1960 წ.), რომელიც ადრე „აღმოსავლური კრებულის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ნიშანდობლივია, რომ ქალბატონ ნანას საიუბილეო თარიღი ემთხვევა აღნიშნული კრებულის საიუბილე - X ტომის გამოქვეყნებას. იგი იყო „კავკასიურ-აღმოსავლური კრებულის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ერთ-ერთი ავტორი, რომელმაც ამ კრებულში გამოაქვეყნა არაერთი ნაშრომი,

თავისი აქტუალობითა და სიახლით მეცნიერთა ფართო ყურადღებას რომ იქცევდა.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის სანყის ეტაპზე ნანა ხაზარაძე ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის მცირე აზიის ისტორიას, კერძოდ, ფრიგიისა და ფრიგიელების ძველი ისტორიის საკმაოდ რთულ და ზოგ შემთხვევაში მანამდე სრულიად შეუსწავლელ საკითხებს იკვლევდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა შემოიტანა ფრიგიული პრობლემატიკა, რომელიც მის შემდგომ გამოკვლევებში ორგანულად დაუკავშირდა ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას. 60-იან წლებში ქალბატონმა ნანამ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ფრიგიელთა ეთნოგენეზისის, ეთნონიმ „ფრიგიელები“-ს, ფრიგიული ანბანის, დიდი და მცირე (ჰელესპონტის) ფრიგიის ისტორიული გეოგრაფიის, ფრიგიის სოციალური, სავაჭრო-კულტურული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლას.

XX ს-ის 70-იანი წლებიდან ნანა ხაზარაძე, ქართველთა ეთნოგენეზთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხების კვლევას შეუდგა. ბუნებრივია, რომ მან ამჯერად ძირითადი ყურადღება ძველალმოსავლური წერილობითი წყაროების თაბალისა და მუშქების „ქვეყნების“ ისტორიის კვლევაზე გადაიტანა.

თაბალის პრობლემას ქალბატონმა ნანამ თავისი საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა (1974 წ.), რომელიც 1978 წ. ცალკე მონოგრაფიად გამოიცა („ალმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“).

სკრუპულოზურად დაამუშავა რა 50-იან-60-იან წლებში მცირე აზიაში მოპოვებული ახალი არქეოლოგიური მასალა და სხვადასხვაენოვანი წერილობითი წყაროები ნანა ხაზარაძემ ძველალმოსავლური მეცნიერების, განსაკუთრებით, ხეთოლოგიისა და ასირიოლოგიის თანამედროვე მიღწევათა შუქზე სრულიად ახლებურად წარმოადგინა თაბალის პრობლემა. ავტორმა გამოიყენა მთელი ფაქტობრივი მასალა, რომელსაც

რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა შესასწავლ საკითხებთან, ჩაატარა ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის კომპლექსური კვლევა-ძიება, დასახა თბალისის ისტორიის შესწავლის ახალი პერსპექტივები. ძველადმოსავლური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამ რთული პრობლემის ახლებური გააზრება მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა.

თბალისის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში ორიგინალურადაა გაშუქებული ძველი მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიის არაერთი, პირველ რიგში, თავად თბალისა და მისი მეზობელი „ქვეყნების“ ლოკალიზაციის საკითხი. მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები ფასდაუდებელია | ათასწლეულის | ნახევრის მცირე აზიის ეთნიკური რუკის საბოლოო რეკონსტრუქციისათვის. ასევე დიდი ღირებულები-საა ტერმინ „თბალთან“ დაკავშირებული ავტორისეული ძიებანი. მან პირველმა თბალისის ისტორიის მკვლევართაგან ყურადღება მიაქცია „თბალ“-თან ფონეტიკურად ახლომდგომ ხეთურ-ლუვიურ სამყაროში გავრცელებულ „თბალ-თაფალა“ კომპონენტთან საკუთარ სახელებს და მის მიერვე მიკვლეული ახალი მასალის საფუძველზე ორიგინალური თვალსაზრისი წამოაყენა „თბალ“ ტერმინის გენეზისთან დაკავშირებით. ეს მასალა მანამდე არცერთ სპეციალისტს არ გამოუყენებია. „თბალ“ ტერმინთან ერთად ნანა ხაზარაძემ სპეციალური კვლევა-ძიება ჩაატარა თბალური ონომასტიკონისა და თბალური პანთეონის ღვთაებათა სახელწოდებათა ხასიათის დასადგენად. აქაც იგი ფრიად საგულისხმო დასკვნებამდე მივიდა. გაირკვა, რომ თბალის მეფეთა თუ სხვა პირთა, ისევე როგორც თბალურ ღვთაებათა სახელწოდებანი, წარმოშობის მიხედვით, აშკარად ხეთურ-ლუვიურია. ლუვიურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან ავლენს დიდ გავლენას თბალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიც. ყოველივე ეს კი დამაჯერებლად ხდის ავტორისეულ დასკვნას, იმის თაობაზე, რომ ძვ. წ. IX-VII სს-ში თბალის ქვე-

ყნის მოსახლეობა კულტურულად და ეთნოგენეტიკურად ხეთური (ლუვიური) სამყაროს ტრადიციების გამგრძელებელ ეთნიკურ ელემენტს წარმოადგენდა. ნანა ხაზარაძემ ამასთანავე არ გამორიცხა თაბალურ სამყაროსთან დასავლეთ-ქართველური ტომების კონტაქტების არსებობა, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. IX-VII საუკუნეებში და, შესაძლოა, უფრო გვიანაც. თაბალელებთან ქართველური ტომების (ტიბარენების) მიმართების საჩვენებლად ქალბატონმა ნანამ სპეციალური კვლევა-ძიება ჩაატარა ტიბარენების ისტორიის შესასწავლად. მან ძველი ბერძნული, რომაული და ბიზანტიური წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის გზით საკმაოდ შთამბეჭდავად წარმოაჩინა ტიბარენების განსახლების ტერიტორიის ლოკალიზაციის, ბუნებრივი პირობების, პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი კულტურის ისტორიის საკითხები.

თაბალისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, პირველად აღმოსავლეთმცოდნეობით ლიტერატურაში, ცალკე თავი მიეძღვნა თაბალის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. ჯერჯერობით ეს ერთადერთი ნარკვევია, რომელიც ყველა არსებული პირველწყაროს მოშველიებით გვაცნობს თაბალის საზოგადოებრივ და სამეურნეო განვითარების სრულ სურათს.

ახალ საფეხურზე აიყვანა რა თაბალის პრობლემის შესწავლა ნ. ხაზარაძემ თავისი ნაშრომის სახით ჩვენს ისტორიოგრაფიას შესძინა ორიგინალური გამოკვლევა, რომელმაც სავსებით მართებულად ისტორიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თაბალის პრობლემაზე მუშაობის პარალელურად ნანა ხაზარაძემ საჭიროდ მიიჩნია იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობასა და ენას დაუფლებოდა, რაც განახორციელა კიდევ იეროგლიფურ-ლუვიურ ენობრივი სამყაროს გაცნობამ საშუალება მისცა მკვლევარს მნიშვნელოვნად გაემდიდრებინა არა

მხოლოდ ძველი მცირე აზიის, არამედ საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნანა ხაზარაძე პირველი ქართველი ისტორიკოსია, ვინც ეს ურთულესი დამწერლობა და ენა შეისწავლა და იგი ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის კვლევის სამსახურში ჩააყენა. მისივე ავტორობით განხორციელდა ხეთური და გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტების ქართულად თარგმნა და კომენტირება. მოგვიანებით (1990 წ.) ტექსტების ნაწილი „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათიაში“ გამოქვეყნდა. რამდენიმე სტატია მიუძღვნა მკვლევარმა ლუვიური იეროგლიფების სემანტიკას. დიდი ყურადღება მიაქცია მკვლევარმა მუშპების მეფე ხართაფუს იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების წაკითხვასა და ქართულად თარგმნას.

XX საუკუნის 70-იან წლებშივე ნანა ხაზარაძე ახალი დიდი, საქართველოს ძველ ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემას - ძველ აღმოსავლური წერილობითი ძეგლების მუშპების, სხვა წერილობითი წყაროების მოსხების, მოსოქ-მეშხებისა და მესხების ისტორიის კვლევა-ძიებას შეუდგა. დღემდე არცერთ მკვლევარს არც ჩვენს ქვეყანაში და არც მის ფარგლებს გარეთ, არ უკვლევია აღნიშნული პრობლემა ისეთი სიღრმით, როგორც ეს ნანა ხაზარაძემ შეძლო. ამ პრობლემის დამუშავებისას გამოჩნდა მისი ფართო ერუდიცია და ანალიტიკური კვლევის დიდი შესაძლებლობანი. ქალბატონმა ნანამ ამ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალურად შეისწავლა ასურული და ურარტული ლურსმული წარწერების, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრაული, ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური, ქართულ-სომხური წერილობითი წყაროები, ისევე როგორც ონომასტიკური მონაცემები და მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში XX საუკუნის დამდეგიდან ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი მასალა. სწორედ წერილობითი წყაროების ასეთი ფა-

რთო წრის ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინა მან ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოსხების განსახლება ძვ. წ. VI-V საუკუნეებში, მოსხების ქვეყნის (სტრაბონისეული „მოსხიკეს“) ლოკალიზაცია ძვ. წ. I - ახ. წ. I საუკუნეებში, ძველალმოსავლურ წყაროების „მუშქების ქვეყნის“ ადგილმდებარეობა, მოსხებისა და მუშქების ეთნიკური ვინაობა, „მოსხი“ და „მუშქი“ ტერმინთა შესწავლის ისტორია, ფრიგიელებისა და მუშქების, ფრიგიელებისა და პროტოსომხების, მუშქებისა და პროტოსომხების ურთიერთმიმართება და სხვ.

ხანგრძლივი, შრომატევადი კვლევა-ძიების შედეგად ქალბატონმა ნანამ 1984 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)“, რომელშიც ძირითადი პრობლემა - მუშქების ქართველური წარმომავლობის შესახებ - დიდი დამაჯერებლობითაა გადაწყვეტილი. სწორედ ამ ნაშრომისათვის მოიპოვა მან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და დაცვამდე რამდენიმე კვირით ადრე, ჯერ კიდევ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს მიენიჭა ისტორიის დარგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი, ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის სანუკვარი, ჯილდო: აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია (1985). მესხების ისტორიის შესწავლა ნანა ხაზარაძემ შემდგომშიც გააგრძელა. რუსულ ენაზე 1992 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში: „მესხების ძველი ისტორიის ნარკვევები“ მკვლევარმა ახალი არგუმენტებით შეამაგრა ადრე გამოთქმული ვარაუდები. სპეციალურად გამოიკვლია „მოსხების ქვეყნის“ (სტრაბონისეული „მოსხიკეს“) წარმოქმნისა და დაცემის თარიღის საკითხი და ამ მნიშვნელოვანი მოვლენების ახლებური, ძალზე საყურადღებო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა.

ქართველი ხალხის წარმოშობის, საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის, მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის ისტორიისა და ეთნოკულტურული ისტორიის კვლევაში

შეტანილი წვლილის გათვალისწინებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ 1990 წელს ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფი შექმნა, რომლის ხელმძღვანელად, ნანა ხაზარაძე დაინიშნა. საპრობლემო ჯგუფი ნაყოფიერად მოღვაწეობს. გამოქვეყნებული სამეცნიერო პროდუქციის რაოდენობის, ჩატარებული კვლევა-ძიებების ხარისხის, სამეცნიერო ფორუმებში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით იგი ინსტიტუტის ერთ-ერთ გამორჩეულ სტრუქტურულ ერთეულადაა მიჩნეული. სულ ახლახან, მაისის თვეში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია გაიმართა, რომლის მომზადება აღნიშნულმა ჯგუფმა და ნანა ხაზარაძემ ითავეს. სესიაზე შეჯამდა ამ პრობლემასთან დაკავშირებული ერთსაუკუნოვანი ძიებების შედეგები და მომავალი კვლევისათვის ახალი პერსპექტივები დაისახა.

ქართველთა ეთნიკურ ისტორიისათან დაკავშირებით ქალბატონი ნანა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ინტენსიურად იკვლევს არიან-ქართლის პრობლემას. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა გამოთქვა ძალზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისი სტრაბონისეული „მოსხიკესა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს არიან-ქართლის იგივეობის შესახებ. საყურადღებო, ახალი თვალსაზრისის შემცველი ნარკვევები მიუძღვნა მეცნიერმა ანძიანძორასა და ჯუანშერისეული სტერის ლოკალიზაციის საკითხებს. ნანა ხაზარაძის კონცეფციით „არიან-ქართლი“, ისევე როგორც „მოსხიკე“, კლარჯეთსა და მის სამხრეთით მდებარე ტაო-ბასიანის მხარეების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ეკლექცი-ანძიანძორა-სტერი კი - ამ დიდი რეგიონის სამხრეთ საზღვართან (დღევ. ერზინჯანის ზეგანზე) მდებარე ქალაქები.

დიდი ადგილი ეთმობა ნანა ხაზარაძის შემოქმედებაში ძველმოსავლური სოციალური ინსტიტუტების ისტორიის კვლევასაც. წერილობით წყაროებში დაცული სხვადასხვა ხასიათით ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მან საყურადღებო ნაშრომები შექმნა გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროებში მეფის ინსტიტუტის, მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის თეორიის, სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესის და სხვა ამ რიგის საკითხების შესახებ.

არანაკლები ღირებულებებისაა მკვლევრის ეთნო-ტოპონიმიკური ძიებანი. მან ახალი ახსნა მოუძებნა „მესხ“-ეთნომის გენეზისს, მის ამოსავალ ფორმად აღადგინა რა საერთო-ქართველური *მოსხ-ი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ახალი ინტერპრეტაცია მოუძებნა ქალბატონმა ნანამ „თაბალ“ ტერმინსაც.

ბოლო ხანებში ნანა ხაზარაძემ სპეციალური კვლევის საგნად გაიხადა წმინდა მინაზე მყოფ პილიგრიმების ჩანანერებში გრ. ფერაძის მიერ დადასტურებული ქართველთა აღმნიშვნელი სახელწოდებები: „ქალთა ქვეყანა“, „სარტყლის ქრისტიანები“, აგრეთვე თვალსაზრისი საქართველოსა და „ქართველთა ნათესავისაჲ“-ს მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ. ნ. ხაზარაძის აზრით, თუკი ამ ტერმინებს და თვალსაზრისს X-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის კონტექსტში განვიხილავთ, ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ ეს სახელწოდებებიც და შეხედულებაც ბაგრატიონთა სამეფო-საგვარეულოს ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფციასთან ერთად, გაერთიანებული საქართველოს ოფიციალური იდეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს შეადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ნანა ხაზარაძის მეცნიერული ინტერესების სფეროში ქართულ-მცირეაზიური მითოლოგიური პარალელების ძიებაც შედის. ქალბატონ თამილა ცაგარეიშვილთან ერთად მან საყურადღებო სამეცნიერო

ნაშრომი და სტატიების სერია უძღვნა წმინდა ხის კულტის საკითხს. ქართული და ძველი მცირეაზიური (კერძოდ, ხეთური) წყაროების შესწავლა-შედარებებიდან ნათლად გამოიკვეთა ქართველურ ტომებში ურთხელთან დაკავშირებული შეხედულებების ძირითადი მითოლოგიური მოტივები, რაც საშუალებას გვაძლევს აღდგენილ იქნეს ამ ხის მითოსისა და კულტის შესახებ არსებული რწმენა-წარმოდგენები, მათი ფუნქციონირების მთელს არიალში - კავკასიასა და ძველ ანატოლიაში.

ნანა ხაზარაძის ნაშრომები, რომელთა რიცხვი 100-ს აღემატება, გამოქვეყნებულია ჩვენსა და საზღვარგარეთის სამეცნიერო გამოცემებში - ცალკეულ ჟურნალებსა და კრებულებში. მეცნიერი აქტიურად მონაწილეობს ძველი ისტორიის განყოფილების (ამჟამად სექტორის) თანამშრომელთა მიერ მომზადებულ კოლექტიურ ნაშრომებში: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“ იგი არაერთი მონოგრაფიის და სამეცნიერო კრებულის რედაქტორი და რეცენზენტიცა.

ყოველი ახალი მეცნიერული დებულება ნანა ხაზარაძეს, როგორც წესი, საინსტიტუტო, საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმებზე გამოაქვს. იგი ამგვარი 50-მდე ღონისძიების აქტიური მონაწილეა თბილისსა და ერევანში, მოსკოვსა და ლენინგრადში, ჩერნოვციში და დაუგავპილსში, ლონდონში და ლეიდენში, ბუდაპეშტში და ლაიფციგში, ტოკიოში, პრაღაში და სხვაგან. მისი საჯარო გამოსვლები ყოველთვის ხასიათდება შერჩეული თემის აქტუალობითა და მიღებული დასკვნების სიახლით.

ნანა ხაზარაძის, როგორც მეცნიერის მაღალი კვალიფიკაცია მისი მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც ვლინდება. მკვლევარი ორი სადისერტაციო საბჭოს წევრია (მსოფლიო ისტორიაში, საქართველოს ისტორიაში). სისტემატურად ხელმძღვანე-

ლობს ასპირანტებს, სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს, მაგისტრებს, დიპლომანტებს. ქალბატონი ნანა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1990 წელს საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის დაფუძნება, რომელსაც იგი 11 წლის მანძილზე წარმატებით უდგას სათავეში. მისი ინიციატივით კათედრა ორი სპეციალობის ბაკალავრებსა და მაგისტრებს ამზადებს: სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების ტექნიკურ ექსპერტებს (ხელოვნებათმცოდნეებს) და კონფლიქტოლოგებს. კათედრასთან ფუნქციონირებს ნანა ხაზარაძის თაოსნობით დაარსებული ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საპრობლემო ლაბორატორია, რომელიც „ქართლის ცხოვრების“, სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა მონაცემთა ბანკების შექმნისათვის იღვწის. კათედრაზე სტუდენტებისათვის მოქმედებს „ისტორიის მოყვარულთა კლუბი“. კათედრის თანამშრომლები ყოველწლიურად ათეულობით სამეცნიერო ნაშრომს აქვეყნებენ. მუშავდება სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, იმართება დისკუსიები, განიხილება კათედრის თანამშრომელთა ახალი სამეცნიერო გამოკვლევები. კათედრა ყოველწლიურად მასპინძლობს საუნივერსიტეტო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციების საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის სექციას, რომელსაც ნანა ხაზარაძე უძღვება. მიმდინარე წელს საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის დაარსების 10 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შრომების“ №2 მთლიანად კათედრის თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიებს მიეძღვნა.

ნანა ხაზარაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი და პროფესორთა საბჭოს, სასწავლო-მეთოდური საბჭოს, ჰუმანიტარული-ტექნიკური ფაკულტეტის სამეცნიერ-

რო საბჭოს, რედგამსაბჭოს, აგრეთვე, სტუ-ს „შრომების“ რედკოლეგიის წევრია.

ქალბატონი ნანა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა და ეწევა: ცხრა წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციას. ამ მიმართულებითაც მისი შრომა ძირითადად ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებასა და სრულყოფას ხმარდებოდა. იგი იყო სხვადასხვა განსაცდელში მყოფი კოლეგების ინტერესების დამცველი. დღეს ჩვენი ინსტიტუტის ბევრმა თანამშრომელმა არც იცის, რომ სწორედ ქალბატონ ნანას ძალისხმევით ჩვენს ინსტიტუტს გადაეცა შენობა, სადაც ახლა ჩვენ ვშრომობთ. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტში არაერთი სხვა სასიკეთო საქმეც გაკეთდა. გამოირჩეოდა ნანა ხაზარაძის აქტიურობა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით. იგი პირველი იყო ჩვენს შორის, რომელმაც საპროტესტო დეპეშით მიმართა მოსკოვიდან ჩამოსულ მაღალი თანამდებობის პირებს და კატეგორიულად მოითხოვა იმდროინდელი ხელისუფლების გადადგომა და საქართველოდან გენერალ როდიონოვის განწევა. ამ წლებში მან დიდი ენერჯია შეაღია ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობას, ინსტიტუტში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას მისი თაოსნობით ინსტიტუტში ნაყოფიერად ფუნქციონირებდა „საისტორიო საუბრები“, იმართებოდა საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი შეკრებები, დისკუსიები, მსჯევან მეცნიერებთან შეხვედრები, ისტორიკოსთა დასვენების საღამოები.

ნანა ხაზარაძე საქართველოს საისტორიო საზოგადოების საბჭოს წევრია. 1989-1990 წლებში გ. ძიძიგურთან ერთად ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთს“ ამჟამად არის საერთაშორისო მეროისტული სა-

ზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს „ქალთა საბჭოს“ („კავშირის“) თავმჯდომარის (აკად. ნ. ჯავახიშვილის) მოადგილე, ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა ასოციაციის გამგეობის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის „ფენიქსი XXI („ისტორია და თანამედროვეობა“) დამფუძნებელი და პრეზიდენტის თავმჯდომარე, რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის რედაქციის წევრი და ა. შ.

ნანა ხაზარაძე მისთვის ჩვეული მონდომებითა და ენერგიით წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ნაყოფიერ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება ქართული ისტორიული მეცნიერების, ქართველი ხალხის სამსახურია, რაც ფართოდაა აღიარებული: იგი დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (1996), მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ (1990), საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელით (1990) და ა. შ.

ნანა ხაზარაძე, უმნიკვლო მოქალაქე და სამშობლოს ერთგული შვილი, ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას, მეგობარს, თანამოაზრეს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ მას ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს, მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

მომავალში ქალბატონ ნანას კვლავ ახალი დიდი საქმეები ელის.

გრიგოლ გიორგაძე

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნანა ხაზარაძეს.

ნანა ხაზარაძის, ღვანლმოსილი და ამაგდარი შემოქმედის, ბიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან, მის მიღწევებთან. ჩვენი იუბილარი მეცნიერთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ამ ინსტიტუტში გამოიწყო, როგორც მკვლევარი და მოქალაქე. აქ შექმნა ძველი აღმოსავლეთისა და საქართველოს ძველი ისტორიის კარდინალური პრობლემებისადმი მიძღვნილი მნიშვნელოვანი ნაშრომები. თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობით ნანა ძველი მსოფლიოს ისტორიის აღიარებულ სპეციალისტად არის მიჩნეული. ნაშრომისათვის „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები“ (მოსხები), რომელიც 1984 წელს წიგნად დაისტამბა, მას პირველს ქართველ მეცნიერ ქალთა შორის მიენიჭა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.

ნანა ხაზარაძის სამეცნიერო ინტერესებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსურ შესწავლას. ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მან არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ნანას მეცნიერული ნაღვანი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა გამოქვეყნებული. იგი მეცნიერთა ფორუმების მონაწილეა, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ, მრავალი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტიცა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ნანა ხაზარაძე ეროვნული მნიშვნელობის მრავალი საქმის წამომწყები და კოლეგების მხარში მდგომი იყო და არის. რად ღირს თუნდაც ის წვლილი, რომელიც მან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის პირველი და მეორე ტომების გამოცემაში შეიტანა.

ჩვენ რამდენჯერმე ერთად ვიყავით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, აკად. ვასო ფრანგიშვილთან, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის მომზადებული საჭირო და აუცილებელი მასალების კრებული გამოგვეცა, რომელსაც მაშინ საფრთხე ელოდა. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქართული ეთნოგრაფიული სკოლის პატრიარქმა ბ-მა გიორგი ჩიტაიამ ნანასათვის ნაჩუქარ „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის“ პირველ ტომს, რომელსაც იგი დღესაც სათუთად ინახავს, შემდეგი მშვენიერი წარწერა გაუკეთა: „ქ-ნ ნანა ხაზარაძეს, ამ წიგნის შექმნისა და გამოცემისათვის დიდად დამაშვრალს, სიყვარულით, პატივისცემითა და მადლობით. გ. ჩიტაია. 7.07. 1980 წელი“.

XX საუკუნის 70-90-იან წლებში, როდესაც საქართველოს ძველი, შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, როდესაც ქართული წიგნის გამოქვეყნების საქმე ფაქტობრივად მოსკოვში წყდებოდა, ნანა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა მისი კოლეგების ნააზრევი შეუფერხებლად მისულიყო მკითხველთა ფართო საზოგადოებამდე. ნანას შემართების შედეგად მაშინ ეროვნული პრობლემატიკისადმი მიძღვნილმა, მოსკოვის მიერ რალაც მიზეზების გამო „დანუნებულმა“, არაერთმა მონოგრაფიულმა

გამოკვლევამ იხილა დღის სინათლე. სწორედ იმ წლებში იყო, რომ ნანას გამოსვლას მაღალი ტრიბუნიდან ვიქტორ გუჩუას რედაქტორობით საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი, თვეების მანძილზე დატყვევებული „საქართველოს ისტორიის“ გამოქვეყნება მოჰყვა. ჩემი მეგობრის სახელს უკავშირდება ისტორიის დარგში სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის სერიალის შექმნის იდეაც (ჩემს კოლეგებს, ალბათ, ახსოვთ, რომ სწორედ ამ რუბრიკით გამოიცა 80-იან წლებში თ. ბერაძის, ჯ. შარაშენიძის და სხვათა მშვენიერი სამეცნიერო-პოპულარული ნიგნები), აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლებისათვის განკუთვნილი პერიოდული გამოცემა, სიმბოლური სათაურით „დიდგორი“, ჩვენს ინსტიტუტში „საისტორიო საუბრების“ დაფუძნება, ახალი საისტორიო ლიტერატურის სისტემური განხილვა და სხვა მრავალი. ნანა ხაზარაძე ყოველთვის თავისი მშობლიური ინსტიტუტის ცხოვრების შუაგულში იყო და არის. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის დაუვინყარია XX საუკუნის 70-90-იან წლებში ნანას მიერ ჩატარებული საინსტიტუტო კრებები, სადაც ჩვენი ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე ხმამაღლა ვსაუბრობდით, ვკამათობდით, შესაძლებლობის ფარგლებში ვებრძოდით ჩვენს საზოგადოებაში მაშინ არსებულ უკეთურ მოვლენებს. იმ წლებში ყოველივე ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ნანას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ უმძიმეს სიტუაციებშიც კი, მას უკან არასოდეს დაუხევია, არასწორი, უღირსი ნაბიჯი არასოდეს გადაუდგამს. ბედნიერი ვარ, რომ იმ მღელვარე წლებში ჩვენ განუყრელად ერთად ვიყავით, ვამზადებდით საინტერესო შეკრებებს, ვწერდით ოქმებს, ვცდილობდით, განსაკუთრებული სიზუსტით, შეუღამაზებლად აღგვეჩუსხა ჩვენი და ჩვენი კოლეგების გან-

ნყოფა, მათი ნაფიქრალი, გულისტკივილი, პოზიციები საკმაოდ რთულ წინააღმდეგობებით აღსავსე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ასე მრავალი დოკუმენტი შეიქმნა, მაგრამ განსაკუთრებით აღვნიშნავ ორს: პირველი საქართველოს კონსტიტუციის ცნობილი და გახმაურებული მუხლის განხილვას ასახავს, მეორე - აფხაზეთის 1978 წლის ტრაგიკულ მოვლენებს. პირველი, თუ არ ვცდები, 65 გვერდს ითვლიდა, მეორე - 160 გვერდზე მეტს. ვფიქრობ, რომ დღეს, 22 წლის შემდეგ იმ ოქმებს, რომლებსაც მე ვწერდი, ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნია, ისინი XX საუკუნის ბოლო ათასწლეულების საქართველოს ისტორიის უტყუარ სურათს აღადგენენ.

არ დამავიწყდება ნანას გაფითრებული და მღელვარე სახე 1989 წლის 10 აპრილის დილას, როდესაც მან პირველმა ჩვენს შორის საპროტესტო დეპეშით მიმართა მოსკოვიდან ჩამოსულ ე. შევარდნაძეს და რაზუმოვსკის. მოითხოვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობის გადადგომა და 9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი „შემოქმედის“, გენერალ როდიონოვის, საქართველოდან დაუყოვნებლივ განწევა.

მეორე დღეს 11 აპრილს, ნანას ტექსტს ჩვენი ინსტიტუტის 160-მდე თანამშრომელი შეუერთდა.

ქვეყნისათვის ასევე შემართული იყო ნანა, როდესაც იმავე წელს სტიქიამ - ზეავმა - აჭარის სოფლები უმონყალოდ გაანადგურა და ჯავახეთში აჭარლების ჩამოსახლების ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად საერთო სახალხო მოძრაობა დაიწყო. ნანა ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ჯავახეთის აღორძინების ეროვნულ საქმეს: ჩვენს ინსტიტუტში გ. ძიძიგურთან, ლ. მელიქიშვილთან, ლ. კოპალეიშვილთან

ერთად დააფუძნა საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთი“, დღე და ღამეს ასწორებდა, ყოველ კვირა დღეს ჯავახეთში ატარებდა.

სამცხე-ჯავახეთს დღესაც არ აკლია ნანა ხაზარაძის ერთგულება. მას ათწლიანი საქმიანი კონტაქტები გააჩნია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალთან, ამ ფილიალის ისტორიის ფაკულტეტთან, საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის კათედრებთან. ნანა ბედნიერი ქალია, როგორც სახელმწიფო კომისიის არერთგზის თამეჯდომარემ მან ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მრავალ კურსდამთავრებულს დაულოცა გზა ქვეყნის მომავალი სამსახურისათვის. ნანა ნაყოფიერად თანამშრომლობს ამ ფილიალის პერიოდულ გამოცემებთან. სისტემატურად მონაწილეობს დიდი მესხეთის პრობლემებისადმი მიძღვნილ იქ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებში. ჩვენი იუბილარი ყოველთვის სიხარულით მიეშურება ამ ძირძველ კუთხეში. იქ მას ასეთივე განწყობით ხვდებიან.

ნანა ხაზარაძის მოღვაწეობა ჩვენი ინსტიტუტით არ შემოიფარგლება.

1990 წლიდან ჩემი მეგობარი სათავეში უდგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრას, კითხულობს საქართველოს ისტორიის, ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიის, საქართველოს ისტორიის უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს. მისი ინიციატივით ამ უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე წარმატებით ფუნქციონირებს მის მიერ დაარსებული ორი ახალი

სპეციალობა: ხელოვნებათმცოდნეობა (სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა) და კონფიქტოლოგია (საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტები). ნანა არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს, პროფესორთა საბჭოს, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, რედგამსაბჭოს, უნივერსიტეტის „პრომების“ საბჭოს რედკოლეგიის წევრი.

ნანაზე ფიქრის დროს სურვილი მაქვს მრავალი ეპითეტი ვიხმარო და ყველა აღმატებით ხარისხში: კაცთმოყვარე, კეთილი, თავმდაბალი, უღალატო მეგობარი, გულლია, მხიარული, ნიჭიერი. ასეთ ადამიანს ცხოვრების გზაზე არც თუ ისე ბევრს შეხვდები. ნანას ბედმა დიდი სულიერი განცდები არგუნა. იქნებ ამიტომაც არის იგი სხვათა ტკივილის გამგები და გამზიარებელი. უიმედოდ მყოფი, სასონარკვეთილი მინახავს, მაგრამ საკუთარ განცდებზე ამაღლებულიც, მაშინვე საქვეყნო საქმეებში რომ ჩართულა. მისთვის მთავარი და უპირველესი მოყვასის თანადგომა და სიყვარულია. მას იშვიათად გამოეპარება სხვისი გაჭირვება და პრობლემები. ნანას ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარი გააჩნია, ამიტომაც არის, რომ მასთან ყოფნა ყველას გვიხარია.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ნანას დამოკიდებულებას ახალგაზრდებისადმი. იგი მისაბაძი მეცნიერხელმძღვანელია. საათები შეუძლია დაუთმოს თავის მოწაფეებს, მათთან ერთად უკირკიტოს და სრულყოფილებამდე მიაყვანინოს გამოსაქვეყნებლად ან საჯარო გამოსვლისათვის გამიზნული სამეცნიერო პუბლიკაციები და მოხსენებები. ყოველივე ამას დაუზარებლად, ხალისით, ენთუზიაზმითა და სიყვარულით აკეთებს.

მინდა, ნანას პორტრეტის კიდევ ერთი შტრიხის შესახებ ვთქვა რამდენიმე სიტყვა. წლების მანძილზე იგი დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი იყო და არის. ეს მშვენიერი მეცნიერი ქალი შესანიშნავი მზარეულია, ულამაზესად გამასპინძლების დიდოსტატი. იგი ყველაფერს ასწრებს და ამ მხრივაც მისაბაძია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნანას მოღვაწეობა საქართველოს „ქალთა საბჭოში“. ქალბატონ ნინო ჯავახიშვილთან და ქალბატონ ზინაიდა კვაჭაძესთან ერთად. იგი საქართველოს ქალებისათვის ერთგულად იღწვის, აქტიურად არის ჩაბმული საქველმოქმედო და ჰუმანიტარული პროგრამებისა და პროექტების შექმნაში, სასჯელალსრულების ადგილებში მყოფი მოზარდებისა და ქალების რეაბილიტაციის პროცესებში. საქართველოს ქალთა საბჭოს წევრებთან ერთად ნანას საქმიანი კონტაქტები აქვს დსთ-ს ქალთა საბჭოებთან. რამდენიმე წლის წინათ მან დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელ სხვა ქალებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ 20 დღიან სემინარში, არჩეულ იქნა კლუბ „შალომ“-ის წევრად. დღემდე სისტემატურად ღებულობს ისრაელის ქალთა ცენტრალურ პრესას. მე პირადად ვიყავი მომსწრე საქართველოში გერმანიის ზაარის მხარის ქალთა წრის ორგანიზაციის ვიზიტისა და კონფერენციის მსვლელობისა, რომლის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი ნანა გახლდათ.

ახლა, როცა ამ მილოცვას ვწერ, ხაზარაძეების ოჯახი გამახსენდა. მამა ვლადიმერი, ცნობილი ექიმი და დიდბუნებოვანი ადამიანი, დედა - ქ-ნი თინა, ჩემი დიდი მეგობარი და მესაიდუმლე, მშვენიერი გარეგნობისა და რომანტიკული ბუ-

ნების ადამიანი, ძმა დათო ხაზარაძე, ყველასაგან გამორჩეული პიროვნება, ქირურგი, ტკბილმოუბარი და ფართოდ ერუდირებული. ნანა ამ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, მას უბრალოდ არ შეეძლო ისეთი არ ყოფილიყო, როგორიც არის – განათლებული, კეთილი და ამბლლებული.

ნანაზე საუბარი დაუსრულებლად შემიძლია. ზემოთ აღნიშნული მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც მასთან დაკავშირებით ვფიქრობ, რასაც მასთან მრავალწლიანი მეგობრობის შედეგად ვგრძნობ.

ჩემო ნანა! ჩვენ კოლეგებთან, შენს უფროს მეგობრებთან ერთად, დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადების 70 წლისთავს. ვულოცავ შენს შვილებს – ფიფიებს – გოგას და ნიკას, მათ ოჯახებს, შვილიშვილებს: ნანას, თიკოს, ირაკლის და შვილიშვილისშვილს პატარა თომას – ავთოს. გისურვებ სულიერ სიმხნევეს, წარმატებულ სიცოცხლეს, ბედნიერებას, რომელიც ასე გეჭირდება ყველას. ეჭვი არ მეპარება, რომ შენი შემოქმედების ახალ-ახალი წარმატებები კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს შენი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

ჯულიეტა რუხაძე
თბილისი-პარიზი
2001 წლის 4 მაისი

ძველი ახლო აღმოსავლეთი
ДРЕВНИЙ БЛИЖНИЙ ВОСТОК
ANCIENT NEAR EAST

ტროას ომის თარიღისათვის

ტროა-ილიონი ჰომეროსმა უკვდავყო. ბრინჯაოს ხანის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასავლეთანატოლიური ქალაქის ნანგრევები ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის წმინდათა-წმინდა იყო. როგორც ცნობილია, ტროას კედლებთან დაღუპული გმირის, აქილესის დიდებას შენატროდა ალექსანდრე მაკედონელი, ხოლო იულიუს კეისარს საამაყოდ მიაჩნდა თავისი გენეალოგიის დამარცხებულ ტროელ გმირებამდე აყვანა. ჰეროდოტეს თანახმად, ამ ცნობილ ომში ბერძნების მიერ ჩადენილი უსამართლობის ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა სპარსელთა ლაშქრობა ელადაზე და ეს ამბები ევკლიპტელებმაც კარგად იცოდნენ და თვით სპარსელებმაც (Herod. 1. 1-5; 2. 112-120).

უკვე კლასიკურ ხანაში ტროას ომი იქცა ელინების დანარჩენ, ბარბაროსულ სამყაროზე გამარჯვების, უპირატესობის ერთგვარ სიმბოლოდ. ომთან და მის გმირებთან დაკავშირებულმა თქმულებებმა მრავალი მწერლის შემოქმედებაში დაიმკვიდრა ადგილი. მხატვრული გადამუშავება მნიშვნელოვნად ცვლიდა დეტალებს, მაგრამ ჰომეროსის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ქარგა ერთგვარად კანონიზებულად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლებში ვერ ვხედავთ ტროას ციკლის ჰომეროსისეული ინტერპრეტაციისაგან პრინციპულად განსხვავებულ ვერსიებს. სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებში, ჰეროდოტედან მოყოლებული, ჩნდება ჰომეროსის ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის შემთხვევები. ეს არცაა გასაკვირი. თუ კლასიკურ ათენში მკრეხელურად არ ჟღერდა ფრაზა, რომ ჰომეროსმა და ჰესიოდემ “შეუქმნეს ელინებს ღმერთების წარმოშობის ისტორია, დაარქვეს ღმერ-

თებს სახელები” (Herod. 2. 53), მაშინ საზოგადოება მშვიდად შეხედებოდა ასეთ განცხადებასაც: “ეს ამბავი ჰომეროსმაც იცოდა, მაგრამ ის არ იყო ისე შესაფერისი მისი პოემისთვის, როგორც მეორე, რომლითაც მან ისარგებლა, ამიტომ ეს განზე დატოვა...” (Herod. 2. 116). მაგრამ თავად ტროას ომის ფაქტს ანტიკურობაში არავინ უარყოფდა. მისი რეალურობა მხოლოდ ახალი დროის მეცნიერებამ დააყენა ეჭვქვეშ. კლასიკური ფილოლოგიისა თუ სიმეველეთმცოდნეობის გაჩენის მომენტიისათვის ტროასაგან მხოლოდ თქმულებადა იყო დარჩენილი, ხოლო ღმერთებისა და გმირების ძველბერძნული ამბები ერთთავად ზღაპრად აღიქმებოდა.

ჰაინრიჰ შლიმანის მიერ 1871 წელს ლეგენდარული ქალაქის ხელახლა აღმოჩენა დღესაც ყველაზე სენსაციურ და ცნობილ გათხრებად ითვლება. ამას მოჰყვა შლიმანისავე გათხრები მიკენში, სერ არტურ ევანსისა კრეტაზე. ამ და შემდგომი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით თანდათანობით იძლევა ჯერ კიდევ 100 წლის წინ საყოველთაოდ გავრცელებული უკიდურესი სკეფსისი ლეგენდარული ისტორიის მიმართ.

1988 წლიდან მოყოლებული ტროას ნანგრევებს მრავალმხრივ სწავლობს საერთაშორისო გუნდი ტიუბინგენელი არქეოლოგის, პროფ. მანფრედ კორფმანის ხელმძღვანელობით. მართალია, თანამედროვე არქეოლოგთათვის ტროას გათხრებისას ჰომეროსის მიერ აღწერილი ომის ნაკვალების აღმოჩენა არ წარმოადგენს ძირითად ამოცანას, ექსპედიცია საზოგადოების ყურადღებასა და უხვ დაფინანსებას, ნაწილობრივ მაინც, გენიალურ პოეტს უნდა უმადლოდეს. შესაბამისად, ექსპედიციის ყოველწლიურ ანგარიშებში და ცალკე სტატეიებსა თუ გამოსვლებში (მაგ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1999 წელს წაკითხულ სამ მოხსენებაში) მ. კორფმანი ხშირად ეხება ტროასა და ჰომეროსს შორის მიმართებას. ცოდნის დღევანდელ დონეზე შესაძლებელია აღადგეს ერთის მხრივ,

ის სურათი, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის მიწურულს სახელოვანი ქალაქის ნანგრევებთან მისულ პოეტს უნდა ენახა, მეორეს მხრივ, გვიანბრინჯაოს ხანის ქალაქი (VI/VIIა), რომელიც “ილიადის” გმირებს უნდა დაელაშქრათ. პოემაში დაცული აღწერილობა საკმაოდ ზუსტად შეესაბამება ჰისარლიყის ბორცვის გათხრისას აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის ფენებს. ამდენად, უსაფუძვლო აღმოჩნდა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე სკეპტიკოსთა მიერ გამოთქმული ეჭვები იმის თაობაზე, რომ, ერთის მხრივ, ჰომეროსს არ შეიძლებოდა ზუსტი ინფორმაცია ჰქონოდა ტროას შესახებ, მეორეს მხრივ, შლიმანის მიერ გათხრილი ქალაქი შეიძლება არც ყოფილიყო ტროა. ჰისარლიყის ბორცვისა და ტროა/ილიონის გაიგივებას უკანასკნელ ხანებში მხარს უჭერს ხეთოლოგიაც: ფრანკ შტარკემ თითქოს საბოლოოდ დაამტკიცა ჰისარლიყ/(ვ)ილიონის ხეთური ტექსტების ვილუსასთან დაკავშირების მართებულობა. ხეთური ტექსტების აღმოჩენისთანავე ყურადღება მიექცა მრავალ თანხვედრას ეპოსთან: თვით ქალაქის სახელის გარდა, მისი ერთ-ერთი მეფისა და ერთ-ერთი ღვთაების სახელებს (ალაქსანდრე/ალექსანდრე და აპალიუნა/აპოლონი). ყველაზე შთამბეჭდავია თითქმის სრული დამთხვევა ტროელთა მოკავშირეების ორ სიას შორის: ერთი ხეთების მეფე თუთხალიას სახელითაა შედგენილი, მეორეს კი ჰომეროსი გვთავაზობს. ტროასა და მასთან დაკავშირებული ინტენსიური და მრავალმხრივი კვლევის შედეგები შეჯამებულია გამოფენაზე, რომელიც წელს გერმანიაში იმართება და ამ გამოფენისათვის გამოცემულ სპეციალურ კრებულში (1), რომელსაც ვეყრდნობი კიდევ.

მიუხედავად უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლისა, ღიად რჩება კითხვა, გვაქვს თუ არა მითებში გვიანბრინჯაოს ხანის ისტორიის კონკრეტული ფურცლის ძიების უფლება, ანუ შეესაბამება თუ არა რეალობას ტროას ომი. ხშირად სწორედ ამ კითხვამდე დაიყვანება მეთოდოლოგიური დავა

მითების ისტორიულობის შესახებ.

მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ზეპირ გადმოცემებში მხოლოდ უკანასკნელი 80-100 წლის შესახებ შეიძლება შემორჩეს მეტ-ნაკლებად ზუსტი მოგონება. ამდენად, ძველ ბერძნებს, რომლებსაც დამწერლობა და, შესაბამისად, მოვლენათა ფიქსაციის შესაძლებლობა ძვ.წ. VIII საუკუნეში გაუჩნდათ, ვერ ექნებოდათ მწყობრი წარმოდგენა ძვ.წ. X საუკუნის მიწურულზე ძველი ამბების შესახებ (2, 61 შმდ.; 3, 57 შმდ.). ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მაგრამ ის ბერძენთა “გმირული წარსულის” კვლევისას სიფრთხილისაკენ უნდა მოგვიწოდებდეს და არა ამ კვლევაზე ხელის ალებისაკენ. თქმულებებში დაცული ინფორმაცია ისტორიული სანდოობის თვალსაზრისით დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ლეგენდარული ქალაქებისა თუ გმირთა აღჭურვილობის ცალკეული ელემენტის აღმოჩენა ადასტურებს ე.წ. ანტიკვარული ტიპის ინფორმაციის სისწორეს. სავსებით დასაშვებია, ისტორიული იყოს ზოგიერთი გმირის სახელიც, იქნება ეს ალექსანდრე, ატრევსი თუ აგამემნონი. ყველაზე ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია მოვლენათა აღწერა, მათი ურთიერთკავშირი. მაგრამ აქაც საქმე გვაქვს ინფორმაციის გადასხვაფერებასთან, დამახინჯებასთან, ოღონდ არა პირწმინდა გამონაგონთან. ბერძენი პოეტი — ეპიკოსი, ლირიკოსი თუ ტრაგიკოსი — მღეროდა პუბლიკისათვის მეტ-ნაკლებად კარგად ცნობილი ამბის შესახებ და არ ცვლიდა მას იმაზე მეტად, რაც ნაწარმოების მიზანდასახულებას სჭირდებოდა. პოეტური ზეპირი ტრადიციაც საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა: ჰომეროსის ცალკეული ფორმულები, ზოგჯერ მთელი სტროფებიც, მიკენური ხანის ენას უფრო შეესაბამება, ვიდრე გომეტრიულისას. სავარაუდოა, რომ მათ მზა სახით მოაღწიეს აქაველთა საგმირო ეპოსიდან (იხ. მაგ., 4; 5; 6). არც წერილობითი წყაროების არსებობაა სულ გამოსარიცხი. “ბნელი წლები” ხომ პირობითი სახელწოდებაა და ამ პერიოდის შესახებ თანამედროვე მეც-

ნიერების ინფორმირებულობის ხარისხს შეესაბამება და არა იმ დროის ბერძენთა განათლების დონეს.

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ “ილიადა” ისტორიულ თხზულებად გამოვაცხადო და მის მიხედვით ერთი ომის კონკრეტული მიმდინარეობა აღვადგინო. ტროას ომი აქვეელთა ერთადერთი დიდი საგარეოპოლიტიკური აქციაა, რომელიც თქმულებებმა შემოინახა და, სავარაუდოა, რომ ის წარმატებულ საგარეო ლაშქრობათა ერთგვარ კრებულს წარმოადგენდეს. არ არის შემთხვევითი, რომ ომის თარიღი ანტიკური წყაროების მიხედვით სხვადასხვანაირად იანგარიშება და ძვ. წ. 1334-1135 წლებს შორის მერყეობს (1, 174 შმდ.). მასში შესაძლოა გაერთიანებული იყოს არა მარტო მიკენის ძლიერების ხანის, არამედ შემდგომი პერიოდის საომარი მოქმედებებიც. ასე მაგ., ეპოსში “ზღვის ხალხების” მიერ დაახლ. ძვ.წ. 1180 წ. ტროა VIIa-ს დალაშქვრაში ბერძენთა მონაწილეობის კვალიც შეიძლება აღმოვაჩინოთ (შდრ. ერატოსტენეს მიერ შემოთავაზებული და ანტიკურობაში ყველაზე პოპულარული თარიღი — 1184/3. იხ. 7, 32 შმდ.), ტროადაში ეოლიელთა მოსვლისაც (ძვ.წ. 1050, ტროა VIIb-ს დანგრევა) და ჰომეროსის მშობლიური სმირნას გარშემო ძვ.წ. VIII საუკუნეში იონიელთა და ეოლიელთა შორის გამართული ბრძოლებისაც (შდრ. 8, 68 შმდ.).

და მაინც, მიმაჩნია, რომ “ილიადას” საფუძველად დაედო ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვების ამბავი, რომელიც გამდიდრდა სხვა მეტ-ნაკლებად წარმატებული ლაშქრობების დეტალებით.

ვილუსა/ილიოსი მისი ძლიერების ხანაში, ძვ. წ. 1700-1180 წლებში, მნიშვნელოვან სტრატეგიულ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება და ხეთური თუ ეგვიპტური წყაროებითაც. იგი აკონტროლებდა მნიშვნელოვან გზებს, პირველ რიგში, შავი ზღვის შესასვლელს და შედიოდა ამ გზების უსაფრთხოებით დაინტერესებული ქალაქების დიდ და

სტაბილურ კოალიციაში, რაც აისახა კიდევ მის მოკავშირეთა ორ ზემოხსენებულ სიაში. მისი დამორჩილება ძალზე სასურველი, მაგრამ ძნელად მისაღწევი უნდა ყოფილიყო დიდი და აგრესიული მეზობლებისათვის – ხეთებისა და აქაველებისათვის. ხეთები ამ მიზნისაკენ ხან ომის, ხანაც დიპლომატიის გზით მიიწვევდნენ. აქაველების წარმატების შესახებ მხოლოდ ეპოსი მოგვითხრობს, მაგრამ იოლი წარმოსადგენია, რომ ასეთ სერიოზულ მტერზე გამარჯვება ბერძნებისათვის ყველაზე სამახსოვრო ომად ქცეულიყო.

როდის უნდა მომხდარიყო ომი, რომელსაც ბერძნები ძვ.წ. VIII საუკუნეში სიამაყით იხსენებდნენ? უდავოდ მიკენის ძლიერების ხანაში. ეგეოსის ზღვაზე აქაველები სანტორინის კატასტროფისა და მინოსური ფლოტის განადგურების შემდეგ იკიდებენ ფეხს, დაახლ. ძვ.წ. 1500 წლის შემდეგ. ამ დროიდან ჩნდება მიკენური კერამიკა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე: მილეტში, ტროადაში (9, 275 შმდ.). მიკენურ სასახლეებს, სავარაუდოა, სახელმწიფოებრიობასა და სამხედრო ძლიერებასაც დიდი განსაცდელი დატყდა თავს დაახლ. 1200 წელს.

ამდენად, ჩვენი ომი ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებშია საქებარი. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, გვიანბრინჯაოს ხანაში ქალაქი ორჯერ ჩანს დანგრეული: ტროა VI დაახლ. 1300 წელს და ტროა VIIa – დაახლ. 1180 წელს (10, 253 შმდ.). ეს უკანასკნელი ნგრევა აშკარად სამხედრო აქციის შედეგია, მაგრამ ამ დროისათვის აქაველთა ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება უკვე აღარ არსებობდა. შესაბამისად, ერთადერთ შესაძლო თარიღად თითქოს ძვ.წ. 1300 წელი რჩება, ტროა VI-ის დანგრევის თარიღი. ის ფაქტი, რომ ამ ქალაქის კედლები მიწისძვრით ჩანს შემუსრული, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას. ფ. შახერმეირი თვლის, რომ როგორც ცხენი, ასევე მიწისძვრა პოსეიდონთან არის დაკავშირებული და ამ ღვთაების თანადგომის ერთი გამოვლინება (მიწისძვრა) შეიძ-

ლებოდა მისი საკულტო ცხოველის ორიგინალურ გამოყენებად ექცია პოეტის ფანტაზიას (11, 115).

მე თუმცა არ უარყოფ ამ თარიღს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სხვა შესაძლებლობებიც უნდა გავითვალისწინოთ. ცხადია, ეპოსში შურისმაძიებელ აქაველთა წარმატებული ლაშქრობა სრულ გამარჯვებად უნდა გამოიყურებოდეს – ქალაქის დანგრევა, კაცების დახოცვა, ქალების მონებად წაყვანა. მაგრამ ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში ომი დიპლომატიური გამარჯვებითაც შეიძლებოდა დასრულებულიყო, იქნებოდა ეს სავაჭრო გზებზე მიმოსვლის გარკვეული პრივილეგიები თუ კეთილგანწყობილი პრეტენდენტის აყვანა სამეფო ტახტზე. იქნებ სწორედ ასე უნდა გაგვეგო ტროას ცხენის შეგზავნით გამოწვეული ეფექტი.

აქაველები ხეთურ ტექსტებში ძვ.წ. XV-XIV საუკუნეების მიჯნიდან ჩანან როგორც აგრესიული და ანგარიშგასაწვევი ძალა. პირველად ათარსია-ატრევისი ეუფლება მიწებს მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და ხმელეთის სიღრმეშიც აღწევს. მისი მოგერიება მხოლოდ ხეთების ძირითადი სამხედრო ძალებისა და დიპლომატიური ხერხების საშუალებით ხდება (KUB 14.1). შესაძლოა, ამ ლაშქრობის გამოძახილს ბერძნულ მითოლოგიაში ჰერაკლეს აზიური თავგადასავალი წარმოადგენდეს.

აქედან მოყოლებული ხეთებისა და აზიავას სამეფოებს შორის ხან მეგობრული, ხანაც დაძაბული ურთიერთობა იყო. ხეთური ტექსტები არაერთ ბრძოლას მოიხსენიებენ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიძლება უცილობლად გაეაიგივოთ ტროას ომთან (1, 29 შმდ.). ასეთი ლაშქრობისათვის ხეთების პოლიტიკური ისტორიიდან გამომდინარე, ძვ.წ. XIII საუკუნეში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეიძლება ვიპოვოთ:

ა. მურსილი მეორის წარმატებული დასავლური ლაშქრობების შემდეგ და მუვათალი-ალაქსანდუს ხელშეკრულებამდე, ე.ი. ძვ. წ.

1316-1280 წლებს შორის. არცაეასა და აქაველთა საყრდენი მილან-კანდა-მილეტის შემუსვრის შემდეგ, მურსილის მეფობის მეორე ნახევარში ხეთების სამეფო შავი ჭირის ეპიდემიამ და ურჩმა მეზობლებმა შეაწუსეს (CTH 376 § 6 შმდ.). ამ დროს აქაველებს შეეძლოთ რევენშზე ეფიქრათ. ხსენებული ხელშეკრულების პრეამბულაში აღწერილი პერიპეტიები დღეს, სამწუხაროდ, აღარ იკითხება (CTH 76, §§ 4-6). შესაძლოა, აქ ლაპარაკი ყოფილიყო ტროა VI-ის აღსასრულზეც. ამ თარიღის სასარგებლოდ შეიძლება მოვიხმოთ ანტიკური ტრადიციაც. დურის სამოსელი ტროას ომს ათარიღებს ათასი წლით ალექსანდრემდე (1334). ამჟამად, რომ რიცხვი დამრგვალებულია და თავისუფლად შეიძლება ესადაგებოდეს XIV-XIII საუკუნეთა მიჯნას. პეროდოტეს თარიღი (Herod. 2. 145: “ჩემ დრომდე 800 წელზე მეტი” დაახლ. 1250) ასევე დამრგვალებულია და XIII საუკუნის დასაწყისსაც შეიძლება გულისხმობდეს და შუახანებსაც.

ბ. ურხი-თეშუბსა და ხათუსილი III-ის შორის დაპირისპირების დროს – 60-იან წლებში. ე.წ. “თავაგალავა/ეტეოკლეს წერილი” წარმოადგენს ხათუსილი III-ის მცდელობას დიპლომატიური გზით მოაგვაროს ახიავას მეფესთან წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები (KUB 14.3). ამ წერილში ხეთების მეფე ახიავას მბრძანებელს მიმართავს როგორც თავის თანასწორ დიდ მეფეს – annawališ. მას მერე, რაც ატრევსმა “თითქმის თანასწორის” – kuriwanaš – სტატუსი მოიპოვა (KUB 14.1), აქაველთა მეფის შემდგომი “დაწინაურება” მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური წარმატებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, შესაძლოა, ტროას დალაშქვრით.

გ. თუთხალია IV-ის შემდეგ, მედიტერანული სამყაროს შემარყვევლი მოვლენების დაწყებისას – საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში. ამ ვარიანტს უჭერს მხარს პაროსის მარმარილო,

რომელიც ყველაზე ზუსტ თარიღს (1209/8) გვთავაზობს. ამ შესაძლებლობის გასაბათილებლად, ჩემი აზრით, არ გამოდგება თუთხალია-შაუშგამუკას ხელშეკრულება. ოციანი წლებით დათარიღებულ ამ ტექსტში მწერალს ახიავს მეფე ჯერ ხეთების, ეგვიპტის, ბაბილონისა და ასურეთის დიდ მეფეთა გვერდით მოუთავსებია, შემდეგ კი წაუშლია (CTH 105 §11). ფ. შტარკე თვლის, რომ ეს ფაქტი აქვევლთა დიდი მეფისა და, შესაბამისად, დიდი სამეფოს აღსასრულზე უნდა მიუთითებდეს (1, 37, 43). მაგრამ, არ არის გამოსარიცხი ის შესაძლებლობა, რომ აქ მიკენის მეფეთა ცვლის მომენტი დაფიქსირებული. ცნობილია, რომ დიდი მეფის მემკვიდრე ამ ტიტულს ავტომატურად კი არ იღებდა, არამედ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვების შემდეგ, რასაც ზოგჯერ რამდენიმე წელიწადი სჭირდებოდა. ასეთი დათარიღების ირიბ საბუთად შეიძლება მოვიხმოთ ის ფაქტიც, რომ პილოსის სასახლეში ძვ.წ. 1200 წლისათვის დიდი როდენობით იმყოფებოდნენ აზიიდან ჩამოყვანილი ტყვე ქალები და ბავშვები (PY Aa, Ab, Ad), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტროელთა რაზმებს მათ შორის ვერ ვხვდებით.

ლიტერატურა:

1. Troia – Traum und Wirklichkeit. Stuttgart 2001.
2. O. Taplin, Agamemnon's Role in the Iliad. *Characterization and Individuality in Greek Literature*, ed. C.K. Pelling, Oxford 1989, 60-82.
3. W. Kullmann, Homers Zeit und das Bild des Dichters von den Menschen der mykenischen Kultur. *Homer's World*. eds. O. Andersen & M. Dickie. Bergen 1995, 57-75.
4. M.L. West, The Rise of the Greek Epic. *JHS* 108, 1988, 151-172.

5. C.J. Ruijgh, D'Homère aux origines protomycéniennes de la tradition épique. *Homeric Questions. Essays in Philology, Ancient History and Archaeology, Including the Papers of a Conference Organized by the Netherlands Institute at Athens (15 May 1993)*. Ed. J.P. Crielaard. Amsterdam 1995.
6. J. Latacz, Troia und Homer – Neue Erkenntnisse und neue Hypothesen. *Troia. Mythen und Archäologie*. Hrsg. H.D. Galter. Graz, 1997, 1-35.
7. F. Schachermeyr, *Die griechische Rückerinnerung im Lichte neuer Forschungen*. Wien 1983.
8. W. Gauer, Topographica Homerica. *Orbis Terrarum* 3/1997, 27-76.
9. P.A. Mountjoy, Troia Phase VI^f and Phase VI^g: The Mycenaean Pottery, *Studia Troica* 7, 1997, 275-294.
10. P.A. Mountjoy, The Destruction of Troia VI^h, Troia VII Reconsidered, *Studia Troica* 9, 253-293, 295-346.
11. F. Schachermeyr, *Griechische Frühgeschichte*. Wien 1984.

Л. Гордезиани

К датировке троянской войны

Троянская война - исторический факт или плод поэтической фантазии? Несмотря на огромный прогресс в исследовании троянской проблематики за последнее десятилетие вопрос остается открытым. По моему мнению, в основу сказания легла реальная война XIII в. до н. э. Анализ разных источников предлагает нам три возможные датировки: 1300, 1260, 1210.

Zur Datierung des Troianischen Krieges

Krieg um Troia/Wilios – eine bronzezeitliche Geschichte oder dichterische Phantasie? Trotz den riesigen Fortschritt in der Troia-Forschung des letzten Jahrzehntes, bleibt diese Frage offen. Es gab, m.E. im XIII. Jh. v. Chr. einen Krieg, der den Kern der Sage bildete. Die Analyse verschiedenen Quellen lässt uns an drei mögliche Datierungen denken:

1. um 1300 (Zerstörung von Troia VI h. Pest und politische Schwierigkeiten im Hethiterreich ermöglichten den Achäern eine Rache für die Niederlage bei Milet);
are made on the potter's wheel. No trace of a rotation on the potter's wheel was observed but it can be attributed to the fact that the internal as well as external surface of all of these vessels is smoothly polished. The crock of pottery is, as a rule a double layer one: internal - of gray color and external - black. The external surface is always black, brilliant which passes into silver glittering. We meet rows of small knobs (concs) around the arm of large vessels too. These cones in relief sometimes are distributed triangularly. In one case the arm bears an image resembling a pitchfork in relief. All earthenware is double-eye. Eyes are massive, bandlike and stuck to the arm. In one case the arm of a vessel is encircled by triangles incised by the technique of forging, with heads in opposite directions, between these triangles circles are placed in relief with the concs in the middle.

Flat beads of paste and bone found beside the skeletons of the sacrificed persons are of great importance, for, up to recent period, ancient samples of such types of adornment discovered in the central Transcaucasia are dated only as the first centuries of the 1st millennium B.C.

Bronze articles (Tab. VII) found in the Bakurtsikhe burial mound are of special interest. A bronze dagger, the arrow-head with two-eyes and silver plug were found there. We could not find an analogue - parallel of them neither in the Caucasia nor beyond its territory. The brass-eyed dagger has many parallels in the Caucasia itself, but in a material of a later period. One more thing found in the tomb of Bakurtsikhe has many parallels in the monuments of Transcaucasia of that period. We consider it a fragment of a cart wheel nail. We determine its designation namely according to those analogues, because in a number of cases they were found on the axis of a cart wheel, at their place of designation. While considering the brassware of the burial mound of Bakurtsikhe, we think it especially important that in the composition of three articles from four, there is tin in great quantity.

These are the ancient brass articles exposed in the Transcaucasia which contain tin. There are no mines of tin in the Caucasia and the fact of such an early appearance of tin on the territory of the Caucasia raises many problems for archaeologists.

Large size arrows made of flint and obsidian with hewn heels found in the Bakurtsikhe burial mound are worth of special noting (Tab. VIII). They are made by such a refined technique that they are a model of a real top art. One arrow-head is made of flint and 23 of obsidian. All arrow-heads were found together at the bottom of the supporting pillars together with the bow, and it can be assumed that both the bow and the quiver with arrows had been hung on the pillar together with the dagger and the oilstone.

All arrow-heads are similarly hewn and are of almost the same size. Such type of arrow-heads appear in the first stages of the early bronze age in the central Transcaucasia and survive till the early stages of the late bronze period including, irrespective of the fact that their shapes greatly differ in different eras. We come across a type of arrow-heads found in the burial mound of Bakurtsikhe in the central Transcaucasia only in the tombs of the last quarter of the 3rd millennium B.C. In the tombs of the middle of the 3rd millennium such arrow-heads are not encountered yet and this period is characterized by metal arrow-heads of bipyramidal shape.

Restoration of a shape of a wooden bow found in the burial mound of Bakurtsikhe was managed according to the location of the parts incrustated with gold (Tab. VI) and according to the slight trace of a wooden piece which was imprinted on the floor of the tomb. Thickness of a wooden rod is 2.5 cm. length - approximately 0.80 m. Irrespective of the fact that graphical reconstruction of a bow was performed according to the imprint of a wooden rod present on the floor, the restoration of a part, bent in the middle, is very conditional.

We can suppose that the things from the burial mound made of precious metal were placed on the wooden cart together with the ash of the deceased and that they are stolen completely by the thieves. We found four golden beads only (Tab. I). Two of them are cylindrical, one is a spiral form, adorned with an ornament in relief, the other is adorned with the line of points in relief between the wavy lines in relief as well. This adornment is an accurate replica of an adornment of a face, neck and front legs of a golden lion found in the burial of Tsnori of the same period and of an ornament of a double-volute pin in relief (Tab. I). Two beads are shallow with holes at four angles. On both sides of a flat surface they are adorned with rosettes and points made under the press (Tab. I). Apparently these beads are made of two plates, the edges of which are turned down and welded to each other. Such a technique of treatment of gold in contemporary burials of the central Transcaucasia is verified repeatedly.

Geometrical images, wavy line, triangles and circles with small ornaments in their centers, surrounded with points performed in white paint on the leather spread on the floor of the burial mound of Bakurtsikhe are very interesting. This ornament too, accurately repeats the adornment performed on the front legs of a golden lion (Tab. I), which is considered as the image of the sun. It is essential that such an ornament is given in relief in one of the large vessels of the burial mound #1 of Tsnori.

The flat oilstone with holes at both ends found in the burial mound of Bakurtsikhe is one of the most ancient articles of such a designation in the central Transcaucasia. We have to mention also an imprint of a weaved basket on the floor pointing to the development of a still one more trend of handicraft of this period.

The burial mound of Bakurtsikhe belongs to the so-called Bedenic culture existing in that period in the central Transcaucasia, and today, there are rather reliable grounds for establishing chronological frames

of this culture as belonging to the second half of the 3rd millennium B.C. which is based on a number of radiocarbon dates.





Table I. Golden adornment of the second half of the 3rd millennium B.C. from the monuments of Transcaucasia. 4, 5, 8, 9 - golden beads from Bakurtsikhe burial mound.



- | | | | |
|----------------|------------------|----------------------|--------------------|
| 1. Bedeni | 7. Khramebi | 13. Ashurianis veli | 19. Dantsvari gora |
| 2. Berikdeebi | 8. Magharo | 14. Baniskhevi | 20. Zciani |
| 3. Khovle | 9. Zemokedi | 15. Anaga | 21. Karcli |
| 4. Martkopi | 10. Marneuli | 16. Didi gora | 22. Trialeti |
| 5. Bakurtsikhe | 11. Kachreti | 17. Ananauri | 23. Akakiant khevi |
| 6. Tsnori | 12. Abanos khevi | 18. Mtserlis mitsebi | |




Table III. A plan of burial mound of Bakurtsikhe.




Table IV. A section and reconstruction of burial mound of Bakurtsikhe.




Table V. Black brilliant small size pottery.




Table VI. Reconstruction of a wooden bow incrustated with gold and Black brilliant large size pottery.




Table VII. Bronze articles.




Table VIII. Arrow-heads made of flint and obsidian.

ბაკურციხის გორასამარხი

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გორასამარხები ადრებრინჯაოს ხანიდან – ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნიდან არის ცნობილი. ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან კავკასიის ამ მხარეში ჩნდება განსაკუთრებით დიდი ზომის სამარხები – ხის კონსტრუქციებით ნაგები დასაკრძალავი დარბაზით და მდიდრული ინვენტარით, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინა, მტკვარარაქსული ადრებრინჯაოს ხანის მასალებისაგან.

ამ დროის, მოგვიანო პერიოდის, ერთ-ერთი ტიპური სამარხია ბაკურციხის გორასამარხი.

ბაკურციხის გორასამარხის მიწის ყრილის დიამეტრი 60 მეტრს უდრიდა, სიმაღლე 3-3,5 მეტრს. გორასამარხის მიწაყრილს ირგვლივ ქვის დიდი ლოდების წრე ზღუდავდა.

მიწაყრილის ცენტრალური ნაწილის ქვეშ, მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა ხის დიდი მორებით ნაგები ჯარგვალური დასაკრძალავი დარბაზი 8,5X8,5 მეტრი. დარბაზის იატაკი და გადახურვაც ხის მორებით იყო მოწყობილი. გადახურვა ხის ცხრა სვეტზე იყო დაყრდნობილი. სვეტების ორმოები თანაბარი დიამეტრის – 0,60 მეტრი და სიღრმისაა 0,70 მეტრი, ისინი დარბაზის იატაკზე სიმეტრიულადაა განლაგებული. დასაკრძალავი დარბაზის დასავლეთ ნაწილში, როგორც ჩანს ხის ოთხთვალა ურემი იდგა. სამარხის ეს მონაკვეთი მძარცველების მიერ მთლიანად იყო განადგურებული. აქ მრავლად აღმოჩნდა თიხის მცირე ჭურჭლების ფრაგმენტები და ოქროს ორი ბრტყელი და ორი ცილინდრული მძივი.

როგორც ჩანს სამარხის მორებით მოგებული იატაკი ჭილოფით იყო მოგებული, რომელსაც სვედიან ტყავი ეფარა, ცენტრალურ ნაწილში, ტყავზე, თეთრი საღებავით გეომეტრიული ორნამენტი იყო დატანილი.

დასაკრძალავი დარბაზის ჩრდილო მონაკვეთში, ორ სვეტს შუა, ერთიმეორესთან თავშეკცევით, ორი ადამიანის კიდურებმოხრილი ჩონჩხი აღმოჩნდა დასვენებული – ერთი მარჯვენა გვერდზე მეორე მარცხენაზე. მათ ირგვლივ დიდი რაოდენობით იყო მობნეული პასტის ბრტყელი მძივები, რომელთა ზედაპირიც ერთიმეორეში ჩასმული წრეებით არის შემკული.

დასაკრძალავი დარბაზის აღმოსავლეთ კედელთან მდებარე გადახურვის დამჭერი სვეტის ორმოში და ორმოს ირგვლივ აღმოჩნდა: საღესი ბრტყელი ქვა, ბრინჯაოს სატევარი, ბრინჯაოს ორი შუბისპირი ვერცხლის მასრით, 23 კაჟის და ობსიდიანის მოზრდილი ისრისპირი და ხის მშვილდის ანაბეჭდი ოქროს ინკრუსტაციით, დასაკრძალავი დარბაზის სამხრეთი კედლის გასწვრივ თიხის დიდი ჭურჭლები იყო ჩამწკრივებული, დარბაზის ცენტრალურ ნაწილში იატაკზე აღმოჩნდა ბრინჯაოს მოზრდილი, წრიულად გოფირებული ზედაპირიანი ფირფიტა (ფარი?) და წნული კალათის ანაბეჭდი.

ბაკურციხის გორასამარხი ცენტრალურ ამიერკავკასიაში ე.წ. ბედენურ კულტურას ეკუთვნის, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოების განსაზღვრისათვის ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული საუკუნეებით, დღეისათვის საკმაოდ მყარი საფუძვლები არსებობს.

**ქველასურელ ვაჭართა საქმიანობის ამსახველი
„კაპადოკიური“
ფირფიტები ქიულთეფი/ქანესიდან**

ცენტრალურ ანატოლიაში (თანამ. თურქეთი) ჯერ კიდევ მე-19 ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო ადგილობრივმა მოსახლეობამ უკანონო გათხრები, რის შედეგადაც ასეულობით თიხის ფირფიტა მოხვდა ევროპისა და აშშ-ს კერძო კოლექციებსა თუ მუზეუმებში. მხოლოდ 1948 წ. შესძლო თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ მოენესრიგებინა ქაოსური პროცესი და სათავე დაუდო ლურსმული წერილობითი წყაროების, აგრეთვე არქეოლოგიური მასალის სისტემატურ კვლევა-ძიებას და გამოყენებას. ამ მხრივ, უპირველეს ყოფლისა, აღსანიშნავია თანამ. თურქული ქ. კაისერი, რომლის მახლობლად მდებარეობდა უძველესი ანატოლიური ქ. ქანესი (თანამედ. ქიულთეფი). უახლესი მონაცემებით, აქადური ენის ძველასურულ დიალექტზე შედგენილი ფირფიტების საერთო რაოდენობა დაახლოებით 20 000 აჭარბებს, რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ ქ. ქანესში იქნა აღმოჩენილი. თავისი ჟანრობრივი ხასიათით ზემოხსენებული წყაროები უმთავრესად ეპიგრაფიკულია, თუმცა საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი სამართლებრივი და სავალო დოკუმენტებიც, რომელთა შესწავლამ ცხადყო ასურული ვაჭრების მალალაქტიურობა ცენტრალურ ანატოლიაში ძვ. წ. XX-XVIII სს. მიმდინარე საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში.

ძველასურული, იგივე „კაპადოკიური“ ტექსტები შესანიშნავად ადასტურებენ ქალაქ-სახელმწიფო აშურსა (ჩრდ. ერაყი) და ცენტრალურ ანატოლიას შორის ძვ. წ. XIX-XVIII სს. არსებული გაცხოველებული ვაჭრობის ფაქტებს [9, 348]. გეოგრაფიულმა მდებარეობამ და პროფესიონალი ვაჭრების

კლანებმა უალრესად გაზარდეს ქალაქ-სახელმწიფო აშურის მნიშვნელობა, რომელიც ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა სამხრეთ ერაყსა და ირანს, აგრეთვე ჩრდილოეთ სირიასა და ანატოლიას შორის სატრანზიტო ვაჭრობაში. აშურში დიდი რაოდენობით შექმონდათ მაღალი ხარისხის ბაბილონური ქსოვილები, ხოლო ირანიდან - კალა. ეს საქონელი იცვლებოდა ვერცხლზე და ზოგჯერ ოქროზეც კი. შემდგომ ასურელ ვაჭრებს შეძენილი ქსოვილები და კალა სახედრების ქარავნებით გადაჰქონდათ ანატოლიაში. საინტერესოა, რომ ქსოვილებს საკუთრივ აშურიც აწარმოებდა, რომელსაც ძვირადღირებულ ლაპისლაზულთან და მეტეორიტულ რკინასთან ერთად (მეცნიერთა ვარაუდით, ლაპისლაზული და მეტეორიტული რკინა ასურელებს აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ) აგზავნიდნენ ანატოლიაში. ასურელი ვაჭრების საოჯახო „ფირმები“, თავიანთი ლიდერების წარმატებული საქმიანობის შედეგად დიდი მოგებით ჰყიდდნენ ჩატანილ საქონელს და სანაცვლოდ იღებდნენ ვერცხლს, ოქროს და სპილენძს.

აშურსა და იმ პოლიტიკურ ერთეულებს შორის, სადაც გავლა უზღებოდათ ასურელთა ქარავნებს, იღებოდა ხელშეკრულებები, რომელიც უზრუნველყოფდა ვაჭრების შეუფერხებელ მოძრაობას მათ ტერიტორიაზე, ხოლო სანაცვლოდ ისინი იღებდნენ ბაჟს, რაც ქალაქ-სახელმწიფოების შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ასურელებმა ანატოლიის თითქმის ყველა მსხვილ სავაჭრო ცენტრებში დააარსეს საკუთარი სავაჭრო ორგანიზაციები - ქარუმები (აქად. *kāru*) და მათი ფილიალები-ვაბართუმები (აქად. *wabartu*). ქ. ქანესის ქარუმი გადაიქცა ასურელთა ეკონომიკური ძლიერების ცენტრად. ქ. ქანესის ქარუმი ინსტრუქციებს იღებდა უშუალოდ ქ. აშურის ქალაქის საბჭოსაგან, რომელსაც შემდგომ უგზავნიდა ანატოლიის სხვა ქარუმებსა და ვაბართუმებს. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში მოხსენიებული მთელი რიგი გეოგრაფიული პუნქტების ზუსტი ლოკალიზაცია ჯერჯერ

რობით არ არის დადგენილი, თუმცა რამდენიმე მათგანი იდე-
ნტიფიცირებულია, მაგ., ქანესი (თანამ. ქიულ-თეფე), ამქუვა
(თანამ. ალიშარი), ხათუსა (ბოლაზქოი).

სამწუხაროდ, დღესდღეობით მეცნიერთა ხელთ არის
ერთადერთი ხელშეკრულება (აღმოჩენილი თან. თელ ლეილა-
ნში), სადაც საუბარია ქ. აფუმის მმართველის მოვალეობებზე
ქ. აშურის და მისი ვაჭრების მიმართ (4, 185-207), თუმცა, ჩვე-
ნი ვარაუდით, ამ ტიპის ტექსტს შეიძლება მივაკუთვნოთ Kl
n/k 794-იც, რომელიც ჩრდილოეთ სირიის ქალაქის მმართვე-
ლთან დადებული ხელშეკრულების სამუშაო ვერსიას უნდა
წარმოადგენდეს. მასში საუბარია, თუ რა სახის ბაჟის აღების
უფლება ჰქონდა ადგილობრივ მმართველს ასურელებისაგან
თავისი „ქვეყნის“ გადაკვეთის საფასურად (2, 31-41). ქვემოთ
წარმოგიდგენთ ტექსტის თარგმანს:

„თოკები, თოკებით შეკრული საქონელი, ყოველი ნივთი,
რაც კი ეკუთვნით ასურელებს, არ უნდა დაიკარგოს შენს ქვე-
ყანაში. უკეთუ დაიკარგება, ცდა არ უნდა მოაკლო მათ მოძიე-
ბას და ჩვენ (ე. ი. ასურელებს) უნდა დაგვიბრუნო. უკეთუ შენს
ქვეყანაში ჩვენიანის სისხლი დაიღვრება, შენ მკვლელებს გა-
დმოგვცემ და ჩვენ მივუსჯით მათ სიკვდილს. შენ არ უნდა მი-
იწვიო აქადელები. უკეთუ მათ გადაკვეთეს შენი ქვეყნის საზ-
ღვრები, აუცილებლად გმართვებს მათი დაკავება და ჩვენთვის
გადმოცემა.

შენ არაფერი არ უნდა მოგვთხოვო. მამაშენის მსგავსად
შეგიძლია აიღო 12 სიკლი კალა საქონლით დატვირთული თი-
თო სახედარზე, რომელიც ქ. ქანესიდან შემოვა. ხოლო აქედან
(ე. ი. მმართველის ქალაქიდან) გასულ ყოველ სახედარზე შე-
მოგთავაზებთ 1 1/4 სიკლ ვერცხლს, თანხას რომელსაც იდე-
ბდა მამაშენი”

ტექსტი იმდენად ნათელია, ვფიქრობთ სპეციალურ კო-
მენტარს არ საჭიროებს. თუმცა საჭიროდ ვთვლით განვმა-
რტოთ ასურელების უარყოფითი დამოკიდებულება „აქადე-

ლებისადმი" ამ და სხვა მრავალ კონტექსტშიც (მაგ. Kt n/k 79 k 101: 16-25; BIN 2 132: 10-12) „აქადელებში“ ასურელები გულისხმობენ ბაბილონელებს, მათ მთავარ კონკურენტებს საერთაშორისო ვაჭრობაში. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება ამგვარი შეუნიღბავი აგრესია ბაბილონელებისადმი.

ასურული მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი აქტიურად იყო ჩაბმული ანატოლიურ ვაჭრობაში. საოჯახო ფირმების უხუცესი და უმდიდრესი წევრები ანატოლიაში მიღწეული წარმატებების შემდეგ უმთავრესად აშურში ბრუნდებოდნენ და აქედან ხელმძღვანელობდნენ სავაჭრო ოპერაციებს. შემდგომ უკვე ასპარეზზე მათი მრავალრიცხოვანი შვილები, შვილიშვილები, სიძეები, ნათესავები გამოდიოდნენ, რომელთა ერთი ნაწილი გამუდმებით მოძრაობდა აშურსა და ანატოლიას შორის, ხოლო მეორე ნაწილი ძველი მცირე აზიის ქალაქ-სახელმწიფოთა ასურულ კვარტლებში ცხოვრობდა. ვაჭრობაში ჩაბმული ასურელების ცოლები შვილებთან ერთად უმეტესწილად აშურში რჩებოდნენ და წლების მანძილზე მარტონი უძღვებოდნენ საოჯახო საქმეებს. ვაჭართა ერთი რიგი ანატოლიაში ოჯახდებოდა ადგილობრივ ქალებზე და ამ უკანასკნელთ მეორე ცოლის სტატუსი ენიჭებოდა.

მოგზაურობა აშურიდან ქანესში, და უკან, ასევე ანატოლიის ქალაქებში, როგორც წესი, ქარავნებით ხორციელდებოდა. სამწუხაროდ საქარავნო მოგზაურობების სიხშირე ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, ჩანს, იგი დიდად იყო დამოკიდებული ამინდზე და პოლიტიკურ სიტუაციაზე. ამასთან ჯგუფური მოგზაურობა ზრდიდა უსაფრთხოების შეგრძნებას ვაჭრებში და ერთგვარად ამცირებდა მეგზურებისათვის და შეიარაღებული დაცვისათვის მისაცემი თანხების რაოდენობას. მეორეს მხრივ, მოგზაურობის პროცესში ვაჭრები ერთმანეთს გადასცემდნენ უახლეს ინფორმაციას რეგიონში არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე, პირადული ხასიათის ცნობებს და სხვ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ საოჯახო ფორმების საქმიანობაში არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობდნენ არანათესავეებიც მაგ., თემის წარმომადგენლები ისევე ენდობიან ერთმანეთს როგორც ახლო ნათესავეები. აქტიურად მონაწილეობდნენ სავაჭრო გარიგებებში ამა თუ იმ ვაჭართა მსახურები - „ცუხარუები“ (აქად. *ṣuḫāru*) (1, 22-132).

საქონლისა თუ ფულის პატრონი უტყუარ ინფორმაციას ფლობდა გაგზავნილი თუ მიღებული ტვირთების გასაღებ-აყიდვის შესახებ თანმხლები თუ წინსმწრები წერილობითი დოკუმენტების წყალობით. მაგ., აშურიდან ქანესში გასამგზავრებლად გამზადებულ ქარავნის წინამძღოლს უცილობლად ატანდნენ წერილს ქანესელი ადრესატის სახელზე, სადაც დეტალურად იყო აღწერილი საქონლის რაოდენობა, ხარისხი, აგრეთვე რა ოდენობით და რისთვის უნდა დახარჯულიყო თანხები საკუთრივ ანატოლიაში. წერილის თანახმად საქარავნო ტვირთზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა წინამძღოლს (7, 137-156). წერილის ასლი წინასწარ იგზავნებოდა ქანესში. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი ასურელი ბითუმად მოვაჭრის - ფუშუქენის და სხვების სახელზე ქანესში გაგზავნილი წერილი TC 2,6:

„ამგვარად თქვეს შალიმ-ახუმმა და შუ-ხუბურმა: უთხარით ფუშუქენს, ვაჭარს და ელას: ელამ 11 მინა ვერცხლი მოიტანა“. ამ თანხით ჩვენ 2 ტალანტი კალა მოვიტანეთ და ჩვენზე საბეჭდვებით დავბეჭდეთ. რაც შეეხება 9 მინა კალას, იგი დაუბეჭდავია. 10 ქუთანუ (აქად. *kutānu*) - ქსოვილის ფასია 31 2/3 სიკლი, ერთი შავი სახედრის ფასია 16 სიკლი ვერცხლი, მისი მოსართავის ფასია 2 სიკლი ვერცხლი და 3 სიკლი ვერცხლი მისი ფურაჟისათვის. ელამ 1 1/3 სიკლი ვერცხლი მიიღო დამატებითი გადასახადის სახით. ელამ ამის გარდა კიდევ 1 1/3 სიკლი მიიღო ადალის ტანსაცმლისათვის. ელას მთელი საქონელი შენთან მოაქვს და თანხაც შენთვის დაიხარჯა“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ანატოლიაში გაყიდული საქონლის სანაცვლოდ ასურელები იღებდნენ ვერცხლს, ოქროს და სხვა ნივთებს, რომელიც „ჩანთებში“ (შესაძლოა ხურჯინებშიც) ათავსებდნენ და საბეჭდავებით ლუქავდნენ. შემდგომ ჩანთებს აბარებდნენ მას, ვინც აშურში მიემგზავრებოდა. „კაპადოკიური“ ფირფიტები ამ პირებს ხშირად მოიხსენიებენ უმიანუს (აქად. umiānu) სახელით. დოკუმენტი დგებოდა მონმეთა თანდასწრებით. დოკუმენტის დიდი ნაწილი ეთმობოდა აშურში გასაგზავნი ჩანთების შიგთავსის დაწვრილებით აღწერას. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ დოკუმენტ CCT 5, 41b-ს თარგმანს:

„5 ჩანთა 5 მინა წმინდა ვერცხლით; 1 ჩანთა 52 სიკლი მაღალი ხარისხის (აქად. pašallu) ოქროთი; 1 პაკეტი 1 1/3 მინა ვერცხლით; 1 პაკეტი 1 2/3 მინა ვერცხლით; ყველაფერი ეს, რომელიც განკუთვნილია იმდილუმისათვის, საბეჭდავით დავლუქე და ჩავაბარე იდინ-ადადს“.

მანძილი აშურიდან ქანესამდე დაახლოებით 1000 კმ-ია. ადვილი წარმოსადგნია, რა სიძნელებების გადალახვა უწევდათ ასურელ ვაჭრებს იმ შორეულ ეპოქაში. მთლად უსაფრთხო მიმოსვლა არც ცენტრალური ანატოლიის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის იყო, ისევ და ისევ არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ამას ემატებოდა შარაგზების ყაჩაღების თავდასხმები და გაქურდვის ფაქტებიც. რამდენიმე „კაპადოკიური“ ფირფიტა მოგვითხრობს, თუ როგორ გაქურდეს და შემდეგ როგორ მოკლეს ქარავნის მომსახურე პერსონალი (VC 26, 26; Kayseri 1830). ბუნებრივია, ვაჭრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ შეძლებისდაგვარად თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე. ვაჭარი მოგზაურობისას თან ატარებდა იარაღს და ცნობილი გამოთქმა „იარაღის აღება“ საკმაოდ ხშირად გვხვდება იმ კონტექსტებში, სადაც საუბარია ქარავნის გამგზავრებაზე ან თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის მიმა-

როსტულებით^{*}. ზოგჯერ ვაჭრები თვლიდნენ რომ ჯგუფური მოგზაურობაც არ იყო საკმარისი და უსაფრთხოების მიზნით ქირობდნენ შეიარაღებულ დაცვას ყველაზე საშიში რეგიონების გავლისას. მოგზაურობის ხარჯებში ვხვდებით დაცვისათვის (აქად. *ša mašsarātīm*) გადახდილ თანხებს. შეიარაღებული მეგზური (აქად. *radī'um*), ასირიოლოგთა ვარაუდით, ვაჭრებს ემსახურებოდა საკუთრივ ანატოლიაში და მას ადგილობრივი მმართველის სასახლე გამოჰყოფდა.

ქარავანს და მის თანმხლებ პირებს საშიშროებას უქმნიდნენ მგლები და გაველურებული ძაღლებიც შემონახულია ძველასურული შელოცვა ამგვარი საფრთხის წინააღმდეგ^{**} ასურელთა ბიზნესის ხელის შემშლელ ფაქტორად ხშირ შემთხვევაში ამინდიც გამოდიოდა. ცხადია, ვაჭრებისათვის, ე. წ. „მკვდარ სეზონად“ ზამთარი ითვლებოდა (აქად. *kūšum*), როდესაც ფაქტობივად შეუძლებელი იყო ატალახებულ გზებზე და უღელტეხილებზე მოძრაობა.

ამ ტიპის მრავალრიცხოვანი ტექსტებიდან მაგალითად მოგვაქვს ერთი - CCT 4, 3a: „დავმშვიდდები მხოლოდ მაშინ, თუკი ზამთრის დადგომამდე მოახერხებთ ჩემი სპილენძის ქვაბშუშანაში მიტანას და დაბინავებას“. რაც შეეხება ცხელ ზაფხულს, იგი ნახსენებია მხოლოდ ერთხელ^{***}

* ATHE 27: „მე ავიღებ ჩემს იარაღს და გამოვეშურები შენსკენ“,¹¹... *kā-ki*¹² *a-lá-qé-ma a-na-ku-ma*¹³ *e-ti-qa-kum*; LB 1206: „რატომ არის რომ მან თავისი იარაღი აიღო უპატიოსნო კაცის მსგავსად და გაემგზავრა ქუნანამში?“⁶ *mi-šu ša ki-ma a-wi-lim ra-giṣ-im*⁷ *kā-ku-šu iṣ-qé-ú-ma a-ku-na-na mi-ti*⁸ *i-tal-ku*.

** Kt a/k 611: „შავი ძაღლი უკნიდან ეპარება, ელოდება გაჭირვებაში ჩავარდნილ ქარავანს, მისი თვალები ეძებენ კარგ ადამიანს“,² *kā-al-bu-um*³ *ša-al-mu-um*⁴ *i-ti-li-im. ra-bi-ṣ*⁵ *ú-qá-a ILLAT-tám*⁶ *pá-ri-is-tám eṣ-lam*⁷ *dam-qám. i-ta-na-áp-li-sá*⁸ *e-na-šu*.

*** Kt 91/k530: „უკეთუ ცხელი დღეები გამოვიდა, გამგზავრება უნდა გადაიდოს“,²⁵ *šu-ma u-ṣ-mu-ú e-mu-ú*²⁶ *lá ú-ṣi-a-am*

საქარავნო მოგზაურობებს ხელს აგრეთვე უშლიდნენ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მოვლენები და დღესასწაულები, მათგან კი განსაკუთრებით - ყოველწლიური - *sikkatu* - დღესასწაული. ამ დღესასწაულის დანიშნულება არ არის გარკვეული, თუმცა ვარაუდობენ, რომ გაზაფხულის დადგომასთან იყო დაკავშირებული (5, 55). მაგ., ტექსტში POAT 28: 3-7 ვკითხულობთ: „იმის გამო, რომ ახლა „სიქათუმია“ და გზებზე მოძრაობა გაძნელებულია, მე ხუთჯა აღარ გავაგზავნე“.

ვაჭრობას აფერხებდა მოსავლის აღების სეზონის დადგომაც, რადგანაც ამ პროცესში ჩაბმულნი იყვნენ ასურელთა ბიზნეს-პარტნიორები, ადგილობრივი სასახლეები თავისი მომსახურე პერსონალით და სხვ. მაგ., TC 3,3: „მე ვეცდები ქ. ბურუშხათუმში სპილენძის შეტანა მოვასწრო მოსავლის აღებამდე“; BIN4, 39: 7-15: „ახლა ისინი მოსავალს იღებენ და შედეგად ბაზარი არ ფუნქციონირებს. მე კი არ მინდა დაბეჭდილო კალის ჩანთებიდან უკან ამოლაგება. ხუთ დღეში ისინი ალბათ მოსავალს დააბინავებენ და მხოლოდ ამის შემდეგ წავიღებ კალას ვერცხლზე და ოქროზე გადასაცვლელად“.

ყველაზე მეტ დაბრკოლებას ვაჭრობაში წარმოშობდა არსტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ცენტრალური ანატოლიის ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის. ბლოკადა (აქად. *sukurtum*) შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო: BIN 4, 35: „ბლოკადის გამო ჩემი გამგზავრება 5 თვით გადაიდო“, Dalley Edinburgh no. 10: „სამწუხაროდ ბლოკადამ ერთი წლით ჩაგვეკეტა მეც და სხვა ასურელებიც“

დაბოლოს, ვაჭრებს საკმაოდ ხშირად აკავებდნენ და ციხეშიც კი სვამდნენ ქალაქებში საქონლის კონტრაბანდული გზით (აქად. *pazzurtum*) შეტანის გამო (9,305).

საქონელი გადაჰქონდათ სახედრების, მებარგულების და საზიდრების მეშვეობით. აშურიდან ქანესში ტვირთები გადაჰქონდათ „შავი სახედრებით“ (აქად. *emārum/ANŠE allā-*

რამ), რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იყო საქარავნო ვაჭრობა. იულიუს ლევის თანახმად (6, 74), ეს სახედრები გამოჰყავდათ სირიაში, ე. წ. „სახედრების მთის“ მიდამოებში, დამასკოს მახლობლად, რომელიც არაერთგზისაა ნახსენები ახალასურულ სამეფო წარწერებშიც. თუმცა ასირიოლოგების ნაწილი არ იზიარებს ამგვარ ინტერპრეტაციას (9, 3-7). მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ფაქტია, რომ აშური შეუფერხებლად მარაგდებოდა უკვე განვრთნილი „შავი სახედრებით“. ძველასურული ტექსტები გვამცნობენ, რომ მათუ ყიდულობდნენ სპეციალურ ადგილას - (აქად. *gigamlum*). აშურის მახლობლად მდებარე „გიგამლუმი“ გვხვდება ტექსტში TC 2, 7:12¹, ხოლო ქანესის სიახლოვეს „გიგამლუმის“ არსებობა დასტურდება დოკუმენტში KTS 2, 16:3 (დიდვაჭარი იმდილუმი სთავაზობს თავის ბიზნეს-პარტნიორს ამურ-იშთარს ამ ადგილზე შეხვედრას). ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ „შავი სახედრები“ ფიზიკურად ძალზე ამტანები იყვნენ, კმაყოფილდებოდნენ უბრალო ფურაჟით და ავადმყოფობისადმი მედეგობით გამოირჩეოდნენ.

ტექსტების მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა გარკვეულიყო სახედრის საშუალო ფასი აშურში: დაახლოებით 16-17 სიკლი ვერცხლი; მისი აღჭურვილობა (აქად. *uštum*)- 2-3 სიკლი ვერცხლი. საინტერესოა, რომ ანატოლიაში მათი ფასი 20-30 სიკლ ვერცხლამდე იზრდებოდა. ერთ „კაპადოკიურ“ ფირფიტაში კი ვაჭარი აზუსტებს კონკრეტულად როგორი სახედარი სჭირდებოდა საყიდლად: „პატარა კბილებით და მაღალი, მოსული ტანით“.²⁸ ასირიოლოგ კ. რ. ვენენჰო-

¹ „სახედრები, რომლებიც დაგვაკლდა, 10 ან 20 ვიყიდეთ „გიგამლუმში. როგორც კი ეს სახედრები შეველენ აშურში, მაშინვე ვიყიდით კალას“, ¹⁰.. ANŠE 10 ¹¹ ù 20 bu-tù-uq-tum ¹² i-na ki-gam-lim ša-am-ù ¹³ e-ru-bu-nim-ma AN.NA ¹⁴ ni-ša-am-ma.

²⁸ VS 26, 74: ²⁸... ANŠE. HI.A ²⁹ šî-nam lu ša-ḫu-ru la- nam ³⁰ lu e-li-ù.

ფის დაკვირვებით სახედრის საპალნე ქარავნის მოგზაურობისას დაახლოებით 75 კგ შეადგენდა (9,3). სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ლითონს - კალას ათავსებდნენ სპეციალურ ჩანთებში (აქად. muttalum) და ორივე მხარეს ჰკიდებდნენ სახედარს. თითოეული კალიანი „მუთათუმის“ წონა დაახლოებით 32 კგ. უდრიდა. კალას, როგორც წესი, ახვევდნენ ქსოვილში, ე. წ. „შესაფუთ ქსოვილში“ (აქად. ṣubātū ša liw-tim). ამას გარდა, უნაგირზე ამაგრებდნენ კიდევ ერთ ფუთას, რომელშიც 4-6 თოფი ქსოვილი ეტეოდა. თუმცა უნაგირის ფუთაში არ იყო სავალდებულო მხოლოდ ქსოვილის ჩადება: მის მაგივრად ისევ კალას ათავსებდნენ. მზა ტანსაცმელს და ქსოვილებს ტყავის ჩანთებში აწყობდნენ. სახედარი საშუალოდ 20-დან 30-მდე თოფი ქსოვილით იტვირთებოდა. თოკებით შეკრულ თოფებს თიხისაგან დამზადებულ იარლიყებს ამაგრებდნენ. იარლიყზე ეწერა თუ რა იდო ფუთაში (რაოდენობის მითითებით) და ადრესატის მისამართი (8, 71). რასაკვირველია, თიხის იარლიყს ესვა გამგზავნის ბეჭედი. თავისი დანიშნულებით დაბეჭდილი კალა განსხვავდებოდა დაუბეჭდავისაგან, ე. წ. „ხელის“ კალისაგან (აქად. annak qātim), რომელსაც ქარავნის მეთაური იღებდა გზის ხარჯების დასაფარად.

შავი სახედრების უნაგირზე შემოდებული ფუთები განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან და თავიანთი სახელები ერქვათ, მაგ., „ქიშუმში“ (აქად. kihšum) და „უფკუმში“ (აქად. upqum). ამაზე მიგვიითიებს ფირთიჭა TC 1, 16:

„ამგვარად (ამბობს) იმდღეში, უთხარით ანანის, აშურიდინს და აშურ-ილის: 20 ფუთა „ქიშუმში“, 8 ფუთა „უფკუმში“ (და) კიდევ 16 სხვა ფუთა მეკუთვნის მე. 1 ფუთა ანანისია, 2 ფუთა აშურ-ილინისაა; - სულ - 3 გეკუთვნით თქვენ. ამბავი მომივიდა, რომ ჩემი 15 სახედრისათვის დამატებით 13 ჩანთა აგიკიდებიათ. ამან შეიძლება ჩემი სახედრები დაასუსტოს და გასურთ რომ მე განვრისხდე? გთხოვთ, მზრუნველობა არ მოა-

კლთ მათ, კარგად გამოკვებით და არ დაინანოთ ფურაჟი. არაფრის დიდებით არ აპკიდოთ ზედმეტი ტვირთი. თუკი შეამჩნევთ, რომ რომელიმე სახედარი დასუსტდა, სასწრაფოდ გაყიდეთ, დაამატეთ 1-2 სიკლი ვერცხლი და ჯანმრთელი იყიდეთ. აუცილებლად წამოიყვანეთ უკან „გიგამლუმიდან“ ფუშუქენის სახედარი...”

ძველასურულ წერილებში ხშირადაა საუბარი სახედრების კვებაზე (აქად. *lū akīn*)^{*}. ფურაჟს სახედრებისათვის ყიდულობდნენ ქარავნის აშურიდან გასვლამდე. ეს ძირითადად იყო თივა (აქად. *tibnum*). ნახევარი სიკლით იძენდნენ ერთი სახედრისათვის სამყოფ თივას. რაც შეეხება მაღალკალორიულ საკვებს შვრიას (აქად. *še'um*), ძვირად ფასობდა და ამიტომ სულ რამდენიმე ტექსტშია მასზე საუბარი, მაგ., AKT 3, 33:3-5: „1/2 მინა სპილენძი შვრიისათვის და 3 მინა თივისათვის გავეუზავნე ქ. ბურუშხათუმში“. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში არ ფიქსირდება სახედრების დარწყულების ამსახველი ფაქტები, არც ის, აკრავდნენ თუ არა მათ ნალებს.

დაავადებულ ცხოველებს ათავსებდნენ „ნაფრითუმში“^{**} (აქად. *naprītum*), სპეციალურად შემორაგულ ადგილას, ჯანმრთელებისაგან იზოლაციის მიზნით. როგორც ირკვევა „ნაფრითუმში“ მოთავსებული სახედრის მოვლა ფასიანი იყო^{***}. მა-

* ATHE 46: „სახედრებს აქ საკვები მისცეს. შენი ინსტრუქციის თანახმად შემდეგი დავალება მივეცი მსახურებს: გთხოვთ, მოგზაურობის დროს სახედრები გამოკვებეთ ისე, როგორც აქ ვკვებავთ“,¹⁷ a-na-kam¹⁸ ANŠE. HI. A ak-lu ú¹⁹ a-na ma-lá té-er-ti-ká²⁰ šu-ḫa-ri ú-na-ḫi-sú-nu um-na²¹ a-na-ku-ma a-pu-tum ki-na²² ša a-na-kam ANŠE. HI. A²³ i-na ḫa-ra-nim lu ak-lu; BIN 6, 121: „გთხოვთ, საკვები მისცეთ მის სახედარს“,¹⁶ a-pu-tum ANŠE-ru-šu lu ak-lu;

** BIN 4,31: შენი ინსტრუქციის თანახმად სახედრები მოვათავსეთ „ნაფრითუმში“,⁴⁴ ANŠE-ru-ká⁴⁵ a-na-áp-ri-tim na-du.

*** VS 26, 46: 12-14: „15 სიკლი ვერცხლია გადასახდელი სახედრის „ნაფრითუმში“ მოთავსებისათვის“.

გრამ ზოგჯერ საქმეს „ნაფრითუმში“ მიყვანაც ვერ შველოდა და ცხოველები კვდებოდნენ. დოკუმენტი BIN 4, 144 მოგვითხრობს, რა ბედი ეწიათ ანატოლიის ერთერთ ქალაქში გამგზავრებული ქარავნის სახედრებს:

„ათათას ქარავანს ნამოყოლილი შალიმ-ახუმის 4 სახედრიდან ერთი სასახლემ იყიდა და მისი საფასური აგუამ მიიღო. ქ. ბურუშხათუმში მოყვანილი კიდევ ერთი სახედარი ჩემს განკარგულებაშია. ერთი სახედარი მივეცი, ერთი კი „ნაფრითუმში“ მოკვდა“. დროდადრო საკმაოდ ჭირდა სახედრების გაყიდვა ანატოლიის ქალაქ-სახელმწიფოებში“. სახედრები იხოცებოდნენ მოგზაურობის დროსაც. ამ შემთხვევაში დაზარალებული ვაჭარი ნათხოვრობდა მათ კოლეგისაგან, თუკი ეს შესაძლებელი იყო“ სახედრების საერთოდ არ ქონისას, ვაჭრებისათვის ალტერნატიულ სატრანსპორტო საშუალებას საზიდარი წარმოადგენდა“^{***} ტექსტუალური მასალა მოწმობს, რომ ანატოლიაში ასურელები სახედრებს და საზიდრებს იყენებდნენ მატყლის, სპილენძის, მარილის (Kay 5446) და ზეთის (KTS 1, 13a) გადასატანად.

ასურელ ვაჭრებს შედარებით მოკლე დისტანციაზე საქონელი გადაჰქონდათ საზიდრებით და მეზარგულების მეშვე-

* KTS 1, 18: „აქაური ბაზარი არახელსაყრელია სახედრების გასაყიდად. მხოლოდ ორის გაყიდვა მოვახერხეთ. იდინ-ადადს შენტვის უკან მოჰყავს 9 სახედარი თავისი ალჭურვილობით“, ³² ši-mu-um a-na-kam a-na ANŠE ³³ lá i-ba-ši 2 ANŠE ni-dí-in ³⁴ 9 ANŠE ù ú-nu-sú-nu l-dí-^dIM ³⁵ i-ra-de₈-a-kum

** VS 26,26: „6 სახედარი, რომლებსაც მიჰქონდათ 15 ტალანტი სპილენძი და ჩემი მსახურები მოკლეს ქ. დიდათუმში. მკვლელებმა წაიღეს ჩემი სპილენძი... გთხოვთ, მომცეთ მოკლე დროით 4-5 სახედარი, როგორც ეს არაერთგზის გაგიკეთებიათ, რათა ჩავალწიო ქ. ბურუშხათუმს“.

*** KTS, 3b: „წერილობით უბრძანე მათ საზიდრები დატვირთონ სპილენძით. ნუ ელიან სახედრებს!“, ¹⁵... a-šu-mi URUDU ¹⁶ šu-pu-ur-ma i-na ¹⁷ e-re-qi-tim li-dí-ú-nim ¹⁸ a-na ANŠE . III. A ¹⁹ ú-za-kà lá i-ba-ši.

ობით. ძველასურული დოკუმენტების თანახმად, საზიდრებით (აქად. erequm) ეზიდებოდნენ ქსოვილებს, კალას, სპილენძს, შერიას, შემას და თივას. ქანესში, მაგალითად, შემის საზომ ერთეულს წარმოადგენდა საზიდარზე დატეული შემის რაოდენობა. საზიდრებში შებმული სახედრებით ასურელები ძირითადად სპილენძს გადაადგილებდნენ და ქირაობდნენ მათ ადგილობრივი სასახლისაგან. რაც შეეხება მებარგულებს (აქად. ša biltim), ასურელები მათ ანატოლიის ქალაქებში ქირაობდნენ საქონლის გადასატანად ერთი ადგილიდან მეორეზე (3, 67).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მასალა ცხადია, სრულად ვერ აშუქებს საერთაშორისო ვაჭრობისა და მისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებების ზოგად სურათს (მაგალითად, არ შევხებივართ ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, მის ტერმინოლოგიას, სოციალურ საკითხს, ვაჭრობაში მონაწილე ადამიანების ეთნიკურ წარმომავლობას, ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებს და სხვ.), მაგრამ მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად ვეცადეთ წარმოგვეჩინა ამ რთული პროცესის შემადგენელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მუშაობისას დეტალურად დავამუშავეთ არაერთი ძველასურული ლურსმული დოკუმენტი, მათ შორის სამეცნიერო მიმოქცევაში სულ ახლახანს შესული წერილობითი წყაროები, რამაც საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა ათნლეულების მანძილზე მყარად მიღებული ზოგიერთი დებულება.



1. П. Рамишвили, Виды трудовой деятельности "цухарумов" согласно данным "каппадокийских" табличек. "Мацне". Известия. АН Грузинской ССР. Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, №2, 1989, с. 122-132.
2. S. Çeçen, K. Hecker, Vom Alten Orient zum Alten Testament, FS W. von Soden, AOAT 240, Neukirchen-Vluyn, 31-41.
3. J. G. Dercksen, The Old Assyrian Copper Trade in Anatolia, Istanbul, 1996, 67.
4. J. Eidem, An Old Assyrian Treaty from Tell Leilan, Mélanges P. Garelli, Paris, 1991, 185-207.
5. M. T. Larsen, Old Assyrian Caravan Procedures, Istanbul, 1967, 55.
6. J. Lewy, Amurritica, HUCA 32, 1961, 74.
7. C. Michel, Transporteurs, responsables et propriétaires de convois dans tablettes paléo-assyriennes. Réflexions sur les expressions šēp NP et ellat PN, in: D. Charpin, F. Joannès (eds.) La circulation des biens, des personnes et des idées dans le Proche-Orient ancien, 137-156.
8. N. Özgüç, "Bullae from Kültepe", in: Anatolia and the Ancient Near East. Studies in Honor of T. Özgüç, Ankara, 1989, plate 71.
9. K. R. Veenhof, Aspects of Old Assyrian Trade and its Terminology, Leiden, 1972, 348.
10. K. R. Veenhof, Aspects of Old Assyrian Trade and its Terminology, Leiden, 1972, 305.
11. K. R. Veenhof, Aspects of Old Assyrian Trade and its Terminology, Leiden, 1972, 3.

“Каппадокийские” таблички из Кюль-тепе/Каниша о деятельности староассирийских купцов

“Каппадокийские” таблички, составленные на староассирийском диалекте аккадского языка (XX-XVIII вв. до н. э.), представляют собой, главным образом, договоры и письма ассирийских купцов, которые поселились в центральной Малой Азии и вели там, по тем временам, широкомасштабную, оптовую торговлю как с местным, малоазиатским населением, так и с жителями других регионов.

Обработанные ассириологами письма (в основном архивы), воссоздают обстоятельную картину деятельности ассирийских купцов. Данной проблеме и посвящается предоставленная статья, где учитываются как хорошо известные, так и новейшие сведения о интересующем нас вопросе. В результате тщательного анализа текстуального материала стало возможным по-новому осветить целый ряд аспектов деятельности купцов в международной торговле.

"Cappadocian" Texts from Kültepe/Kanish Concerning the Activities of Old Assyrian Merchants

"Cappadocian" texts, composed in Old Assyrian dialect of Akkadian language (XX-XVIII c.c. B.C.), represent mainly the treaties and letters of Assyrian merchants, who have settled in central Asia Minor and conducted there large-scale, wholesale trade as with local, Asia Minor population, also with the inhabitants of other regions.

The letters worked on by Assyriologists (mainly the archives) create an impressive picture of the activities of Assyrian merchants. The article presented below is dedicated to the problem mentioned, taking into consideration already wellknown and newest facts on the issue of our concern. As a result of thorough analysis of textual materials, it was possible to bring the light upon number of aspects of merchants' activities in international trade in a novatory manner.

ბაბილონის დაცემის ეპიზოდი ჰეროდოტეს „ისტორიაში“ და მისი ინტერპრეტაცია

ცნობილია, რომ წერილობითი წყაროების ინტერპრეტაცია დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ავტორის ნააზრევის ამოკითხვა დამოკიდებულია არა მარტო მის მიერ ნახმარ ტერმინოლოგიის სპეციფიურობასა და კონკრეტული კონტექსტის ხასიათზე, არამედ მისი, როგორც მწერლის, დამახასიათებელ არა ერთ ნიშანზე. განსაკუთრებით ეხება ყოველივე ეს ბერძნული წყაროების გაგებას ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა შესახებ. უნდა აღვნიშნო, რომ ჰეროდოტეს „ისტორიის“ სხვადასხვა თარგმანები ევროპულ ენებზე დაცული არ არის ზოგჯერ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობების არაადექვატური გაგებისაგან, რაც ხშირად არა მარტო უყურადღებობის, არამედ ამათუიმ ტერმინის ავტორისეული გაგების ჩანვდომისათვის საჭირო შრომატევადი და ბეჯითი კვლევისთვის გვერდის ავლის ბრალია.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეხებით ჰეროდოტეს „ისტორიის“ „ბაბილონურ ლოგოსში“ დაცულ ერთ ეპიზოდს, რომელიც ბაბილონის დაცემას ეხება; კერძოდ, შევეცდებით ფ.-ე. ლეგრანისეული თარგმანის მაგალითზე ვაჩვენოთ მთარგმნელის მიერ ავტორისეული ჩანაფიქრის გაუგებრობა, რაც ჰეროდოტესადმი დაუმსახურებელი საყვედურის საბაბი ხდება.

ფ.-ე. ლეგრანის მიერ ჰეროდოტეს „ისტორიის“ ბერძნულ-ფრანგული პარალელური ტექსტის მეცნიერული გამოცემა ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჰეროდოტეს მემკვიდრეობის შესწავლის რთულ, შრომატევად და ხანგრძლივ პროცესში. იგი რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში იბეჭდებოდა (2). ლეგრანმა უაღრესად სასარგებლო წვლილი შეიტანა ჰე-

როდოცეს შრომის არსში უკეთესი წვდომის საქმეში. მას მრავალი ახალი მიგნება და დახვეწილი გაგება აქვს ძველბერძნული ტექსტის ინტერპრეტაციაში. ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თარგმანს ახლავს საკმაოდ სერიოზული კომენტარები, თვით ტექსტის მიმდინარეობისას, ისე ცალკე ტომად გამოცემული Introduction-ის (3) სახით. „ისტორიის“ პარალელური ტექსტის გამოცემას ახლავს აგრეთვე სკურპულოზულად შედგენილი და დამუშავებული ინდექსი, სახელთა საძიებელი, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს სპეციალისტებს (4). მიუხედავად ყველა ამ ღრსებისა, ლეგრანის თარგმანი არ არის დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისა და გაგუებრობისაგან, როგორც თვით ტექსტის თარგმნისას, ისე კომენტარებშიც. სამნუხაროა, რომ ლეგრანმა არ გაითვალისწინა ადრე გამოცემული ქართული, რუსული, გერმანული, ინგლისური თარგმანების უზუსტობათა გასწორებაზე მომუშავე სპეციალისტების გამოცდილება. ზოგიერთი მათგანის შესახებ ჩვენ ათეული წლების წინ გავაკეთეთ შესაბამისი გამოხმაურება (1).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, აქ განვიხილავთ ბაბილონის დაცემის ერთ ეპიზოდს, სადაც ჩვენის აზრით უზუსტობაა დაშვებული ლეგრანისეულ თარგმანში; განვიხილავთ აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ მისივე კომენტარების ზოგიერთ გაუგებრობას. ვინაიდან კომენტარებში გამოთქმული შენიშვნა, რომელსაც ჩვენ ვაკრიტიკებთ, სიტყვა „*périphéri*“-დანაა სქოლიოში ჩატანილი, და თვით იგიც არ არის ადექვატური ბერძნული ტერმინისა, ჩვენ პირველ რიგში შევეხებით მისი თარგმანის არამართებულობას. „ისტორიის“ I, 191-ის ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: „*Υπὸ δὲ μεγάλῃ τοῦ πόλιος, ὡς λέγεται ὑπο τῶν ταύτη οἰκημένων, τῶν περὶ τὰ ἔσχατα τῆς πόλιος ἡλωκώτων, τοὺς τὸ μέσον οἰκέοντας τῶν Βαβυλωνίων, οὐ μανθάνειν ἡλωκώτας, ἀλλὰ (τυχεῖν γὰρ σφί ξοῦσαν ὀρτήν) χορεύειν τε τοῦτον τὸν χρόνον καὶ ἐν εὐπαθείῃσι εἶναι, ἔς ὃ δὴ καὶ τὸ κάρτα*

ἐπιθῆναι" ამ ტექსტის ჩვენი თარგმანია: „ქალაქის სიდიდის გამო, როგორც მისი მცხოვრებნი ამბობენ, განაპირა უბნების დაპყრობა შუაგულში მცხოვრებმა ბაბილონელებმა არ იცოდნენ, რადგან ზეიმობდნენ რა დღეობას, იმ დროს ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ, სანამ სრულიად შეიტყვეს მომხდარი“, ლეგრანის ფრანგული თარგმანი კი ასეთია: "A cause de grande étendue de la ville racontent les gens du pays, les quartiers de la périphérie déjà au pouvoir de l'ennemie, que les Babyloniens habitant les quartiers du centre ne se rendaient pas compte qu' il étaient pris; comme il se trouvaient que c' était pour eux un jour de fête, ils dansaient pendant ce temps et se livraient aux plaisirs, jusqu' à l'heure où ils apprirent enfin et trop bien la nouvelle" (7, 186). თუ თვალს გადავავლებთ ტექსტის ჩვენსა და ლეგრანისეულ თარგმანს, დავინახავთ, რომ მათში, მართალია, წერილმან და უმნიშვნელო განსხვავებების მქონე თავისებურებას ადგილი აქვს, მაგრამ მთავარი, რამაც ჩვენი გამოხმაურება გამოიწვია, სიტყვების „ἐπιθῆναι“-სა და „μῆσος“-ის სამენტიკაში სხვადასხვა რაიმეს გაგებაა. ტერმინ „ἐπιθῆναι“-ს ახლავს ლეგრანის კომენტარი სქოლიოში, სადაც ვკითხულობთ: „Les ἐπιθῆναι ne peuvent être autre chose (გულისხმობს "périphérie"-ს თავისი თარგმანის თანახმად). Entendue ce mot de quartiers en bordur du fleuve serait lui attribuer un sens extraordinaire; et d'ailleurs cela est démenti par le contexte, ou aux ἐπιθῆναι est opposé "τὸ μῆσος" („ἐπιθῆναι“ არ შეიძლება სხვა რამ იყოს; გავიგებთ რა ამ სიტყვის ქვეშ მდინარისპირა კვარტალებს, მას მიეკუთვნება ექსტრაორდინალური მნიშვნელობა, გარდა ამისა, ეს შეუსაბამო იქნება კონტექსტისა, სადაც „ἐπιθῆναι“ საპირისპიროა. „τὸ μῆσος“-ის) (7, 186). საქმე ისაა, რომ უნდა, თუ არა ეს ლეგრანს, „ἐπιθῆναι“-ს ექსტრაორდინალური გაგებისას კი არა აქვს კიდეში, ნაპირას, ან სანაპი-

* არსებითი განსხვავება თ. ყაუხჩიშვილისეულ თარგმანში არ შეინიშნება.

როზე მდებარე საგნის (ამ შემთხვევაში უბნის) მნიშვნელობა, არამედ საერთოდ და ძირითადად მას ასეთად წარმოადგენს ყველა ლექსიკონი (10, 2 76, 675, 30, 760). ნათელი რომ გახდეს, თუ რა შინაარსს დებს ჰეროდოტე ამ სიტყვაში, განვიხილოთ ტექსტის რამდენიმე ადგილი. III, 106-ში ვკითხულობთ: „Αἰ δ' ἔσονται κῶς τῆς οἰκεομένης τὰ κάλλιστα ἔλαχον, κατὰ περ ἢ Ἑλλᾶς τὰς ἄρας πολλόν τι κάλλιστα κεκρημένας ἔλαε. Τοῦτο μὲν γὰρ πρὸς τὴν ἡῶ ἔσάτη τῶν οἰκεομένων ἢ Ἰνδικῆ ἔστι, ὥσπερ ὀλίγα πρότερον εἶρηκα“ ამ ტექსტში „ესხატა“ ორჯერ გვხვდება და ორჯერვე „უკიდურესის“ მნიშვნელობა აქვს; კონკრეტულად კი უკიდურეს განაპირა მხარეს აღნიშნავს დასახლებული ქვეყნიერებისა. ლეგრანი ამ სიტყვას აქ გადმოსცემს სიტყვით, „extremité“ ერთხელ, და მეორედ „le dernier“ (de pays habités), რაც ეთანხმება ჩვენს გაგებას. ლეგრანი წერს: „დასახლებული ქვეყნიერების განაპირა მხარეებს, ამბობენ, საუკეთესო ნილხვედრი ერგო, ხოლო ელადას - მეტად ზომიერი ჰავა შეხვდა. დასახლებული ქვეყნიერების უკიდურეს აღმოსავლეთში ხომ ინდოეთია, როგორც ზევით პირველად ვთქვით“ „ესხატას“ შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე თანამიმდევარი სიის ბოლოში ფიქსირებული პიროვნების განსაზღვრების მნიშვნელობა, როგორც ეს შედეგ ტექსტშია II, 101-დან: „Τῶν δὲ ἄλλων βασιλέων οὐ γὰρ ἔλεγον οὐδὲμίαν ἔργον ἀπόδεξι, κατ' οὐδὲν εἶναι λαμπρότητος, πλὴν ἐπὸς τοῦ ἔσάτου αὐτῶν Μοίριος“ (6, 131, 132); ჩვენი თარგმანი ამ ადგილისა არსებითად ეთანხმება ლეგრანისეულს: „რაც შეეხება სხვა მეფეებს, არაფერი უთქვამთ, რომ რაიმე აღსანიშნავი საქმიანობა, ან ბრწყინვალე [სახელი] დაეტოვებინათ, გარდა ერთისა, ბოლო [მეფისა], მოჰრისისა“. თ. მიშჩენკოსეულ რუსულ თარგმანშიც ასევეა

* თ. ყაუხჩიშვილისეულ ქართულ თარგმანში მოტანილი ადგილი ძირითადად ასევეა გაგებული და „ესხატა“ გადმოცემულია სიტყვით „უკიდურესი“ (5, 229).

გაგებულ „ესხატა“ როგორც „последний“ (12, 164). ქვეყნის უკიდურეს ბოლოში მდებარე ქვეყანას აღნიშნავს „ესხატა“ III, 114-შიც; აქ ეს არის ეთიოპია: „Ἀποκλινομένης δὲ μεσαμβρίας πρῆκει πρὸς δύνοντα ἥλιον ἡ Αἰθιοπία χάρη ἔσχατῆ τῶν οἰκειόμενον“ (153). ლეგრანს აქაც „ესხატა“ გაგებულ აქვს, როგორც „dernier terre habitée“, რაც ჩვენს გაგებას ეთანხმება. I, 179-ში საკვლევ ტერმინს უკიდურეს, ნაპირას გაშენებული ნაგებობის განმსაზღვრელი სიტყვის მნიშვნელობა აქვს: „ἐπάνω δὲ τοῦ τείχους παρὰ τὰ ἔσχατα οἰκήματα μυσσάκωλα ἔδειμαν, τετραμμένα ἐς ἄλληλα“ (7, 178) ლეგრანის თარგმანში ვკითხულობთ: „En haut de cette muraille, sur les bords, on élleva des constructions comportant une seule pièce“ (7. 178). ჩვენ ეს მოტანილი ნაწყვეტი ასე გვესმის: „გალავნის გასწვრივ კიდებზე ერთუჯრედიანი ნაგებობანი ჩააშენეს ურთიერთის საპირისპიროდ“ „ესხატა“ ნახსენებია აგრეთვე III, 107-შიც და აქაც იგი უკიდურესი ქვეყნის აღმნიშვნელს წარმოადგენს. როგორც ზევით ვნახეთ, ლეგრანს „ესხატა“ ისევე წარმოუდგენია არსებითად, როგორც „ისტორიის“ ავტორს, რაშიც ჩვენ ვეთანხმებით. მან არასწორი შინაარსი საკვლევ ტერმინში ჩადო მხოლოდ I, 191-დან მოტანილ ტექსტში. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ამ უკანასკნელ ადგილას „ესხატა“, ვფიქრობთ არა უსაფუძვლოდ, მოიცავს არა მარტო გარე გალავნის მიმდებარე უბნებს, არამედ ევფრატის სანაპირო კედლების გასწვრივ მდებარე უბნებსაც, ხოლო ტექსტში მის დასაპირისპირებლად ნახმარი „τὸ μέσων“ ქალაქის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე მდებარე ნაწილების შუაგულს გულისხმობს, სადაც სამეფო სასახლეა წარმოდგენილი ერთგან, ხოლო მარდუქის

* I, 179, 191, II, 101, III, 106, III, 114, სადაც „ესხატა“-ა დასახელებული, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანში ყველგან უკიდურეს ადგილას, ბოლოში, ნაპირას მდებარე რაიმეს, ან ვინმეს განმსაზღვრელ სიტყვას წარმოადგენს.

ტადარი, კოშკი (ეთემენანქი) და საერთოდ მთელი წმინდა კომპლექსი - მეორეგან. ჰეროდოტე „τὸ μέσων“-ს ხმარობს ქალაქის ამ მთავარი შენობების ადგილის დასაფიქსირებლად. I, 181-ში „τὸ μέσων“ აშკარად მიუთითებს ცენტრალური შენობების ქალაქის ორი ნაწილის შუაგულში მდებარეობაზე: „ἐν δὲ φάρσει ἑκατέρω τῆς πόλιος ἐτετείχιστο ἐν μέσῳ ἐν τῷ μὲν τὰ βασιλῆα περιβόλω τε μεγάλῳ [τε] καὶ ἰσχυρῷ ἐν δὲ τῷ ἑτέρῳ Διὸς Βῆλου ἵρὸν χαλκόπυλον... Ἐν μέσῳ δὲ τοῦ ἵρου πύργος στερεὸς οἰκοδόμηται“ (7, 177, 178), რაც ასე უნდა ითარგმნოს: „ქალაქის ერთი ნაწილის შუაგულში გალავანშემოვლებული სამეფო სასახლეა დიდი და მძლავრი, ხოლო მეორეში კი ზევსბელოსის სპილენძისჭიმკრიანი წმინდა ადგილი... წმინდა ადგილის შუაგულში მასიური კოშკია აგებული“

ამგვარად, თუ I, 191-ში აღწერილ ბაბილონის ალების ეპიზოდს გავიზიარებთ „ესხატასა“ და „მესონ“-ის ჩვენს მიერ დაფიქსირებული და მიღებული სემანტიკის მიხედვით, მაშინ ბაბილონის ალების ჰეროდოტესეული აღწერაში არ იქნება ურთიერთსაწინააღმდეგო ორი მოსმენილი ვარიანტის გაერთიანების გამო მიღებული გაუგებრობა, როგორც ეს ლეგრანს ეჩვენება. იგი წერს შემდეგს: ჰეროდოტე ჯერ გვაუწყებს (I, 191-ის დასაწყისი), რომ ბაბილონი ალებულ იქნა ცენტრიდან, რომელსაც ევფრატი შუაზე ჰყოფს; ეს კი ეწინააღმდეგება მის ალებას გარეუბნებიდან, როგორც ჩვეულებრივ ალყაშემორტყმულ ქალაქში ხდება ხოლმე (აქ I, 191-ში მონათხრობი ბოლო ნაწილი იგულისხმება). ჰეროდოტეს ორი შეუთანხმებელი ვერსია აქვს გამოყენებული. სინამდვილეში ქალაქი აიღეს ევფრატის კალაპოტიდან (მდინარის შესვლა-გასვლის ორივე მხრიდან); შემდეგ მოანგრის რა ფორტიფიკაციები, ქალაქის სიღრმეში შეიჭრნენ. საეჭვოა, რომ ჰეროდოტემ ასე წარმოიდ-

* ჩვენთვის ცნობილ ყველა თარგმანში ეს ადგილი არსებითად ასევეა გაგებული. განსაკუთრებით ცხადად აქვს ნათარგმნი თ. ბრაუნს (8, 87).

გინა აღება. განსჯა, რომელიც მას მოაქვს „poternes“-ის გამო, კარგად მიუთითებს, რომ მან მტრის შესვლა ცენტრიდან იგულისხმა. ამ ორ ვერსიას შორის შეუთანხმებლობაა (7, 186, 2).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლეგრანის მიერ მითითებული ბაბილონის აღების ერთი ვარიანტი, რომელიც 191-ის დასაწყისშია, მისი აღების ერთ-ერთი ვარიანტის ანარეკლი კი არ არის, არამედ ქალაქის დაცვის იდეალური გეგმის განხორციელების მკითხველისათვის გადაცემის ცდაა ავტორის მიერ. სამწუხაროდ ბაბილონებისათვის, ისინი ასე ვერ მოიქცნენ. წინააღმდეგობა ქალაქის აღების მონაყოლში ჰეროდოტეს არ ახასიათებს. ლეგრანს ეს შეცდომა მოუვიდა იმიტომ, რომ „ἔσχατα“ გაიგო, როგორც „périphérie“ და გამორიცხა იმიტომ მდინარის კალაპოტის გასწვრივი კედლების მიმდებარე რაიონები, როგორც მტრის მიერ პირველ რიგში დაპყრობილი. თუ ქალაქის გარე გალავნის მიმდებარე უბნების აღება მოხდა პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს შეუთავსებელი იქნებოდა სანაპირო კედლების ჭიშკრებიდან მათ შეღწევასთან. სინამდვილეში ქალაქის აღების სურათი ჰეროდოტესთან შემდეგნაირად უნდა გავიგოთ. მართალია, მდინარის კალაპოტით შევიდნენ სპარსელები ბაბილონში, (მდინარე ევფრატის შესვლა-გასვლის მიდამოში), მაგრამ შემდგომ, ვინაიდან ჭიშკრების სიმრავლე იყო მდინარის გასწვრივ კედლებში, ისინი გარე გალავნის მიმდებარე და ამ კედლების სანაპირო უბნებში დაახლოებით ერთდროულად და პირველ რიგში შეაღწევდნენ. ამ პირველი ოპერაციის შემდეგ მხოლოდ ისინი დაიძვებოდნენ ქალაქის ორივე სანაპიროს ცენტრებისაკენ, სადაც თავდავიწყებით მოზეიმე ხალხი იყო თავშეყრილი. ზევით აღნიშნული ტერმინების არასწორი გაგებაა იმის მიზეზი, რომ ლეგრანმა ჰეროდოტეს ორი ვარიანტის აღრევა დასწამა. მისი მონათხრობი კი სავსებით თანამიმდევარი და ბუნებრივი ჩანს. ლეგრანის შეცდომა გააძლიერა კიდევ ერთმა უზუსტობამ თარგმანში; კერძოდ, „πύλη“ მან გაიგო როგორც „potern“-ი შემდეგ, ტექსტში I,

191-დან: „κατακληίσαντες γὰρ ἂν πάσας ἐς τὸν ποταμὸν πυλίδας ἔχουσας καὶ αὐτοὶ ἐπὶ τὰς αἵμασις ἀναβάντες τὰς παρὰ τὰ κείλαια τοῦ ποταμοῦ ἑληλαμέναι, ἔλαβον ἂν σφεας ὡς ἐν κύρτῃ“ (7, 185)^{*}. სინამდვილეში ტექსტში ლაპარაკია არა „poternes“-ზე (საიდუმლო გასასვლელები) არამედ, ჭიშკრებზე“ (πυλίδας), რომელიც ჩატანებული იყო მდინარის ნაპირზე გავლებულ კედლებში. იქ რომ მართლა საიდუმლო გასასვლელები ყოფილიყო, ისინი ჯერ ერთი, შეუძლებელია, ბევრი ყოფილიყო, (ბევრი საიდუმლო გასასვლელი პრაქტიკულად საჭირო არ იყო); მეორეც, საიდუმლო გასასვლელი, ჩვეულებრივ, გადაკეტილი უნდა იყოს და ამიტომ ავტორი არ იტყოდა: „რომ გადაეკეტათ ყველანი“^{***}. ქალაქის დაცვის ზემოთ მოტანილი ჰეროდოტესეული მონათხრობი, რომელიც სპარსელთა მიერ ბაბილონის დაპყრობით ბოლოვდება, არ შეიცავს ჩვენის აზრით არავითარ წინააღმდეგობრივ ვარიანტებს, როგორც ამაზე მიუთითებს ლეგრანი. ქალაქის დაცვის ოპტიმალური გეგმა განუხორციელებლი იყო ბაბილონელთა დღესასწაულისა და საყოველთაო თავდავინყებულის მხიარულების გამო. ეს დღესასწაული ალყაშემორტყმულ ბაბილონში ცოტა არ იყოს უცნაურად გამოიყურება, მაგრამ ჩვენ კარგად მოგვეხსენება, რომ ჰეროდოტეს ეს არ მოუგონია. მისივე ცნობით იგი ბაბილონელების ინფორმაციის შედეგია. დღესდღეობით ჩვენ ძნელად გავიცნობიერებთ ამას, მაგრამ თანამედროვეთა და ბაბილონელთა

* ეს ტექსტი, ვფიქრობთ, ასე უნდა ითარგმნოს: „თუ დაკეტავდნენ მდინარეზე გამავალ ყველა ჭიშკარს, თვით კი ავიდოდნენ კედლებზე, რომელიც მდინარის ნაპირს მიუყვებოდა, მათ ისე დაიჭერდნენ, როგორც ბადეში“; (შდრ. 11, 92).

** თ. ყაუხჩიშვილის თარგმანში „πύλη“ ბჭეა ყველგან; თ. მიშჩენკოსთან შესაბამისად „ворота“ (12, 101); ა. გოლდის ინგლისურ ტექსტში ვკითხულობთ: „gate“ (9, 231); გ. სტარატანოვსკისაც სწორედ აქვს ნათარგმნი „πύλη“ როგორც „ворота“ (13, 71). ამგვარად, არასწორი თარგმანი მხოლოდ ფ.-ე. ლეგრანის ტექსტშია, როგორც ვნახეთ.

ფსიქოლოგია, ჩანს, ძირფესვიანად განსხვავდებოდა. ბაბილონელთა რელიგიურ-სადღესასწაულო აღტკინება დაუძლეველ ემოციურ ბუმს იწვევდა და ფარავდა თვით თავის შენარჩუნების ძლიერ ინსტინქტსაც კი. გარდა ამისა, ჩვენს ხელთ არის ბაბილონური წერილობითი წყარო, სადაც აშკარად არის მითითებული ალყაშემორტყმულ ქალაქში რელიგიური დღესასწაულის ჩატარების შესახებ (11, 84, 85).

რა თქმა უნდა, სპარსელთაგან ქალაქის რეალური აღების მსვლელობაში ზევით მოხსენიებული კარიბჭეების გახსნა და ქალაქის ტერიტორიაზე იქიდან შეღწევა აუცილებელი ოპერაცია იქნებოდა, მაგრამ ჰეროდოტე ამას ხელმეორედ აღარ ეხება, სწორედ იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი ტაქტიკა უნდა ყოფილიყო მდინარეზე განლაგებული ქალაქის აღებისას, თუ იერიში კალაპოტიდან განხორციელდებოდა; მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჰეროდოტეს მიდრეკილებას საოცარი, უჩვეულო ამბების აღწერისაკენ, სავსებით ცხადი გახდება, რომ მან მდინარის კალაპოტის გადაგდებას და მტრის მიერ წყალნაკლულ ევფრატში შესვლას, თუ სათანადო ადგილებში ბაბილონში შეჭრას, დაუთმო თავისი ყურადღება მისი ორიგინალურობის გამო. სხვა საომარი მანიპულაციები, რომელიც ცხადია, მრავალი იქნებოდა, მათი ორდინალურობის გამო არ მოიხსენია, ან მხოლოდ მიანიშნა მკითხველს.

რამდენიმე სიტყვით გვინდა ნათელი გაცხადოთ, რომ ჰეროდოტე „სუსი“-ს ყველა ჩვენთვის ცნობილ შემთხვევაში ჭიშკრის, კარიბჭის გაგებით ხმარობს, რათა კიდევ უფრო ცხადი გახდეს ლეგრანისეული „poterne“-ად მისი თარგმნის შეუსაბამობა. მაგალითად, III, 155-ში ნახსენებია, ბაბილონის რამდენიმე ჭიშკარი, „სუსი“, რომელიც ლეგრანს გაგებული აქვს როგორც „porte“, რაც მართებულია (5, 182). ასევე სწორია მისი თარგმანი I, 179-ის ტექსტში, სადაც ბაბილონის გალავანში ჩატანებული 100 კარიბჭეა ნახსენები (7, 176). I, 181-ში კი ლაპარაკია სპილენძის ჭიშკრებიანი ბელოსის ტაძრის შესახებ (7,

178)`. მაგრამ, I, 180-სა და I, 191-ში, სადაც საქმე ეხება მდინარის გასწვრივი კედლებისა და ქუჩების გადაკვეთაზე ჩატანებულ კარიბჭეებს, რატომღაც ლეგრანის მიხედვით „poterne“-ბი უნდა ვიგულისხმოთ. იგი წერს: „მდინარის გასწვრივ მდებარე კედლებში არის საიდუმლო გასასვლელი, იმდენი რამდენიც გზაა (7, 77). ეს კი სრულიად არ შეესაბამება ორიგინალს. I, 191-ში მოხსენიებულ „πύλη“-ს „poterne“-ად თარგმის შეუსაბამობაზე ზევით უკვე ვისაუბრეთ; იმასლა დავეუმატებთ, რომ ავტორს საიდუმლო გასასვლელის მოხსენიება თუ უნდოდა, რასაკვირველია „πύλη“-ს კი არა „κρυπτή“-ს დანერდა, როგორც ამას ადგილი აქვს III, 146-ში: „ἐπεποίητο γὰρ οἱ κρυπτὴ δῶρσζ ἔκ τῆς ἀκροπόλιος φέρουσα ἐπὶ Ὀάλασσαν “ (5, 177), რაც ქართულად ასე გვესმის: „რდგან გააკეთებინა საიდუმლო გვირაბი აკროპოლისიდან რომ მოემართებოდა ზღვაზე გასასვლელად“. ეს საიდუმლო გვირაბი სამოსზე იყო და აჯანყების ორგანიზაციის განაღდების შემდეგ მაჰანდროსმა ამ გზით გააღწია ციხესიმაგრეიდან. ცხადია, ბაბილონის სპილენძის ჭიშკრიან მდინარეზე გასასვლელებს არაფერი საერთო არა ჰქონდათ ამასთან.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჰეროდოტეს თუ „ესხატა“-თი გარე გალავნის და მდინარის ჯებირის გასწვრივ მდებარე უბნები აქვს აღნიშნული, გარეუბნების, გალავნის გარეთ მდებარე ტერიტორიას „προάστειον“-ით მოიხსენიებს. ასე მაგალითად, III, 85-ში წერია შემდეგი:*** „ταύτην ἀγαγὼν ἔσ τὸ προά-

* ლეგრანი ბერძნული ტექსტის „Διὸς Βήλου ἱερὸν χαλκόπυλον“-ს გადმოსცემს ასე: „le sanctuaire aux portes d'airain de Zeus Belos“. (ეს იყო ბაბილონის უმაღლესი ღვთაების მარდუქის სახელგანთქმული ტაძარი).

** ლეგრანი „κρυπτή“-ს აქ „une galerie secrète“-ს უწოდებს, რაც „poterne“-ის სემანტიკის იდენტურია (8, 177).

*** ლაპარაკია დარიოსის ცხენზე, რომელიც მეჯინებმ დააბა ქალაქგარეთ.

თაიონ" (იგი დააბა გარეუბანში" (5, 136). ასევეა I, 86-შიც, სადაც აგრეთვე იგივე მნიშვნელობითაა ნახმარი „პროასტიონ“ ქალაქის გარეუბანი“. ამგვარად, თუ „ესხატა“ ქალაქის ზღვარს შიგნითა განაპირა უბანია, „პროასტიონი“ ქალაქის გალავნის გარეთ მდებარე ტერიტორიას აღნიშნავს ჰეროდოტესთან.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ვფიქრობთ, რომ ჩვენ შევძელით ჰეროდოტეს რეაბილიტაცია ფ. -ე. ლეგრანის უსაფუძვლო დადანაშაულებისაგან. კიროსის არმიის მიერ ბაბილონის აღების შესახებ ჰეროდოტეს მონათხრობში არავითარი ურთიერთსაწინააღმდეგო ორი ვარიანტის აღრევას არა აქვს ადგილი. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჰეროდოტეს სანდოობას და თანამიმდევრობას. მას რომ ხელთ ორი სხვადასხვა ინფორმაცია ჰქონოდა, როგორც ამას ლეგრანი ირწმუნება, იგი პირდაპირ იტყოდა, რასაც არაერთხელ აკეთებს სხვა შემთხვევაში, ხოლო მკითხველს უტოვებს არჩევნის საშუალებას“. მას არ ახასიათებს მკითხველისათვის რაიმეს თავზე მოხვევის ჩვეულება; ცდილობს ობიექტური იყოს ყოველნაირად. ცნობილია, რომ მისთვის თავისი მკვეთრად გამოსახული მიდრეკილების ჩრდილში დატოვებაა დამახასიათებელი. ბაბილონის აღყისგან დახსნის თავისეულ ვარიანტს ჰეროდოტე სავსებით მოკრძალებული ტონით და უკეთესის მოხდენის შესაძლებლობის სურვილის სახით იძლევა. არავითარ საყვედურს და მით უმეტეს, უდიერ მიმართებას იგი არ იჩენს ბაბილონელთა მიმართ, თუმცა ამკარაა, დაუდევრობის, უზრუნველობისა და არხეინობის უარყოფითი თვისებების გამო

* „პროასტიონი“ გვხვდება აგრეთვე III, 14-ში, სადაც იგი სამჯერაა და III, 18-შიც; ყველგან მას ქალაქის გარემდებარე მიდამოს მნიშვნელობა ენიჭება.

ჰეროდოტე ზოგჯერ მის ხელთ არსებული რამდენიმე ვარიანტიდან თვით ირჩევს მისი აზრით ყველაზე სანდოს" (I, 95).

დაეცა მათი დედაქალაქი. ჰეროდოტემ ეს კარგად უწყობდა და მაინც.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებანი ხელს შეუწყობს ჰეროდოტეს ნააზრევის შემდგომი კვლევისა და ინტერპრეტაციის საქმეს; რამეთუ მის მიერ გამოყენებული ტერმინების თარგმნისას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს, რომ თავიდან ავიცილოთ არასწორი გაგება. ეს უკანასკნელი კი გაუგებრობის წყარო გახდება ხოლმე, როგორც ზევით დავინახეთ. ჰეროდოტეს ბაბილონის დაცემა ისე აქვს გადმოცემული, როგორც ეს ბაბილონელების ინფორმაციით გაიგო. ამ კერძო შემთხვევაშიც იგი მიუყვებოდა, თანამიმდევარ და ალაღმართალ ავტორად გამოიყურება, როგორც ეს „ისტორიის მამას“ შეეფერება“

ლიტერატურა:

1. რ. რცხილაძე, „ბაბილონის შესახებ ჰეროდოტეს ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის“, საქ. მეცნ. აკად. მომბე, 1970, 58, №2, გვ. 501-504; „ტერმინ „βάρβαρος“-ის მნიშვნელობისათვის ჰეროდოტეს „ისტორიაში“, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 1974, №3, გვ. 56-61.
2. Hérodote, Histoires, texte établi et traduit par Ph. - E. Legrand, Paris, 1966-1995.
3. Hérodote, Histoires, Interoduction, Paris, 1966, notice préliminaire sur la vie et la personnalité d' Hérodote et sur la présent édition par Ph.- E. Legrand.
4. Hérodote, Index analitique, Paris, 1966, etablir par Ph.-E. Legrand.

5. Hérodote, Histoires, l. III, Paris, 1967.
6. Hérodote, Histoires, l. II, Paris, 1982.
7. Hérodote, Histoires, l. I, Paris, 1995.
8. Hérodote, des Geschichtwerk, Berlin, Weimar, I, 1985.
9. Hérodote, Werkes, Iv., London, 1946.
10. Liddell and Scott's Greek-English Lexicon, Oxford, 1993; И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, I, Москва, 1958; А. Д. Вейсман, Греческо-русский словарь I, Ст.,- П.; 1899; К. и. Игн. Косовичи, Греческо-русский словарь, I, Москва, 1848.
11. A. Smith, Babylonian Historical Texts, London, 1924.
12. Геродот, История, I, Москва, 1885.
13. Геродот, История, Ленинград, 1972.

Р. Рцхиладзе

Интерпретация эпизода падения Вавилона в "Истории" Геродота

Эпизод падения Вавилона в "Истории" Геродота передан довольно сжато. Главное внимание уделено неординарному плану взятия города и его осуществлению. Некоторые переводчики "Истории" вследствие искажения греческих терминов неправильно интерпретируют Геродота, в частности, Легран, педоосмыслил термин "эсхата" (I, 191) и выступает с обвинением Геродота; будто он, зная о двух вариантах взятия города, перепутал их в повествовании и дал противоречивое описание. На самом деле то, что Легран называет одним из вариантов взятия, не что иное, как личное соображение Геродота об успеш-

ной защита города и одолении врага. Если бы "эсхата" было понято как крайние участки города, подразумевая под ним не только территорию рядом с окружными стенами города, но и районы вдоль набережных стен, то в таком случае картина взятия города у Геродота выглядела бы без противоречий. Персы вошли в Вавилон по Евфрату, но непосредственно в город проникли одновременно и в районы близлежащие у окружных стен и на территорию вдоль набережных стен в обеих частях города. В центрах этих частей горожане об этом, занятые праздничным весельем, узнали только оказавшись лицом к лицу с врагом. Ошибку Леграна усугубило еще неправильное понимание слова "πύλη", как "потайной ход", тогда как дело касалось ворот в набережной стене.

Геродот, как и во многих других случаях, эпизод взятия Вавилона передел по возможности правдоподобно и чистосердечно.

R. Rzchiladze

Zur Interpretation der Episode des Verfalls von Babylon in der "Geschichte" von Herodot

Die Episode des Verfalls von Babilon wird in der "Geschichte" von Herodot ziemlich knapp wieder-gegeben. Im Mittelpunkt steht ein außergewöhnlicher Plan der Eroberung der Stadt und seine Durchführung. Einige Übersetzer verstecken die Bedeutungen der griechischen Wörter bei Herodot nicht ganz wichtig. Das hat eine falsche Auslegung des Originaltextes zur Folge. Ph. - E. Legrand übersetzt

das Wort „ἔσχατα“ nicht richtig; infolgedessen wirft er Herodot vor daß er zwei Varianten der Eroberung der Stadt miteinander verwechselt und eine widerspruchsvolle Beschreibung gegeben hat. Was Ph.- E. Legrand als eine der Varianten der Eroberung bezeichnet, ist in der Wirklichkeit nichts anderes als die persönliche Meinung Herodots über die erfolgreiche Verteidigung der Stadt.

Wenn Ph. - Legrand das Wort „ἔσχατα“ dem Kontext entsprechend verstanden hätte, d. h. "äußerste Gebiete der Stadt", wenn darunter nicht nur das Territorium neben der Stadtmauer sondern auch am Ufer gelegene Gebiete gemeint sind, würde das Bild der Eroberung der Stadt bei Herodot ohne Widersprüche aussehen. Die Perser kamen nach Babylon durch das Flußbett des Euphrats, aber unmittelbar in die Stadt drangen sie gleichzeitig im Bezirk der Stadtmauer und auf dem Gebiet der Ufermauer in beiden Teilen der Stadt. In den Zentren von diesen beiden Teilen der Stadt feierten die Stadtbewohner ein Fest. Sie hatten von dem Überfall erfahren als der Feind schon ins Zentrum eingedrungen war. Den Fehler Legrands vertiefte auch die falsche Übersetzung des Wortes "πόλη" als "Geheimgang". Es handelte sich aber um "das Tor in der Ufermauer".

Herodot hat die Episode der Eroberung von Babylon wie auch in vielen anderen Fällen wahrheitsgetreu und aufrichtig wiedergegeben.

რამდენი მზე ჰყავდათ ხეთებს?

მზის ღვთაება თითქმის ყველა ხეთურ ტექსტში გვხვდება, შესაბამისად, თითქმის ყველა ხეთოლოგიურ ნაშრომშიც (ტექსტებისა და ბიბლიოგრაფიისათვის იხ. 1, 123 შმდ.). მას ეძღვნება რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა, მათ შორის, ვ. ფაუტის სტატია (2), რომელიც ინფორმაციული ტევადობით მონოგრაფიას არ ჩამოუვარდება და დ. იოშიდას მონოგრაფია (3) ყველანაირი სტატისტიკური მონაცემით. მიუხედავად ამისა, ღვთაებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი კვლავაც გაურკვეველია და, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ასეთ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება მზის ღვთაებათა რაოდენობა ხეთურ პანთეონში (4, 324). სტატია რომ მეტისმეტად სუბიექტური და პოლემიკური არ გამომივიდეს, შევეცადები მივყვე მასალას და მისი საშუალებით ვაჩვენო ის, რაც, თითქოს, ცაში ერთი ახედვითაც ცხადია – მზე ერთია.

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მზე / მზის ღვთაება, ჩვეულებრივ, აღინიშნებოდა შემეროგრამით ^DUTU. მისგან განსასხვავებელია ხეთი მეფეების ტიტულატურაში შემავალი ^DUTU, აქადური ფონეტიკური კომპლემენტით $-ŠI = ŠAMŠI$, სიტყვასიტყვით: “ჩემი მზე” ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობაში ამ ორი ცნებისათვის – მზის ღვთაებისა და “მეფე-მზისათვის” სხვადასხვა ნიშნები გამოიყენებოდა – L 191 (SOL) და L 190 (MAIESTAS).

^DUTU-ს ხეთური წაკითხვა Istanu (ხეთური ფორმა ხათური Eštan-ისა “მზე, მზის ღვთაება”) ღღეს აღარ არის სადისკუსიო და, ხათურ-ხეთურ ბილინგვებში დადასტურებული იგივეობის გარდა, ემყარება ფონეტიკურ კომპლემენტებს: N. -uš, A. -un, G. (-wa)-aš, D. (-u)-i, V. (u)-e/i.

სავარაუდოა, რომ ^DIstanu მზის იდეოგრამის ერთადერთი ხე-

თური წაკითვა იყო (შდრ. 5, 125 შმდ.; 6, 150; 7, 209). ჩემი აზრით, ამ ვარაუდს უნდა ამყარებდეს ხეთების მიერ იდეოგრამის ხმარების სპეციფიციკაც, სახელდობრ ის, რომ იდეოგრამა უნდა ყოფილიყო ხშირად ხმარებული, თავისთავად გასაგები სიტყვა, რომელიც, საფიქრელია, წერის გასამარტივებლად იხმარებოდა და რომელსაც ორაზროვნება არ უნდა დაეტოვებინა ხეთისთვის. ამდენად, მე პრინციპულად არ მგონია გამართლებულად ერთი და იმავე იდეოგრამის სხვადასხვა წაკითხვის შესაძლებლობის დაშვება. ცალკე საკითხია, რომ სხვადასხვა იდეოგრამა შეიძლება გვთავაზობდეს განზოგადების განსხვავებულ ხარისხს, და თუნდაც ღმერთების შემთხვევაში, ზოგი სახელს გადმოსცემდეს, ზოგიც ღვთაებათა გარკვეული ჯგუფის საერთო სახელად, “ტიტულად” გვევლინებოდეს (შდრ. 8, 2): ^DZA.BA₄.BA₄, ^DLAMMA/KAL, ^DIŠTAR, შესაძლოა, აგრეთვე ^DU / ^DIM.

ტექსტებში მზის ღვთაება მრავალრიცხოვანი ეპითეტით არის მოხსენიებული: “ცისა”, “მიწისა”, “წყლისა”, სხვადასხვა ლოკალური საკულტო ცენტრისა. ეპითეტთა დიდი ჯგუფი გვიჩვენებს მზის ღვთაებას მის რომელიმე კონკრეტულ ფუნქციაში. მათი ნაწილი მზეს ქალღმერთად წარმოგვიდგენს: “ღედა”, “ქალბატონი”, “ღედოფალი”. შესაბამისი კონტექსტების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მზის ღვთაება, ძირითადად, ქალღმერთად არის წარმოდგენილი. გვხვდება მზის როგორც მამრი ღვთაების ეპითეტებიც, თუმცა, იშვიათად: “მამა”, “ბატონი”, “მეფე”, “მწყემსი”, “ძე”. ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ შუამდინარული გავლენით შედგენილ ტექსტშია დადასტურებული, ხოლო რაც “მამას” შეეხება, ძნელი სათქმელია, attāš ^DUTU როგორ უნდა გავიგოთ: “მამა – მზის ღვთაება” თუ “მამის მზის ღვთაება”. მამრ მზის ღვთაებას ვხვდებით აგრეთვე იაზილიქიას რელიეფზე გამოსახულ მამრ ღვთაებათა პროცესიაში (მარცხნიდან მარჯვნივ N 34). მას ახლავს ლუვიური იეროგლიფუ-

რით შესრულებული წარწერა – “მზის ღვთაება ცისა”.

ყველაზე ხშირად ხმარებული ეპითეტების საფუძველზე, განსხვავებენ შემდეგ მზის ღვთაებებს: ქ. არინასას (^DUTU ^{URU}Arinna), ცისას (nepišaš ^DUTU), მიწისას (taknaš ^DUTU). შთაბეჭდილებას სხვადასხვა მზის ღვთაების არსებობის შესახებ აძლიერებს, ალბათ, ის ფაქტი, რომ ეპითეტი “ცისა”, როგორც წესი, მზის მამრ ღვთაებასთან ჩანს დაკავშირებული, ხოლო “მიწისა” – ქალღმერთთან. საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ ეპითეტი “ღელა” მხოლოდ “არინას მზეს” ახლავს. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, სადაც მზის შვილად მეფე იგულისხმება (KBo 17.22: ^DUTU-აჰ an-na-aš-ši-i[š “მზის ღვთაება – ღელამისი”).

ხეტებთან მზის ღვთაებათა სიმრავლე, როგორც უკვე აღინიშნა, ერთგვარ გაცეხას იწვევს სხვა ძველ რელიგიათა ფონზე. მეტოლოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა ვ. ლემბერტის შენიშვნა “ლარსას მზის ღვთაება იყო თუ არა იგივე, რაც სიფარის მზის ღვთაება? ვინაიდან ცაში მხოლოდ ერთი მზეა, პასუხი ამ შეკითხვაზე მისი დასმისთანავე ნათელია...” (9, 545). აქვე შეიძლება ითქვას, რომ ღვთაების ლოკალური გამოვლინებები თუ ვარიანტები (საკუთარი ტაძრებითა და საკულტო ტრადიციით) ერთმანეთისაგან და ღვთაების ძირითადი ხატისაგან მეტად უნდა ყოფილიყვნენ დამორებულნი, ვიდრე შესაბამისი კულტის ე.წ. ფუნქციური გამოვლინებები.

თუ ხეტებს მართლაც რამდენიმე მზის ღვთაება ჰყავდათ, ჩნდება კითხვა, რომელ მათგანს უნდა მივაკუთვნოთ სახელი “იშთანუ”, ან სხვა რა სახელი (ანუ იდეოგრამა ^DUTU-ს სხვა რა ხეთური წაკითხვა) უნდა ვეძებოთ?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იკონოგრაფია, ცალკეული ეპითეტების მსგავსად, ღვთაების ერთ კონკრეტულ სახეს, გამოვლინების ფორმას გადმოსცემს, და არა მის არსებას. გარეგნული

აღწერილობა ხომ მხოლოდ ერთ ფუნქციას შეესაბამება. ასე მაგ., იმთარ-შავუშქა ქალღმერთად რჩება იმისგან დამოუკიდებლად, იგი სიყვარულის ქალღმერთად არის გამოსახული, თუ აბჯარასხმულ მრისხანე ომის ღვთაებად (შდრ. 10, 350 შმდ.). მაშ რატომ უნდა შევხედოთ სხვანაირად მზეს?

მამრი მზის ღვთაების გამოსახულება იკონოგრაფიულად ძალიან ახლოს დგას მეფის გამოსახულებასთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ნახატს წარწერა არ ახლავს, საკამათოა, აქ მეფეა გამოსახული თუ მზე (იხ. მაგ., 11. შდრ. 10, 189). ეს ორაზროვნება ხეთ მეფეებს, შესაძლოა, შეგნებულად დაეშვათ, რათა საკუთარ სიცოცხლეშივე, თუნდაც შენიღბული გაღმერთებით ფარაონებს გატოლებოდნენ. ჩვეულებრივ, წერილობით წყაროებში მამრობითი მზის ღვთაების არსებობის საბუთად მოჰყავთ ტექსტი, რომელშიც მამაკაცის ქანდაკებაა აღწერილი. მაგრამ საფიქრელია, რომ აქ “განახლებული” მეფეა წარმოდგენილი, და არა მზის ღმერთი (KBo 21.22, KUB 20.54. იხ. 12, 14 შმდ.; შდრ. 13, 112).

აღსანიშნავია, რომ ხეთურ ტექსტებში ღვთაების ამა თუ იმ ფორმით გადმოცემული სიმრავლე შეესაბამება:

- ა. გამოსახულებათა სიმრავლეს;
- ბ. კულტის ლოკალური ვარიანტების, ანუ ტაძრების სიმრავლეს;
- გ. ეპითეტთა და, შესაბამისად, ფუნქციურ გამოვლინებათა სიმრავლეს.

ამას აჩვენებს შემდეგი გამოთქმები: ყველა ამინდის ღვთაება (${}^{\text{D}}\text{U}^{\text{H}} / {}^{\text{D}}\text{ISKUR}^{\text{H}^{\text{I.A}}}$ *humanteš*), ამინდის ღვთაებები (${}^{\text{D}}\text{IŠKUR}^{\text{H}^{\text{I.A.}}}$ *uš*), ყველა ხებათი (${}^{\text{D}}\text{Hepat}^{\text{H}^{\text{I.A}}}$ *humanteš*), იმთარები (${}^{\text{D}}\text{IŠTAR}^{\text{MES}}$). ყველაზე თვალნათლივ კი, მზის ღვთაებასთან დაკავშირებით, ლაპარაკობს ფრაგმენტი ერთი ტექსტიდან (KUB 25.14):

“მისანს ხალენთუში მოჰყავს რვა არინას მზის ქალღმერთი. (მათგან სამი) ქანდაკებაა, ხუთი – მზის ფროთოსანი დისკო შემ-

დღე დგამენ მა[გადებს]. მათზე ათავსებენ [მზის ქალღმერთებს]. [არინას] მზის ქალღმერთებს აბანავენ, ნელ-საცხებელს წაუსვამენ და ისევ თავიანთ მაგიდებზე ათავსებენ”.

ხეტებთან მზის ღვთაებათა რაოდენობასთან დაკავშირებული პრობლემაც, ჩემი აზრით, სწორედ ასე უნდა დაისვას: რამდენად არიან დაშორებული ერთმანეთისგან და მზის ღვთაების ძირითადი არსისგან მისი ფუნქციური თუ ლოკალური გამოვლინებები? ძნელია ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, მაგრამ, ჩემი აზრით, არაერთი მინიშნება შეიძლება დაინახოთ ტექსტებში მზის ღვთაების სხვადასხვა გამოვლინების (იქნება ეს ფუნქციური თუ ლოკალური) მთლიანობაში, ერთ ღვთაებად აღსაქმელად. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტან ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო რამდენიმე ფრაგმენტს სხვადასხვა დროს შექმნილი ტექსტებიდან:

“...ქურუმი ასე ამბობს: “შეგვიწყალე, მზის ღვთაებავ! (ხათ. კერსიაში, შესაძლოა: მზის ღვთაებებო. იხ. 14, 651) მოკვდავთ შორის შენ მზის ღვთაება ხარ, ღმერთებს შორის კი – ბრწყინვალეა/სინათლე (ხეთ. *lalukkima-*, ხათ. სიტყვას *kašbaruyah*), ღვთაება (და) დედოფალი (ხარ) შენ” (CTH 733, Nr. 112 II 10'-13; 113 II 20-23).

“როდესაც აღამიანი ქაქშათში ზუეასი-სტელასთან მზის ღვთაებას სცემს თაყვანს, ქურუმი ამბობს: “შეგვიწყალე, ქაქშათის მზის ღვთაებავ, მოკვდავთა შორის შენ ქაქშათის მზის ღვთაება ხარ, ღმერთებს შორის კი – *leliyah* (ხეთ. *lalukkima-*), ღვთაება (და) დედოფალი (ხარ) შენ” (CTH 733 Nr. 112 III 21'-24', 113 III 19'-23').

“სახურავზე, მზის პირისპირ ღერწმისგან მოწნულ ორ მაგიდას დგამს. ერთ მაგიდას არინას მზის ქალღმერთისთვის დგამს და მამრი ღვთაებებისთვის – (ასევე) [ერთ მაგიდას მეფე სახურავზე აღის და ცის მზის ღვთაების წინაშე [დაიჩოქებს. ის ასე ამბობს: “მზეო ცისა და მზეო არინასი, ჩემო ქალბატონო, დედოფალო, ჩემო

ქალბატონო, დედოფალო ხათის ქვეყნისა ...” (CTH 381.A I 4- 11).
ამავე ტექსტში, არინას ლოკალური პანთეონის ჩამოთვლაშიც
ვხვდებით გვერდიგვერდ ცის მზესა და არინას მზეს.

“იყავ მოწყალე, ცის მზის ღვთაებაე, შენ, რომლის ნათება(?)
სრულქმნილი(ა), რომლის შარავანდელი ბრწყინვალე(ა)” ...“ამ სიტ-
ყეებს წარმოთქვამს არინას მზის ქალღმერთის ქურუმი მზის
ღვთაების ტაძრის სახურავზე და მზის ღვთაებას ასე მიმართავს:
'ცის მზის ღვთაებაე...'” (KUB 57.63).

კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა იმის საჩვენე-
ბლად, რომ არც სქესი, არც ეპითეტი არ არის “მიბმული” მზის
ღვთაების რომელიმე იპოსტასზე. აქ შევარჩიე მხოლოდ ის ფრაგ-
მენტები, რომლებიც, ამ თვალსაზრისით, ორაზროვნებას არ უნდა
გვიტოვებდნენ. თუმცა მათთვის, ვინც სხვადასხვა მზის ღვთაებას
ხედავს ხეთებთან, ისინი გაუგებრობას იწვევენ და, კერძოდ, ასახს-
ნელი ხდება არინას მზის ქალღმერთის ცის მზის ღვთაებად მო-
ხსენიების ფაქტები, აგრეთვე მის დასახასიათებლად მამრი ღვთაების
ეპითეტის გამოყენება. ახსნა სხვადასხვანაირი მოიძებნება ხეთოლო-
გოურ ლიტერატურაში (იხ. მაგ., 12, 11 შმდ.; 15, 32.; 16, 179 შმდ.).
თითოეულ მათგანზე შეჩერება შორს წავგიყვანდა. მაგალითად მო-
ვიტან ერთ კონტექსტთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს,
რომელიც ძალიან კარგად გამოხატავს ხეთოლოგთა შორის დამ-
კვიდრებულ დამოკიდებულებას მზის “ღვთაებებისადმი”. არინას
მზის ქალღმერთისადმი მიმართულ ლოცვაში მურსილი ასე ამბობს:
“სასამართლოს სამართლიანი უფალი მხოლოდ შენ (ხარ)”.
რ. ლებრენი შენიშნავს: “აქ ჩვენ ვხვდებით მექანიკური შეცდომის
საუკეთესო ნიმუშს, დაშვებულს მწერლის მიერ, რომელსაც დაავი-
წყდა, რომ საქმე ეხება ქალღმერთს და მიმართავს იშთანუს ბაბი-
ლონური შამაშის ეპითეტებით” (17, 174). თავს უფლებას მივცემ,
ეჭვი შევიტანო ამგვარ ახსნაში. აღსანიშნავია, რომ ეს “შეცდომა”

ტექსტში ორჯერ მეორდება (სტრ. I 34-35, 47). საერთოდ, მზის ღვთაებისადმი მიმართულ ხეთურ ლოცვებში ვხვდებით ეპითეტებს, რომელთა შუამდინარული წარმოშობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მე მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ მწერალს მექნიკურად გამოეყენებინა შამაშის კუთვნილი ეპითეტი და დავიწყებოდა, ვინ იყო მისი საკუთარი უზენაესი ღვთაება და ლოცვის ადრესატი. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ სხვა მწერალს სურიტული მზის ღმერთის, შიშეგის ნაცვლად “შეცდომით” დაეწერა არინას მზის ქალღმერთის სახელი (შდრ. 18, 236), ან კიდევ “ცისა” და “მიწის” მზეები არეოდა ერთმანეთში (შდრ. 19, 34; 20, 44).

ჩემი აზრით, ხეთებს მხოლოდ ერთი მზის ღვთაება ჰყავდათ, სახელად Ištanu (ხათური Eštan), რომლის საკულტო ცენტრი უძველესი დროიდან ქალაქი არინა იყო. სწორედ ^DUTU ^{URU}Arinna-s სახელით არის იგი წარმოდგენილი პანთეონის უზენაეს ქალღმერთად, ამინდის ღმერთის მეუღლედ. ხათურ ტექსტებში ნახსენები Wurunšemu /Urunzimu “ქვეყნის/მიწის ღედა” და Arini(i)ti / Ariniddu “არინელი” განსახილველია არინას მზის ქალღმერთის ეპითეტებად, და არა მის ან მისგან განსხვავებული ქალღმერთების სახელებად, ხოლო ორი ძირითადი მახასიათებელი – nepišaš “ცისა” და taknaš “მიწის” – ორ განსხვავებულ მზის ღვთაებას კი არ ეკუთვნიან, არამედ ერთი მზის ორ უმნიშვნელოვანეს ფუნქციურ გამოვლინების ფორმას, ორ ძირითად იპოსტასს შეესაბამებიან (21, 137 შმდ.; 17, 59; 10, 378).

“მზე ცისა” და “მზე მიწისა” ხეთებთან მზის ღვთაების ორ უძველეს ასპექტს წარმოადგენს. მზის ღვთაების ხათურ ეპითეტებს შორის გვაქვს, ერთის მხრივ, ბრწყინვალება/სინათლე (ხათ. kašbaruyah, ხეთ. lalukkima-), მეორეს მხრივ, Wurunšemu “მიწის ღედა”. ეპითეტებით “ცისა” და “მიწისა” მზე გვხვდება ძველხეთურ სარიტუალო ტექსტებში, აგრეთვე ლუვიურ, ფალაურ ენებზე შედგენილ

ტექსტებში. იქიზ თეფეს (ცალფას) შუა ბრინჯოს ხანის სამარხში აღმოჩენილ შუბის პირებზე სიმეტრიულად (ორივე მხარეზე) განლაგებულ ანთროპომორფულ ფიგურებში, რომელთაც თავზე მზის დისკო ადგათ, მეცნიერები ხედავენ ტექსტებიდან ცნობილ “ცის” და “მიწის” მზის ღვთაებების უძველეს გამოსახულებებს.

ხეთებთან მზის ღვთაების კავშირს მიწასთან საფუძვლად უდევს წარმოდგენა მზეზე, რომელიც საღამოს ჩაესვენება პორიზონტზე, რათა შემოიაროს მიწისქვეშა სამყარო და კვლავ ამობრწყინდეს ცაზე. სავარაუდოა, რომ თავდაპირველი მიწის ქალღვთაება, ღმერთების დედა, დედა-მიწა – “დიდი დედა” ასტრალიზაციის შედეგად დაუკავშირდა მზეს, პერსონიფიცირებულ იქნა მიწიდან ამოძვალ და მიწაში ჩამავალ მზეში. საყურადღებოა, ამ თვალსაზრისით, ერთ ტექსტში დადასტურებული გამოთქმა ^{MUNUS}Daganzipaš DUMU.MUNUS ^{DU}TU “მიწა – ქალიშვილი მზისა” ან “დედამიწის ქალიშვილი – მზე”. ი. კლინგერის აზრით, ამ გამოთქმის ხათური შესატყვისი შეიძლება იყოს ეშთანის ეპითეტი Wurun-šimu – ქვეყნის/მიწის დედა (ან ქალიშვილი ?) (14, 146 შმდ.).

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში “მზე ცისა” და “მზე მიწისა” ქმნიან ერთიან სახეს – კოსმიურ მზეს, რომლის სამყოფელი მთელ სამყაროს მოიცავს. “სადაც არ უნდა [იმყოფებოდეს] სათაყვანები არინას მზის ქალღმერთი – ცაში, (სხვა) ღვთაებებს შორის, ზღვაში, მთებში ან [ქვესკნელში?], საიდანაც ის ბრუნდება ხოლმე (CTH 376). ეს არის “ღმერთების მზე” (DINGIR^{MES}-nan ^{DU}TU. KBo 17.4), განმასახიერებელი კავშირისა ცასა და მიწისქვეშეთს შორის, უზენაესი გამგებელი ყველა ღვთაების და ყოველი სულდგმულისა დედამიწაზე (CTH 376), ერთადერთი წყარო სინათლისა ზეცითა და დედამიწით შემოსაზღვრულ სივრცეში: “ცისა და მიწის გარემომცველი სინათლე მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალღმერთო” (CTH 376), “ყველა ქვეყნის მამა (და) დედა” (CTH 376).

ნიშანდობლივია ეს ბოლო ფრაზა, რომელიც გვიხატავს მზის ღვთაებას როგორც დაუნაწევრებელ, სრულყოფილ არსს, სისრულეს. ალბათ, გვაქვს საფუძველი იმისათვის, რომ ხეთების მხეში დაკინახთ ანდროგინი ან ღვთაება, რომელსაც ანდროგინის ნიშნები აქვს შემორჩენილი. ბუნებრივია, რომ არ შეიძლება იკონოგრაფიულად გამოხატვა სახისა, რომელშიც ორივე სქესი შერწყმულია და შემთხვევითი არ არის, რომ ხეთებთანაც მსგავსი რამ მზის ღვთაებასთან დაკავშირებულ იკონოგრაფიაში არ მოგვეპოვება: ის ან ქალად არის გამოსახული ან კაცად, რაც არ უნდა ასახავდეს მის ორსქესიანობას.

მზის ღვთაების მრავალრიცხოვან იპოსტასთა და ფუნქციათა ერთიანობა, შესაძლოა, ასახული იყოს მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფში – L 191 SOL. ჩვენამდე მოაღწია მისი დაწერილობის რამდენიმე ვერსიამ. ერთი მოგვაგონებს გაორმაგებულ ღვთაების იეროგლიფს (L 360 DEUS), რაც ორი ძირითადი იპოსტასის ერთობის ასოციაციას აღძრავს. მეორე შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც მზის სამი იპოსტასის ერთობას, ასევე მის სამ ფუნქციას, გადმოცემულს სამი წყვილი თვალით. ეს უკანასკნელი ინტერპრეტაცია ერთგვარ საყრდენს პოულობს ერთ სარიტუალო ტექსტში, სადაც ვკითხულობთ: “მზის ღვთაებას 3 წყვილი თვალი აქვს: ერთი – დასანახად, ...ერთი – შესანდობად, ...ერთი – სამართავად (და) განსასჯელად” (KUB 9.12 II 3-8. იხ. 22). ნიშანთა ჯგუფი (DEUS) SOL SOL: მზის აღმნიშვნელი ორი ზუსტად ერთნაირი იეროგლიფი ღვთაების აღმნიშვნელი ერთი დეტერმინაციის ქვეშ არის მოცემული (ემირგაზისა და ზიუდბურგის იეროგლიფური წარწერები, მეფე თუთხალია IV-ის საბეჭდავი), რაც ასევე მზის ორი ძირითადი იპოსტასის ერთიანობაზე უნდა მიგვანიშნებდეს (ინტერპრეტაციისთვის შდრ. 15, 32; 23).

მინდა დავასრულო ხეთების სიტყვებით, რომლებსაც, სტატი-

ასთან ერთად, ვუძღვნი ქალბატონ ნანას: ^DIṣtanuṣ mahḫan ukturiṣ na-
 aṣ ṣer aralza ncpiṣza ḫuyanza n-aṣta udniyaṣ ḫumandaṣ lalukeṣnuwan
 ḫarzi duṣgarawana lammara apeniṣṣan ṣiwattuṣ-ṣmuṣ lalukeṣnuwandu.
 “ისევე როგორც მზეა მარადიული, მაღლა ცას უვლის გარშემო და
 ყველა ქვეყანას ანათებს, დაე, ასევე გაანათონ ბელნიერმა წუთებმა
 თქვენი დღეები!

ლიტერატურა:

1. ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია*, თბილისი 2001.
2. W. Fauth, Sonnengottheit (^DUTU) und ‘königliche’ Sonne (^DUTU^ḫ) bei den Hethitern. *Ugarit-Forschungen* 11/1979, 227-263.
3. D. Yoshida, *Untersuchungen zu den Sonnengottheiten bei den Hethitern (Texte der Hethiter 22)*.
4. P. Garelli, J.-M. Durand, H. Gonnert, C. Breniquet. *Le Proche-Orient Asiatique*. T. 1, Dès origines aux invasions des peuples de la mer. Nouvelle Clio, Paris 1997.
5. E. Neu, *Der Anitta-Text (StBoT 18)*, Wiesbaden 1974.
6. Sh.R. Bin-Nun, *The Tawananna in the Hittite Kingdom (Texte der Hethiter 5)*, Heidelberg 1975.
7. H.G. Güterbock, Iṣtanu, *RLA* 5, 3/4, 1977, 209-210.
8. G. McMahon, *The Hittite State Cult of the Tutelary Deities*. Chicago 1991.
9. W. Lambert, Gott nach akkadischen Texten. *RLA* 3/7, 1969, 543-546.
10. V. Haas, *Geschichte der hethitischen Religion*. Leiden/New York/Köln 1994.

11. H.G. Güterbock, Sungod or King? *Aspects of Art and Iconography: Anatolia and its Neighbors. Studies in Honour of Nimet Özgüç*, Ankara 1993, 225-226.
12. A. Archi, Eine Anrufung der Sonnengöttin von Arinna. *Fs. H. Otten*, Wiesbaden 1988, 14f.;
13. G. Kellerman, *Recherche sur les rituels de fondation hittites*. Paris 1980.
14. J. Klinger, *Untersuchungen zur Rekonstruktion der hattischen Kultschicht (StBoT 37)*, Wiesbaden 1996.
15. D. Hawkins, *The Hieroglyphic Inscription of the Sacred Pool Complex at Hattusa (Südburg)*. Wiesbaden 1995.
16. I. Singer, *Muwatalli's Prayer to the Assembly of Gods through the Storm-God of Lightning (CTH 381)*, 1996.
17. R. Lebrun, *Hymnes et prières hittites*. Louvain-la-Neuve 1980.
18. V. Haas, M. Wäfler, Zur Topographie von Hattuša und Umgebung. *Oriens antiquus* 16, 1976, 227-238.
19. H.M. Kümmel, *Ersatzrituale für den hethitischen König (StBoT 3)*, Wiesbaden 1967.
20. E. Neu, *Ein althethitisches Gewitterritual (StBoT 12)*, Wiesbaden 1970.
21. A. Goetze, *Kleinasien*, München 1957²
22. E. Laroche, Notes sur les Symboles Solaires Hittites, *Fs. Bittel*, 1983, 309-312.
23. E. Masson, Les plus anciens témoignages en faveur de la première fonction divine et sociale chez les indo-européens. *Ollodagos*, 10, 1997, 223-247.

Сколько солнц было у хеттов?

Вопрос этот хотя и звучит несколько странно, но стоит в хеттологии. По моему мнению, у хеттов было одно божество Солнца по имени *Ištanu* (хат. *Eštan*, идеографическое написание ^DUTU), культовый центр которого с древнейших пор находился в городе Аринна. Именно богиня Солнца г. Аринны возглавляет вместе с богом Грозы хеттский пантеон. *Wurunšemu* и *Arini(t)ti/Ariniddu* являются ее эпитетами. Два основных определения ("земли" и "неба") соответствуют не двум разным божествам разного пола, а двум функциональным формам проявления одного божества.

I. Tatischvili

Wieviel Sonnen hatten die Hethiter?

Diese Frage klingt merkwürdig aber steht doch in der Hethitologie. Meines Erachtens hatten die Hethiter nur eine Sonnengottheit namens *Ištanu* (hat. *Eštan*, ideographisch ^DUTU geschrieben), deren Kultzentrum sich seit älteren Zeiten in der Stadt Arinna befand. Gerade mit der Bezeichnung *Sonnengöttin von Arinna* nimmt sie ihren Platz im hethitischen Pantheon als die Hauptgöttin ein, und bildet ein Paar mit dem Wettergott. *Wurunšemu* und *Arini(t)ti/Ariniddu* sollen ihre Epitheta sein. Zwei Hauptbezeichnungen der Sonne (des Himmels und der Erde, weibliche und männliche) entsprechen nicht den zwei Sonnengottheiten, sondern ihren funktionellen Erscheinungsformen, die, wie auch im Fall anderer Götter, voneinander weniger unabhängig sind, als die lokalen Varianten einer Gottheit.

ხუბუშქია

(საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი
აღმოსავლეთის ძველი ისტორიის ეთნო-ლინგვისტური
პრობლემები I.)

საკითხის დასმის წესით.

1.1. ასურული ლურსმული წარწერების ხუბუშქია მდებარეობდა ვანის ტბის, მდინარის ხეობაში, რომელსაც ამჟამად ბოხთან-სუ ეწოდება, იმ სარტყელში, ასურული წყაროები „ნაირი“-დ და „ნაირის ქვეყნებად“ რომ იხსენიებდნენ. მოგვიანებით ძვ. წ. IX საუკუნის შუა წლებიდან ასურული წყაროები ტერმინ „ნაირი“-ს უკვე ვინრო მნიშვნელობით საკუთრივ ხუბუშქიის სამეფოს აღსანიშნავად იყენებდნენ, თუმცა არაიშვიათად ამავე სარტყელში (რეგიონში) მდებარე საკუთარ პროვინციასაც (ცენტრით ქ. ამედუ-ში) მოიხსენიებენ ტერმინით „ნაირი“ (გ. მელიქიშვილი 1954, 17-19).

1.2. ხუბუშქიას პირველად აშურნასირფალ II (884-859) იხსენიებს თავის წარწერებში, როგორც მის მოხარკეს, მაგრამ უკვე მისი მემკვიდრე სალმანასარ III (854-824) აწარმოებს ომს ხუბუშქიის მეფე კაკი (ა)სთან, რომელიც იმდენად არის გაძლიერებული, რომ სალმანასარ III მას „ნაირის ქვეყნის მეფეს“ უწოდებს (სხვათა შორის ამავე ტიტულით მოიხსენიებენ თავს ასურულ ენაზე შესრულებულ წარწერებში ურარტუს მეფეები სარდური I და იშპუინი), რაც ხუბუშქიის არა მარტო სამხედრო ძლიერების, არამედ ტერიტორიული ზრდის დასტური უნდა იყოს. ხუბუშქიის ტერიტორიის გაფართოება ქალაქ სახელმწიფოების ანექსიის გზით არის სავარაუდებელი.

1.3. ხუბუშქიის სამეფო ასეთი სახელით არ არის ნახსენები არც ერთ ურარტულ წარწერაში: „გაკვირვებას იწვევს ის

ფაქტი, რომ ურარტუს სამეფოს ეს უახლოესი მეზობელი სულ არ მოიხსენიება ურარტულ წყაროებში. თუ ეს ქვეყანა არ უნდა ვეძიოთ ურარტულ ტექსტებში რაიმე სხვა სახელწოდებით, მაშინ ეს მდგომარეობა საჭიროა, ცხადია, აიხსნას ხუბუშქიას მმართველთა ლოიალობით ურარტუს მიმართ..." (გ. მელიქიშვილი 1954, 235). ვფიქრობ, ურარტულ ტექსტებში ხუბუშქიის მოუხსენიებლობის ახსნა მისი მმართველების ლოიალური დამოკიდებულების ვარაუდით ურარტუსადმი ნაკლებსარწმუნოა. ხუბუშქიას ლოიალური დამოკიდებულება ასურეთის მიმართაც ჰქონდა საღმინასარ III-ის მიერ კაკი(ა)ს დამარცხების შემდგომ პერიოდში, მაგრამ ამას ასურულ წყაროებში მისი მოუხსენიებლობა არ გამოუწვევია. რაც შეეხება ხუბუშქიას სხვა სახელით მოხსენიებას ურარტულ წყაროებში, ეს სხვა გამოკვლევის თემაა და ამაზე აქ არაფერს ვიტყვი.

1.4. სპეციალურ ლიტერატურაში გაკვირვებაა გამოთქმული იმის გამოც, რომ ურარტუმ არ შეიერთა, არ დაიპყრო მასზე აშკარად სუსტი სამხრეთელი მეზობელი და ამ ფაქტის ახსნის ორ ვერსიას აყენებენ: „ის ფაქტი, რომ ურარტუს უშუალო მეზობლობაში მყოფმა ხუბუშქიამ ურარტუს სამეფოს არსებობის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე მაინც შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, თავისი განცალკევებულობა და არ იქნა შეყვანილი ურარტუს სამეფოს შემადგენლობაში, ერთის მხრივ იხსნება, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ იმით, რომ ეთნიკურად ხუბუშქიის მოსახლეობა განსხვავდებოდა ურარტული ტომებისაგან, იყო არა ურარტული, არამედ ხურიტული (მეორეს მხრივ ეს, რა თქმა უნდა იხსნება იმით, რომ მმართველები ამ, ასურეთსა და ურარტუს შორის მდებარე, ქვეყნისა თამაშობდნენ წინააღმდეგობებზე თავის ძლევამოსილ მეზობლებს შორის, ცდილობდნენ ნეიტრალურად დაეჭირათ თავი და ამით შეენარჩუნებინათ საკუთარი დამოუკიდებლობა. შეიძლება თვით ასურეთისა და ურარტუსთვისაც უფრო სასურველი იყო მათ შუა ასეთი ბუფერული სახელმწი-

ფოს არსებობა, ვიდრე საერთო საზღვრის ქონა, რომელიც მუდმივი ზრუნვისა და მღელვარების ობიექტი იქნებოდა)" (გ. მელიქიშვილი 1954, 92-93).

ამ მიზეზთაგან პირველი ნამდვილად არ არის საკმარისი იმის ასახსნელად, თუ რატომ „არ იქნა შეყვანილი ურარტუს სამეფოს შემადგენლობაში" ხუბუშქია, ურარტუელების სამეფოს შემადგენლობაში არაერთი, თუ ყველა არა, ტერიტორია შედიოდა, სადაც მოსახლეობა ადგილობრივიცა და სხვა ქვეყნებიდან წამოსხმულიც, არაურარტული იყო, მით უმეტეს, რომ თვით ურარტუელებიც, ამავე ავტორის აზრით, მოსულეები იყვნენ ვანის ტბის მიდამოებში ურმიის ტბისპირა ტერიტორიებიდან, კერძოდ არდინიდან (ასურული წყაროების მუსასირი) და თავისი ახალი საცხოვრისი დაპყრობილი ჰქონდათ (გ. მელიქიშვილი 1947, 267-286; გ. მელიქიშვილი 1954, 155-168). ასევე ვერ გახდებოდა ხუბუშქიელთა ეთნიკური კუთვნილება დამაბრკოლებელ გარემოებად ასირიისათვის, რომელსაც ასევე არაერთი ტერიტორია ჰქონდა დაპყრობილი მათზე მოსახლე ტომების ეთნიკური ვინაობის მიუხედავად.

რაც შეეხება მეორე მიზეზს, ის უფრო ანგარიშგასაწივე ჩანს, თუმცა ცალსახად ვერც ის ხსნის არსებულ სიტუაციას, ასურეთს, მაგალითად, არასოდეს შეუკავებია თავი ზემოდასახელებული მიზეზის გამო ვინმესთან საერთო საზღვრის გაჩენისაგან, მაგრამ ეს ცალკე ექსკურსის საგანია.

1.5 აკად. გ. მელიქიშვილს გამორიცხულად არ მიაჩნია შესაძლებლობა, რომ ხუბუშქიის მოსახლეობა ხურიტული ყოფილიყო. მისი აზრით, ხურიტულ იერ-სახეს ატარებს თვით ქვეყნის სახელწოდება „ხუბუშქია" (*hubuškia*), ციხე-სიმაგრის სახელწოდება „შილაია" (*šilāia*), ხუბუშქიის მეფეთა სახელები კაკი(ა) (*kaki(a)*) და დათა (ვარიანტული დანერვილობით: (*Data, Datana, Dada, Dadi*)).

მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ამ სახელის ეტიმოლოგიის დადგენა არ ხერხდება ხურიტული ენის საფუძველზე, ზოგი მათგანის მიჩნევას ხურიტულად ეტიმოლოგიური თუ არა, ისტორიული საფუძველი მაინც ეძებნება, თუნდაც მეფეთა სახელებს: კაკი (კაკია)-ს გ. მელიქიშვილი უკავშირებს სახელ კაკია-ს (kakia), რომელსაც ატარებდა ერთ-ერთი ძველასურელი მმართველი, სავარაუდოდ ხურიტული (სუბარული) წარმომავლობისა, ხოლო დათა, ეს სახელი ურარტუელთა შორისაც იყო გავრცელებული, დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ურის III დინასტიის სუბარულ სახელთა შორის (გ. მელიქიშვილი 1954, 92).

ანთროპონიმები ყველაზე მეტად ექვემდებარებიან კულტურულ გავლენებს და მათზე დაყრდნობით ცალსახა და შორსმავალი დასკვნების გაკეთება სარისკოა, ამიტომაც იჩენს გარკვეულ სიფრთხილეს აკად. გ. მელიქიშვილი ხუბუშქიასთან დაკავშირებული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების ენობრივი კუთვნილების განსაზღვრისას.

2.1. ასურულ ლურსმულ წარწერებში ხუბუშქიის შესახებ დაცული ინფორმაციის მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი ნაწილი იმდენად მწირია იმისათვის, რომ რაიმე უეჭველი ითქვას ამ ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ და ენობრივ კუთვნილებაზე, რომ შესაბამისად - ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ყველა მოსაზრება ვარაუდის სფეროში რჩება, მით უმეტეს, რომ გამონაკლისის გარეშე ყველა ხურიტული გაერთიანება ამ დროისათვის (ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეული) გამქრალია პოლიტიკური არენიდან, თუმცა ამის მიუხედავად ხუბუშქიას მაინც ხურიტულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად მიიჩნევენ ა. გიოტცე, გ. მელიქიშვილი, ი. დიაკონოვი, მ. ხაჩიკიანი და სხვ. თუმცა ვიმეორებ, რომ ეს ჰიპოთეზა დასახელებულ ავტორთა მაღალი ავტორიტეტის წყალობით არ გამხდარა ნაკლებ პრობლემატური და არ შეუძენია არც ერთი უდავო არგუმენტი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას არა მხოლოდ ხუბუშქიის ეტიმოლოგიზაციისას, არამედ სამუშაო ჰიპოთეზის შექმნისას: ქართველთა პირველსაღცხოვრისის კავკასიაში ლოკალიზაციისა (დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან ევფრატისა და ტიგროსის ზემო წელის, დასავლეთით კი შავი ზღვის ჩათვლით) და აქედან ქართველურ ტომთა სამხრეთისაკენ ყველა ხელსაყრელ მომენტში ექსპანსიისა და იქ ტერიტორიათა ოკუპაციის ზოგადი თეორიის ფარგლებში (მ. ქურდიანი, 2000, 185-193).

2.2. საერთო-ქართველური ეთნოსი იმ სინქრონულ ქრილში, რომელიც უშუალოდ უსწრებდა საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციას ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენებად, მრავალი ტომისაგან შედგებოდა, მათი აღმნიშვნელი სახელების ერთი ნაწილი დღესაც ცოცხალია (მ. ქურდიანი, 2000), ნაწილი დავინყებას მიეცა და დაიკარგა, ნაწილი კი ოდენ ტოპონიმთა სახით დარჩა საქართველოში ან უცხო ენებმა შემოინახეს ეთნიკური შინაარსის შეცვლით. ამ უკანასკნელთა რიგს ეკუთვნის, ჩემი აზრით, იმ ტომების სახელიც, რომელმაც განაპირობა როგორც ხუბუშქიის სამეფოს შექმნა, ასევე მისი სახელწოდებაც.

3.1. საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, არის ჰიდრონიმი აბაშა, იგივე სახელი ჰქვია მის მიმდებარე ერთ-ერთ რეგიონს, რომლის ტერიტორიაზე აბაშა ტოპონიმაც გვხვდება (ძველი აბაშა, ახალი აბაშა). ტოპონიმებს ჰიდრონიმი რომ არ უნდა ედოთ საფუძვლად, ამაზე მისი მეორე სახელწოდება აბაშის წყალი მეტყველებს.

საქართველოში გავრცელებულია გვარები: აბაშიძე, და აბაშია, რომლებსაც საფუძვლად სწორედ ეს ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებში დაცული აბაშ-ი უნდა ედოთ და არა ძველ ქართულ მწერლობაში აბისინიელის (ეთიოპიელის) აღმნიშვნელი ეთნონიმი ჰაბაში//აბაში (მდრ. კ. ნერეთელი 2000, 85-88 და 93-98).

3.2. აბაშ-ი ეთნონიმის აღდგენა, როგორც ერთ-ერთი საერთო-ქართველური ტომის აღმნიშვნელი სახელისა, არც ლინგვისტური და არც ისტორიული თვალსაზრისით გადაულახავ დაბრკოლებებს არ ხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ეთნონიმი ქართულ-ქართველურ ტომის აღსანიშნავად ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებული არ არის.

მე წარმოვადგენ აბაშ ეთნონიმის ლინგვისტური რეკონსტრუქციის მოდელს, რომლის ვერიფიკაცია შესაძლებელი იქნება საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული რეალიებით.

3.3. საერთო-ქართველური ფუძე-ენისთვის პირველ ეტაპზე დაშვებული იქნება წმინდა თეორიულ დონეზე არქეტიპი, რომელმაც კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმეცატივისობები უნდა მოგვცეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი წესების დაცვით:

ს/ქ.: *აბაშ-ი

ქართ.: *აბაშ-ი

სვან.: * აბასქ-ი// *აბაშქ-ი

ზან.: *ობოსქ-ი// *ობოშქ-ი

ქართველურ ენათა ფონეტიკის გათვალისწინებით თეორიულად ნავარაუდები ფორმები შემდეგ ტრანსფორმაციას გაივლიან:

სვან.: ა) *აბასქ-ი > *აბასგ-ი (დისიმილაციური გაჟღერებით)

შენიშვნა: სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ორ მჟღერს შორის მოხვედრილი ს-ს გაჟღერებაც და *აბაზგ-ი ფორმის მიღებაც.

ბ) *აბაშქ-ი > * აბაშგ-ი

შენიშვნა: ორივე შემთხვევაში - ე. ი. სისინა კომპლექსი გვექნებოდა თუ შიშინა, ეს ეთნონიმი უნდა დაკარგულიყო სვანურში მანამ, სანამ ამ ენაში წინა წარმოების პალატალური

უმლაუტი დაინყებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს დაკარგვა მის წინ მყოფი ა-ს გადასვლას გამოიწვევდა ა-ში

ზან.: * ობოსქ-ი > * უბუსქ-ი და შესაბამისად * ობოშქი > * უბუშქ-ი (ბილაბიალური ბ-ს გავლენით).

ხოლო ზანურისათვის დამახასიათებელი ხმოვნის მაგარი შემართვის პირობებში: *უბუსქ-ი> *ჰ/ხუბუსქ-ი და შესაბამისად *უბუშქ-ი> * ჰ/ხუბუშქ-ი. რაც აისახებოდა კიდევ დამწერლობაში.

3.4. ახლა თეორიულად დაშვებული არქექტიპისა და მისგან ნანარჩოები ფორმების ისტორიული რეალიებით ვერიფიკაციის შესახებ:

ქართ.: *აბაშ-ი

ეს ფუძე - როგორც ჰიდრონიმი და ტოპონიმი - ფაქტია საქართველოში, მაგრამ წარმოადგენდა თუ არა ის ეთნონიმს?

ა) აბაშ-ი უნდა ედოს საფუძვლად ეთნონიმს აბშილ-ი // აფშილ-ი; იგი მიღებული ჩანს აბაშ-ფუძეზე - ილ სუფიქსის დართვით, რამაც ფუძისეული ხმოვნის რედუქცია გამოიწვია:

აბაშ+ილ- > აბშილ-

ბ) არ არის გამორიცხული, რომ * აბაშილ > * აბშილ მთლიანი ფუძეც ყოფილიყო. აბშილ-იდან არის მიღებული დაყრუების გზით აფშილ-ი (შდრ. პარალელურად არსებული გვარები აბშილავა და აფშილავა).

შენიშვნა: ამჟამად ქართულ ენაში ადამიანთა სადაურობის სახელთა მანარჩოებელი სუფიქსი - ელ-ი და არ-ია (შესაბამისად ზანური - არ-ი და ორ-ი), მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ - ილ-ი ამ ფუნქციით არასოდეს გამოიყენებოდა არც ის უნდა იყოს ინტერესმოკლებული, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილთან 'Αφῆλοι (აფსილოი) ფორმის პარალელურად დადასტურებულია 'Αφῆλοι (აფსელოი) ფორმაც (ივ. ჯავახიშვილი, 1950, 120).

ბერძნულმა შიშინა სპირანტიის არქონის გამო აფშილი აფსილად გადაიტანა, ('Αψίλαι „აფსილები“) ასევე მოიქცა ლათინურიც: Apsilae; მაგრამ სომხურმა ის ქართულიდან ისეხსა იმ დროს, როდესაც ქართულში აბშილ > აფშილ პროცესი უკვე მომხდარი იყო, ხოლო სომხურში ლ: ლ>დ პროცესი - ჯერ კიდევ არა, თორემ გვექნებოდა აფშილ და არა აფშილ.

ამდენად, სრული უეჭველობით შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ არსებობდა ტომი, ქართველური ტომი, რომლის სახელიც ქართულად იყო აბაშ-ი (ან აბაშილ-ი, რაკი ქართული ონომასტიკური მოდელი გამორიცხავს ელ+ეთ (ილ+ეთ) შესაძლებლობას).

3.5. რაც შეეხება ამ ეთნონიმის სვანურ ფორმას, სამი შესაძლებელი ვარიანტიდან *აბასგ, *აბაზგ და *აბაშქ ისტორიული რეალიები თითქოს მხოლოდ პირველ ორს უჭერს მხარს და შესაბამისად, სწორედ ისინი უნდა იქნენ ჩათვლილი ფაქტად, რომელიც ადასუტურებს თეორიულ დაშვებას, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

შენიშვნა: არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ სვანურ დიალექტში ხორციელდებოდა მჟღერთა გამკვეთრება: აბასქ>აბასგ>აბასკ, ან აბაშქ>აბაშგ>აბაშკ), როგორც ამას დღესაც აქვს ადგილი მაგ. ლენტეხურ დიალექტში.

სწორედ სვანურიდან უნდა იყოს ნასესხები ბერძნულში აბაშების ტომის აღმნიშვნელი ტერმინები: 'Αβασαοι (აბასკ-ებ-ი) და 'Αβασυοι (აბაზგ-ებ-ი) (შდრ. ე. ოსიძე - 1993). მიუხედავად იმისა ბერძნული სვანურისაგან შიშინა ფორმას ისეხსებდა თუ სისინას, ბერძნულში შიშინა სიბილანტების არქონის გამო, მასში მაინც მხოლოდ სისინა ფორმით აისახებოდა ეს ნასესხობა.

ერთი შეხედვით ლოგიკური ჩანს, რომ „აფშილები“ და „აბაზგები“, რაკი ისინი ერთსა და იმავე წყაროებში ერთმანეთის გვერდიგვერდ და ერთდროულად იხსენიებიან, ორ, სხვადასხვა, ეთნო-ლინგვისტურ ერთეულად ჩავთვალოთ, ორ სხ-

ვადასხვა ენაზე მეტყველ მეზობელ ტომად. მაგრამ თუ ბერძენ მოგზაურთა და ისტორიკოსთა პრაქტიკას ჩავუღრმავდებით აღმოვაჩინებთ, რომ ისინი ხშირად მოიხსენიებენ ერთსა და იმავე ტომს სხვადასხვა სახელით, ვთქვათ-თვითსახელწოდებითა და მეზობელთა მიერ დარქმეულით, და მას ამ სახელების თანახმად ორ ან მეტ ტომად წარმოსახავენ და შემდეგ ერთმანეთის გვერდით აღწერენ.

თითქოს სწორედ ასეთი რამ უნდა მომხდარიყო ჩრდილოდასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის აღწერისასაც, როდესაც აბაშთა ტომი ორი სახელით - ჯერ ქართული აბშილ// აფშილ-ით, შემდეგ სვანური აბასკ//აბაზგ-ით მოიხსენიეს. მაგრამ უფრო ლოგიკური იქნება იმის დაშვება, რომ საერთო ქართველური ტომი აბაშთა ამ დროისათვის უკვე სამ სხვადასხვა ქართველურ ენაზე მეტყველებდა, მაგ: აბაშები (აბშილები) - ქართულად, აბაზგები (აბასკები) - სვანურად... და მაშინ ბერძნულ წყაროებთან სადავო ამ თვალსაზრისით არაფერი რჩება.

3.6 რაც შეეხება თეორიულად რეკონსტრუირებულ ზანურ ფორმებს *ჰ/ხუბუსქი//*ჰ/ხუბუშქ-ი: თუ დავუშვებდით, რომ სვანურმა სისინა კომპლექსს დაუჭირა მხარი თითქოს ზანურშიც უპირატესობა სისინა კომპლექსისთვის უნდა მიგვენიჭებინა, რადგან ზანური და სვანური ერთნაირი კონსონანტური შესატყვისობებით უპირისპირდებიან ქართულს (ისევე, როგორც ქართული და სვანური უპირისპირდებიან ზანურს ერთნაირი შესატყვისობებით ხმოვნებში), მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ იქ, სადაც სვანურში სისინა კომპლექსები გვაქვს, ზანურში იმავე პოზიციაში შიშინა კომპლექსებია პოვნიერ მაგ: სვ.: ჭისგუ: ზან.: უშქუ-რი „ვაშლი“ და სხვ. (მ. ქურდიანი, 1996, 253-262).

ვინაიდან ფონეტიკის პოზიციიდან დაბრკოლება იხსნება, არჩევანი ისტორიული რეალობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს: *ჰ/ხუბუშქ-ი ასურულ ლურსმულ წარწერებშია დადასტურებული და, ამდენად, ის ფაქტია, რა თქმა უნდა თუ ხუ-

ბუშქია რეალურად ხუბუსქიად არ იკითხებოდა, ახლა მთავარია ამ ფაქტის სწორი კვალიფიკაცია და დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე: როგორ მოხვდნენ ქართველური ტომები ვანის ტბის სამხრეთით და როგორ დაუკავშირდნენ ისინი ნაირის სარტყელში სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესს? ამჟამად არანაირი მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხი ამ კითხვაზე არ გამაჩნია, რაც შეეხება წმინდა ალბათურ დაშვებებს, მათი წარმოდგენა შემდეგი სახითაცაა შესაძლებელი.

3.7 უკვე საერთო-ქართველური ფუძე-ენისა და შესაბამისად საერთო-ქართველური ეთნოსის დიფერენციაციის შემდეგ, მონათესავე ენებზე მეტყველ ტომებს არ დაუკარგავთ ოდინდელი ერთიანობის ხსოვნა, ისინი ერთიანდებოდნენ ლაშქრობებსა და დაპყრობითი ომების ჩასატარებლად და მათი ექსპანსია, ჩვეულებრივ, მიმართული იყო სამხრეთისაკენ იქნებოდა ეს სამხრეთ-დასავლეთი (მცირე აზია) თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი (წინა აზია). ასეთი ტიპის სამხედრო ექსპედიციების დროს ისინი ხშირად საკმაოდ შორს იჭრებოდნენ სამხრეთში, სადაც აარსებდნენ ქალაქ-სახელმწიფოებსა თუ ზოგჯერ საკმაოდ ვრცელ ქვეყნებს: ასეთები უნდა ყოფილიყო ძვ. წ. XII-VII საუკუნეების ორი „მუშქთა ქვეყანა“: - ერთი წინა აზიაში ევფრატის ზემო წელიდან ტიგროსის სათავეებისა და ზემო წელის მარცხენა ნაპირის ჩათვლით, მეორე კი მცირე აზიაში მდ. ჰალისის (ყიზილ-ირმაკის) შუა წელის სამხრეთით (ნ. ხაზარაძე - 1984, ნ. ხაზარაძე - 1993, ნ. ხაზარაძე - 1998). ასეთივე ქვეყნად მივიჩნევ ხუბუშქიას, ვანის ტბის სამხრეთით, დღევანდელი მდ. ბოხთან-სუს ხეობაში.

3.8. ხუბუშქიელები ერთ-ერთი სამხედრო ექსპედიციის დროს უნდა მოხვედრილიყვნენ ე. წ. „ნაირის სარტყელში“, სადაც იმ დროს მნიშვნელოვანი ეთნო-პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა, უპირველეს ყოვლისა, ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შექმნა, და მათაც ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვათ. მათი მეთაურობით და სახელით შექმნილი

სახელმწიფო ჯერ ასურეთთან, რომელსაც ამ დროს ჩრდილოეთიდან საფრთხის წინათგრძნობა არ აქვს, ცდილობს ურთიერთობის მშვიდობიან გარკვევას (აშურნასირფალ II-ის ეპოქა) და შემდეგ იპყრობს მეზობელ ქალაქ-სახელმწიფოებს, ახდენს მათ ანექსიას და ყალიბდება ანგარიშგასაწიე ძალად, თუმცა არა ისეთ ძლევამოსილ სახელმწიფოდ როგორც ურარტუ ხდება მის ჩრდილოეთით, ამაში ხუბუშქია მალე რწმუნდება სალმანასარ III-სთან დამარცხებით, რამაც როგორც ჩანს ძირითადი მეომარი ძალა (სავარაუდოდ ქართველური ელემენტი) ფიზიკურად მოსპო და ამ, როგორც ჩანს, ეთნიკურად არაერთგვაროვანი სახელმწიფოს შემდგომი ბედიც და პოლიტიკაც განაპირობა. აბაშელთა ზანურენოვანი ტომიდან კი ქვეყნის სახელი და ალბათ სამეფო დინასტიაღა დარჩა.

მსგავსი რამ ისტორიიდან ცნობილია, ტიპოლოგიურად ასევე უნდა მომხდარიყო ხეთების სახელმწიფოში სადაც ზაგროსის მთიანეთიდან მოსულმა ხეთებმა ქვეყანას თავისი სახელი და სამეფო დინასტია მისცეს, და შუა საუკუნეების ბულგარეთშიც სადაც მოსულმა ხალხმა სლავთა მრავალრიცხოვან ქვეყანას თავისი სახელი დაანათლა და მეფე-მთავართა დინასტია დაუარსა და სხვ.

არ არის გამორიცხული, რომ ხუბუშქიელები არ იყო აბაშთა ერთადერთი ტომი რომელიც სამხრეთისაკენ დაიძრა, ზანურენოვან ხუბუშქიელებთან ერთად სამხრეთისაკენ უნდა დაძრულიყვნენ ქართველურენოვანი აბშილების რაზმებიც, რისი ანარეკლიც უნდა იყოს აბეშლას მეომრების ხსენება ტიგლათფილესერ I-ის წარწერაში ურუმიელებთან ერთად, ამ უკანასკნელთა სემიტობასა და სამხრეთელობაში ეჭვის შეტანა ძნელია. აბეშლაელები ასეთი ფორმით არიან მოხსენიებულნი *mât a-bi-eš-la-a-ia meš* ანუ ურედუქციო ფორმით, რაც მის განსაკუთრებულ სიძველეზე უნდა მეტყველებდეს და იმ ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს როდესაც სუფიქსის დამატება ჯერ კიდევ ვერ იწვევდა ფუძის რედუქციას. აბეშლასათვის ამოსავა-

ლი ფორმა აბაშ-ელ ან აბაშ-ილ უნდა იყოს, სახეცვლილი ლურსმული დამწერლობის თავისებურებათა მიხედვით. აკად. გრიგოლ გიორგაძის აზრით: "არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ აბეშლაელთა სახით საქმე გვაქვს ასევე კოლხური (დასავლურ ქართული) წარმოშობის ტომებთან" (გრ. გიორგაძე - 2000, 70).

არ ჩანს საფუძველი იმ ვარაუდისათვის, რომ აბაშთა ტომები საქართველოს ცენტრალური რეგიონიდან რაიმე უცხო ძალის დანოლის ან ტომობრივი შუღლის მიზეზით აიყარნენ თავისი სამკვიდროდან, უფრო სარწმუნო მაინც მათი სამხედრო ექსპანსია ჩანს სამხრეთისაკენ, რასაც ისეთი ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, რომ ქართველური ონომასტიკის სისტემატურმა ფიგურირებამ სამხრეთში ქართველურ ტომთა პირველსაცხოვრისის სამხრეთში მდებარეობის ჰიპოთეზასაც კი დაუდო საფუძველი.

ლიტერატურა:

გრ. გიორგაძე, 2000. ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისთვის ახალციხე, თსუ ახალციხის ფილიალის გამომცემლობა.

გ. მელიქიშვილი, 1947. ურარტული ტომების უძველესი კერა: „ანალები“, I, 1947, გვ. 267-286. 1954. Наири-Урарту, I, Тбилиси, Издательство Академии Наук Грузинской ССР.

ე. ოსიძე, 1993. აბასკ//აბასგ ეთნონიმის წარმომავლობისათვის: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი. მეცნიერება. გვ. 565-569.

მ. ქურდიანი, 1996. საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა, ქართველური მემკვიდრეობა: I, გვ. 253-262. 2000. საერთო-ქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებისათვის („მესხი“, „მესხები“): მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე. გვ. 185-193.

კ. წერეთელი, 2000. სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. თბილისი. ნეკერი.

ნ. ხაზარაძე, 1984. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები). თბილისი. მეცნიერება. 1993. „მესხი“ ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი. მეცნიერება. გვ. 21-41.

1998. მოსხების ქვეყნის („მოსხიკე“-ს) წარმოქმნისა და დაცემის თარიღის საკითხისათვის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალციხის ფილიალი, შრომების კრებული, I, თბილისი-ახალციხე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 172-177.

ივ. ჯავახიშვილი, 1950. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

Хубушкиа

(Этно-лингвистические проблемы древней истории Грузии, Кавказа и ближнего Востока I.)

Хубушкиа ассирийских клинописных надписей находилась южнее озера Ван, в ущельи реки, которая ныне называется Бохтан-су. Это тот географический пояс, который упоминается в ассирийских источниках как "Наири" или "страна Наири".

По существующим соображениям Хубушкиа была Хурритским государством. Эта гипотеза очень проблематична как с исторической точки зрения (хурриты исчезли с политической сцены уже к I тысячелетию до н. э.), так и с лингвистической: Во-первых, существование хурритской антропонимики и топонимики еще не означает однозначно, что их носители были хурритами (известно, что культурные влияния и языковые контакты в первую очередь проявляются в антропонимике) или, это географические пункты, имеющие хурритскую топонимику, были все еще населены хурритами.

Во-вторых, кто доказал, что все эти антропонимы или топонимы на самом деле хурритского происхождения и они этимологизируются на основе хурритского языка.

В настоящей работе представлена новая точка зрения объяснения происхождения названия страны Хубушкиа, на этот раз на основе картвельских языков. Для чего использована сконструированная на базе компаративистики теоретическая модель. Для типологической верификации результатов использованы историко-политические параллели.

Работа выполнена в контексте общей теории автора, которая предполагает прародину грузин на их нынешней территории (южный Кавказ, побережье Черного моря) и экспансию картвельских племен (кардухов, месхов и др.) на юг и там возникновение под их властью и с их топонимикой государственных образований.

M. Kurdiani

Hubuskia

(The ethno-linguistical problems of Georgia, Caucasus and Near-East's ancient history. I.).

Syrian script Hubuskia was located on the South of Vani lake, in the gorge of river, it's now called Bokhtan-su. It is very place which by Syrian sources named as 'Nairi' or 'the countries of Nairi'

Hubuskia is considered as Huritan state. This hypothesis is very problematic as historical side (in the 1st millennium B.C. Huritans disappeared from the political stage) as linguistic one (first of all, existence Huritan's anthroponyms and toponyms does not mean digitally, that they are very Huritans, it is well known in anthroponomy, that cultural influences and languages contacts are easy and wide reflected culturally), or geographical toponym points are occupied by Huritans yet, and the second, who's proved these anthroponyms and toponyms are Huritans and etymologized on the base of Huritan language?.

Our work introduces new viewpoint for the explanation of Hubuskia, this time on the base of Kartvelian languages. We used

theoretical model based on komparativistics reconstruction. For the typological verification is used historical-political parallels.

The work has done in the context of author's general theory, which means the first place of occupation of Georgians on the territory nowadays are occupied by them (the South Caucasus, the Black Sea's region) and Kartvelian tribes (Kardukhs, meskhs and others) expansion in the direction of South and state creations by their leading and onomastics.

О НЕКОТОРЫХ ОСОБЕННОСТЯХ СИСТЕМЫ ВОЗНАГРАЖДЕНИЯ ТРУДА В ГОСУДАРСТВЕННОМ ХОЗЯЙСТВЕ ШУМЕРА ЭПОХИ III ДИНАСТИИ УРА (Вознаграждение растительным маслом)

Администрация государственного хозяйства Шумера эпохи III династии Ура (2132-2024 гг. до н.э.) в качестве вознаграждения труда (З,с.121) регулярно (сжемесячно) выдавала постоянным работникам (мужчинам – *giguš*, женщинам, - *gétis* и подросткам - *dumu*) ячменное зерно (*še-ba*, досл. "дарские (*ba*) зерном (*šc*)"). За фактически отработанный в хозяйстве день (а не за физический день) мужчине-непрофессионалу выдавалось 2 *сила* (прибл. 2 л) зерна, а женщине - 1 *сила*. Очень редко, и то в особых случаях, вместо зерна (только в его счет) выдавались и другие продукты - кунжугное масло (*i,i-giš*), которое иногда заменялось свиным или бараньим салом (*i-šah, i-udu*) и рыбьим жиром (*i-ku₆*), финики (*su₁₁-lum*), сезамные продукты (*še-giš-i*), иногда рыба (*ku₆*), пиво (*kaš*), попеременно - солод (*bulug*), очень редко мясо (*uzu*), столь же редко различные фрукты и в исключительных случаях - соль (*sun*). Регулярно, раз в год, рабочему персоналу выдавалась шерсть (*sig*) или ткань (*tug*).

Необходимо по отдельности скрупулезно изучить случаи выдачи этих продуктов. На этот раз мы попытаемся выяснить некоторые вопросы выдачи растительного масла работникам.

Прежде чем приступить к анализу случаев выдачи работникам этого продукта, хотим сразу же указать на следующее обстоятельство: в одном из своих трудов И. Гельб пишет, что в системе рациона древнего Двуречья (он в основном имеет в виду эпоху III династии ура) выделяется регулярная (подчеркнуто нами, - Дж. Ш.)

выдача трех основных продуктов зерна, растительного масла и шерсти (5, с.230; ср. 7, с. 212).

Этого же вопроса коснулся и И.М. Дьяконов. Он отмечает, что в исследуемую эпоху "гурушу или геме... выдавался паск (шсба)... в среднем 1,5 л ячменя в день на мужчину и 0,75 л на женщину, 3-4 л кунжутного масла в месяц и 2 кг шерсти на мужчину и 1,5 кг на женщину в год" (1, с.271)

Исходя из сказанного, создается впечатление, будто работникам хозяйства регулярно давали два основных компонента рациона, принимасмого в древнем Двуречье - хлеб и растительное масло. Данные документов никак не подтверждают это мнение. Определенно заметно лишь одно: администрация хозяйства регулярно, почти ежемесячно выдавала рабочему персоналу только ячменное зерно. Как уже сказали, также регулярно, один раз в год, выдавался и шерсть. Что же касается растительного масла, то его выдавали совсем не регулярно. Напротив, как ясно свидетельствуют документы, - 1) растительное масло работникам-непрофессионалам выдавалось крайне редко (и вообще, выдача растительного масла работникам-профессионалам и представителям администрации представляется явлением редким); 2) этот продукт в основном выдавался в хозяйстве города Ура и 3) выдавался только в чрезвычайных случаях.

Какие у нас основания утверждать, что растительное масло выдавалось работникам очень редко?

1). Примерно в 2.500 из имеющихся у нас 22.000 хозяйственных документов эпохи III династии Ура говорится о выдаче рабочему персоналу хозяйства различных продуктов. Из них о выдаче растительного масла свидетельствуют лишь 133 (для сравнения: о выдаче зерна говорится почти в 2.000 документах).

2). Мы говорим, что растительное масло в основном выдавалось в хозяйстве столичного города Ура. Об этом наглядно сви-

детельствуют следующие данные: из упомянутых выше 133 документов, в которых речь идет о выдаче растительного масла (отдельно или вместе с другими продуктами), 16 документов происходят из Лагаша, 4 - из Пузришдагана, 3 - из Уммы и 110 - из Ура. Это явно свидетельствует о том, что выдачу растительного масла, можно сказать, производили лишь в Уре.

3). Масло выдавалось лишь в чрезвычайных случаях. Об этом свидетельствуют следующие данные: лишь 89 из упомянутых 133 документов датированы (на остальных даты нет или соответствующие места повреждены). Из них на время царствования Шульги приходится 5 документов (4,430; 6,70; 16,180; 233; 437), Амарсуэны - 4 (8,3; 10,101; 11,1072; 1073), Шусуэны - ни одного, а остальные 80 падают на 4-9 годы царствования Иббисуэны (2047-2024 гг. до н.э.) - последнего царя III династии Ура (11,4;888; 1005; 1008; 1025; 1036; 1047-1049; 1053-1054; 1091; 1125; 1140-1144; 1146-1147; 1149-1150; 1152; 1154-1155; 1157-1164; 1166-1174; 1176-1182;1187; 1307; 1377; 1420; 1422; 1424; 1426; 14,29; 32-34; 156; 223; 830; 845; 883-868; 870; 878; 889; 897; 901).

Исследователями замечено и уже давно специально подчеркивается, что в последний период III династии Ура, почти с самого же начала царствования Иббисуэны в стране была создана тяжелая экономическая обстановка (9, с.177 сл.; ср. 7,с.223 сл.), вызванная почти непрерывными набегами аморейцев с Запада и эламитов с Востока. В 4-9 годах царствования Иббисуэны один за другим прекращают существование целый ряд филиалов государственного хозяйства, о чем свидетельствует почти одновременное прекращение ведения в этих филиалах учетных документов. Раньше всего хозяйственная жизнь угасла в филиале эшнунской области, расположенной в долине реки Диялы. Случалось это в 3 год царствования Иббисуэны. Ведения документов в лагашском

филиале прекратилось с 5 года; в Умме - с 6 года, в Ниппуре - с 7 года (9,с.174; ср. 1,с.286).

Пока что не разорен и продолжает функционировать только столичный филиал. Хозяйство здесь еще работало до 12 года царствования Иббисуэны, но с большими помехами и частыми перебивками (12,с.278). С 13 же года и в Уре почти целиком обрывается ритм хозяйственной жизни. Хотя производство дела здесь все таки велось до последнего года царствования Иббисуэны, однако редчайшие документы не могут быть свидетельством сколько-нибудь значительной хозяйственной жизни.

По тогдашней официальной переписки выясняется, что страна испытывала крайний недостаток зерна; оно закупалось в различных краях, однако не всегда успешно и не по выгодным ценам.

До нас дошел один интересный документ, составленный в 6-ом году царствования Иббисуэны, принадлежащий одному из высокопоставленных лиц, посланному по поручению царя для покупки зерна, - правителю города Мари Ишбиэрре. Письмо хорошо рисует картину кригического политического и экономического положения страны. В нем читаем: "Скажи моему царю Иббисуэне (то, что) сказал его слуга Ишбиэра (обычно так начинались все письма тогдашней эпохи, Дж.Ш.): я отправился в (край городов) Иссина и Казаллу для покупки зерна. (Здесь) цена зерна такова: 1 гур (=300 л) зерна (продается за) 1 сикль (=8,4 г) (серебра). Для покупки (нужного количества) зерна (дополнительно должны) выслать 20 талантов (1 талант= 30,5 кг) серебра. Докладываю (то, что здесь) я узнал: вражески (настроенные) аморейцы вступили на территорию (нашей) страны. (Пока что удалось) закупить (лишь) 144.000 гуров зерна в Иссине. Недавно группы аморейцев (повторно) перешли (границу) страны (и) захватили (приграничное укрепление) "Большую стену". Из-за

(нападения аморейцев, я не смог заготовить (необходимое количество) зерна. Если дело чрезвычайно (не) осложнится, я провею (?) (купленное) зерно (и) смогу изготовить для своего царя 60 лодок (каждая) вместимостью 120 гуров (для перевозки зерна)..." (13.с.33 и табл. IV, № 9).

Вынужденная поездка Ишбиэры за зерном, засвидетельствованная сведениями письма, не должна была быть единственным случаем. Хотя и одного этого факта достаточно для того, чтобы получить представление о сложном экономическом (и политическом) положении страны из-за недостатка собственных ресурсов. Подобные экспедиции не могли всегда заканчиваться успешно; из самого письма хорошо видно, в каких сложных условиях пришлось покупать - и то только часть необходимого - зерна Ишбиэрра и посылать его в столицу (сомнительно также, удалось ли ему его выслать).

В условиях подобных чрезвычайных обстоятельств в стране, совершенно понятно, почему администрация филиала хозяйства города Ура стала выдавать и без того поредевшему контингенту работников растительное масло вместо зерна. Включая 5-й год царствования Иббисуэны, в городе Уре работникам хозяйства еще выдавалось зерно (и то не всегда), но с 6-го года случаи выдачи зерна стали резко уменьшаться и его место почти полностью заняло растительное масло, финики, рыба и другие, так сказать, деликатесные продукты. Это было результатом ухудшения условий жизни, а не наоборот.

Сохранилось достаточное количество документов о выдаче в эти годы масла работникам индивидуально, сведения которых дают возможность установить количественные нормы выданного масла. Если сгруппируем эти данные документов, мы можем представить их в виде приводимой ниже таблицы. В таблице хорошо видны нормы вознаграждения труда отдельных представи-

телей рабочей силы хозяйства растительным маслом, когда оно выдается работникам отдельно, а не вместе с другими продуктами (количество масла выражено в сила):

Работники – guguš	Работницы- géme	Подростки – dumu
8	5	2
6	4	1½
5	3⅙	1
4½	3	
4	2	
3	1	
2		
1		
½		
⅓		
1 агам (=0,56 мл)		

По данным этой таблицы можно сделать следующие выводы:

1). Как видим, работникам-мужчинам растительное масло выдавалось в основном от 1 до 6 сила в месяц. Выдачу большего или меньшего количества следует считать исключением (случаев выдачи 8 или 1/2, 5/6 сила и 1 агам масла крайне мало) (11,1158; 14,152; 878; 16,365).

2). Нижним пределом выдачи различного количества растительного масла женщинам-работницам является 1 сила, а верхний - 5 сила. Подросткам - соответственно 1 и 2 сила.

3). Явно заметно, что различным по полу и возрасту работникам выдается совершенно различное количество растительного масла. Чем же должно было быть вызвано это обстоятельство?

Выявить об этом какие-либо прямые сведения в документах о выдаче масла не удастся. Для того, чтобы разобраться в сути вопроса, следует обратиться к аналогии выдачи работникам зерна.

Данные хозяйственно-учетных документов ясно указывают на то, что непрофессиональным работникам зерно выдавалось из расчета фактически отработанных ими в хозяйстве дней - 2 сила зерна за один трудодень (3,с. 88 сл.). Изучение соответствующего материала убедило нас, что тот или иной работник был занят в хозяйстве в течение разного количества дней месяца. Были такие, которые работали полных 30 дней: в конце месяца они обычно получали 60 сила зерна, а проработавшим 25, 20, 15, 10 и т.д. дней, выдавалось соответственно 50, 40, 30, 20 и т.д. сила (2,с,82 сл.).

Подобная же правила вознаграждения труда засвидетельствована и в отношении женщин. Занятые на сельскохозяйственных работах женщины за один человекодень получали, как было сказано, 1 сила зерна. В соответствии с этим, в случае занятости в течение целого месяца ей выдавалась 30 сила, а за меньшее число дней, разумеется, меньше зерна - 25, 20, 15 и т.д. В отдельную категорию выделялись женщины, занятые в ткацком деле. В зависимости от профессии и квалификации, за 30 дней занятости их труд вознаграждался 60 сила зерна (6,62), 25 дней - 50 сила и т.д.

Подростки делились на три основные (видимо, возрастные) группы. Первая получала самую высокую вознаграждению зерном - 20 сила, вторая - 15, а третья - 10 сила (2,с.34-35).

Как при выдаче зерна, так и в случае выдачи растительного масла, беспорно, принималась в расчет продолжительность занятости работника. Иным невозможно объяснить то обстоятельство, что одна и та же категория работников в конце месяца получает различное количество растительного масла. На то, что подобный допуск не лишен основания, указывает следующий факт: растительное масло выдавалось работникам только и только в счет полагаемого им зерна. В документах о выдаче растительного масла неоднократно указано, что "масло (выдается) вместо зерна" (i tu še-šè) (11,1046: 2; 1063:5; 1187:3; ср. 5,с.237; 7,с.238) или так: "x сила масло вместо x сила зерна" (x sila i tu x sila še)(11, 1025:22; 1046: 1-2; 1063:5; 1187:3).

В документах указано также, что растительное масло менялось на зерно в определенном соответствии - в зависимости от сложившейся конкретной экономической ситуации администрация государственного хозяйства соблюдала эквивалентное соотношение между этими двумя основными продуктами: 1 сила растительного масла в основном меняли на 10 сила зерна (11, 1025:19; 1063:3-6). В 6-8 годах царствования Иббисуэны это соотношение иногда колебался. Зафиксированы случаи, когда 1 сила растительного масла приравнивалась 15 сила зерна (11,1025:22=ИС 6), но иногда были случаи, когда 5 сила масла обменивались на 10 сила зерна (11,1046: 1-2=ИС 8; в случаи подобных резких отклонений см. 11,1046: 6=ИС 8; 1187:2-3=ИС 8). Это, видимо, происходило из-за моментально создававшихся в течение года кризисных ситуаций, но сейчас это не имеет для нас принципиального значения. Главное в том, что: 1). Растительное масло выдавалось только и только вместо зерна. Растительное масло, несомненно, выдавалось работнику только тогда, когда на складе государственного хозяйства не было нужного количества зерна (ср.18,с.118-127); 2). Исходя из этого, и растительное мас-

ло, бесспорно, выдавалось с соблюдением того же принципа, по которому выдавали зерно - величина месячных норм зерна и масла определялся количеством фактически проработанных в течение месяца работником трудодней.

Если это было так (и основания сомневаться в этом у нас пока нет), то получится, что работники-мужчины, получающие 6 сила растительного масла, бесспорно, те же, кому полагалось в месяц 60 сила зерна; получающие 5 сила растительного масла - те же, кто получают 50 сила зерна и т.д. Таким простым пересчетом можно сгруппировать и работниц и подростков, получающих растительное масло и - соответственно - зерно.

Прояснение сути случаев выдачи работникам растительного масла вместо зерна указывает на то обстоятельство, что выдачи растительного масла в качестве вознаграждения труда администрация хозяйства, как правило, не производила. Оно выдавалось лишь при критической экономической ситуации или других, очень редких, пока еще не совсем ясных нам экстраординарных случаях. Исходя из этого, считаем, что нет никакого основания говорить о будто бы регулярности выдачи растительного масла.

До сих пор мы вели речь о таких случаях, когда работникам хозяйства выдавалось лишь одно растительное масло, без сопровождения других продуктов. Однако в документах засвидетельствованы и такие случаи, когда работникам-непрофессионалам сравнительно редко, но все же выдавалось растительное масло вместе с другими продуктами - зерно, рыба и т.д. Рассмотрим и этих случаев в свете конкретных показаний документов.

В нашем распоряжении имеется 17 текстов из Ура, касающиеся случаев смешанной выдачи продуктов работникам. Документы эти, как было сказано, - из архива города Ура и, столь более всего интересно, датированы 6-7 годами царствования Иб-бисуэны (11; 1025; 1040; 1047; 1049; 1066; 1091; 1125; 1150; 1377;

14,26;826; у остальных 6 из 17 упомянутых документов из-за поврждения соответствующих мест нет датировки - 11,1072; 1073; 14,50; 66; 87; 107; - но их некоторых реалии не вызывают сомнения в том, что они относятся к 6-7 годам царствования Иббисуэны).

Выясняется, что в эти годы зерно, причитающееся всем категориям и различного пола работникам, стали заменять (иногда целиком) как растительным маслом, так и фиником и рыбой. Засвидетельствовано четыре варианта выдачи продуктов в смешанном виде - работникам выписывается: 1). зерно вместе с растительным маслом; 2). зерно, растительное масло и финики; 3). только растительное масло и финики без зерна; 4). растительное масло и рыба также без зерна. Приведем здесь же соответствующие выписки из документов, которые иллюстрируют все четыре варианта смешанной выдачи продуктов:

1) 20 (sila) še 4 sila i (11, 1049 II 3).

2) 15 sila še 10 (sila) su₁₁-lum 3 sila i (11, 1047, об. II 15).

3) 3 sila i 25 sila su₁₁-lum (11,1048:25).

4) 4 sila i 10 (sila) ku₆ (11, 1040 V 1).

Посмотрим теперь, в каких пропорциях обменивалось зерно на другие продукты, в частности, на растительное масло, финики и рыбу в 6-7 годах царствования Иббисуэны.

Выше мы вскользь отметили, что в эти годы цена на зерно была довольно неустойчивой. В зависимости от ее колебаний менялась и картина эквивалентного соотношения зерна с другими продуктами. Поэтому и необходимо пересмотреть и учесть эти соотношения для обоих интересующих нас в данный момент годов.

I. Эквивалентное соотношение основных продуктов в 6-ом году царствования Иббисуэны. В этом году работникам одновременно выдавалось зерно, финики и растительное масло. Согласно

тогдашним документам соотношение между этими продуктами было следующим:

1) а). 1 sila i še-bi 10 (sila) - для мужчин (11,1025:19;1377: 8).

б). 1 sila i še-bi 15 (sila)- для подростков (11,1025:22).

2) 1 sila še=1 sila su₁₁-lum- для всех (11,1039:8).

Получается, что в 6 году царствования Иббисуэны 10 сила зерна была эквивалентно 10 сила финики (ср. 11,1083:1-3; 1084:1-2; 1207:15) и 1 сила растительного масла.

II. Соотношение продуктов в 7-ом году царствования Иббисуэны. В этом году работникам выдавались те же продукты, что и в 6-ом - зерно, финики и растительное масло. Их эквивалентное соотношение, видимо, в это время осталось тем же, что и в 6-ом году. Возможно, поэтому в документах специально и не отмечалось их эквивалентное соотношение в этом году. Новым в 7-ом году царствования Иббисуэны было то, что в ведомостях 10-го месяца впервые появляются сведения о выдаче работникам, в частности, женщинам-работницам, рыбы. Видимо, перестало хватать и финика и растительного масла и к этим продуктам при замене зерна добавили рыбу.

К сожалению, документы, в которых идет речь о выдаче рыбы (11,1040; 14,66), повреждены, из-за чего в них не сохранились (если они вообще были) соответствующие данные об эквивалентном соотношении рыбы к другим продуктам.

После всего сказанного можем относительно лучше представить, какое количество продуктов в пересчете на зерно выдавалось в 6-7 годах царствования Иббисуэны в условиях временно (и в последний раз) введенного вознаграждения труда смешанными продуктами.

К сожалению, большинство дошедших до нас документов, в которых содержатся сведения о смешанном вознаграждении труда, повреждено. В их заключительной части безо всякого спс-

циального указания вместе представлен список работников-профессионалов и непрофессионалов. И их разделение друг от друга можно разве что условно, по размеру вознаграждения труда. Для наглядности приведем здесь же данные одного типичного документа из Ура:

1. šu+nigin [21] guruš 30 (sila), še 5 sila i - ta всего: /21/ гуруш, 30 (сила) зерна (и) 5 сила масла каждому,
2. šu+nigin 31 guruš 25 še 5 sila i-ta всего: 31 гуруш, 25 сила зерна (и) 5 сила масла каждому,
3. šu+nigin 22 guruš 20 (sila) še 4 sila i-ta всего: 22 гуруша, 20 (сила) зерна (и) 4 сила масла каждому,
4. šu+nigen 31 guruš 15 sila še 3 sila i-ta всего: 31 гурш, 15 сила зерна (и) 3 сила масла каждому (11,1049 II 1-4).

Документ, откуда приведены эти сведения, датирован 7-м годом царствования Иббисуэны, когда, как было сказано, 10 сила зерна была эквивалентно 1 сила растительного масла. Если подставить в предложенном отрывке на место растительного масла соответствующее эквивалентное количество зерна, получим следующую картину: каждому из гурушей, представленных в первой строке, в конце месяца за труд было бы выписано 80 сила зерна; 31 гурушу из второй строки полагалось 75 сила; каждому из последующих 22 гурушей - 60 сила; каждому из следующих 30 гурушей - 45 сила зерна и т.д.

Для экономии места будет целесообразней представить в виде таблицы данные всех имеющихся в нашем распоряжении документов о смешанном вознаграждении из архива Ура. В последней графе таблицы представлена общая величина вознаграждения в пересчете на зерно. Пересчет этот сделан с учетом эквивалентного соотношения основных продуктов в 6-7 годах царствования Иббисуэны. Количество выданных продуктов указано в сила:

Работники	Годы царств. (=ИС)	№ документа по П	Зерно	Масло	финики	Рыбы	Сумма в пересч. на зерно
guruš “Работники”	7	1091		6 ⁵ / ₆	50		118
	7	1049;1066	30	5			80
	6	1377	60	1 ¹ / ₂			75
	7	1049	25	5			75
	7	1047	15	5	10		75
	7	1048	15	4	20		75
	7	1091		5 ¹ / ₃	40		73
	7	1048		4	30		70
	7	1125;1150	20	5			70
	7	1049;1066	20	4			60
	7	1048		3	25		55
	7	1049;1066	15	3			45
	6	1025	20	2			40
	6	1025	15	1 ¹ / ₂			30
gêmc “работницы”	7	1040		1		10	
	7	1040		2		10	
dumu “подростки”	7	1047	5	1			20
	6	1025	10	1 ¹ / ₃			15
	6	1025	5	1 ¹ / ₃			10

Данные приведенной таблицы определенно указывают по крайней мере на два обстоятельства:

1) При вознаграждении труда смешанными продуктами общее количество виданных тому или другому работнику продуктов в пересчете на зерно не превышает границы ожидаемого месячного вознаграждения - для профессионалов оно в основном вмещается в рамки от 60 до 80 (иногда больше) сила зерна, а верхней границей для непрофессионалов, как всегда, видимо, является 60 сила.

2) Представленные на таблице гуруши, получающие продукты, эквивалентные 30-60 сила зерна, бссспорию, являются непрофессионалами. Им выписывается различной величины вознаграждения в зависимости от выработанных в течение месяца человекоднев. Что же касается подростков, то они при получении как только зерна или только растительного масла, так и сейчас, при вознаграждении их труда смешанными продуктами, делятся на три группы - в первую объединены получающие 20 сила зерна, во вторую - 15 сила, а в третью - 10 сила.

В отношении работниц следует сказать следующее: выдача им смешанных продуктов засвидетельствована в 10-м месяце 7-го года царствования Иббисуэны. Однако дело в том, что именно к этому году (и вообще) мы не знаем эквивалентное соотношение рыбы с зерном или растительным маслом. Поэтому и не смогли указать в таблице эквивалентное значение зерна к выданному работницам общему количеству продуктов. Однако можно все же отметить несколько обстоятельств: представленные в таблице работницы являются ткачихами (uš-baḡ-me). Известно, что при вознаграждения труда только зерном их месячная норма иногда достигала даже 60 сила (11, 1040, об.9). Исходя из этого, можно думать, что получающие 4 сила растительного масла (=40 сила зерна) и 10 сила рыбы есть те работницы-ткачихи, которые обычно получали более 40 (50-60) сила зерна, а получающие 2 сила растительного масла (=20 сила зерна) и 10 сила рыбы, - те, кто в дру-

гое время получали более 20 (30-40) сила зерна (если допустим, что в 7-ом году царствования Иббисуэны 10 сила рыбы было эквивалентно 10 (или 20) сила зерна). Но все это остается в сфере предположения и мы не считаем целесообразным уверенно опираться на это при выделении групп женщин во время вознаграждения их труда смешанными продуктами.

Общие выводы, исходя из всего сказанного выше, представляется нам таким видом:

1) Растительное масло как отдельно, так и вместе с другими продуктами администрацией государственного хозяйства выдавалось не регулярно, а лишь в экстраординарных случаях, когда на складе хозяйства не было достаточное зерно.

2) Растительное масло выдавали в основном в хозяйственном филиале столичного города Ура в 4-9 годах царствования последнего представителя III династии Ура Иббисуэны - в период существования в стране крайне напряженной экономической ситуации, вызванной осложнением внутренних и внешнеполитических явлений, когда довольно участились захватнические набеги иноземных завоевателей - аморейцев с Запада и эламитов с Востока.

3) Растительное масло, как и зерно, выдавался только в значении вознаграждения труда. Оно выписывается работникам в счет причитающегося им зерна со строгим соблюдением правила вычитания эквивалентного количества зерна в таком соотношении: 1 сила масла за 10 сила зерна.

ЛИТЕРАТУРА:

1. Дьяконов И.М., Первые деспотии в Двуречье, в книге: История древнего Востока, I, М., 1983, с. 233-315.
2. Шарашенидзе Дж.М., Формы эксплуатации рабочей силы в государственном хозяйстве Шумера II пол. III тыс. до н.э., Тб., 1986.
3. Шарашенидзе Дж.М., Še-ba - рацион или вознаграждение труда, Кавказско-Ближневосточный сборник, VIII, Тб., 1988, с. 114-121.
4. Çig M., Kizilyay H., Salonen A., Die Puzriš-Dagan-Texte der Istanbuler archäologischen Museen, I, Helsinki 1954.
5. Gelb I. J., The Ancient Mesopotamian Ration System, "Journal of Near Eastern Studies", 24 (1965), с. 230-243.
6. Gomi T., Neo-Sumerian Administrative Texte in the British Museum, I-II, "Acta Sumerologica", 2 (1980), с. 1-35; 3 (1981), с. 149-184.
7. Gomi T., On the Critical Economic Situation at Ur Early in the Reign of Ibbisin, "Journal of Cuneiform Studies", 36 (1984), с. 211-242.
8. Hussey M. J., Sumerian Tablets in the Harvard Semitic Museum, Part II. From the Time of the Dynasty of Ur, Cambridge 1915.
9. Jacobsen T., Toward the Image of Tammuz and Other Essays on Mesopotamian History and Culture, Cambridge 1970.
10. Keiser C. E., Selected Temple Documents of the Ur Dynasty, New Haven 1919.
11. Legrain L., Business Documents of the Third Dynasty of Ur, I. Plates, London 1937.
12. Legrain L., Business Documents of the Third Dynasty of Ur, II. Index, Vocabulary, Catalogue, Lists, London 1947.
13. Legrain L., Historical Fragments, Philadelphia 1922.

14. Loding D., *Economic Texts from the Third Dynasty*, Philadelphia 1976.
15. Owen D. I., *Neo-Sumerian Archival Texts Primarily from Nippur in the University Museum, the Oriental Institute and the Iraq Museum (NA 11N)*, Eisenbrauns 1982.
16. Pettinato G., Picchioni S. A., *Testi economici di Lagaš del Museo di Istanbul, Part II. La. 7601-8260*, Roma 1978.
17. Snell D., *The E. A. Hoffman Collection and Other American Collections*, Roma 1979.
18. Waetzoldt H., *Compensation of Craft Workers and Officials in The Ur III Period*, в книге: *Labor in the Ancient Near East*, New Haven 1987, с. 117-141.

Dj. Sharashenidse

Some Features of the System of Labour Compensation in the State Economy of Sumer at the Time of the Third Dynasty of Ur (Payment with Vegetable Oil)

Workers in state economy in Sumer were regularly (monthly) given barley as payment for labour. In some cases in various branches of state economics the workers received other products instead of barley – vegetable oil or animal fat, fish, dates, sesame, fruits, beer or malt.

In the present article the payment with oil is discussed. This did not happen regularly, as some scholars have assumed. Payment with

oil was infrequent. Oil was given in the Ur branch of state economies only when the quantity of barley in the storehouses was insufficient. Because of the critical economic situation in the branch of state economies of Ur barley was given as compensation for labour in the 4-9-th years of the reign of Ibbisin (2047-2024 B. C.) in following proportion: 1 sila (=1 liter) of oil for 10 sila of barley.

„ღმერთო, მომეცი სიტყვა...“

დამწერლობის ისტორია ძველ ეგვიპტეში დაახლოებით ჩვ. წ-მდე 3200-3000 წწ. დაიწყო. ამ დროს მიეკუთვნება ეგვიპტური იეროგრიფებით შესრულებული უძველესი ჩანაწერები. პირველი შედარებით გრძელი წარწერები ადრეული დინასტიების დიდგვაროვანთა სამარხების კედლებზე ჩნდება. ეს არის ე. წ. „სამსხვერპლო სიები“ - იმ სხვადასხვა დანიშნულების ნივთთა სიები, რომლებიც ძველეგვიპტელთა წარმოდგენით მიცვალებულისათვის აუცილებელი იყო ოსირიის სამფლობელოში და ამიტომაც მის სამარხში თავსდებოდა. თანდათან, კულტურის განვითარებასთან ერთად, ადამიანის მოთხოვნილებები იზრდებოდა და სამსხვერპლო სიებიც გრძელდებოდა.

ეგვიპტური მხატვრული აზროვნების პირველ, დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ის მომენტი, როდესაც გრძელი და მოუქნელი სამსხვერპლო სია მოკლე ლოცვამ შეცვალა, რომელიც მიცვალებულის სახელით იყო შედგენილი და სამუდამო ბედნიერებისათვის ვედრებას წარმოადგენდა. ამის შემდეგ ეგვიპტური მხატვრული სიტყვიერება საოცარი სისწრაფით იწყებს განვითარებას.

ეგვიპტელები პირველნი იყვნენ, ვინც სიტყვის ძალა გაიგო და თავისი გულისტკივილი მხატვრულად გააფორმა (1,8). ამ თვალსაზრისით მათ არავითარი ანალოგი არ გააჩნიათ ძველი აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყანაში. განა გაცვებას არ იწვევს, რომ ფარაონი ამგვარად არიგებს თავის მემკვიდრეს: „შენი ძალა - შენი მჭვერმეტყველებაა. უფრო ძლიერია სიტყვა, ვიდრე ნებისმიერი სხვა იარაღი“ (2,19). ქურუმი ხახუპერასენები ასე ევედრებოდა ღმერთებს: „ღმერთო, მომეცი სიტყვები აქამდე უთქმელი, ახალი აზრები, რომლებიც დღემდე არ გამოუთქვამთ. ხშირი ხმარებით სიტყვა იცვითება და გუ-

ლისტიკვილი აღარ გამოითქმის ისე ცოცხლად და ლამაზად" (3, 19). გასაკვირი არ არის, რომ ხალხმა, რომელსაც ლამაზად და მოსწრებულად ნათქვამი სიტყვის ამგვარი შეგრძნება გააჩნდა, შესანიშნავი ლიტერატურა დაგვიტოვა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეგვიპტიდან ჩვენამდე მხოლოდ სამარხებში დაცულმა პაპირუსებმა მოაღწია, რომლებიც მიცვალებულს თან მიჰქონდა იალუს მინდვრებში დროის მოსაკლავად და გასართობად, საოცარია მათი ჟანრობრივი მრავალფეროვნება: აქაა ჰიმნები, ზღაპრები, იგავები, ბრძენის ფიქრები ცხოვრების შესახებ, პესიმისტთა აზრები ცხოვრების ამოებაზე, ამბები უბრალო მოკვდავთა ცხოვრების შესახებ და ულამაზესი სასიყვარულო ლირიკა. აქ სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

ეგვიპტეს თავისებური ბედი არგუნა განგებამ. შუამდინარეთის ხალხების ორომტრიალში დავიწყებას მიეცა და თავიდან აღმოჩეილ იქნა მთელი ცივილიზაციები. ეგვიპტე ბუმბერაზივით იდგა მთელი ამ დროის მანძილზე და გაოცებასა და მისტიურ გრძნობებს ინვევდა ახალ თაობებში. მაგრამ სამაგიეროდ სადღაც განყდა და დაიკარგა ის ჯაჭვი, რომელიც მის არსებაში სწორ ჩანვდომას განაპირობებდა. ეგვიპტური იეროგლიფები მისტიურ ნიშნებად გადაიქცა, გრანდიოზული ტაძრები - ამოუხსნელი სიბრძნის სიმბოლოდ. თანდათან წარმოდგენა ეგვიპტეზე ისე დაშორდა რეალურ სინამდვილეს, რომ დღეს მას უწოდებენ „მითს ეგვიპტისა და მისი იეროგლიფების შესახებ ევროპულ ტრადიციაში" (4). საუკუნეები დასჭირდა იმის დადგენას, რომ საოცარი ნახატები, რომლითაც ეგვიპტური ტაძრები იყო მოხატული, სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვეულებრივი იეროგლიფური დამწერლობა. ამის შემდგომ მეცნიერებმა უამრავი ტექსტი წაიკითხეს, მაგრამ ყველა ისინი ძალიან შორს იყო იმისაგან, რასაც დღეს მხატვრულ სიტყვიერებას ვეძახით. თანდათან მეცნიერებაში ფართოდ

დამკვიდრდა აზრი, რომ ამ უდიდეს ცივილიზაციას არ გააჩნია საკუთარი ლიტერატურა.


XIX საუკუნის შუახანს მდიდარმა ინგლისელმა კოლექციონერმა ლედი დ'ორბინიმ პარიზის ეგვიპტოლოგიურ ინსტიტუტს სათარგმნელად გადასცა ქაიროს ბაზაზე შემთხვევით ნაყიდი ძველევგვიპტური პაპირუსი. მისმა თარგმანმა და გამოცემამ მართლაც რომ სენსაცია გამოიწვია. ეს იყო საოცრად ლამაზი ზღაპარი ორი ძმის შესახებ - და ამგვარად პირველი იქამდე ცნობილი პაპირუსი, რომელმაც ეგვიპტის ლიტერატურის ნიმუში შემოგვინახა. ამ პირველი ზღაპრის გამოცემით თითქოს რაღაც მაგიური შელოცვა მოიხსნა: დაიწყო უამრავი ლიტერატურული პაპირუსის აღმოჩენისა და გამოქვეყნების ხანა. მაგრამ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, სანამ სასიყვარულო ლირიკის პირველი ტექსტები გახდებოდა ცნობილი. დღეს, „ჩესტერ ბიტის“ პაპირუსის წყალობით (ორი ლექსის თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ), ეგვიპტის სასიყვარულო ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებს ფლობს მსოფლიო.


ჩესტერ ბიტის პაპირუსის აღმოჩენამდე სასიყვარულო ლირიკის სამი ციკლი იყო ცნობილი; ყველა ისინი თარიღდება დაახლ. 1300 წ. ჩვ. წ.-მდე. ამ პერიოდს ეკუთვნის ბრიტანეთის მუზეუმის პაპირუსი Harris 500, საოცრად დაზიანებული. ორი სხვა სასიყვარულო ლირიკის ციკლი ნაპოვნია ტურინის პაპირუსზე და დიდ ოსტრაკონზე, რომელიც დღეს ქაიროს მუზეუმშია დაცული. სამივე ციკლი შეაგროვა და გამოსცა მ. მიულერმა (5). ეს იყო ჩვენთვის ცნობილი სასიყვარულო ლირიკის უძველესი ნიმუშები, და მიუხედავად მათი სავალალო მდგომარეობისა, ისინი უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლებოდა იმიტომ, რომ წარმოადგენდა სასიყვარულო ლირიკის უძველეს ნიმუშებს კაცობრიობის ისტორიაში. იმიტომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი Pap. Chester Beatty-ს აღმოჩენა, რომელმაც პრაქტიკულად უვნებლად მოაღწია ჩვენამდე (6).


თითოეული ლექსი დანომრილია, გარდა პირველისა, რომელსაც ნომრის ნაცვლად აქვს სათაური: გართობის დიდი განმანანილებლის სიტყვების დასაწყისი". შემდგომი ლექსები დანომრილია ამგვარად: „სახლი მეორე“, „სახლი მესამე“ და ა. შ. აქ გვინდა მოვიყვანოთ ტექსტის გამომცემლის ა. გარდინერის ვერსია, რომ „სახლი“ აქ უნდა ვთარგმნოთ როგორც იტალიური „stanza“ - ლექსი, რადგან იტალიური „stanza“ და ესპანური „estancia“ ეტიმოლოგიურად პირდაპირ კავშირშია ლათინურ „stanza“ -თან, რაც „სახლს“ ნიშნავს (6,9).


როგორც ჩანს, ეგვიპტური სასიყვარულო ლექსები სასიმღეროდ იყო გამიზნული, რადგან მათ ყოველთვის თან ახლავთ მუსიკოსების გამოსახულებები ილუსტრაციების სახით. რითმის პრობლემა დღეს პრაქტიკულად გადაუჭრელია, რადგან ეგვიპტური დამწერლობა, როგორც ცნობილია, არ გულისხმობდა ხმოვნების ჩანერას.


ეგვიპტური სასიყვარულო ლირიკის საოცრად დახვეწილი სტილი და რთული ლიტერატურული ხერხების გამოყენება განვითარების ხანგრძლივი ისტორიის დამადასტურებელია, რაც, სამუნხაროდ, ჩვენთვის დაკარგულია. აღსანიშნავია, რომ ე. წ. „პარაკლაუსიტრონი“, ანუ სასიყვარულო სიმღერა საყვარელი ქალის კარებთან, რომელიც ადრე მხოლოდ ანტიკური ლირიკის მონაპოვრად იყო მიჩნეული, ეგვიპტეში გვხვდება უკვე XII საუკუნეში. კარები პარაკლაუსიტრონიში აღიქმება როგორც ცოცხალი არსება, რაც ეხმიანება ეგვიპტელთა მიცვალებულთა კულტის ლიტერატურას. ეგვიპტურ სასიყვარულო ლირიკაში აგრეთვე გვხვდება ამ ჟანრის უძველესი ნიმუშები, რომლებიც ქალის სახელით არის დაწერილი. ამან გადაგვანყვეტინა ჩვენი მოკლე მიმოხილვა დავასრულოთ ორი სასიყვარულო ლექსით - ერთი უფრო ტრადიციულია და მამაკაცის ტრფობას გამოხატავს, მეორე კი დიდი საფოს ანონიმური ეგვიპტელი წინაპრის კალამს ეკუთვნის.















































പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ
കുറഞ്ഞുപോയവർ
പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ
കുറഞ്ഞുപോയവർ
പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ
കുറഞ്ഞുപോയവർ
പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ
കുറഞ്ഞുപോയവർ

II

പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ

കുറഞ്ഞുപോയവർ

പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ

കുറഞ്ഞുപോയവർ

പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ

കുറഞ്ഞുപോയവർ

പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ

കുറഞ്ഞുപോയവർ

പ്രമാണങ്ങളുടെ അടിസ്ഥാനത്തിൽ

୧୦ ମାସ ୧୫ ଦିନ ୩
 ୧୦ - ୩୦ - ୧୦ ମେ ୧୫ ୧୫ ୧୫ ୧୫ ୧୫ ୧୫
 ୧୦ - ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫
 ୧୫ ୧୫ - ୧୫ ୩୫ ୧୫ ୧୫ ୧୫ ୧୫ ୧୫
 ୩୫ ୩୫ ୧୫ ୧୫ ୧୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫
 ୧୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫
 ୧୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫
 ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫
 ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫ ୩୫

I

ʃ.ʒ.t-^c-m rʒ nw tʒ sʒmʒ-^{eb} 'ʒ.t
 wʃ.t sn.t nu snw.s
 nʃr.r ʃr nb.t
 ptr.st mi dʒwʃ.t ʃʃi
 m-kʒt rnpʃt nʃr.t
 sʃp.t iʃr.t wʃʃ.t inn
 rʃt iʃtʒ gmʃ
 bʃrʒ sp.t md.t
 bʃ nʒ ʃn m.kʒw
 kʒʒ.t nʃb.t wʃʃt kʒʒ.t
 ʃʃbd.t ʃnʒ st
 ʒʒb.t st ʃr iʃʒ.t nb
 dʒw.s mʒ sʃsn
 bʒʒ pʃwʃt mʃr.t ʃi-^{ib}
 dʒʒ mʒʒt sʃt nʃwʃ st
 twʃ rʃwʃt ʃnd st ʃr tʒ
 iʃʒ st ʃb i m ʃpʃ st
 di st wʒʒ nʃb.t tʒʒ nb.t

n m33 st

ršw.t łp.t st n6.t

sw mj łpj n mrj

ptr ti prj st r h3

mi łf wC.t

iłd sw ii ib i 3s

dr s_h3 i mr tw.k

bw dd.f smi mj rmt

sw łfj mk.t tw.f

bw dd.f łzj i mss.t

bw wnh.i pzi bwh3

bw dd s_dmw r irtj i

Bw wrh wj m kł3

m ir r_hC ph łn

łr.f n.i r łnw s_h3 i sw.

m i·n i p3j ჭ3tj აჭ3
i ir·k ჭn ზr ღ
hmsj ღნ iა·n·ღ. sn
iა·t·i ღიჯ m მქტ·t
m rdj·t ღღ იჯ rmt რჯ ს3·t თა ღ3 თა m მო
smn რ ღაა სჭ3 k სა
ი·i im n·k ეღ.

**გართობის დიდი განმანაწილებლის სიტყვების
დასაწყისი:**

და ერთადერთი, არ არსებობს მისი მსგავსი.
მშვენიერია ყველაზე უფრო,
მსგავსია ამობრწყინებული ქალღმერთისა
ბედნიერი წლის დასაწყისში.
დღესავით ნათელი, მბრწყინავი სხეულით,
მშვენიერია მისი გამოხედვა, ტკბილია მისი ბაგენი,
უცხოა მათთვის ზედმეტი სიტყვა;
მაღალი ყელი, ნათელი მკერდი,
საფირონის ფერია მისი თმა,
მისი მკლავები ოქროზე მშვენიერია,
ლოტოსის ყვავილის ფურცლებია მისი თითები,

მათრობელია მისი თეძოები,
მისი ფეხები ამხელენ თავიანთ მშვენებას,
ლამაზი, ბედნიერი დადის იგი მიწაზე,
მან დაატყვევა ჩემი გული თავისი მკლავებით,
მამაკაცები თავზარდაცემულია მისი დანახვით,
ბედნიერია, ვინც მას გულში ჩაიკრავს,
პირველია იგი ახალგაზრდებს შორის
შეხედეთ, იგი დაიარება,
როგორც ერთადერთი.

ლექსი მეოთხე:

მიჰქრის ჩემი გული, ჩქარობს,
როცა მახსენდება ჩემი სიყვარული.
მისი წყალობით აღარ ვგეგვარ ადამიანს.
ჩემი გული ამოვარდნაზეა
აღარც ლამაზ კაბებს ვიცვამ,
აღარც მარაოს ვინიავებ,
აღარც თვალებს ვიხატავ,
აღარც ნელსაცხებლებს ვისვამ
„ნადი სახლში“ -
მეუბნება გული მის დანახვაზე
ოხ, ნუ გაგიჟდი, ჩემო გულო,
სადამდე უნდა გამასულელო,
დანყნარდი, სანამ ძმა თვითონ მოვა,
ნუ ათქმევინებ ხალხს:
გადარია ქალი სიყვარულმა.
გამაგრდი, მას რომ ხედავ,
ოხ, ჩემო გულო, და ნუ თრთიხარ.

1. H. Brunner, Grundzüge einer Geschichte der altägyptischen literatur, 1, Das alte Reich, Darmstadt, 1966.
2. A. Volten, Zwei altägyptische politische Schriften. Die Lehre für den König Merikare und die Lehre des Königs Amenemhet, Kobenhagen, 1945.
3. The Admonitions of an Egyptian Sage, Leipzig, 1969.
4. E. Iversen, The Myth of Egypt and its Hieroglyphs in European Tradition, Copenhagen, 1961.
5. M. Müller, Die Liebespoesie der alter Äимпаек: "gypter, Leipzig, 1899.
6. The Library of Chester-Beatty, Description of a hieratic papyrus by A. H. Gardiner, Oxford Univ., Press, 1931.

М. Хведелидзе

«Господи, дай мне слово....»

Статья представляет собой краткий обзор древнесиципетской любовной лирики. В конце помещены переводы двух стихотворений.

М. Khvedelidze

“Oh Lord, may you give me a word...”

The article represents a short survey of ancient Egyptian love poetry with the translation of two songs at the end.

საქართველო და კავკასია

ГРУЗИЯ И КАВКАЗ

GEORGIA AND THE CAUCASUS

ტელურიული და ხთონური თეოზანიები ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში

მიწა, როგორც ცნობილია, ქართულ (და არა მარტო ქართულ) მითო-პოეტურ ტრადიციაში გარკვეულწილად სამყაროს ფუძედ, საყრდენად გაიაზრებოდა, რომელსაც სხვადასხვაგვარი რელიგიური მნიშვნელობა და ფუნქციები მიეწერებოდა. ის თითქმის ყველგან ქალურ საწყისს ასახიერებს და უპირისპირდება ცას, როგორც მამაკაცურ საწყისს*

მიწის ტელურიული ფენა და ხთონური სიღრმეები ქართულ ტრადიციაში განსახიერდებოდა თავისი სტრუქტურით ტელურიული ქალღვთაების სახეში, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელითაა წარმოდგენილი: *ნერჩი(ს) ბატონი/ფუძის ანგელოზი* (სამეგრელო, გურია, იმერეთი), *არგილა/იგივე ადგილის დედა* (სვანეთი), *ადგიელ დედოფალ/ადგილის დედოფალი* (აფხაზეთი) [3], *ადგილის დედა* (აღმოსავლეთ საქართველოს მთა) [4; 5]** და სხვ.

* გამოწაკლის ეგვიპტე წარმოადგენს, სადაც სრულიად სხვა ვითარებაა. სხვებისაგან განსხვავებით, ეგვიპტელებთან ცას ქალღვთაება ნუთი განასახიერებდა, ხოლო მიწას ლვთაება გეზი (შდრ. სიტყვა "ცა" ეგვიპტურში მდებარებითი სქესისაა [1]; თუ სამყაროს შექმნა სხვაგან (მაგ. მესოპოტამიაში) სასტიკი ბრძოლის შედეგს წარმოადგენდა, რომლის ხანგრძლივობა გაურკვეველი იყო და არამყარ წონასწორობაში იყო მოქცეული, ეგვიპტელების რწმენა-წარმოდგენებით სამყარო მზის სიკაშკაშეში პირველი ამოსვლით შეიქმნა და ასეთი რჩებოდა მთელი შესაქმის განმავლობაში. შესაბამისად, შემოქმედებითი საწყისი ეგვიპტეში მამრული იყო და არა მდებარეული. მდებარეული ელემენტი მხოლოდ მამრულის დამატება და ისიც მეორე თაობიდან დაწყებული. ეს შეხედულება ტიპურია ეგვიპტური აზროვნებისათვის [2].

** *ადგილის დედაზე* აღმოსავლეთ საქართველოში იხ. 4; 5.

მრავალი სახელწოდებით წარმოდგენილი ეს სახე, რომელსაც აშკარად სივრცული განზომილება აქვს, გარკვეულ ადგილში ზებუნებრივის ჩენასა და ამ ადგილის ფლობას გულისხმობს. იგი უშუალო კავშირშია კოსმიური დედის იდეასთან, რომლის ხატებაც ქართულ ტრადიციაში ქალღვთაების ნაირფერ სახეებსა და ხატებებში იშლება, რომლებიც მის სხვადასხვა ძალასა და ასპექტებს ავლენენ [3].

ვ. ბარდაველიძის მიერ გამოვლენილი იქნა ქალღვთაება ნანა, მზის ქალღვთაების იპოსტასი, მცენარეულობისა და ნაყოფიერების მფარველი, რომელიც ქართველებს დედის ხატებაში წარმოედგინათ. იგი *"ბატონების ბაღში"* / *"მზის ბაღში"* ოქროს აკვანს არწევდა და ტკბილი სმით აძინებდა მასში მწოლ ჩვილს, *"ბატონიშვილს"*. (ვ. ბარდაველიძე *დიდ დედა ნანას* არიანეს მიერ აღწერილ კოლხურ ღვთაება *ფასიანეს* აღარებს) [6, 108-109].

ნანასადმი მიძღვნილ სიმღერაში, ბატონიშვილი "ოქროსქოჩრიანია - ოქროს ბურიია (მზეა), ოქროს მტევანია, მთვარე გრეხილად უვლია (არტყია), ვარსკვლავი ღილად უბია, ვარდნი ფეხამდინ უსხია", ოქროს აკვანში ძვირფას ფარჩებში წვეს, რომელსაც ია-ვარდი აყრია. აკვანს ლალის ჩანჩხურა, ჩანჩხურა მარგალიტისა უბია [6].

როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, ბატონიშვილი ქალღვთაების შვილი და მისი ნაწილიანი დერივატული ღვთაება ნანას მსგავსად აღიწერება.

ასეთივე მსგავსებაა დიდ დედასა და მის მრავალრიცხოვან სხვა შვილებს შორის, რომელთაც ჩვენამდე *"მარბარეს შვილების"*, *"ბატონების"*, *"ანგელოზების"* სახელებით მოუღწევიათ. ისინი ულამაზესი გრძელთმიანი ქალიშვილების სახით წარმოუდგენიათ, ჩაცმულნი თეთრ, წითელ და ჭრელ სამოსში, რომელიც ძვირფასი ქვებითაა მოოჭვილი; სხედან ოქროს ტახტზე, უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ნადიმობენ და მოგზაურობენ. ქალღვთაება ნანას და

ბატონიშვილის მსგავსად ისინიც გაზაფხულის ყვავილებთან (იარდთან) არიან დაკავშირებულნი [6, 108-109].

ქალღმერთების სხვა ხატებას ქართულ (და კერძოდ დასავლურ-ქართულ, კოლხურ) რეალიაში წყლის დედა წარმოადგენს, რომელიც ადგილობრივ მოასახლეობას თეთრებში შემოსილ, ოქროსფერთმიან (ან წითურთმიან) ახალგაზრდა მშვენიერი ქალიშვილის სახით წარმოუდგენია. მასთან შეხვედრა მოკვდავისათვის შეიძლება საბედისწერო გახდეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ *"დედობა"* აქ უფრო აქცენტირებული ქალური საწყისის მაჩვენებელია, ვიდრე მისი სოციალური სტატუსისა.

მის ნაირსახეობას *ნადირთპატრონი* (მოგვიანებით *ნადირობის ქალღვთაება*) [7] წარმოადგენს, რომელიც დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა სახელით გვხვდება (*ტყის ანგელოზი, დედოფალი/დიოფალი, დალი, მიზითხუ* და სხვ.)

ნადირთპატრონი, როგორც ცნობილია, ასოცირდება მშვენიერი ახალგაზრდა ქალწულის სახესთან, რომელსაც გარს ცხოველები არტყია. (იგი, როგორც ეს აფხაზური მიზითხუს შემთხვევაში გვაქვს, ზოგჯერ გარეულ ტახზე ამხედრებული დაქრის ტყეში). სხვა შემთხვევაში, იგი თვითონ გვხვდება ჯიხვის, მთის ანტილოპის, შველის ან ირმის სახით, რომელიც მისი უძველესი სახის მაჩვენებელია [7].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალღვთაების ადგილსამყოფელს, რომელიც წარმოიდგინება, როგორც ფართო მინდორი გარშემორტყმული მაღალი მთებით და ვერცხლისფერი წყაროებითა და ტბებით, ხეხილით, ყველანაირი ყვავილით; იქვე ბალახობენ ველური და შინაური ცხოველები. ქალღვთაების ამ სახესთან ასოცირდება გაზაფხულის ბუნება, აყვავებული ბაღები, მინდვრის ყვავილები და ა.შ.

ამგვარად, აყვავებული და ნაყოფიერი ბუნება ქალღვთაების ჩვეულებრივ ფონს წარმოადგენს, სადაც მისი ძლევამოსილება სხვადასხვა სახით ვლინდება. მაგრამ ქალწული ღვთაება მუდამ ასეთ იდილიურ განწყობასა და მდგომარეობაში არ იჩენს თავს. იგი, ასევე, ასოცირდება წვიმასთან, თოვლთან, ზვავთან და ზოგადად გააუდრებასთან. მის ამ სახესთან დაკავშირებით იქმნება მითოლოგიური კომპლექსები: ნადირპატრონი - მონადირე (შესაბამისად მოკვდავისა და უკვდავის მიმართება), სიცოცხლე სიკვდილი, ნადირპატრონი - იღბლიანი ნადირობა, ყურშა - მონადირე და სხვ. [3].

თუ ნადირპატრონის პირველ, მშვიდ, იდილიურ სახელთან ჯიხვი, არჩვი, მთის ანტილოპა, შველი, ირემი და სხვ. ასოცირდება, რომლებიც, როგორც რქოსნები, მას ნაყოფიერებასა და მთვარის სიმბოლიზმთან აკავშირებენ, მის მეორე ხატებასთან გააუდრებასთან მითოლოგიური ძალღი ყურშაა დაკავშირებული (შდრ. ციური ძაღლის ელვასთან მიმართებას).

ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ე. ვირსალაძის ნაშრომში მოცემული ყურშას გარეგნობა: "ყურშას ყურ-ტუჩი ოქროსი ასხია, ყურშას თვალები "მთვარის ოდენაა, ყურშას ყეფა "ქუხილსა ჰგავდა ზეცისასა", ყურშას წარბები გველებია".

ე. ვირსალაძის აღნიშვნით "ყურშაოს" სიმღერა, საგალობელი, ჰიმნი, ზებუნებრივი არსებისადმი მიმართული ხოტბაა, რომელზედაც ძველი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით იღბლიანობა იყო დამოკიდებული [7]. მაგრამ ყურშას ფუნქციები ამით არ ამოიწურება. იგი გ. შარაშიძის აზრით (მკვლევარმა ამ ფუნქციას განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება), მეტეოროლოგიურ სიმბოლიზმთანაა დაკავშირებული და ასევე, სამგლოვიარო მნიშვნელობასაც ინარჩუნებს, რომელიც შავ ფერს გააჩნია საქართველოში. ცუდი ამინდი (ავ-ღარი) დაკავშირებულია ნადირის მფარველ ღვთაებებსა და მონადირეს შო-

რის ურთიერთობასთან. რწმენა, რომელიც საერთოა მთელი კავკასი-
ისათვის (სამხრეთისათვის მაინც) [8].

ნადირთაპატრონის შესახებ ყველა რწმენა-წარმოდგენას, რომელიც
საერთოა საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის ვფიქრობთ თავი ერ-
თად მოუყრია ვაჟა-ფშაველას პოემა "ნადირთაპატრონში" (1913).

"მაგრამ ნადირთაპატრონი
აშკარად გამომეცხადა.
წაქცეულს წიფელზე იჯდა,
ათამაშებდა ფეხებსა
იმისი სიტყვა-პასუხი
ჰგავ ელვას დანაკეხებსა.

არა სციოდა ფეხებზე
როგორც იმ წიფლის ფესვებსა,
თუმც არაფერი არ ეცვა
წითელ ვარდივით ჰღვიოდა.
გამწყრალი, გარისხებული,
შავარდენივით ჰკიოდა.

და ეტყობოდა, ჩემ გამო
ძალიან გული სტკიოდა.
თავზე ეხურა გვირგვინი
ია და ვარდი სციოდა, -
სულ უცხო ყვავილებისა,
მხოლოდ სამოთხეს შლილისა

ქალს ხელში გობი ეჭირა
მოქნილი, სწორი თხილისა
ისეთი იყო გოგონა
როგორც ცისკარი დილისა.
"მომაკვლევიანე ირემი!"
ქულ-მოხდით მეხვეწებოდი:

სად ხარ ადგილის დედაო,
მისმინე საწყალს მუდარა,
ერთხელ, აი დღეს მხოლოდა!
შემდეგ, ნუ მისმენ ნულარა".

ამ მეტად მნიშვნელოვან მითო-პოეტურ აღწერილობაში ნადირ-
თაპატრონი ადგილის დედაა, ადგილის დედოფალია, კოსმიზირებუ-
ლი დედაა. ვარდივით გაღვივებულ ქალწულს თავზე ია-ვარდის და
სამოთხის უცხო ყვავილების გვირგვინი ახურავს, ხელში მას დე-

დოფლობის დამამტკიცებელი ინსიგნია სწორი თხილისაგან თლილი ჯოხი უპყრია (შდრ. ჰეკატეს მისტერიებში კვერთხს, რომელსაც "თეთრ-ფოთლიანი" ეწოდებოდა). გამწყვრალი, განრისხებული ნადირთპატრონის სიტყვა-პასუხი "ელვას ჰგავს დანაკვეთებსა", იგი შევარდენივითა ჰკივის (ქალღვთაების აღრინდელი ფორმა ფრინველის სახით - ნ.ა.). იგი ცისკარს დარდება, და შესაბამისად, ღლისა და ღამის მონაცვლეობასთანაა დაკავშირებული. ღლისა და ღამის მონაცვლეობის მოტივი მრავალ მითში დასტურდება.

ბეთქილის მითის განხილვისას გ. შარაშიძე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ატმოსფერულ ფენომენებზე, უფრო კი მონაცვლეობის მექანიზმზე, რომლებზეც განსაკუთრებულად მოქმედებენ ნადირთპატრონები თუ "ჯაგნარის"//ტყის ღვთაებები, როცა საქმე ეხება ცის მდგომარეობას ან მოუხელთებელ და სახიფათო გადასვლას სიბნელიდან სინათლეში. სვანური რიტუალი დიდი სიფრთხილით ჰყოფს დალისათვის სამოქმედოდ ღლე-ღამეს შუაზე, ზუსტად ცისკრის ვარსკვლავის გამოჩენისას. კულტის მიზანია ბინდის გაფანტვა და ღილის დაბრუნება (გათენება). ამ სპეციფიკური მიზნის მიუხედავად, იგი მთლიანად ნადირობის ქალ-ღმერთს ეძღვნება აქაც ბუნების ფენომენის ცვლაზეა ლაპარაკი (ღამე-გათენება) [8, 78-118].

კავკასიელებისათვის (და არა მხოლოდ კავკასიელებისათვის ნ.ა.) სეზონური, მეტეოროლოგიური, ღლისა და ღამის და ა.შ. მონაცვლეობა დროისა და სივრცის რიგში შედის. ატმოსფერული ფენომენების რეგულარული გამეორება და თანმიმდევრობა დაკავშირებულია ცასა და მიწას შორის განსხვავების ვარიანტებზე. ეს, გ. შარაშიძის მიხედვით, ერთგვარი დეტერმინიზმია, რომელიც დროის მსვლელობაზე საკუთარი კანონებით მოქმედებს. შესაბამისად, პირველზე (სივრცეზე) ზემოქმედებით - შეინარჩუნებ ან არ შეინარჩუნებ დროს. ეს ჯაჭვური თანმიმდევრობა აშკარაა გვალვისა და წვიმის მონაცვლეობაში და გამოდგება ღამისა და ღლის მონაცვლე-

ობაშიც, მაგრამ შებრუნებული მექანიზმის გამოყენებით. პირველ შემთხვევაში მონაცვლეობა მიიღწევა ცისა და მიწის შეერთებით, მეორეში - მათი დაშორებით.

ღამის სიბნელე, როგორც გ. შარაშიძე განაგრძობს, გამოწვეულია ცისა და მიწის შეერთებით, შერევით, რაც მითურ პლანში შესაბამება მზის გადაყლაპვას პიპოხთონური ძალის მიერ.

ამგვარად, შეერთება ირღვევა გამთენიისას, როცა მზე თავის მშთანთქმელს დაუსხლტება. ამ დროს ციური სივრცე და დედამიწა ერთმანეთს შორდება. ეს დაშორება იწვევს დღისა და ღამის მონაცვლეობას. ამინდზე (დროზე) მისი ზემოქმედების პრინციპი იგივეა, რაც ნადირობის გენიებისა [8].

ამრიგად, ჩვენი აზრით ზემოთხსენებული ქალღვთაების მეორადი მითოლოგიების მიღმა ქალღვთაების თავდაპირველი სახე ჩანს, რომლის ფუნქციებში სხვასთან ერთად ამინდის გამგებლობაც შედის და მისი უფრო არქაული სახის მაჩვენებელია.

ჩვენს თვალსაწიერში მოხვედრილი ქალღვთაებები უფრო მითოლოგიურ კონტექსტშია მოცემული, ვიდრე რიტუალურში. მაგრამ ქართულ ტრადიციაში დასტურდება რიტუალები, რომლებიც არქაული მანერით სრულდება და რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობის უძველესი რწმენა-წარმოდგენებია ჩაფრქვეული მიწის კულტის შესახებ [3]*, ამ უკანასკნელთ, აგრარულ რწმენა-წარმოდგენებში კრისტალიზირებულთ, ათასწლეულებისათვის გაუძლიათ და მოდიფიცირებული სახით ჩვენამდე მოუღწევიათ. მხედველობაში მაქვს ეასტანგ ბატონიშვილის "ისტორიების აღწერაში" დადასტურებული "ძეობის" წეს-ჩვეულება, რომლის დროსაც "სამაიას" რიტუალი სრულდებოდა.

აღნიშნული წყაროს მიხედვით, მშობიარობიდან მესამე დღეს "მანარობელი" მიდიოდა ნათესავებთან, მეგობრებთან და ნაცნობებ-

* მიწაზე, როგორც ადამიანის პირველსაწყისზე იხ.9

თან. მოლოგინებულ დედას აწვევდნენ მდიდრული ფარჩებით და-
ფარულ ტახტზე. მოდიოდნენ მომლოცველები. მცირე შენობაში, სა-
დაც აწყობდნენ მაგიდას ისმოდა სიმღერა და მუსიკის ხმა. ქალები
და კაცები გადახლართული ხელებით, ცეკვით შედიოდნენ ახალშო-
ბილის ოჯახში. შემდეგ კაცები სხდებოდნენ თავიანთი ქალების მო-
პირდაპირე მხარეს, როგორც ქორწილის დროს და თავიდან იწყე-
ბოდა სიმღერა და ცეკვა, რომელსაც "სამა" ან "სამაა" ეწოდებოდა...
"ძეობის" იგივე წესებს შინამოსამსახურეები ასრულებდნენ გარეთ
ეზოში.

ლ. გვარამაძის თქმით, უფრო ადრე ძეობის წეს-ჩვეულებებს
ეხვდებით თეიმურაზ II-თან, ლექსებში. მის მიერ აღწერილი წეს-
ჩვეულება მაღალი საზოგადოების ოჯახებს ეხება, მაგრამ თვითონ
რიტუალის შესრულება მკვლევარს ავარაუდინებს, რომ იგი ასევე
ხალხშიც სრულდებოდა და დაკავშირებული იყო ნაყოფიერების
კულტთან. აქ, ძეობის მონაწილენი, გადახლართული ხელებით, ცეკ-
ვითა და სიმღერით შედიოდნენ შენობაში, იქ, სადაც ახალშობილის
დედა იწვა. აქვე ლ. გვარამაძე ამახვილებს ყურადღებას ძალზედ
მნიშვნელოვან ფაქტზე, რომ ძეობის წესი სრულდებოდა *ღამ-ღამო-*
ბით, მაგრამ სიმღერის მონაწილენი საწესო სიმღერის *"მზე შინა და*
მზე გარეთას" შესრულებით მზეს მოუსმობდნენ შინ შემოსვლას [10].

აღნიშნული საწესო სიმღერა ეთნომუსიკოლოგებმა (ნ. მაისუ-
რაძემ და ქ. ჭითანავამ [11]) ქართველთა მუსიკალური აზროვნების
უძველეს საფეხურებს დაუკავშირეს. ჩენი აზრით, არა ნაკლებ სა-
ინტერესოა მისი ტექსტიც, რომელიც ერთი შეხედვით ძალზე მარ-
ტივია:

მზე შინა და მზე გარეთა
მზეე შინ შემოდო,
უყვილია მამალსაო
მზეე შინ შემოდო.

გათენებულაო
 მზევე შინ შემოდიო,
 გათენდი თუ გათენდები
 მზევე შინ შემოდიო...
 ჩვენ ვაყი დაგეებადა
 მზევე შინ შემოდიო.
 ვაყის მამა შინ არ არის
 მზევე შინ შემოდიო." [12]

(შდრ. სოლარულ მითოლოგიურ ციკლებში მზიური ყრმის დაბადების უძველეს მოტივს).

საწესო სიმღერის (რომელიც მთლიანად მზის მონოტონური შინ მოხმობაა) პირველივე პწკარში მზის ორი მდგომარეობა დაფიქსირებული შინა და გარე. მისი პერიოდულად შინა და გარე სამყაროში ყოფნა* მზის შინა სივრცეში შემოსვლა დროში შემოსვლაა. შინაში იგულისხმება არა მარტო აქ, არამედ, როგორც ეს არქაული ცნობიერებისათვისაა დამახასიათებელი "აქ და ახლა". შინასა და გარეს ბინარულ ოპოზიციებს შეესაბამება: *აღმავლობა/დაღმავლობა, ნათელი/ბნელი, სიკეთე/ბოროტება, დღე/ღამე, სიცოცხლე/სიკვდილი, თეთრი/შავი, ბუნება/კულტურა* და სხვ. [15].

მზესთან, როგორც ზემოთ აღინიშნა ასევე, დაკავშირებულია *ყლაპვის შთანთქმის* მოტივი. ფიზიკურ სამყაროში (ბუნებაში) მიწა ყლაპავს, შთანთქავს გვამს, სიცოცხლეს დრო. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, უადრესი მზიური მითები, შესაძლოა, ის მითები იყოს, რომელიც მის ამოსვლასა და ჩასვლას ემყარება. ზღვისპირეთის უძველეს მაცხოვრებლებს სწამდათ, რომ ღამით, როდესაც მზე ზღვაში უჩინარდებოდა, მას ყლაპავდა მონსტრი, რო-

* გარე და შინა სამყაროებზე ქართულ ტრადიციაში იხ. 13; 14; 15.

მელიც თავის მსხვერპლს დილით აღმოსავლეთის ცაზე გადმოაფურ-
თხებდა და სხვ. [16].

გამოთქმა "გადაყლაპული ღამის" მიერ ეხლა შეიძლება მხო-
ლოდ მეტაფორად აღიქმებოდეს, მაგრამ იდეა, რომელსაც იგი შეი-
ცავს და კერძოდ მზის ჩასვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი
ხალხებისათვის და მათ შორის ქართველებისთვისაც.

მიუხედავად იმისა, რომ "მზე შინა"-ს ტექსტი ერთი შეხედ-
ვით მარტივია, ჩვენი აზრით, მასში იდეათა მთელი კომპლექსია
ჩამალული, რომელიც ქართველთა რელიგიური განცდის უღრმესი
ფენის გამოხსატველია. მზის ამოსვლა თავისთავად მითოლოგიურ
ღონეზე დაბადებასთანაა დაკავშირებული. მაგიური ძალები, რომლე-
ბიც მზის შინ მოხმობითა და რიტუალური ქმედებით აქტივიზირდე-
ბიან როგორც ჩანს, ახლად დაბადებულის ბუნების დიდ ციკლურ
მოძრაობაში ჩართვას ისახავს მიზნად. აქვეა ფარული იმედიც კვლავ
დაბადებისა და, შესაბამისად, უკვდავებისაც.

"მზე შინა და მზე გარეთას" ჩამთავრების შემდეგ მონაწილენი
მუსიკოსებს ეპატივებოდნენ და უკვე მუსიკის თანხლებით და სიმ-
ლერისას ასრულებდნენ ცეკვა "სამაიას", ანუ სამის ცეკვას გადაა-
წნილი ხელებით.

დ. ჯანელიძემ სამაიას თემას ოთხი სპეციალური წერილი
მიუძღვნა [17]. მასში მრავალი საგულისხმო და საინტერესო ფაქ-
ტია თავმოყრილი და გაანალიზებული. მაგ.: თეიმურაზ II-ის მიერ
სამაიას აღწერილობის განხილვისას იგი აღნიშნავს, რომ... სამაია
ჯერ გლოვისა და მერმე სალხინო მგოსნობით შეთამამებულ როკვას
მოიცავდა, რასაც მკვლევარის აზრით დავით გურამიშვილიც გვი-
მოწმებს: "სევდა განიქარვეს მგლოვიარეთა, გამართეს ლხინი ზმითა,
შაირით, გალობით, მღერით, ჩანგით, დაირით, ფუნდრუკ-ხუნტრუ-
კობით, ქალ-ვაჟნი ხუცებით, იქმოდნენ სამას".

გურული "ძეობის" სამაიას აღწერილობაში ცხოველის ნიღბოსანი ქალის მონაწილეობა ლ. გვარამაძეს აფიქრებინებს, რომ "ძეობა" მთვარის კულტთან და ბუნების მწარმოებელ ძალებთან იყო დაკავშირებული, ხოლო დ. ჯანელიძე ამ სახეში ნადირთღვთაება დასს შეიცნობს. სამაიას მისამღერებელში "ლისიმდალაღეში" კი სამი ქალის სახელს - ლისიმს/ლისოს, დალ-ს და აღ-ს [17].

იმ ფაქტს, რომ სამაიას, როგორც ქალღვთაება დალის სახესთან დაკავშირებულ რიტუალს სამგლოვიარო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა ადრე, ეფიქრობთ, შეიძლება გლოვის წესებშიც მივაკლიოთ. კერძოდ "დალაის" ვგულისხმობ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, რომელიც დ. გიორგაძემ განსაზღვრა, როგორც გუნდური მოთქმის ფორმა გლოვის რიტუალში [18, 46]. ტერმინ "დალას" ე. ბარდაველიძე უკავშირებდა ღვთაება დალს და ცისკრის ეარსკვლავს [19, 89]. ამ უკანასკნელს კი ი. სურგულაძე დედაბოდის დეკორის მცირე "ვარდულში" მიიკვლევს, რომელიც ნაყოფიერების ქალღვთაების ასტრალურ გამოვლინებად მიაჩნია [20, 118].

სამაიაში ნადირთპატრონის სახის მიკვლევა საესებით დასაშვებია, მაგრამ მასში სამი დამოუკიდებელი პერსონაჟი კი არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ ერთი ქალღვთაების - ნადირთპატრონის სამი სახე.

ამას კი სამსახა ღვთაებისა და საკრალური რიცხვი სამის მნიშვნელობასთან მიყვევართ ხოთნურ რელიგიაში.

ქალღვთაებათა სამეულის კვლევისას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღამის კოშმარებისა და მოჩვენებების, ყოველნაირი ჯადოქრობისა და მედეას მფარველი ქალღვთაება ჰეკატეს* სახეს, რომელიც იყო მთვარის ღვთაება, მმართველი ცის, მიწის და მიწისქვეშეთის და რომლის კულტი ანტიკური ავტორების მიხედვით (აპ. რო-

ჰეკატესთან დაკავშირებით იხ. 21.

დოსელი, სტრაბონი, პლუტარქე, პავსანია და სხვ.) კოლხეთშიც დასტურდება.

სამაიას კვლევისას დ. ჯანელიძე სხვა საფერხულო საგალობელ-სადიდებელსაც იხსენებს, რისი მოხმობაც აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამდენადაც ის საკრალურ რიტხვს სამს ეხება. კერძოდ, მკვლევარს მოჰყავს დიმიტრი არაყიშვილის მიერ ჩაწერილი რაჭული სიმღერებისა და ფერხულების მისამღერებლებიდან "დელია", "დელი", რაც აშვებინებს მას დაუკავშიროს იგი ფუძეკართეელურ "დალ"-ს [17, 118]. მესხეთში სოფ. უდეს ბერობანაში (ბერიკაობაში) დღესაც აბამენ სამსართულა "სამყრელოს" (იგი აღება ღამეს სრულდება პირჩაბმით):

"სამყრელო, სამყრელო,
ნუ გეშ ნუგეშინია.
ქვეშ ბუმბული გიგია.
- როგორ არ მეშინია
ცასა ბეწვით ვკიდევარ.

როგორც დ. ჯანელიძე [17] აღნიშნავს "სამყრელო" - ეს სამსართულა ფერხული, თავისი კოსმოგონიური სიმბოლიზაციის გარდა, თავის "სამით" ეხმიანება სამაია სამთაგანას, ეკილოკავება სამირგვლად ჩაბმულ სამაიას და შეესატყვისება სვანურ "სამითი ჭიშხაშს" და "ლეღტეხა მურგვალს". ამდენად, დალის მადიდებელი ფერხულებიც და "სამყრელოც" სამაიას რიტუალურ როკვათა ციკლისეულად არის სავარაუდებელი. "სამაიაში" სამაია და "სამყრელოში" სამყრელო საკუთარ სახელებადაც შეიძლება იაზრებოდეს, ორთავე ურთიერთ მიმართების კილოზუა ხმარებული*

* სამაიას ეტიმოლოგიაზე იხ. 27.

თვით ფერხულის "სამყრელოს" ტექსტი ეხმიანება და ემთხვევა ზემორაჭულ მითოსს ქვაციხისელზე და დალისა და მონადირის ურთიერთობის ამსახველ სვანურ მითურ თქმულებას [17].

აზრი იმის შესახებ, რომ "სამაია" მხოლოდ და მხოლოდ ქალების ცეკვაა, რომელსაც სამი შემსრულებელი ასრულებდა გამოთქმულია მ. ჩიქოვანის მიერ [23]. თუმცა, როგორც სხვები აღნიშნავენ, სამაია მხოლოდ ქალების მიერ არ სრულდებოდა. ს. მგალობლიშვილი აღნიშნავს ცეკვას, რომელსაც სამაია ეწოდება და სრულდებოდა ქართლში ბიჭების მიერ მოცეკვავეთა წრის შუაში [იხ. 17].

კომპოზიტორი დ. არაყიშვილი აღნიშნავდა, რომ "სამაია" უძველესი ცეკვაა, გავრცელებული ფშავში [17]. ლექსიდან გამომდინარე, რომელიც გ. გრიგოლაშვილის მიერაა ჩაწერილი ფშავში, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სატაძრო დღესასწაულის დროს ადგილობრივი მოსახლეობა "სამაიას" შერეული სამეულის პრინციპით ასრულებდა, სადაც 2 ქალს შორის ცეკვავდა კაცი [17].

თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ სამაიას შემსრულებლები (ქალები თუ კაცები) ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში შესაძლოა დაგვეხმაროს დასავლურ-ქართულ (კოლხურ) რეალიაში თითქმის ბოლო დრომდე შემორჩენილი ხსოვნა ნერჩის ხვამის (ნერჩის ლოცვის) რიტუალი.

არქაულ მანერაში შესასრულებელი ნერჩის ხვამის რიტუალი დღეობათა კალენდართან იყო მისადაგებული (მოდრავი იყო, მოდიოდა დიდმარხვამდე 25 დღით ადრე) სრულდებოდა ოჯახის კეთილდღეობისა და ბარაქიანი მოსავლისათვის და იყო ვიწრო საოჯახო დღესასწაული. მაგრამ მისი სხვადასხვა შემთხვევაში შესრულება ავლენს ამ კულტის სხვა ასპექტებსაც.

გარდა ზემოთ თქმულისა იგი სრულდებოდა მოლოგინებული ქალისა და ახალშობილისათვის. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში (კერძოდ იმერეთსა და გურიაში) ამ რიტუალში ტერ-

მინი ნერჩი იცვლება მისი იდენტური "ფუძით" [3], ხოლო "ფუძე" თავის მხრივ გაიაზრება, როგორც ძირი, ფუნდამენტი და როგორც გვარი და მოგვარეები [3. 24].

სპორადული მითითება იმაზე, რომ რიტუალში სპეციალურად მოწვეული ქალები იღებდნენ მონაწილეობას (რომლებიც, როგორც ჩანს, ერთი გვარისა უნდა ყოფილიყვნენ), ასევე თვითონ ამ რიტუალის ბუნება (თავისებურება), რომელიც გარანტიას აძლევდა მონაწილესა და მის მეუღლეს, ბავშვს და იქ დამსწრეთ ნაყოფიერებაზე მომავალში, დასკვნის შესაძლებლობას იძლევა, რომ მშობიარობის შემდეგ შესრულებული ნერჩის ხეამის რიტუალი მთელ გვარს ანიჭებდა ნაყოფიერებას. შესაბამისად, ამ რაკურსით განხილული ღვთაება ნერჩი წარმოადგენს მთელი გვარის ნაყოფიერების მფარველს და ბედ-იღბლის თემას უკავშირდება [3. 25].

ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რიტუალის წარმმართავი და შემლოცველი ბებია-ქალი იყო. ღვთაება ნერჩის წამყვან თვისებად ნაყოფიერება ითვლებოდა, მაგრამ აქცენტი მისი ბედ-იღბლის და ნაყოფიერების მიმნიჭველობაზე თავისთავად გულისხმობს ბედ-იღბლის ქალღვთაების ასპექტის შეთავსებასაც (მდრ. 11 იენისს "ფორტუნის" დღესასწაულს რომაულ ტრადიციაში ემთხვეოდა ნაყოფიერებისა და შობადობის ქალღვთაების დღე), რაც ქართულ ტრადიციაში ბედისმწერელს უკავშირდება, რომელიც ხანში შესულ შავებში ჩაცმულ ქალებად წარმოიდგინებოდნენ. მათი რიცხვი ძირითადად სამს არ აღემატებოდა (თუმცა ზოგჯერ შვიდით ან ცხრით შეიძლებოდა შეცვლილიყო. ეს უკანასკნელი კი უბრალოდ გასამმაგებული სამია). იგივე რაოდენობა შემლოცველებისა მონაწილეობდნენ უქმურის შელოცვაში და ბატონებისათვის გამართულ რიტუალშიც [25].

ამგვარად ფრაგმენტულად მოღწეული ძეობის* ყველა წესს თუ შევაჯერებთ, სამაიაში მონაწილენი მხოლოდ ქალები უნდა ყოფილიყვნენ და რომ მისი შერეული შესრულება მოგვიანო ხანის მოდიფიკაციად უნდა ჩაითვალოს.

ყველაფერი ზემოთ თქმული გვაგვარაუდებინებს, რომ ქალღვთაების სამეულების (ალბათ, ყველაზე უძველესი სამეულების) არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს ნაყოფიერების** ქალღვთაებისადმი მიძღვნილი მისტიკური კულტის არსებობაზე ქართულ ტრადიციაში. ამ თვალთახედვით ძალზე მნიშვნელოვანია კოლხეთში დადასტურებული წარჩინებული კოლხი ქალის, ვანის უზენაესი კულტმსახურის დაკრძალვის დროს შესრულებული რიტუალი [29, 213]. სამარხში, რომელშიც იგი ესვენა, კიდევ აღმოჩნდა სამი ადამიანის ჩონჩხი ნაკლებად მდიდრული ინვენტარით. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს თანმხლები ქალები იყვნენ მთავარი მიცვალებულის დაახლოებული პირნი, პირადი მოხელეები, რომელთაც წარჩინებული ქალის სიკვდილის შემდეგ, გაინაწილეს მისი ბედი. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, მიუხედავად ამ ქალთა "სოციალური პოზიციებისა" და მათი პრივილეგიებული მდგომარეობისა (სხვა მონამხვევლებთან შედარებით), ისინი მაინც ეკუთვნიან კოლხთა საზოგადოების უფლებამოკლებულ (უუფლებო) ფენას მონებს. ამასთან შენიშნულია ისიც, რომ ქალების ჩონჩხზე არ ჩანს მათი იძულებითი დახოცვის რაიმე კვალი, ამიტომ საესებით შესაძლებელია, რომ აქ შესრულებულიყო ნებაყოფლობით მკვლელობის რაღაც საგანგებო წესი, რიტუალი. [30, 85].

მ. ინაძე მათ მთავარ კულტმსახურთან ახლოს მდგომ დიდგვაროვანთა წარმომადგენლებად მიიჩნევს, რომელთა მსხვერპლად შე-

* ძეობასთან დაკავშირებით იხ. 26.

** ნაყოფიერების ქალღვთაების ბუნებაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში იხ. 27; 28.

წირვაც ქალღვთაების სახელით ხდებოდა და მის მსახურებას ისახავდა მიზნად [31, 84-87].

ამრიგად, ზემოთ განხილული ქალღვთაების სახეები იშლება სივრცული თვალსაზრისით ზემო, ქვემო და გარე სამყაროებში, მათ შემოაქვთ უფროს-უმცროსობის, უფრო სუსტიისა და ძლიერის იდეა და სხვ.

ქართული ტრადიციის ფარგლებში ისინი რამოდენიმე ფორმით გვხვდება: როგორც *a*) დედა ღვთაება, რომელმაც ბუნებრივი ელემენტის მიწის უბრალო პერსონიფიკაციიდან განიცადა ევოლუცია და ფორმად იქმნა ათროპორფულ ღვთაებად; აღნიშნულმა ღვთაებამ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სინკრეტიზაციის შედეგად ღვთისმშობლის სახეში და მის გვერდზე განაგრძო თანაარსებობა [3].

ბ) ქალწული ღვთაება ველური ბუნების დედოფალი (ადგილის დედის, ნადირთპატრონისა და ტყის მეფის სახით), რომელმაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განიცადა დესაკრალიზაცია და საკმაოდ მოკრძალებული ადგილი დაიკავა ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში.

ც) ბებია ქალღვთაება (ზღვის ნენე, ბედისმწერლები, პურის თავთავის ქალღვთაება; ეს უკანასკნელი ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მართალი ანას კულტს უკავშირდება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გამარტივებულად ბებიას ეძახის; იგი იესო ქრისტეს ბებიად იწოდება) [31, 25-31].

რელიგიების შედარებითი კვლევისათვის საინტერესო უნდა იყოს, რომ ბერძნულ მითოლოგიაში გასამშავებელია *Kore* (ქალწული), რომაულში *Matres* (დედა) [32], ხოლო ქართულში უძველესი რიტუალებიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო *Maia* (ანუ ბებია, რომელიც არა მარტო მის ასაკზე მიგვანიშნებს, არამედ ბებია-ქალის სტატუსზეც).

მორფოლოგიურ ელემენტებად დანაწევრებული ქალღვთაების რელიგიური კომპლექსების კვლევისას რამოდენიმეჯერ მის არასრულ ფრაგმენტს შევეყარეთ, რომლის გარშემოც მეორადი მითოლოგიური რელიგიური რწმენა-წარმოდგენები შექმნილა. თუმცა მისი ფონაქცეული კოსმიური ქალღვთაების ერთიანი სახის მიკვლევა ამ ფრაგმენტული მასალითაც არის შესაძლებელი.

ლიტერატურა

1. *M. Eliade*, Patterns in Comparative Religion, New York, 1974).
2. *H. Frankfort*, The Archetype in Analitical Psychology and the History of Religion. 166-178, Journal of the Warburg and Courtauld Institutes, Vol. XXI, 1958. Numbers 3-4, July to December, London.
3. *Н. Абакелия*, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.
4. *ბ. ჯაღაბაძის* სპეციალური გამოკვლევები: ადგილის დედისა და ღეთისმშობლის კულტთა სინკრეტიზაციის საკითხისათვის ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1991.
5. *მისივე*, რელიგიური სინკრეტიზმის ეთნოფსი-ქოლოგიური ასპექტები, კრ-ში: "ქრისტიანობა საქართველოში" (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები), თბ. 2000.
6. *В. Бардавелидзе*, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.
7. *Е. Вурцалидзе*, Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.
8. *G. Charachidzé*, Promethee ou I.e Caucase, Essai de mythologie contrastive, Flammarion, 1986.

9. ნ. ხაზარაძე, ადამიანის დაბადებასთან დაკავშირებული ქართველთა რწმენა-წარმოდგენები და მიწისაგან ადამიანის შესაქმის კონცეფცია, ქართველური მეჩვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000.
10. ლ. გვარამაძე, Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987.
11. კ. ჩიტანავა, Музыкальная культура равнинного населения Западной Грузии, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ереван, 1987.
12. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I. მითოლოგიური ტექსტები, თბ., 1972.
13. ნ. აბაკელია, ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (ღვთაება "ჟინი ანთარი"), მაცნე (ისტორიის სერია), №2. 1983.
14. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.
15. ნ. აბაკელია, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.
16. ტ. Chetwynd, A Dictionary of Symbols, Paladin, London... 1982.
17. დ. ჯანელიძე, სახიობა, წერილების კრებული, წიგნი IV. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, თბ., 1990.
18. დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987.
19. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სევანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
20. ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი.
21. რ. ცანავა, პეკატეს სახის მითოსური ასპექტები და თქმულება არგონავტების ლაშქრობაზე, ქართული ფოლკლორი, XIII, თბ. 1983.
22. დ. ჯანელიძის დასახ. ნაშრომი და იქვე შესაბამისი ლიტერატურა.
23. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946.

24. *ყ. ითონიშვილი*, ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1960.
25. *ნ. აბაკელია*, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.
26. *გ. ბარდაყელიძე*, ბაეშეის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.4. ტფ., 1928.
27. *თ. ონიანური*, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; *მისივე*, ხახმატის ჯვარი, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, 181-185.
28. *ო. ლორთქიფანიძე*, *რ. ფუთურიძე*, *გ. თოღოვრიძე*, *ა. ჭყონია*, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. ვანი I.
29. *Г. Нортукианидзе*, Колхида в VI-II вв до н.э.
30. *მ. ინაძე*, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
31. *ნ. აბაკელია*, ქრისტიანულ წმინდანთა კულტები დასავლეთ საქართველოში ან კიდევ ერთხელ დან დეცემის შესახებ, კრ-ში: *დიდგორი*, თბ., 1991.
32. *ჟანე არრისონ*, როლეგომენა ტო ტჰე სტუდუე ოფ რეეკ დელიგიონ, უ. 1957.

Теллурические и хтонические теофании в грузинской мифо-ритуальной системе

В статье рассмотрены образы богинь в грузинской мифо-ритуальной системе, которые развертываются в пространственном отношении в трех зонах мироздания (в теллурическом/позднее хтоническом/, астральном и внешнем).

Образы богинь встречаются в разных наименованиях и в разных статусах: как *богиня-Матерь*, которая после распространения христианства синкретизировавшись сосуществует с образом и в образе Богоматери, воплощая воззрения древних земледельцев; как *богиня-дева*, царица и повелительница дикой природы, коррелят Гекаты культ которой по античным сведениям существовал в Колхиде /совр. Западная Грузия/, которая по распространению христианства десакрализовалась и занимает скромное, подчиненное место в поздних мифологических воззрениях грузин. С ее древним образом связана идея троичности; как *богиня-Бабка* / Бабка Моря, богини Судьбы, богиня Хлебных злаков; эта последняя после распространения христианства ассоциируется с образом Праведной Анны, которую местные жители упрощенно называли бабушкой /т.е. бабушкой Христа/.

Исследуя расчлененные на мелкие морфологические элементы религиозные комплексы богинь, вокруг которых выросли вторичные мифологические представления можно воссоздать единый образ космической богини.

Telluric and Chthonic Theophanies in Georgian Mythico-ritual System

The various images of deities are considered in Georgian mythico-ritual system, which unfold from the spatial point of view into three zones of the world (in telluric /later chthonic/, astral and outer).

The images of the deities are met in different names and different social ranks: as *Mother-deity*, Which after the distribution of Christianity, became syncretic and relegated to the second plan; it began its new existence with the image and in the image of the Mother of God (i.e. the Mother of Jesus - Virgin) embodying the beliefs of the ancient agriculturists; as *Kore* (or *Virgin deity*), the Queen and patroness of the wild nature, which is the correlate to Hecate (the cult of which according to the antique sources existed in Colchis - now the territory of Western Georgia), which after the distribution of Christianity lost its sacredness and took quite a modest and subordinate place in the later mythological views of Georgians. With her ancient image the idea of *Trinity* is associated; as the *Old Lady* - (the *Lady of Sea*, deities of Fate, the Lady of Grain) after the distribution of Christianity she is associated with the image of True Anna, which the local population simply called "Granny" (i.e. the Grandmother of Jesus Christ).

While analyzing the smallest morphological elements of the religious complexes associated to the Goddesses around which the secondary mythological beliefs are formed, one can detect the wholeness of the Cosmic Deity.

**სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის
ეთნო-სოციალური მდგომარეობა
ძვ. წ. ა. III-I ათასწლეულებში**

I

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური მდგომარეობის შესწავლა (უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე) მეტად აქტუალურს წარმოადგენს და მკვლევართა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამ პრობლემის ობიექტურად შესწავლა-დამუშავებას არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური ღირებულება გააჩნია. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სადღეისოდ იძენს, რადგან აღნიშნულ რეგიონში ეთნო-პოლიტიკური და ეთნო-სოციალური ვითარება საკმაოდ დაძაბულია. საკვლევი საკითხი მეტად რთული და მრავალსპექტრიანია, ამიტომ მისი შესწავლა ქრონოლოგიურად (უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე) უნდა მოხდეს. მართალია ამ საკითხს ქართველმა მკვლევარებმა დიდი ყურადღება დაუთმეს და საყურადღებო დასკვნებიც გააკეთეს, მაგრამ ამ კუთხით (ეტაპობრივად: უძველესი ხანა, ანტიკური პერიოდი, ადრეული ფეოდალიზმი, შუა და გვიანი ფეოდალიზმი, XVIII-XIX საუკუნეები, XX საუკუნე) საგანგებოდ არავის შეუსწავლია.

სამხრეთ საქართველოს უძველესი პერიოდის მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებას (წარმომავლობას) მკვლევარებმა ადრეული ხანიდანვე მიაქციეს ყურადღება. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა XIX საუკუნიდან და მას დღესაც ინტენსიურად (მასშტაბურად) სწავლობენ [1; 2; 3; 4; 5; 12]. ვინაიდან ეს საკითხი უშუალო კავშირშია ჩვენს საკვლევ პრობლემასთან, ამიტომ ზოგადად

შევეხებით იმ შეხედულებებსა და ვარაუდებს რომლებიც დღემდე არსებობს.

XIX საუკუნის ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა (პ. გელცერი, ე. შრადერი, ფ. ლენორმანი და სხვები) არსებულ წყაროებში მოხსენიებული მუშქები//მესქები ქართველური ტომის მოსხების//მესხების წინაპრებად მიიჩნია. აღნიშნულ კონცეფციისათვის ეს მკვლევარები „მოსხი“, „მოსოხი“, „მეშეხი“, „მესხი“ ტერმინებთან მუშქის როგორც ფონეტიკურ მსგავსებაში, ისე ამ სახელწოდების იგივეობის დამამტკიცებელ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის რეალიებში ხედავდნენ. მუშქების ქართული წარმომავლობის თეორია გაიზიარეს XIX საუკუნის ქართველმა ისტორიკოსებმაც (დ. ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი და მ. ჯანაშვილი) [12, გვ. 141].

მკვლევართა გარკვეულმა ნაწილმა (პ. ვინკლერი, ვ. ჰოლი, ე. მაფორეტი და სხვ.) გამოთქვა მოსაზრება, რომ „მუშქების ქვეყანა“ და „დიდი ფრიგია“ ეს ერთი და იგივეა და მუშქები (მესხები) ფრიგელებად გამოაცხადა. ამრიგად მათ მუშქები (მესხები) ბალკანურ-თრაკიულ მოდგმის ხალხად მიიჩნიეს. ამან კი მესხების სომხების წინაპრებად გამოცხადებას შეუქმნა საფუძველი [12, გვ. 148].

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ წარმომავლობას არა მხოლოდ უცხოელი არამედ ქართველი ისტორიკოსებიც იკვლევდნენ და იკვლევენ დღესაც. თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა, საერთოდ, ქართველი ხალხის წარმომავლობის (ვინაობის, სადაურობის) კონცეპცია წამოაყენა და გარკვეული თვალსაზრისიც (შეხედულებაც) გამოთქვა. მან მუშქები, მესხები, მოსხები სხვა ტომებთან (თაბალები, ქაშქები, კოლხები) ერთად ქართველი ხალხის წინაპრებად მიიჩნია. მისი შეხედულებით ქართველთაგან კავკასიაში პირველად მუშქები უნდა მოსულიყვნენ, რომლებიც ისტორიულად კარგად ცნობილ ხანაში დანარჩენებზე უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. ამიერკავკასიაში მუშქების მოსვლა ივ. ჯავახიშვილმა

მცირე აზიაში კიმერიელების გამოჩენას დაუკავშირა. მისი ვარაუდით კიმერიელებმა თაბალები შეავიწროვეს, ხოლო რაკი ეს უკანასკნელნი მუშქების სამხრეთით ცხოვრობდნენ, ამიტომ მათ თავის მხრივ აიძულეს მუშქები-მოსხები კაკასიისაკენ დაძრულიყვნენ [13, გვ. 389].

აკად. გ. მელიქიშვილი მუშქებს ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. მისი აზრით მუშქების უძველესი პირველსაცხოვრისი მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე არის საძიებელი. აქედან ძვ. წ. ა. XII საუკუნეში მუშქების ერთი ნაწილი (აღმოსავლეთის მუშქები) ჩრდილოეთ მესოპოტამიისაკენ გაიჭრა. უფრო გვიან კი მუშქების მეორე ნაწილმა (დასავლეთის მუშქები) მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებზე გაავრცელეს თავიანთი ძალაუფლება და ძლიერი სამეფო შექმნეს. ამ სამეფოს ასირელები „მუშქების ქვეყნის“ სახელით იცნობდნენ, ხოლო ანტიკური პერიოდის წყაროები მას „ფრიგიას“ ეძახდნენ. ძვ. წ. ა. 676 წელს კიმირიელთა და ურარტუელთა ერთობლივი შემოტყების შედეგად მუშქების სამეფო (ფრიგია) განადგურებულ იქნა. ამის შემდგომ მუშქების ერთმა ნაწილმა წამოიწია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და იგი გვიანდელი მესხეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდა [3, გვ. 84; 16, გვ. 104].

ქართველი მკვლევარები მესხებს//მოსხებს უკავშირებენ ხეთურ-ლევიური პანთეონის ღვთაებების, არმაზისა და ზადენის, მცხეთაში შემოტანასა და იქ დამკვიდრებას [12, გვ. 186; 16, გვ. 210]. აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებლადაა მიჩნეული ტოპონიმი „ზადენი“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ამ მხარეებში (მცხეთა, მესხეთი) გვხვდება და რომელიც მესხების//მოსხების სახელწოდებასთან ორგანულადაა დაკავშირებული [12, გვ. 193].

თ. მიქელაძის აზრით მუშქების//მოსხების//მესხების პირველსაცხოვრისი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორია იყო,

ის მხარე, რომელსაც „ისე ძლიერ მიეწერება მათი სატომო სახელი (ვარიანტებითურთ), როგორც არც ერთ მხარეს რომელსაც კი შეიძლება ეს ხალხი დაუკავშირდეს“. იგი მოსხვებს/მესხვებს დასავლურ ქართულ (კოლხურ) ხალხად მიიჩნევს. თ. მიქელაძე აღნიშნული შეხედულების დასასაბუთებლად მესხეთის ტოპონიმიკაში, ეთნონიმიკასა და ლექსიკაში დასავლურ ქართული (ზანური) რელიექტური ფენის არსებობას მიიჩნევს. ამასთან ერთად იგი მნიშვნელოვან ფაქტად თვლის იმას, რომ ზანური ონომასტიკონის გავრცელების არეალი მოლიანად ემთხვევა დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის გავრცელების ფარგლებს. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზანური ტოპონიმის გავრცელების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად თ. მიქელაძე ძვ. წ. ა. VI-IV საუკუნეებს მიიჩნევს, ხოლო ამ პროცესის დასაწყისს კი ძვ. წ. ა. მეორე ათასწლეულის შუა ხანებით ათარილებს [4, გვ. 74].

სამხრეთ საქართველოს ადრეული პერიოდის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხი (აღარას ვამბობთ სოციალურზე, რადგან ეს საკითხი არ დასმულა დღემდე) როგორც ვხედავთ მკვლევართა ფარო წრის ინტერესში შედის. მიუხედავად მთელი რიგი შეხედულებებისა, დღეისათვის მაზე შედარებით ამომწურავი პასუხი პროფ. ნ. ხაზარაძის ფენდამენტალურ მონოგრაფიაშია მოცემული [12]. აღნიშნულ მონოგრაფიაში ავტორი ისტორიული წყაროებისა და არსებული სპეციალური ლიტერატურის დაწვრილებით ურთიერთშეჯერებისა და ობიექტური განხილვის შედეგად მესხთა ეთნიკური წარმომავლობის, ვინაობის, მათი თავდაპირველი განსახლების, შემდეგში მათი გადანაცვლების გზებისა და ამ გადანაცვლების მიზეზების შესახებ დასაბუთებულ დასკვნებს იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში დასმული საკითხები ამომწურავადაა გაშუქებულ-დასაბუთებული. სწორედ ამიტომ ჩვანს საკვლევ პრობლე-

მასთან დაკავშირებით ცოტა ვრცლად შევჩერდებით მის მონოგრაფიაზე.

6. ხაზარაძე არსებული წერილობითი წყაროებისა [9; 10; 8] და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით [1; 4; 6; 15; 17] გამოთქმული სხვადასხვა შეხედულებათა ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივიდა. მისი შეხედულებით „არგონავტიკის თქმულების კოლხეთი, უკეთ აია-კოლხეთი საძიებელია არა რიონის დაბლობზე, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთი ლოკალიზაცია ეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ მოსაზრებებს, რომლებიც ფრიქსეს მიერ აგებულ ტაძარსა და სამისნოს (სტრაბონისეულ ლეგკოთას ტაძარს) მესხეთში ანუ უფრო ზოგადად ქართლში ათავსებენ [12, გვ. 189]. ეს მეტად საინტერესო და ორიგინალური დასკვნა სამხრეთ საქართველოს ადრეული ხანიდანვე ბერძნულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთკავშირში წარმოგვიდგენს.

6. ხაზარაძე ეთნიკურ ჯგუფს მუშქებს მესხებთან//მოსხებთან აიგივებს და აღნიშნავს, რომ „მუშქებთან მოსხების გასაიგივებლად რამდენიმე საყურადღებო მონაცემი არსებობს. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ჩვენებებია მნიშვნელოვანი. ერთი მხრით, მუშქებისა და, მეორე მხრით, მოსხების განსახლების შესახებ არსებული პირველწყაროების ურთიერთშეჯერება გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. ა. XII ს-ში მუშქების კუთვნილ მხარეს მდ. ეფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (დღევ. მურად-სუს სამხრეთით), ქაშიარის მთების (დღევ. ტურ-აბდინის) ჩრდილოეთით, ტიგროსის მარჯვენა სანაპიროსა და მის ზემო დინებასთან მდებარე ოლქებს უშუალო ტერიტორიული კავშირი ჰქონდა იმ რეგიონთან, სადაც ძვ. წ. ა. VI-V საუკუნეების ძველი ბერძნული წყაროების საფუძველზე მოსხების მიწა-წყლის არსობა ვივარაუდო“ [12, გვ. 189].

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ადრეული პერიოდის ეთნო-სოციალური ვითარების შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებშიც. მაგალითად: ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი სამხრეთ საქართველოს არიან-ქართლის მეფის შვილია, რომელსაც პრეტენზია აქვს ქართლის მეფობაზეც. მან (აზომ) თავის განზრახვა სისრულეში მოიყვანა და ქართლის მეფედ დაჯდა კიდევ. ქართლის მეფობის პრეტენზია თუ სურვილი მას შემთხვევით არ გასჩენია. იგი ფაქტიურად ზემო ქართლის (არიან-ქართლის) მეფის მემკვიდრე იყო და, ბუნებრივია, ერთიანი ქართლის მეფობის სურვილიც ჰქონოდა.

შემდეგში, როდესაც ფარნავაზმა დაამარცხა იგი და განდევნა მცხეთიდან, აზო თავის მამა-პაპისეულ ადგილსამყოფელს – კლარჯეთს უბრუნდება. ის რომ არაქართველი – არაკლარჯი ყოფილიყო, კლარჯეთს არ შეაფარებდა თავს. ფარნავაზთან შებრძოლებას იგი არა საბერძნეთიდან მოწვეული უცხო ძალებით, არამედ საკუთარი – კლარჯეთში მცხოვრებელი ქვეშევრდომებით ცდილობს. აღნიშნულ წყაროებში მოტანილ ცნობებს თუ შევაჯამებთ და გავაანალიზებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ არიან-ქართლი სხვა არაფერია თუ არა ზემო ქართლი, სადაც მოსახლეობის ძირითადი ბირთვი ქართულ ეთნოსს ეკუთვნის. ფარნავაზმა აზოს განდევნის შემდეგ განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“. მათგან სამი ერისთავი სამხრეთ საქართველოს რეგიონებს განაგებდა. „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად და მისცა ფარავნიდან ვიდრე მტკვრის სათავემდე, სადაც შევიდა ჯავახეთი, კოლა, და არტანი.

მეექვსე გაგზავნა ოძრახის ერისთავად და მისცა ტასისკარიდან ვიდრე არსიანამდის, ნოსტის თავიდან ზღვამდე, სადაც შევიდა სამცხე და აჭარა.

მეშვიდა გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად და მისცა არსიანიდან ზღვამდე. ერისთავთა ხელქვეითებად თავთავიანთ ადგილზე გა-

ნაჩინა სპასალარები და ათასისთავეები და ყველა ამათგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო... ხოლო იგიპრომნი ათასი მხედარი, რომლებიც განუდგნენ აზოს და შეუერთდნენ ფარნავაზს... ისინიც გაყო და ჩააყენა ხევებსა და ქვეყნებში, და სწავლობდა მათ, რამეთუ სიმხნევე გამოიჩინეს აზონსთან ბრძოლაში და ეწოდათ მათ სახელად აზნაურნი“ [7, გვ. 16-17].

ცალკე საგამგებლო ერთეულად სამხრეთ საქართველო ორ ნაწილად გაყოფილი ჩანს უკვე ადრეული ხანიდანვე. ქართლის ცხოვრებაში ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული. „ხოლო მცხეთოსის შვილთა შორის გამოჩნდნენ სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელებია: პირველისა უფლოს, მეორისა ოძრახოს და მესამისა ჯავახოს. გაუყო მათა ქვეყანა და ნათესავნი მათი ყოველი:

ოძრახოსს მისცა ტასისკარიდან ვიდრე ზღვამდე სპერისა, ქვეყანა კლდოვანი. ოძრახოსმა ააშენა ორი ციხე-ქალაქი-ოძრაზე და ჩუბარისი.

ხოლო ჯავახოსს მისცა ფარაენიდან ვიდრე სათავემდე მტკვრისა. და ჯავახოსმა ააშენა ორი ციხე-ქალაქი-წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსაც მაშინ ერქვა ჯავახთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვია ჰური...

და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულესი და უსახელოვანესი, არამედ თავ-თავიანთ ადგილებში ისხდნენ თავკაცები. ხოლო ვინც იჯდა მცხეთას თავდად, ის ითვლებოდა ყველას უფროსად, მაგრამ არ ეწოდებოდა მეფე, არცა ერისთავი, არამედ მამასახლისი. და ის იყო მზავებელი და ბჭე ყოველთა ქართლოსიანთა [7, გვ. 7-8].

საინტერესოა ის გარემოება, რომ აღექსანდრე მაკედონელის გამოჩენამდე მთელ საქართველოში ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ: ეს ენები იყო: ქართული სომხური, ხაზარული, ასურული, ბერძნული, ებრაული [7, გვ. 54].

დაჯდა მეფე მირიანის ძე ბაქარ და იყო მორწმუნე, ვითარცა მამა მისი. და ამან მოაქცია უმრავლესნი კავკასიანნი, რომლებიც ვერ მოექცია მამასა მისსა. ჩამოვარდა მასსა და სომეხთა შორის მტრობა, რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმის, რევის ძის, თრდატ სომეხთა მეფის ასულის წულის მეფობასა ლამობდნენ ქართლში. ხოლო ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მის ძმისწულისა, დაემოყვრა და გაეცვალა ქვეყანა დის ქმარსა თავისსა ფეროზს, რომელსაც ჰქონდა რანი ბარდავამდე მიცემული მირიანისაგან და ამის სანაცვლოდ მისცა სამშვილდის ირგვლივ მდებარე ქვეყნები, ვიდრე დასაწყისამდე აბოცისა. მაშინ ნათელიყო ფეროზმა და ერმა მისმა და შეურჩია ბაქარმა სპარსთა ძალა, ჯავახეთში შეებრძოლა სომეხებს, სძლია და აიტანა სომეხნი“ [7, გვ. 84] (რომლებიც, როგორც ჩანს, მაშინ ჯავახეთში იყვნენ შეჭრილნი თ. ი.).

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ადრინდელი ხანის ეთნო-სოციალური პრობლემების კვლევისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა როგორც საკუთრივ სამხრეთ საქართველოს, ისე მცირე აზიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და გათხრილი არქეოლოგიური ძეგლები. მათი შესწავლის საფუძველზე მკვლევართა შორის გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხეთების შემდეგდროინდელ აღმოსავლეთ მცირე აზიაში აღმოცენებული კულტურა ქართველურ-კავკასიურ და, მაშასადამე, მოსხურ სამყაროსთან უშუალო კავშირში უნდა იყოს [4, გვ. 190].

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ძველი პერიოდის ეთნო-სოციალური (განსაკუთრებით სოციალური) პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლად მიგვაჩნია სამცხეში, კერძოდ ახალციხის რაიონში აღმოჩენილი ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულის ნამოსახლარი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ამირანის გორის (თევ შენ თეფე კურდღლის თავი) სახელწოდებითაა ცნობილი.

ამირანის გორის ადრენდელი ნამოსახლარები ძვ. წ. ა. III ათასწლეულით თარიღდება. როგორც მასალიდან ჩანს დასახლება ტერასული იყო (ე. ი. ქვემოთ მდებარე სახლის ბანი, ზემოთ მდებარე სახლის გამოსასვლელ ეზოს წარმოადგენდა). ტ. ჩუბინაშვილი ფიქრობს, რომ ეს ფართო ნასოფლარი მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული. მისი ვარაუდით იგი შეიძლება ერთ-ერთ უდიდეს დასახლებად ჩაითვალოს იმ დროისათვის [11, გვ. 17]. დასახლებას სარიტუალო-საკულტო ნაგებობაც უნდა ჰქონოდა (გორის თავზე) დასახლების შუაგულში. შეიძლება ითქვას, რომ ამირანის გორაზე მოპოვებული კერამიკული მასალის ფორმები ერთი მხრივ აღმოსავლეთ ანატოლიის (ქარაზი), არაქსის ხეობისა და ვანის ტბის მიდამოებში, ხოლო მეორე მხრივ თრიათელში (ბემთაშენი, ოზნი) და შიდა ქართლში (ქვაცხელები) აღმოჩენილ კერამიკის ფორმებს ემსგავსება. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ახალციხის ამირანის გორა წარმოადგენს მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპურ ძეგლს [11, გვ. 75]. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს უნიკალური ძეგლი ნათლად გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ რეგიონში იმ დროისათვის არსებობდა პატრიარქალური საზოგადოება, სადაც ქონებრივი დიფერენციაცია საკმაოდ შორს იყო წარსული (სოციალური ფაქტორი). ამირანის გორაზე მაცხოვრებელ მოსახლეობაში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა მეურნეობის ისეთი დარგები როგორცაა მესაქონლეობა (მწყემსური მესაქონლეობა), მიწათმოქმედება (სამიწათმოქმედო იარაღები, მარცვლეულის სახეობანი და ქერი) და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები.

მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად დადგენილი სამიწათმოქმედო კულტურის საკმაოდ მაღალი დონე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმ დროისათვის ამ მეტად მაღალი კულტურის მატარებელ მიწათმოქმედ ხალხს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა სოფლის მეურნეობის ისეთ დარგში

როგორცაა შემინდვრება, რომლის დაწყების პერიოდი უფრო ადრეულ ნეოლითურ-ენეოლითურ კულტურაში უნდა ვეძიოთ.

ძვ. წ. ა. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ისეთი კულტურული კონტაქტებია დადასტურებული, რომლებიც სამხრეთ კავკასიას (სამხრეთ საქართველოს) მთელ წინა აზიასთან აკავშირებს. მკვლევართა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ დასაშვებია ამგვარი კავშირები სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხების მეტალურგიაში დაწინაურების შედეგს წარმოადგენდა.

როგორც მასალებიდან ირკვევა ხელოსნობის ყველა დარგი იმ დროისათვის საკმაოდ დაწინაურებული იყო. ქსოვაში უკვე გამოყენებული ყოფილა საქსოვი დაზგები [16, გვ. 101]. აღნიშნულის ერთი დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ სელის ქსოვილი უკვე თიხის ჭურჭლის დაყალიბებისთვის იხმარებოდა. რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ვიფიქროთ აღნიშნული პროდუქცია სერიულად მზადდებოდა. მკვლევართა ვარაუდით ეს მოვლენა ჭურჭლის უჩარჩოდ დამზადების ხანაში მეჭურჭლეთა დიდ დახელოვნებაზე მიუთითებს [11, გვ. 89].

მიწათმოქმედების მაღალი დონე შეპირობებული იყო მსხვილფეხა პირუტყვის გამოყენებით. პროფ. ბ. კუფტინმა პირველმა ივარაუდა ამ მხარეში გუთნური მიწათმოქმედების არსებობა. აღნიშნული ვარაუდის გამოთქმისას ის ეყრდნობოდა ძვ. წ. ა. III ათასწლეულის არქეოლოგიურ ძეგლებში აღმოჩენილი უღელშებმული ხარის თავის გამოსახულებიან საკინძეს. [15, გვ. 121].

ხელოსნობის, მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარების ასეთი მაღალი დონე შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ მამაკაცის საზოგადოებრივი საქმიანობის როლი საკმაოდ გამოკვეთილს (წინ წამოწეულს) წარმოადგენდა და საერთოდ განმტკიცებული პატრიარქალური საზოგადოებრივი წყობილება უნდა ყოფილიყო. ამის მანიშნებელია ერთი მხრივ ოჯახისა და წინაპრის

კულტში მამაკაცის დამკვიდრების ფაქტი (კერასთან დაკავშირებული ზესადგარები), ხოლო მეორე მხრივ ოჯახისა და გვარის ცალკეულ წევრთა შორის დაწინაურებული მამაკაცის საგანგებოდ აკლდამაში დაკრძალვის შემთხვევები და ამასთან დაკავშირებით დიდი როლდენობით ცხოველების შეწირვა, ამ ცხოველებისა და ლითონის იარაღის სამარხში ჩატანება.

მტკვარ-არაქსის კულტურის ფართო გავრცელებას დიდ ტერიტორიაზე ტ. ჩუბინიშვილი იმ კულტურული ურთიერთობების გავრცელება-განვითარებით ხსნის, რომელიც ძირითადად მაინც გავლა-გამოცვლის გაფართოებას მოჰყვა. ამ პერიოდში „თუ აქ გამოვრიცხავთ ტომთა დიდ გადასახლებას, მაშინ ეს მოვლენაც აგრეთვე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება დავასახელოთ... მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების რელიგიურ-სარწმუნოებრივი წარმოდგენებიც ამ მხრივაც საყურადღებო ჩანს“, აღნიშნავს იგი [11, გვ. 89].

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე კომპლექსებად ჯგუფებად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები არის წარმოდგენილი, რომლებიც აღნიშნულ რეგიონში დასახლებისა და აქ მაცხოვრებელი მოსახლეობის უწყვეტი განვითარების შესახებ გარკვეულ სურათს ქმნიან. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ნასოფლარ ზედათმოგვთან ახლოს მდებარე ნამოსახლარი ვერთა ყარა (ბერთა ყანა), სოფ. ანდრიაწმინდის მახლობლად ელიას მთის აღმოსავლეთ ფერდობის გაყოლებაზე მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „ლოდობანა“ და „დაწყობილი ყანები“, რომლებიც ამფითეატრის მსგავსად დიდ ფერდობზე ძველად ნაკეთებ ტერასებს შეიცავენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მრავალფეროვანი ძეგლი სამოსახლეობის ირგვლივ წარმოდგენილია სხვადასხვა დროისა და კატეგორიის ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც თითქოს

მიუთითებენ ადრეული ხანის კულტურის ერთიან უწყვეტ განვითარებაზე [11, გვ. 11]. იგივე შეიძლება ითქვას ქვაბლიანის ხეობაში სოფ. ბენარას მახლობლად არსებულ ძეგლებზეც ე. წ. „ზადენ გორაზეც“, სადაც ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულების მასალებთან ერთად თავს იჩენს აგრეთვე ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები.

ამირანის გორის ნამოსახლარებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მის სამხრეთ კალთებზე განლაგებული განსახლების ფორმები. ეს ნამოსახლარები ტერასებადაა განლაგებული ნიაღვრების საწინააღმდეგო კედელთა დამატებითი სისტემების ჩართვით. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აქ მცხოვრებ მოსახლეობას ტერასებზე ნაგებობების გამართვისა და მოვლის ისეთი ტრადიციები უნდა ჰქონოდათ შემუშავებული, რაც სწორედ მთის მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი [11, 21].

თუ გადავხედავთ სამხრეთ საქართველოში XX საუკუნის დასაწყისამდე ტიპიურად არსებულ დასახლების ფორმებს და ამირანის გორაზე აღმოჩენილ-გათხრილ მასალას შეიძლება ითქვას, რომ პირველი ამ უკანასკნელის დასახლების სტრუქტურას იმეორებს და მიუხედავად მათ შორის თითქმის ხუთი ათასი წლის სხვაობისა, ცკლილებები ფაქტიურად არ განუცდია (ამირანის გორის ტერასული დასახლების ფორმის დაფიქსირება დღესაც შეიძლება ისეთ ძირძველ ქართულ სოფლებში როგორცაა ჭობარეთი, ხიზაბაერა, ნასოფლარი ძველა მუსხი, ნასოფლარი ნიჯგორი „მარნების“ სახელწოდებით და მრავალი სხვა). ყოველივე ეს იმის უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დასახლებების სტრუქტურის ამგვარი იდენტურობა, ამავე დროს არსებობის უწყვეტობა შესაძლებელია სამხრეთ საქართველოს ძველი (უფროსწორი იქნება თუ ვიტყვი უძველესი) და თანამედროვე მოსახლეობის გენეტიკური (ეთნიკური) ერთგვაროვნებისა თუ არა ნათესაობის მანიშნებელი მაინც იყოს.

ცნობილია, რომ ყოველ ეთნოსს, მიუხედავად ერთნაირ კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოში ცხოვრებისა, თავისი სპეციფიკა გააჩნია როგორც დასახლების, ისე საცხოვრებელ ნაგებობათა სტრუქტურასა და ფორმაში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ თუნდაც სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებელი სხვადასხვა ეთნოსების დასახლების ფორმათა და საცხოვრებელ ნაგებობათა არქიტექტურულ-სტრუქტურული აღწერილობა-შესწავლაც საკმარისი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი ერთმანეთის გვერდით მეზობლად და ერთნაირ გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობენ, მაინც თითოეულ მათგანს თავისი სტრუქტურულ-არქიტექტურული სტილი აქვს შემუშავებული, რომელიც მეორისას არ იმეორებს.

ზემოთ განხილული წერილობითი წყაროების, სპეციალური და ზოგადი ლიტერატურის, არქეოლოგიური მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერება-განხილვის საფუძველზე შესაძლებელია სამხრეთ საქართველოს ტერიტორია არა უგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულიდან ქართული ეთნოსის განსახლების რეგიონად გავიაზროთ.

1. მ. ინაბე. ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის//საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, №11, თბ., 1960.
2. ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ//„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 35, თბ., 1963.
3. გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1953.
4. თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. (ძვ. წ. II-I ათასწლეულები), თბ., 1974.
5. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977.
6. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964.
7. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
8. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1980.
9. თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ.
10. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957.
11. ტ. ჩუბინაშვილი. ამირანის გორა. თბ., 1966.
12. ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984.
13. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950.
14. ს. ჯანაშია. შრომები, II, თბ., 1952.
15. Б. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1940.
16. Г. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959.
17. Г. Меликишвили. Наირи-Урарту. Тб., 1954.

Этно-социальное положение населения Южной Грузии в III-I тысячелетиях до н. э.

Известно что, несмотря на одинаковые климато-географические условия, каждый этнос создает присущие только ему структуры и формы населенных пунктов и жилищ.

Для иллюстрации сказанного достаточно изучить формы и структуры селений и жилищ различных этносов, населявших территории южной Грузии. Длительное время они жили бок о бок в одинаковых географических условиях, однако каждый из них выработал собственный неповторяемый структурно-архитектурный стиль.

На основе изучения и анализа письменных источников, специальной литературы, археологических данных и этнографического материала можно предположить, что с III тысячелетия до н. э. южная Грузия была населена грузинским этносом.

The Ethnic and Social Conditions of the Population of Southern Georgia in the 3rd and 1nd Millenia B. C.

As is known, every ethnic group despite the living in the equal climatic and geographic conditions maintains its specificity in the character of settlements, as well as in the structure and form of the dwelling houses. For that purpose the forms of the settlements and the architecture of the dwellings of the various ethnic groups living on the territory of Southern Georgia would serve as an illustration. Despite their long life together side by side and the same geographic conditions each of them has developed its own architectural style of the dwelling.

On the basis of the written sources, the special literature, archaeological and ethnographic data it can be deduced that the territory of Southern Georgia starting 3rd millenium B. C. might be seen as the region of in habitancy of Georgian ethnos.

**ქოლხეთის აღწერილობა ალინუს უფროსის
„ბუნების ისტორიაში“
(წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი)**

გვიანანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულმა მწერლობამ საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი საისტორიო-ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისმა დიდმა ნაწილმა სრული სახით მოაღწია, დანარჩენი კი მოკლე ექსცერპტების, ან ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა. გვიანანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ჩვენ ძირითადად გამოვყოფთ ორი რიგის ნაშრომებს: 1) ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახვა ჰპოვა შავიზღვისპირეთში მომხდარმა ამბებმა ჯერ პონტოს სამეფოსა და რომს შორის გამართული ომების, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთში რომის პოლიტიკური ბატონობის ხანაში, 2) გეოგრაფიული ნაწარმოებები - შავიზღვისპირეთის პერიპლუსები, ქვეყნების ეთნო-გეოგრაფიული აღწერილობანი და სხვ.

ძველი პერიპლუსებიდან, პერიეგესებიდან და სხვა გეოგრაფიული ნაშრომებიდან ამოღებულ მონაცემებთან ერთად ეს ნაწარმოებები შეიცავენ მრავალ ახალ ცნობას, რომელნიც შეკრებილ იქნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში რომაელთა ლაშქრობების დროს. ზოგიერთი ავტორის მიერ ფართოდ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ლაშქრობის მონაწილე პირთა, მეომართა, ვაჭართა მონათხრობი, ასევე ოფიციალური დოკუმენტები, რომაული გზამკვლევები, სიტუაციური რუკები, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმდროინდელ ავტორთა ცოდნა საერთოდ სამყაროს, კერძოდ კი შავიზღვისპირეთის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმდროინდელმა ნაწარმოებებმა გარდა წმინდა გეოგრაფიული ცნობებისა შემოგვინახეს

მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ამ-
სახველი ჩვენებებიც.

წინამდებარე წერილში გვიანანტიკური ხანის მწერლო-
ბიდან ჩვენ საგანგებო წყაროთმცოდნეობითი კვლევის ობიექ-
ტად გამოვყავით პლინიუს უფროსის ცნობები ძველი კოლ-
ხეთის შესახებ, რადმენადაც აღნიშნული პრობლემა ამ თვალ-
საზრისით ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ის-
ტორიოგრაფიაში. ამის აუცილებლობა კი სულ უფრო და უფ-
რო იგრძნობა ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში.

პლინიუსის მოღვაწეობა იმპერატორების ვესპასიანეს
და ტიტუს ხანას განეკუთვნება (ახ. წ. I ს.). პლინიუსი მათი
მრჩეველი იყო. ხელმძღვანელობდა ფლოტს ნეაპოლთან, სა-
დაც დაიღუპა 79 წელს ვეზუვიუსის ამოფრქვევის დროს. თა-
ვისი თხზულება „ბუნების ისტორია“ (*"Naturalis Historia"*)
პლინიუსს 77 წელს თითქმის დასრულებული ჰქონდა, მაგრამ
ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ის მაინც განაგრძობდა მა-
სზე მუშაობას, ჩანართების გაკეთებას და ზოგიერთი ადგი-
ლის დაზუსტებას.

პლინიუსი მიზნად ისახავდა ენციკლოპედიური ნაშრო-
მის შექმნას, ბუნების შესახებ სამყაროს ზოგადი ფიზიკურ-
გეოგრაფიული აღწერის შედგენას. მან შეკრიბა მდიდარი მა-
სალა მეცნიერების ყველა სფეროში, მაგრამ ამ მასალის სის-
ტემაში მოყვანა, მისი მეცნიერული გადამუშავება ვერ შეძლო.
ამის გამო ნაშრომმა მიიღო ფართო კომპილაციის, ფაქტების
კრებულის სახე (9,180). განსაკუთრებით ეს ითქმის ნაშრომის
გეოგრაფიულ ნაწილზე, რომელშიც ცალკეული ქვეყნების სა-
ერთო გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ აღწერილობასთან
ერთად მოცემულია ქალაქების, ტომების, მდინარეების, მთე-
ბის და სხვა სახელწოდებათა საკმაოდ უწესრიგო კატალოგი.

პლინიუსის ნაშრომის არსებით ნაკლს წარმოადგენს
წყაროთა გამოყენებისას ქრონოლოგიის უგულვებელყოფა.
იგი განურჩევლად ურევს ერთმანეთში და ერთმანეთს მექანი-

კურად უკავშირებს ძველ ავტორთა ნაშრომებიდან ამოღებულ ცნობებს და მის თანადროულ ვითარების ამსახველ მონაცემებს. მიუხედავად ამისა, მეტწილ შემთხვევაში, პლინიუსის მიერ გამოყენებული ცნობების ამა თუ იმ ხანისთვის მიკუთვნება მაინც ხერხდება ავტორის თანადროულ და უფრო ადრინდელ წყაროებთან მათი შედარებით (7,48).

პლინიუსთან დაცულ ცნობათა ქრონოლოგიურ განსაზღვრას რამდენადმე აადვილებს ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იგი თვითონ ასახელებს თავის წყაროს (შესავალში და ტექსტშიაც) (8, 48,49; 11,691).

ხანგრძლივი წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგად, რომელიც ჩატარებულ იქნა მკვლევართა - დ. დეტ ლეფსენის, ო. კუნცის, მ. როსტოვცევის, შემდეგ ჯ. ი. ტომსონის მიერ დადგენილ იქნა, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის აღწერილობისას პლინიუსი მიმართავდა არაერთი ავტორის ნაშრომს. გარდა ძველი პერიეგესისა (დედამინის აღწერილობა), რომელიც თავისი წარმოშობით უკავშირდება იონიელთა გეოგრაფიულ თხზულებებს, პლინიუსი წყაროდ იყენებდა არტემიდორე ეფესოელის, ისიდორე ხარაქსელის, ქსენოფონტე ლამპსაკელის, კორნელიუს ნეპოტის და სხვათა ნაშრომებს.

თავის ავტორიტეტებს შორის პლინიუსი იხსენიებს მარკუს ტერენციუს ვარონს (116-27 წწ. ძვ. წ.), პომპეუსის ლაშქრობათა მონაწილეს, და ვიპსანია აგრიპას, რომლის რუკას იგი ეყრდნობა უმთავრესად მანძილების გამოთვლის დროს (როგორც ფიქრობენ, პლინიუსი სარგებლობდა ავგუსტუსისა და აგრიპას დროს შექმნილი გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ნაშრომებითაც) (7, 48-54; 10,19).

ძველი წყაროებიდან ამოკრებილ ცნობებს პლინიუსი ურთავს სხვადასხვა დოკუმენტებიდან ამოღებულ უახლეს სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ აღწერილობებს, რომლებზეც მას, როგორც ოფიციალურ პირს, ადვილად მიუწვდებოდა ხელი. თავის ნაშრომის შესავალში პლინიუსი შენიშნავს,

რომ ყველა საკითხს მან ბევრი ისეთი რამ დაურთო - ჩაუმატა, რომელიც არ იყო აღნიშნული მის მიერ გამოყენებულ წყაროებში. რაც შეეხება კოლხეთის სანაპიროსა და მის შიდა რაიონების აღწერილობათა წყაროებს, მართალია „ბუნების ისტორიის“ ამ მონაკვეთის მიხედვით ძნელია პლინიუსის მიერ გამოყენებულ ავტორებზე საუბარი, რადგან კოლხეთის აღწერისას იგი ასახელებს მხოლოდ ტიმოსტენეს, ვიპსანია აგრიპას, ერატოსტენეს (N.H, VI, 40) (12,303), მაგრამ ხსენებულ მონაკვეთში მოცემულ ცალკეულ ცნობათა დათარიღება ჩვენ მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია.

სახელდობრ, კოლხეთის შესახებ ცნობების განხილვა გვარწმუნებს, რომ აქაც, ისევე როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთის აღწერილობაში ავტორს გამოუყენებია სრულიად სხვადასხვა დროისა და ხასიათის ნაშრომი.

პლინიუსის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, როგორც ჩანს, იყო ახალი ტიპის პერიპლუსი, რომელიც შეიცავდა მეტად საყურადღებო გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალას. პლინიუსის მიერ გამოყენებული პერიპლუსი, როგორც კოლხეთის სანაპიროზე ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტებისა და მდინარეების, ისე ტომთა განსახლების სქემის მიხედვით, თითქმის ემთხვევა ფლავიუს არიანეს მიერ ახ. წ. II ს-ის პირველ ნახევარში შედგენილ პერიპლუსს. მეორე მხრივ კი, იგი გარკვეულ მსგავსებას ავლენს პტოლემეაიოსის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოსთან (5,92).

პლინიუსი ასახელებს მდინარეებს აფსაროსს, აკამფისს, ისოსს, მოგროსს, ბათუსს, ფასისს, ქარიენტეს, ხობოსს, სიგანიას, ტერსოსს, ასტელეფოსს; ტომებს სამხრეთიდან ჩრდილოეთით: მახორონებს (იმავე მახელონებს), სანებს, ჰე-

იგულისხმება ახალი დანვრილებითი გეოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ცნობილი გახდა მხოლოდ იმპერიის საზღვრების გაფართოების დროს (8, 325).

ნიობებს, ლაზებს, სანიკებს, აბსილებს (Nat. Hist., VII, 15), მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება ზემოაღნიშნული პერიპლუსის ცნობებით და მათ ურთავს სრულიად სხვადასხვა დროის მონაცემებს. ამათგან ამჟამად გამოიყოფა ცნობები, ამოღებული უძველესი აღწერილობებიდან. ასეთი ძველი წყაროების გამოყენება კარგად დასტურდება კოლხეთის ზღვისპირეთის სამხრეთ და ჩრდილო მონაკვეთების აღწერილობათა განხილვისას. სახელდობრ, მდ. თერმოდონტის შემდეგ ტომთა განსახლების სქემა და ქალაქთა დასახელება სრულიად ისეთივეა, როგორც ეს გვხვდება ჰეკატაიოსთან, ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან: მდინარე თერმოდონტისა და კენების ტომის შემდეგ (რომლებიც ძველ წყაროებში არ გვხვდებიან), აღნიშნულია ხალიბები, ქალაქი კოტიორა, შემდეგ ტიბარენები, მასინები (იგივე მოსინიკები), მიკროკეფალების ტომი, ქალაქი კერასუნტი, ბექირთა, ბუქსერთა ტომები (იგივე ბექირები და ბიძერები) (Nat. Hist., VI, 16). ასეთივე სურათია კოლხეთის ცენტრალური ნაწილის აღწერილობაში, სადაც ლაზებსა და მდინარე ფაზისს შორის დასახელებულნი არიან კოლხები, და ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროს აღწერაში, სადაც პლინიუსი იხსენიებს პონტოს ოლქს კოლიკას, მელანქლენებს, კორაქსებს (Nat. Hist., VI, 16).

ამ ახალი ტიპის პერიპლუსს, ერთი მხრივ, თუ ერთვის უძველესი წყაროებიდან ამოღებული ცნობები, მეორე მხრივ, მასში გაბნეულია ზოგჯერ სრულიად ახალი, პლინიუსის თავნადროული, ან უშუალოდ მისი წინამორბედი ხანის მონაცემები. ამ უკანასკნელთა გამოყენების შესახებ პლინიუსი აღნიშნავს თავის ნაშრომის VI თავის შესავალში, რომელიც წინ უძღვის პონტოს სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროთა აღწერილობას (VI, 3). იგი წერს: „პონტოს სიგრძეს ბოსფორიდან მეოტიდის ზღვამდე ზოგიერთები განსაზღვრავენ 1 438500 ნაბიჯით, ერატოსთენე - 100 000 ნაბიჯით ნაკლებს. აგრიპა ქალკედონიდან ფასისამდე ანგარიშობს 360 ათას ნაბიჯს.

ჩვენ მივცემთ (იგულისხება პონტოს აღწერილობაში - მ. ი.) იმ განზომილებებს, რომლებიც განსაზღვრულია ჩვენ საუკუნეში, როდესაც ომი სწარმოებდა შიგ კიბერიულ სრუტეში" ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ შემთხვევაში აქ იგულისხება იმ სამხედრო ოპერაციების დროს შეკრებილი ცნობები, რომლებიც მოხდა რომაელებსა და ბოსფორის მეფის - კოტისის ძმის, მითრიდატე II-ის შორის იმპერატორ კლავდიუსის ხანაში. ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ პლინიუსს მხედველობაში უნდა ჰქონდეს მითრიდატე ევპატორის ომების დროს მიღებული ცნობები, როდესაც პონტოელმა ნავარხოსმა ნეოპტოლემემ, სტრაბონის ცნობით (VII, 3, 18), ორჯერ დაამარცხა ბარბაროსები ზაფხულში - ზღვაზე, ზამთარში - ყინულზე. პლინიუსის წყარო ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს პომპეუსის ლაშქრობის მონაწილე - მარკუს ტერენციუს ვარონი^{*}

სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროთა აღწერილობაში დაცულ ახალ ცნობათა დათარიღების თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე იმ ციხე-ქალაქების მოხსენიება, რომლებიც მანამდე წყაროებში არ გვხვდება, ასეთებია ლივიოპოლისი, პოლემონიუმი, ფარნაკია, აბსაროსი, სებასტოპოლისი (VI, 14).

დ. დეტლეფსენი ამ ცნობების წყაროდ მიიჩნევს რომაულ იტიწერაროვს, რომელიც კლავდიუსის ხანაში შეუდგენიათ (11, 691-3). მ. როსტოვცევის ვარაუდით, აღნიშნული ცნობები უნდა განეკუთვნებოდეს 63 წლის შემდგომ ხანას, რადგან რომაელთა გარნიზონების ჩაყენება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სავარაუდებელია პონტოს ანექსიის, მისი პროვინციად გადაქცევის შემდეგ (7, 54). იგივე უნდა ითქვას ცნობაზე „თავისუფალი ტრაპეზუნტის“ შესახებ. ჩვენ ვეთანხმებით მ. როსტოვცევის ვარაუდს ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ციხე-ქალაქის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს

* ამის შესახებ ქვემოთ უფრო დანვრილებით გვექნება საუბარი.

არ ითქმის ცნობაზე ციხე სებასტოპოლისის შესახებ, რომლის მშენებლობაც, მისი სახელწოდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უფრო ადრინდელ ხანას განეკუთვნება; კერძოდ, იგი ავგუსტუსის დროს უნდა დაწყებულიყო და ამდენად გაცილებით ადრე შეიძლებოდა მოხვედრილიყო აღმოსავლეთში ავგუსტუსის და აგრიპას მოღვაწეობასთან დაკავშირებით სპეციალურად შედგენილ რომაულ გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ აღწერილობაში (5,242,243).

გამორიცხული არ არის, რომ პლინიუსს ესარგებლა აგრიპას რუკით, ან მსგავსი იმდროინდელი რომაული რუკებით, რომლებიც თავიანთი აღნაგობით „ტაბულა პეუტინგერიანას“ ტიპისა უნდა ყოფილიყო (როგორც ცნობილია, აგრიპას რუკას კიდევ მიიჩნევდნენ „ტაბულა პეუტიგერიანას“ უახლოეს პროტოტიპად).

კოლხეთის სამხრეთ და ჩრდილოეთ სანაპიროების აღწერილობის წყაროების განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ აქ ტომთა და გეოგრაფიულ პუნქტთა ჩამოთვლა წარმოდგენილია როგორც ძველი, ისე ახალი, ან უახლეს წყაროთა მიხედვით. ასე მაგალითად, მდ. თერმოდენტის შემდეგ პლინიუსი ჯერ გადმოგვცემს ძველი წყაროებიდან ამოღებულ ცნობებს, ასახელებს ტომებს: ხალიბებს, ტიბარენებს, მასინებს (იმავე მოსინიკებს), მაკროკეფალებს, ბექირებს, ბუქსერებს და სხვ. (VI, 11), ჩამოსთვლის ქალაქებს: კოტიორას, კერასუნტს, ნავსადგურ კორდულას, ხოლო შემდეგ ამავე ტერიტორიაზე აღნიშნავს ქალაქ პოლემონიუმს, ფარნაკიას, სიმაგრე ტრიპოლისს, ციხე-სიმაგრე ლივიოპოლისს და სანთაჰენიოხთა ტომს (VI, 11).

ანალოგიური სურათია კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის აღწერილობაში. ქალაქების და ტომების ჩამოთვლა აქ ხდება ჯერ ახალი წყაროების მიხედვით: დასახელებულია სებასტოპოლისი, სანიკთა ტომი, შემდეგ ჰენიოხები (VI, 14) და სხვ., ხოლო მომდევნო პარაგრაფში (15) კოლხეთის სანაპიროს

იმავე მონაკვეთზე აღნიშნულია, უკვე ძველი წყაროების მიხედვით, კოლიკა, ქალაქი დიოსკურია, ტომები: მელანქლენები, კორაქსები და სხვ. (VI, 15).

წყაროებით სარგებლობის თვალსაზრისით განსხვავებული სურათი გვეხატება კოლხეთის ცენტრალური ნაწილის აღწერილობაში. აქ ნათლად შეიმჩნევა ორი სხვადასხვა ხანის ცნობების, ერთის მხრივ, ელინისტურ ეპოქაში შეკრებილი ინფორმაციის, მეორეს მხრივ კი, უშუალოდ პლინიუსის თანადროული ჩვენებების გამოყენება.

ელინისტური ხანის წყაროს უნდა განეკუთვნებოდეს ცნობა ფასისის გაყოლებით მრავალი საქალაქო ცენტრის არსებობის შესახებ. ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, პლინიუსის მიერ მათი წარსულ დროში მოხსენიება („არსებობდა“, „სარგებლობდა“) და ამ ცენტრების დაპირისპირება ავტორის დროს არსებულ ქალაქ სურიუმთან („ამჟამად არსებობს მხოლოდ სურიუმი“-ო) (VI, 14). ამ ცნობის ელინისტური ხანის წყაროებიდან წარმომავლობას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ კოლხეთში, მდინარე რიონის გაყოლებით, საქალაქო ცხოვრების განსაკუთრებული აღმავლობა სწორედ წინაელინისტური ხანიდან დასტურდება. მართალია, ამ ქალაქთა ერთ ნაწილს პლინიუსი მითიურ სახელწოდებებს არქმევს (მაგალითად, ტინდარიდა, კირკეუმი) (VI, 14), მაგრამ აქვე სავსებით კონკრეტული ცნობების მოტანა ცხადჰყოფს, რომ ამ შემთხვევაში იგი მოგვითხრობს რეალურ-ისტორიულ ფაქტებზე: სახელდობრ, ძველად ამ ადგილებში მრავალრიცხოვანი ქალაქის არსებობის შესახებ, რაც ამ მხარის არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაც დასტურდება (5, 48; 2, 21-46).

ელინისტურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს ცნობა ფასისზე 120 ხიდის არსებობის შესახებაც. საინტიერესოა, რომ ასეთივე ცნობა დაცული აქვს სტრაბონს, რომელიც ამ შემთხვევაში ემყარება მითრიდატეს ომებისა და პომპეუსის ლაშქრობათა აღმწერ ისტორიკოსთა ნაშრომებს, სახელდობრ, თე-

ოფანე მიტილენელის ცნობებს (რომლებშიც ძვ. წ. I ს-ის პირველი ნახევრის ვითარებაა გადმოცემული (3,7).

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ინფორმაცია ფასისზე ნაოსნობის შესახებ, რადგან იგი სავსებით ეთანხმება სტრაბონის ნაშრომში დაცულ მონაცემებს ფასისის სანაოსნო დანიშნულებაზე. პლინიუსი გადმოგვცემს, რომ ფასისი სანაოსნოა ყველაზე დიდი გემებისათვის აღმა ცურვით მდინარის შესართავიდან 38. 500 ნაბიჯის დაშორებით, ხოლო ამაზე შორ მანძილზე უფრო მცირე, გემებისათვის (VI, 14). პლინიუსის მიერ მითითებული მანძილი - 38 500 ნაბიჯი (54/57 კმ.) დაახლოებით მოდის რიონთან ცხენისწყლის შერწყმის ადგილამდე¹.

ანალოგიურად წარმოგვიდგენს ფასისზე ნაოსნობას სტრაბონიც. იგი აღნიშნავს, რომ წყალსავსე და სანაოსნოდ გამოსადეგი ფასისი ხდება მასში გლავკოსის (ყვირილას) და ჰიპოსის (ცხენისწყლის) შერთვის შემდეგ, ე. ი. მის ქვემოთ. მაგრამ ფასისზე აღმა ცურვა საერთოდ შესაძლებელია შორაპნამდე (Strabo, VI,2,17).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტრაბონის წყარო ამ შემთხვევაში არის თეოფანე. იგი იყო პომპეუსის ლაშქრობათა მონაწილე, უთუოდ თან ახლდა მას კოლხეთში ლაშქრობის დროს. აქედან გამომდინარე ჩვენ ვადგენთ, რომ ცნობა ფასისის სანაოსნოდ გამოყენების შესახებ ქრონოლოგიური თვალსაზრისით სავსებით შეესატყვისება კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობის ხანას.

რა ვითარებაა ამ მხრივ პლინიუსთან, ვინ უნდა იყოს ამ შემთხვევაში მისი წყარო. ვფიქრობთ, რომ უპირველესად, ეს შეიძლება იყოს მარკუს ტერენციუს ვარონი. სოლინის სიტყვით, ვარონი იყო ამიერკავკასიის ქვეყნებში პომპეუსის ლაშ-

¹ როგორც ცნობილია, რიონის შესართავიდან ამ მანძილზე მდებარე სოფ. ორპირამდე რიონი სანასონო იყო დიდი გემებისათვის XIX საუკუნეშიც.

ქრობათა მონაწილე, და მაშასადამე, ყვირილის და რიონის კალაპოტების თვითმხილველი (ძვ. წ. I ს-ის პირველ ნახევარში). გარდა ამისა, ვარონი ჩახედული იყო წყლიერი ტრანსპორტის საქმეში, იყო ამ დარგის სპეციალისტი. პლინიუსის გადმოცემით, პომპეუსის მეკობრეებთან ბრძოლის დროს ვარონი იყო ფლოტის ნაწილის უფროსი. მის კალამს ეკუთვნის საზღვაო დარგში არაერთი თხზულება, მაგალითად, „Hibri navales“, მიძღვნილი პომპეუსისადმი და „Ora Maritima“. ამ ნაშრომებიდან შემორჩენილი ნაწყვეტების მიხედვით, იგი ზღვაოსნობის საქმის დიდი მცოდნე ჩანს. გადმოცემით, ვარონი მეტად მეგობრულად იყო განწყობილი პომპეუსისადმი და სარგებლობდა პირადად მისი და მის თანამგზავრთა ინფორმაციით.

ზემოთ მოყვანილი ადგილის ვარონისადმი კუთვნილებას უნდა ადასტურებდეს ისიც, რომ პლინიუსის გადმოცემით, ვარონს ჰქონია შეკრებილი ცნობები კიროს-ფასისის სამდინარო გზის შესახებაც. პლინიუსი წერს: „იგივე (ე. ი. ვარონი) დასძენს, პომპეუსის ლაშქრობისას გამორკვეულ იქნა, რომ ინდოეთიდან შვიდ დღეში ჩაისვლება ბაქტრიაში მდ. ბაქტრიამდე, რომელიც ერთვის მდ. ოქსუსს, აქედან კასპიის ზღვით კიროსამდე მიისვლება და რომ ინდოეთის საქონელი ხმელეთის გზით ჩაიტანება პონტოში სულ 5 დღეში“ (VI, 11).

მოსაზრება პლინიუსის ვარონზე დამოკიდებულების შესახებ ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებულია იმ მხრივ, რომ, როგორც მკვლევარნი (ჯ. ტომსონი და სხვ.) ვარაუდობენ, გეოგრაფიული მასალის დიდი ნაწილი და მათი განლაგებაც ქვეყნების აღწერისას პლინიუსს სწორედ ვარონისაგან უნდა ჰქონდეს გადმოღებული (8,311). ვარონი ყველაზე განსწავლული იყო რომაელთა შორის და ყველა მისი თანამედრო-

ჯ. ტომსონი ვარაუდობს, რომ პლინიუსის ერთ-ერთი ძირითადი წყარო სწორედ ვარონის „Ora Maritima“ იყო. (8,311,325).

ვე, თუ მომდევნო ხანის ავტორი (თვით დიდი ციციერონიც) მეტნაკლებად მის გავლენას განიცდიდა და სარგებლობდა მისი შრომებით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფასისზე ნაოსნობის შესახებ პლინიუსთან დაცული კონკრეტული მონაცემები, გამოთვლები, სავსებით შეესატყვისება სინამდვილეს, რაც გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ პლინიუსს, უფრო სწორედ მის წყაროს (ვარონს), ამ შემთხვევაში საკმაოდ ზუსტი ცნობები უნდა ჰქონოდა ხელთ.

მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ პლინიუსის მიერ მოტანილი ყველა მითითება ფასისის შესართავსა და ამ მდინარის ნაპირას განლაგებულ პუნქტებს შორის არსებულ მანძილზე არ გამოიჩენია ერთნაირი სიზუსტით. მაგალითად, იქ სადაც პლინიუსი ლაპარაკობს ქ. ეაზე (რომელშიც უძველეს ხანაში არსებული დიდი ქალაქი უნდა იგულისხმებოდეს), აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი მდებარეობს ფასისის შესართავიდან 15 ათ. ნაბიჯის დაშორებით, იქ სადაც ფასისს სხვადასხვა მხრიდან უერთდება ჰიპოსი და კიანეოსი (VI, 14). ჰიპოსს, ჩვეულებრივ, აიგივებენ ცხენისწყალთან, მაგრამ პლინიუსის მიერ მითითებული მანძილის მიხედვით (15 ათასი ნაბიჯი დაახლოებით 22 კმ-ია) ქალაქი ეა გაცილებით ახლო უნდა იქნეს ლოკალიზებული მდინარე ფასისის (ე. ი. რიონის) შესართავთან, ვიდრე ის ადგილია, სადაც ცხენისწყალი ერთვის რიონს.

ცნობათა აღრევა, ვფიქრობთ, თვით პლინიუსისაგან მომდინარეობს და შედეგი უნდა იყოს მის მიერ ვარონის მიერ მოცემულ გამოთვლებთან ერთად მისი თანადროული ცნობების ერთმანეთთან უწესრიგოდ დაკავშირებისა.

ის გარემოება, რომ პლინიუსი მდინარე ფასისისა და მასთან არსებული ქალაქების აღწერილობის დროს იყენებს ახალ ცნობებს, დასტურდება მისივე სიტყვებიდან: „ამჟამად არსებობს მხოლოდ სურიაში ამავე სახელწოდების მდინარეზე“ (VI, 14).

რა ნყაროს საფუძველზე ასახელებს პლინიუსი სურ-
უმს, როგორც მისი დროის კოლხეთის ცენტრალური რაიონე-
ბის ერთადერთ მოქმედ ქალაქს?

სპეციალურ სემეცნიერო ლიტერატურაში არსებობს
მოსაზრება, რომ უახლესი მონაცემები პლინიუსს თავის ნაშ-
რომში შეუტანია სხვადასხვა გზამკვლევებიდან ე. წ. „იტინე-
რარიუმებიდან, რომლებიც განსაკუთრებით დიდი რაოდენო-
ბით იქნა შედგენილი იმპერატორ ნერონის მმართველობის
წლებში რომაელთა ჯარისა და რომაული პროვინციული ად-
მინისტრაციის საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცი-
ების საფუძველზე. ჩვეულებრივ, იტინერარიუმის შედგენა
ადგილზევე ხდებოდა სამხედრო პირთა მიერ, მათ ზედ ერთ-
ვოდა ადგილის დანვრილებითი აღწერილობა და რუკების სა-
ხით იგზავნებოდა რომში, სენატში. ასეთი რიგის ცნობებზე
პლინიუსს, როგორც ოფიციალურ პირს და რომის ფლოტის
მეთაურს, ცხადია, ადვილად მიუწვდებოდა ხელი.

როგორც ირკვევა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გე-
ოგრაფიული მასალა დაგროვდა პლინიუსის ხელში არმენიაში
კორბულონის ლაშქრობის, პონტოს ანექსიისა და ნერონის მი-
ერ კასპიის კარისაკენ ექსპედიციის მზადების შედეგად. ეს ნა-
თლად იკვეთება თვით პლინიუსის სიტყვებიდან: „აქ უნდა შე-
სწორდეს შეცდომა მრავალთა, იმათიც კი, რომელნიც უკანა-
სკნელ ხანებში მონაწილეობდნენ არმენიაში კორბულონის
ლაშქრობაში; ისინი კასპიისას უწოდებენ იმ კარს იბერიაში,
რომელიც, როგორც ვთქვით, კავკასიისად იწოდება. ეს სახე-
ლი აღნიშნულია აგრეთვე იქიდან (იგულისხმება არმენიიდან,
თუ იბერიიდან რომში - მ. ი.) გამოგზავნილ სიტუაციურ რუკე-
ბზე და იმპერატორ ნერონის მუქარა თითქოს ეხებოდა კასპი-
ის კარებს, მაშინ როდესაც მასში ივარაუდება ის კარი, რო-
მელსაც იბერიაზე გავლით სარმატების მიწისკენ მივყევართ“
(VI,36).

მოტიანილი სიტყვები ნათელყოფენ, რომ პლინიუსი სარგებლობდა კორბულონის მიერ რომში გამოგზავნილი სამხედრო ოპერაციების ანგარიშებით და მათზე დართული რუკებით. ისინი შეიცავდნენ სამხედრო მოქმედებათა დანვრილებით აღწერას და ფართო ტოპოგრაფიულ მონაცემებს; შემდეგში ამ რუკებმა გარკვეული გადაშუშავება განიცადეს და ერთ ნაშრომად გაერთიანდნენ. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, პლინიუსმა უხვად ისარგებლა კორბულონის ამ მონაცემებით არა მარტო კავკასიის სამხრეთი ნაწილის გეოგრაფიული აღწერილობისას, არამედ თავისი ისტორიული ხასიათის ნაწარმოების წერის დროსაც. ასეთი ნაშრომის დანერას პლინიუსის მიერ მოწმობს ტაციტუსი, რომელიც არაერთხელ იხსენიებს მას თავის „ანალებში“ და „ისტორიაში“ (Tacit., Ann., XIII, 20, 2; XV, 53, 3; Hist., III, 28)*.

სიტუაციური რუკების შესახებ ზემოთ მოტიანილი ამონაწერიდან ისიც ჩანს, რომ პლინიუსი საკმაოდ კრიტიკულად ეკიდებოდა საომარი ადგილიდან რომში გაგზავნილ ტოპოგრაფიულ ცნობებს, რასაც მას ალბათ მნიშვნელოვნად უადვილებდა ის გარემოებაც, რომ მის ხელში თავი მოიყარეს არა მხოლოდ კორბულონის წერილებმა, არამედ ადგილზე შეკრებილმა სხვა მასალამ (სახელდობრ, წერონის ექსპედიციის მზადების დროს შეგროვილმა მონაცემებმა და სხვ.) მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო მთელი ამ მასალის გააზრება, სისტემაში მოყვანა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ართულებს პლინიუსის ნაშრომის გამოყენებას და მკვლევარისგან მოით-

* ამ ნაწარმოებს თვით პლინიუსიც რამდენჯერმე იხსენიებს „ბუნების ისტორიაში“ (Nat. Hist., praef., 20; II, 199, 231). მასში გადმოცემული ყოფილა ამბები ახ. წ. 47 წლიდან. იგი შედგებოდა სულ 31 ნივთისაგან. პლინიუსის ისტორიული ნაშრომი გამოდიოდა ნაწილ-ნაწილ ახ. წ. 68-77 წლებს შორის და მისი სიკვდილის შემდეგაც (ე. ი. 79 წლის შემდეგ) (6, 129).

ხოვს ყოველი ცნობის სხვა მონაცემებით დაზუსტებას და მკაცრ შემოწმებას.

ზოგიერთი აღნიშნავენ, რომ პლინიუსი პირველ რიგში იყო ისტორიკოსი და შემდეგ ბუნებათმცოდნე, გეოგორაფოსი და სხვა. შესაძლებელია ეს ასეც იყოს. ყოველ შემთხვევაში, მისი ნაშრომის იმ ადგილებს, სადაც ისტორიული ფაქტები, ან მისი თანადროული ამბებია გადმოცემული, არანაკლები დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, როგორც წყაროს, ვიდრე გეოგრაფიულ აღწერილობას.

ასეთი ისტორიული ხასიათის ჩანართები საკმაოდ ხშირად გვხვდება კოლხეთის აღწერილობაში. სახელდობრ, ცნობა დიოსკურიაზე, პიტიუნტზე: დიოსკურიაში რომაელ ვაჭართა საქმიანობისა და შემდეგ ამ ქალაქის დაცარიელების შესახებ, ასევე გადმოცემა დიდი უმდიდრესი ქალაქის - პიტიუნტის ჰენიოხთა მიერ გაძარცვის თაობაზე (VI, 16, 17). მითიური ელფერის მიუხედავად, ასევე სარწმუნო და საყურადღებოა ჩვენება კოლხეთის მეფე სავლაკზე (VI), რაც ნუმზმატიკური მონაცემებითაც დასტურდება (5, 171-2), და ცნობა სანებზე (ისინი ხარკის სახით რომაელებს უხდიან ცვილს, არ ვაჭრობენ თაფლით) (VI, 32).

როგორც ვანში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერაში დადასტურებული სახელი - „სურისი“ მონიშნავს (4, 138), დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს აგრეთვე პლინიუსის ცნობას ქალაქ სურიუმზე, რომელსაც ავტორი, ფასისის გაყოლებით მითიური სახელწოდებიანი ძველი საქალაქო ცენტრებისაგან განსხვავებით, აწმყო დროში მოიხსენიებს („ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმი“). პლინიუსის დროს სურიუმის რეალურად არსებობის მაჩვენებელი უნდა იყოს ამავე ავტორის მიერ აქვე დართული მითითება ქალაქ სურიუმის თანამოსახელე მდინარის ფასისთან შეერთების ადგილამდე დიდი გემებით ნაოსნობის შესაძლებლობის შესახებ. ეს ფრიად საყურადღებო მითითება იმის მაუწყებელია, რომ ერთ დროს ფასისის მაგისტრა-

ლზე მდებარე სახელგანთქმული ქალაქი სურისი, კოლხეთზე რომაელთა ბატონობის დამყარების შემდეგაც გარკვეული ხნის განმავლობაში, არ კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც დიდი სავაჭრო ცენტრი, საიდანაც რომაელი ვაჭარ-საქმოსნები მსხვილ კომერციულ ოპერაციებს ახორციელებდნენ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან (1,207-208).

ამრიგად, პლინიუს უფროსის ზემოთ განხილული ცნობების წყაროთმცოდნეობით ანალიზს იმ დასკვნისაკენ მივყევართ, რომ მთელი რიგი ნაკლული მხარეების მიუხედავად, აღნიშნული ცნობები სხვა წერილობით წყაროების ჩვენებებთან, არქეოლოგიურ, ნუმისმატიკურ, ეპიგრაფიკულ მონაცემებთან შეჯერების შემდეგ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კოლხეთის ძველი ისტორიის, გეოგრაფიის, საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობის, ნაოსნობის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

ლიტერატურა:

1. ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი, 1994.
2. მიქელაძე თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე (მასალები ძველი ფასისის ისტორიისათვის), კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბ., 1978.
3. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957.
4. ყაუხჩიშვილი თ., ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბილისი, 1987.
5. Инадзе М. П. Причерноморские города древней Кольхиды. Тб., 1968.

6. Кудрявцев Щ. В. Источники Лорнелия Тацита и Кассия Диона по истории походов Корбулона в Армению. ВДИ, 1954, №2.
7. Ростовцев М. И. Скифия и Боспор. М., 1925.
8. Томсон ДЖ. О. История древней географии, М., 1953.
9. Bunbury E. H. A History of Ancient Geography, v. II, L., 1959.
10. Cuntz O. Agrippa und Augustus als Quellen Schriftsteller des Plinius in den geographischen Büchern der Naturalis Historia. Fleckeis Jahrb., Suppl. 17. Berlin. 1890.
11. Detlefsen D. Die Quellen des Plinius in der Beschreibung des Pontus. Philol., 46, Berlin 1886.
12. Pliny, Natural History with an english translation in ten volumes, by Rackham M. A. vol. II, Libri III-VII, 1947. (რუსული თარგმანი იხ. ВДИ, 1949, N2).

М.Инадзе

**Описание Колхиды в сочинении Плиния Старшего
"Естественная история"
(Источниковедческий очерк)**

В статье на основании источниковедческого анализа установлено, что при описании Колхиды наряду с древней Перизгэсой, которая своим происхождением связывается с ионийскими географическими трудами, Плиний пользовался сочинениями Тимосфена Родосского, Артемидора Эфесского, Полибия и др. В числе своих авторитетов Плиний часто называет Марка Теренция Варрона (116-27 гг. до н. э.) и Виписания Агриппу, на карту кото-

рого он опирается, главным образом, при исчислениях и измерениях расстояний. Он пользовался также географическо-административными трудами, связанными с деятельностью Августа и Агриппы. Данные из древней Пэригэсы и Периплов Плинием подновлены на основании новейших статистических и административных описаний, извлеченных из различных документов, которые Плинию, как официальному лицу, были легко доступны. Таковыми являлись римские дорожники, которые употреблялись для военных нужд и опирались на сведения, полученные в результате проникновения римских войск и римской провинциальной администрации на Восток в правление Нерона.

Плиний вносит в свой труд интересные факты и детали, связанные с историческими событиями, имевшими место в I в. до н.э. и I в. н.э. Он сообщает о положении городов Колхиды после завоевания страны римлянами, об опустошении Диоскурии, падении городов вдоль р. Фасиса — Риони, разграблении г. Питиунта гениохами и т. д. Несмотря на некоторые недостатки, "Естественная история" Плиния является ценным литературным источником для изучения географии и истории Колхиды античного времени.

Die Beschreibung Kolchis in "Naturalis Historia" des Plinius und ihre Quellen.

Plinius verwenden drei Quellen für die Beschreibung Kolchis. Es sind: erstens die Erdkarte Agrippas, zweitens eine Schrift Varros über die gliederung der Länder durch die in die Erd feste eindringende Meere, drittens statistische Übersichte über die Provinzen des römischen Reiches. Die Untersuchung über diese Quellen ist in der wesentlichen Punkten bereits so weit gefördert, dass über ihren Inhalt und ihre bedeutung im ganzen kein Zweifel mehr besteht, wenn auch die Ansichten in Einzelheiten aus einander gehen. Die obergenannten Forschungen des Plinius über die Quellen kühren uns zu der Feststellung, dass trotz einigen man mangelhaften sciten, diese Falsten zusammen mit anderen Schriftlichen Quallen und archäologischen, numismatischen, epigraphischen Daten möglich für die Forschung in Sachen wie Geschichte, Geographie, städtliches Leben, Handel, Navigation, ethnische Bestand und anderen wichtigen Angelegerheiten (Problemen) verwerdet werden können.

ევემელოს კორინთელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის¹

ევემელოს კორინთელი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრის ბერძენი ეპიკოსი პოეტია, ქალაქ კორინთოს მკვიდრი [25]. ევემელოსის ნაწარმოებთაგან ერთ-ერთი, „კორინთიაკა“, მისი შმობლიური ქალაქის ისტორიას ეძღვნებოდა. ეს თხზულება ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, რომელთაგან სამი ჰეზოქამეტრულია, ხოლო დანარჩენი პროზაულად გადმოცემული (იხ. [14], [16, გვ. 97], შდრ. [4, გვ. 194-197]), ძირითადად პავსანიასთან და პინდარეს სქოლიონებში.

პავსანიას გადმოცემით: „ევემელოსი ამბობს, რომ ჰელიოსმა ასოპიის მხარე მისცა ალოვესს, ხოლო ეფირისა – აიეტს; აიეტმა კი, როცა კოლხებისაკენ (ἐς Κολχός) წარემართა, ეს მხარე გადასცა ბუნეს. ბუნე ჰერმესისა და ალკიდაძიას ძე იყო. და როცა ბუნე გარდაიცვალა, ესოპევსმა, ალოვესის შვილმა, ამგვარად ეფირელთა გამგებლობაც მიიღო. შემდეგში, რაკი მარათონის ძე, კორინთოსმა, ვერც ერთი შვილი ვერ დატოვა, კორინთელებმა იოლკოსიდან გამოიწვიეს მედეა და ხელისუფლება მას გადასცეს. და აი, მისი წყალობით, იასონმა მეფობა იწყო კორინთოში.“ ([4, გვ. 196]= პავსანია, ელადის აღწერა, II, 3, 10).

პავსანიასთან შემონახული ეს ცნობა დაცულია აგრეთვე პინდარეს „ოლიმპიური ოდების“ (XIII, 74) სქოლიონშიც. მივიტან სრულ ტექსტს (ა. ურუშაძის თარგმანს): „რის გამო გაიხსენა მედეა? იმიტომ რომ კორინთო იყო მისი მამისეული სამფლობელო (πατρῶν χεῖρα). ეს ამბით ჩანს: ალოვესი და მედეას მამა აიეტი ჰელიოსისა და ანტიოპეს შვილები იყვნენ. ჰელიოსმა მათ დაუნაწილა ქვეყანა და შეხვდა ალოვესს [მხარე] არკადიაში,

¹ ეს ნაშრომი შესრულდა აღ. ჰუმბოლდტის პრემიის პროგრამით.

აიეტს კი – კორინთო. აიეტს არ მოეწონა სამეფლობელო და ამიტომ ქალაქი გადასცა ვინმე ბუნეს – პერმესის ძეს; თან უთხრა, დაეცვა იგი მისი შთამომავლებისათვის. თვითონ კი სკვითიის კოლხეთში² წავიდა, დასახლდა და მეფედ დამკვიდრდა. ამას გვასწავლის ვინმე ისტორიკოსი პოეტი ევმელოსი, რომელიც ამბობს: „და ოდეს იშვენ აიეტი და ალოევისი ჰელიოსისა და ანტიოპესაგან, მაშინ ჰიპერიონის ბრწყინვალე ვაჟმა თავის შვილებს ორ ნაწილად გაუყო ქვეყანა: რასაც ასოპოსი შეიცავდა, იგი ღვთაებრივ ალოევისს უბოძა, რაც ეფირეს ეკავა, მთლიანად აიეტს მისცა. მაგრამ აიეტმა საკუთარი ნებით გადასცა [ის] ბუნეს დასაცავად, ვიდრე არ მოვიდოდა თვითონ, ან ვინმე სხვა მისთაგანი, ან შვილი, ან ბაღიში. თვით კი გაემართა კოლხეთის ქვეყნად (Κόλχινά γαῖαν) [4, გვ. 194-195].

იონანე ცეცეს თანახმად (ლიკოფრონის „ალექსანდრა“ 174-ის კომენტარი), ევმელოსის ცნობას ჰელიოსის სამეფოს განაწილების შესახებ მის შვილთა – აიეტსა და ალოევისს – შორის იმოწმებდა თეოპომპე ქოსელიც³ – ძვ.წ. IV სოს ავტორი ([8, გვ. 68-69], შდრ. [4, გვ. 195]).

ზემოთმოტანილი ცნობა, რომელსაც ყველა გვიანდელი მწერალი ევმელოსს კორინთელს მიაკუთვნებს, ძალიან საინტერესოა პირველ რიგში იმიტომ, რომ ევმელოსს კორინთელი გვევლინება უძველეს ბერძენ ავტორად, რომელთანაც პირველადაა მოხსენებული სახელწოდება „კოლხეთი“ თუ „კოლხები“⁴, რაც ქრო-

² კოლხეთის და აგრეთვე მისი მთავარი მდინარის-ფასისის, სკვითიის ნაწილად მოხსენიება გეხვედება მხოლოდ რომაული ხანის ავტორებთან და საშუალო საუკუნეების კომენტატორებთან. (დაწვრ. მითითება წყაროებსა და მათი ინტერპრეტაციის ცდა იხ. [31, გვ. 16-18].

³ თვით ლიკოფრონი ქალკიდელი აიეტს უწოდებდა „აიასა და კორინთოს მრისხანე გამგებელს“ („ალექსანდრა“, 1021-1026 [8, გვ. 52].

⁴ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება „კოლხიდა“, „კოლხიდელი“ იხსენიება ჯერ კიდევ მიკენურ წარწერებში: ko-ki-da, ko-ki-de-jo იხ. [25, გვ. 72], [23, გვ. 372-273], [36, გვ. 273, N23]. უკანასკნელ ხანებში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ აღორძინდა იდეა

ნოლოგიურად ემთხვევა კოლხეთის სახელოწიფოს პირველ მოხსენიებას ურარტულ ლურსმულ წარწერებში „კოლხა“-ს სახელით [2].⁵ მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ვემელოს კორინთელთან წარმოადგენილი კონცეპცია: ქელიოსის ძე აიეტი თავდაპირველად ეფირას⁶ ანუ კორინთოს გამგებელია და ეს ქვეყანა მას ღვთაებრივმა მამამ უბოძა, ხოლო ამის შემდეგ იგი ტოვებს კორინთოს, გაემართება კოლხეთს და იქ მკვიდრდება მეფე! აქ იბადება ბუნებრივი კითხვა: რატომ და საიდან გაჩნდა ასეთი ვერსია, ასეთი კონცეფცია, რომლის თანახმად, კოლხეთის მეყვედ ხდება კორინთოს გამგებელი? ეს⁷ ხომ სრულიად აშკარად ეწინააღმდეგება არგონავტიკის ძირეულ ვერსიას და კონცეფციას, რომლის თანახმად აიეტი იმთავითვე მეფეა და გამგებელი ქვეყნისა, რომლის სახელია აია და აქედანაა სწორედ მისი საკუთარი

ბერძენთა გამოჩენისა შავ ზღვაზე მიკენურ ხანაში – იხ. [21], [15], [35]. სამწუხაროდ, მე არ ძალძიძს ვიმსჯელო იმის შესახებ, თუ რაძღვანად დამაჯერებელია მიკენურ წარწერებში მოხსენებული სახელების კოლხეთთან (და აგრეთვე არგონავტიკის პერსონაჟებთან) იდენტუიკაცია. რაც შეეხება ზემო დასახელებულ ნაშრომებში დამოწმებულ არქეოლოგიურ მასალებს (თითსკიოდა მიკენური რაპირების აღმოჩენა თრიალეთურ კულტურაში, დაუთარიღებული ქვის „ლუზები“ და „ორმაგი“ ცული ბულგარეთში, სპირალური ორნამენტი ე.წ. ბოროდინოს განძში და სხვ.) ვერ გამოდგება მიკენელთა შავ ზღვაზე მოგზაურობის პირდაპირ მოწმობად. (დაწერ. ამ საკითხზე ჩვენ სხვა დროს გვექნება მსჯელობა).

⁵ გ. მელიქიშვილის აზრით ურარტულ წყაროებში მოხსენებული „კოლხა“-ს „გაველენა ვრცელდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე“ [2, გვ. 371]. უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში, „კოლხა“ წარმოიდგინება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე) ე.ი. იქ სადაც ბერძნული წყაროების „კოლხის//კოლხიდა“ (ანუ კოლხეთი) მდებარეობდა. იხ. მაგ. [17, გვ. 114, რუკა], [37, BIV8].

⁶ ეფირა (ეყიროსი არგოსის მხარეში, ილიადა, VI, 152), შემდგომ კორინთოსთან იქნა გაიგივებული.

⁷ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, III, 242-ის სქოლიონის თანახმად: „ეპიმენიდე (მე.წ. VII ს-ის დასასრულის მწერალი – ოლ.) ამბობს, რომ აიეტი წარმოშობით კორინთელია, ხოლო დედამისს ეფირეს უწოდებს“ [4, გვ. 200-201, შდრ. აგრეთვე იქვე გვ. 482: ევლოკა, 37, „აიეტისათვის“].

სახელიც აიეტი. სტეფანე ბიზანტიონელის განმარტებით („ეთნიკა“, აია); „აია მისგანაა „აიეტეს“ როგორც „აზია“ – „აზიატეს“, ისე „აია“ – „აიატეს“ და „აიეტეს“ [4, გვ. 230, შდრ. იქვე გვ. 496, შქ წიშენა, 12]. „ოღისეა“, IX, 32-ის სქოლიონის მიხედვითაც „გმირმა აიეტმა რომ სახელი იმავე აიადან მიიღო, ამას ძველი [მწერლები] ცხადყოფენ“ [4, გვ. 182].

სახელი აიეტი პირველად დამოწმებულია პომპროსის „ოდი სეაში“ (X, 137 და XII, 70=[4, გვ. 175 და 177]), ხოლო შემდეგ ასევე ჰესიოდეს „თეოგონია“-ში (ტ. 956-962=[4, გვ. 186]). აია და კოლხეთი კი სინონიმური ცნებებია (იხ. პეროდოტე, I, 2 და VII, 193 = [5, გვ. 58 და 116]); აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკა“, II, 417=[1, გვ. 128, შდრ. იქვე გვ. 360]). მათგან აია⁸ კოლხეთის უძველეს, მითოლოგიურ, სახელწოდებადაა აღიარებული ([39, გვ. 237], [4, გვ. 6], [3, გვ. 159], [9, გვ. 198-210], [13, გვ. 88-89])⁹.

⁸ ვარაუდობენ, რომ სახელწოდება აია და სახელი აიეტი (ისევე როგორც „კოლხიდა“ – შდრ. ზემოთ შენიშვნა 4) იხსენიება მიკენურ წარწერებში: a₃-wa-ja, a₃-wa-ta (იხ.[25, გვ. 37], შდრ. [23, გვ. 141].

⁹ სულ ახლახანს გამოვიდა ანტიკური სამყაროს შესახებ ახალი ენციკლოპედიური ლექსიკონი "Der Neue Pauly", რომლის I ტომში, სტატიაში „აია“, ავტორი (ფ. დრაეგერი [90]) წერს: „აია – მითიურ საოცრებათა ქვეყანა ოკეანეში (ეთიოპების ქვეყანაში)– მილეტური კოლონიზაციის მიერ აია გაიგივებული იქნა ბერძნულ კოლონია კუტაიასთან (კოლხიდასთან) პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე“. –თავი რომ დავანებოთ, აიას სრულიად გაუგებარ ლოკალიზაციას ეთიოპების ქვეყანაში, ზემოთმოტანილი მტკიცების ერთ წინადადებაში სულ ცოტა 4 აშკარა ფაქტობრივი შეცდომაა: 1) აია, არგონავტების ლაშქრობის მიზანი, კოლხიდასთან გაიგივებული იყო არგონავტიკის ჯერ კიდევ კორინთულ ვერსიაში, ძვ.წ. VIII ს-ში ე.ი. შავიზღვისპირეთში იონიური კოლონიზაციის დაწყებამდე 1 საუკუნეზე მეტი ხნით ადრე; 2) „ბერძნული კოლონია კუტაია“ ავტორის შენათხზია. ასეთ ბერძნულ კოლონიას კოლხეთში არ იცნობს და არ ასახელებს არც ერთი ბერძენ-რომაელი ავტორი (შდრ. [4, გვ. 324]). ყველგან კუტაია აიეტის სატახტო ქალაქია – აიას ან კოლხეთის დედაქალაქი და მდებარეობდა არა ზღვის ნაპირას (როგორც ჩვეულებრივ ბერძნული კოლონიები), არამედ ქვეყნის შიგნით 3) არ შეიძლება კუტაიასა და კოლხიდას შორის ტოლობის ნიშნის დასმა, რადგან კოლხიდა

სახელწოდება აია ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში პირველად ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრის ბერძენ ელეგიკოს პოეტთან მიმწერმესთან იხსენიება.¹⁰ მაგრამ ეს სახელწოდება

ქვეყნის სახელწოდებაა, კუტაია კი – მხოლოდ ქალაქისა! 4) ასევე შეცდომაა, თითქოს აია გაიგივებული იყო კუტაიასთან. პირიქით, კუტაია აღიქმებოდა, როგორც აიას ქალაქი, არა მხოლოდ ძველ ბერძენ ავტორთა სქოლიოსტებთან (იხ. მაგ. [4, გვ. 295, 302, 304, 310 და სხვ.]), არამედ თვით ბერძენ ავტორებთანაც (იხ. მაგ., აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, II, 1267 [1, გვ. 173]: „აიას ქალაქი კუტაია“). ამგვარი მტკიცებანი შეუყვერებელია ისეთი მაღალი რანგის ლექსიკონისათვის, როგორც პრეტენზია აქვს Neue Pauly-ს. რაც შეეხება სტატიის ავტორს, მას იგივე გამეორებული აქვს თავის წიგნშიც (იხ. [18, გვ. 315 და შემდ., განსაკ. შენიშვნა 75]), სადაც კუტაიას ნაცვლად წერია ფასისი, ხოლო ქართველ მეცნიერთა მიერ აიას კოლხეთთან და საქართველოსთან გაიგივება გამოცხადებული აქვს, როგორც „ლოკალური პატრიოტიზმი“. ავტორს, როგორც ჩანს, „ავიწყდება“, რომ აია კოლხიდასთან გააიგივეს ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა მწერლებმა პეროპოდემ (I, 2: VII, 193 და 197) და აპოლონიოს როდოსელმა (II, 417), ხოლო უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართველ მეცნიერებზე ადრე, პირველად ეს ვარაუდი გამოთქვა ცნობილმა გერმანელმა კლინისტმა ვილამოვიცი-მიულენდორფმა [39, გვ. 237], ხოლო სულ უკანასკნელ ხანებში აიასა და კოლხიდის იგივეობას აღიარებენ სხვებიც (იხ. მაგ.: 13, გვ. 88-89).

¹⁰ მიმწერმეს ცნობა „აიეტის ქალაქი. აქ მალი პელიოსის სხივები ძვეს ოქროს დარბაზში, ოკეანეს სანაპიროზე, სადაც წარმართა ღვთაებრივი იასონი“ („ნანო“, ფრ. 11=[4, გვ. 202], [13, გვ. 87 და შემდ.]) გახდა საფუძველი მტკიცებისათვის: არგონავტების შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში აია (ე.ი. აიეტის საბრძანებელი) თავდაპირველად არ იყო დაკავშირებული კოლხეთთან, არამედ გაიანზრებოდა, როგორც იდუმალი ქვეყანა „ოკეანეს“ ნაპირზე ე.ი. სადაც სამყაროს სულ უკიდურეს ნაწილში მოქცეული (შდრ. [27], [18, გვ. 312-315], [19]). მიმწერმეს ზემოთ-მოტანილი ცნობა მართლაც ქმნის თითქოს საფუძველს მტკიცებისათვის, რომ აია „ოკეანეს“ სანაპიროზე მდებარეობდა. მაგრამ ჩემი შთაბეჭდილებით მიმწერმეს ჩვენამდე მოღწეული მე-11ე ფრაგმენტი (სტრაბონის „გეოგრაფიის I, 2, 40-ით ცნობილი) რამდენადმე წინააღმდეგობრივია. თუ ციტირებულ მე-5ე ტაეპში აიეტის ქალაქი „ოკეანეს სანაპიროზეა“, პირველ ოთხ ტაეპში კი თითქოს იაზონი ოკეანეს სანაპიროს აღწევს მხოლოდ უკან გზაზე: „თვით იასონიც ვერასდროს ვერ წამოიღებდა დიად საწმისს აიადან, თუმც ტვირთშიძიე გზა განელო ზვიადი პელიასის უძნელესი დავალების აღსასრულებლად; ვერც ოკეანეს

ბერძნულ ლიტერატურაში აშკარად ძალზე ძველია, რასაც მოწმობს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სახელი აიეტი (ე.ი. აიას მკვიდრი თუ გამგებელი), რომელიც უკვე ჰომეროსის „ოდსეაში“-ა (ე.ი. დაახლ. ძვ.წ. 700 წ.) დამოწმებული. უთუოდ დიდი ინტერესს იწვევს ემელოს კორინთელის (ფრ. 2A, Davies): ἄ [ე.ი. Αἰητης] δ' ἄχαιο Κολχίδα γαῖαν (ა. ურუშაძის თარგმანით: „თვით (ე.ი. აიეტი) გაემართა კოლხეთის ქვეყნად“ [4, გვ. 195]). ხომ არაა γαῖα აქ იგივე Αἶα? ამგვარი შესაძლებლობა არ უნდა იყოს თითქოს გამორიცხებული, რადგან γαῖα-სა და Αἶα-ს იდენტურობა კარგა ხანია უკვე რაც აღიარებულად ითვლება.¹¹ ემელოს კორინთელის Κολχίδα γαῖαν შესაძლოა ნიშნავდეს სწორედ (და იქნებ ე.წ. ეპიკური ფორმულის ე.ი. სახელი + ეპითეტი, ფორმითაც კი) Κολχίδα Αἶαν. თუ ასეთი ვარაუდი დასაშვებია, მაშინ ჩვენ გვექნება უკვე ძვ.წ. VIII საუკუნისათვის დამოწმებული აიასა და კოლხიდას იდენტიფიკაცია.¹² მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყვიტოს ეს საინტერესო საკითხი, ის მაინც აშკარაა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნა, რომ ემელოს კორინთელთან წარმოდგენილია სრულიად გარკვეული კონცეფცია: ბერძენთა მშის ღმერთის

ლამაზ ნაკადს ვერ მიაღწევდნენ <არგონაუტები, მედეას სიყვარულს რომ არ ეშველა>“ (= [4, გვ. 201], იხ. [13, გვ. 88: ad F.11,1], შდრ. [38, გვ. 88]. ასეთი გაგება ტექსტისა (ე.ი. რომ იაზონი ოკეანეს აღწევს ოქროს საწმისით უკან დაბრუნებისას) სავსებით შეესაბამება ადრეული არგონაუტიკას, რომლის თანახმად არგონაუტები ოკეანეში შეცურდნენ მდ. ფასისიდან (შდრ. ჰესიოდე ფრ. 241 [= [34, გვ. 118], [4, გვ. 191: ფრ. 83]; პინდარე, IV პით, 25 [4, გვ. 204]). გასათვალისწინებელია სტრაბონის ცნობაც (I, 2, 10=6, გვ. 67): „მაშინდელ პონტოს ზღვის (ე.ი. შავ ზღვას – ო.ლ.) ოკეანედ ღებულობდნენ“.

¹¹ იხ. მაგ. სვიდას სახელდებით ცნობილი ლექსიკონი: „Αἶα ἢ γῆ“ [4, გვ. 479]. შდრ. [10, გვ. 47: αἶα=γαῖα, γῆ], [28, გვ. 34: αἶα Ep. Form used for γαῖα].

¹² ამგვარ გაგებას ალბათ მაინც ეწინააღმდეგება ის, რომ γαῖα კი არ გვხვდება αἶα-ს შესატყვისად, არამედ ეპიკურ პოეზიაში αἶα ცვლის γαῖა-ს.

- პელიოსის ძე აიეტი თავდაპირველად კორინთოს გამგებელია, ხოლო ამის შემდეგ ეუფლება ის კოლხეთს და ხდება მისი მეფე. რატომ დასტირდა ემელოსს თავის „კორინთიკა“-ში, რომელიც მისი მშობლიური ქალაქის ისტორიას ეძღვნება, ასეთი იდეის პროპაგანდა? რა თქმა უნდა, შეიძლება გვევარაუდა, რომ ეს იყო მხოლოდ მხატვრული ხერხი: კოლხეთიდან გამოქცეული მეფეა კორინთელებმა მოიწვიეს იმიტომ, რომ კორინთოში მისი მამის სამფლობელო იყო. მაგრამ ასეთი ახსნა ვერ იქნებოდა დამაჯერებელი, თუნდაც იმიტომ, რომ აიეტს კორინთოში თითქმის არ უმეფია და ის მაშინვე კოლხეთს გაემართება. ვფიქრობ, ემელოსს კორინთელთან დამოწმებული კონცეპცია უფრო ღრმა შინაარსისაა და ის ძვ.წ. VIII ს-ში დაწყებული ბერძენთა ფართო საკოლონიზაციო მოძრაობის იდეოლოგიური გამართლებაა: ბერძენი თავიანთ კოლონიებს (აპოკიებს) აარსებენ იმ ადგილებში, რომლებიც თითქოს ოდითგანვე მათი კუთვნილება იყო და ადრეული ეპოსის გმირების სამოქმედო ასპარეზსს წარმოადგენდა (შდრ. მაგ. პეროდოტესთან, IV, 8-10 დაცული პონტოელი ელინების მონათხრობი ლეგენდა პერაკლეს მოგზაურობისა უკაცრიელ ქვეყანაში, სადაც შემდეგ განდებიან სკვითები, მისი ნაშეიქნი). ეს კონცეპცია (რომელიც დაუსახლებელი ტერიტორიების საკრალური ათვისების სახელითაა ცნობილი) მიზნად ისახავდა ძვ.წ. VIII-VI სს-ის ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის თავისებურ ლეგიტიმიზაციას ([12, გვ. 8 შემდ., შდრ 20]), რაც თვალნათლივანა წარმოდგენილი ბერძენული აპოკიების დაარსების შესახებ თქმულებებში (იხ. [33, განსაკუთრებით გვ. 5 და შემდ.]). ამ გადმოცემების მიხედვით, ძვ.წ. VIII-VI სს-ში დაარსებულ ქალაქთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ტროას ომის ან უპირატესად კი - არგონავტების ლაშქრობის მონაწილეთა მიერ იყო თითქოს დაარსებული, ან მათი სამოქმედო ასპარეზი. აქვე იყო ზოგჯერ მათი სამარხებიც და ეს არა მხოლოდ სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში, არამედ შავიზღვისპირეთშიც. ასე მაგ. აქილევსი ჩრდ. შავიზღვისპირეთში კუნძულ ლეკკაზე იყო დაკრძალული, რამაც გა-

ნაპირობა კიდევ მისი კულტის არაჩვეულებრივი პოპულარობა იმ რეგიონის ბერძნულ ქალაქებში [12, გვ. 6-8], [24 და იქ დასახ. ლიტ].

ასევე, ქალაქი სინოპე, თავდაპირველად არგონავტებმა ავტოლიკემ და ფლოგიუსმა დაარსეს (ფსევდოსკიმნოსი, 941-946 [7, გვ. 99]. ამ ქალაქშიც ძლიერი იყო მათი კულტი და აღმართული იყო ავტოლიკეს ქანდაკებაც [30, გვ. 61-63]. კოლხეთშიც ქალაქი დიოსკურია არგონავტების ლაშქრობის მონაწილე ტყუპი ძმების - დიოსკურების დაარსებულად ითვლებოდა (პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 16; პომპონიუს მელა, დედამიწის აღწერილობა, 1, 111) და ამ ქალაქის მონეტებზეც დიოსკურების ქუდია გამოსახული (დაწვრ. [30, გვ. 234-235; 11, გვ. 86-89 და იქ დასახ. ლიტ.]). მეფე აიეტიც, ოდესღაც თითქოს ჯერ კორინთოს უფალი და მხოლოდ შემდეგ კოლხეთში გამეფებული, ერთ-ერთი ეპიტაფიის მიხედვით ხაზგასმით „კოლხეთშია დაკრძალული“ (იხ. [ფსევდო] არისტოტელეს „პეპლოსი“ [4, გვ. 293]).

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევმელოს კორინთელის ზემოთგანხილულ ცნობაში ასახულია ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის ის კონცეფცია, რომელიც ბერძენთა მიერ ამა თუ იმ ქვეყანაში ძვ.წ. VIII-VI სს-ში დაარსებული ქალაქების ლეგიტიმიზაციას ისახავდა მიზნად: ბერძენები აპოიკიებს აარსებენ იმ მიწებზე, რომელიც თითქოს ოდითგანვე მათი კუთვნილი იყო (შდრ. [12, გვ. 9]).¹³

ევმელოს კორინთელის ცნობა სხვა მხრივაცაა საყურადღებო: ჩანს, რომ კოლხეთი უკვე ძვ.წ. VIII ს-ში (თუნდაც მის მეორე ნახევარში) ე.ი. ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთში ბერძნული აპოიკიების დაარსებამდე, უკვე გამხდარია ელინური მითოლოგიუ-

¹³ ვარაუდობენ, რომ შავიზღვისპირეთი უკვე ძვ.წ. VIII ს-ში მოექცა კორინთოს საჯაჭრო ინტერესების სფეროში [22, გვ. 63]. სამწუხაროდ, ამ საინტერესო მოსაზრებას, რომელსაც ბერძნული კოლონიზაციის ისტორიის სხვა მკვლევარებიც (მაგ. J. Grahame, J. Boardman) იმოწმებენ, ჯერჯერობით რეალური არქეოლოგიური დადასტურება არ გააჩნია: ძვ.წ.

რი სისტემის ორგანულ ნაწილად. ევმელოს კორინთელთან („კორინთიაკა,“ ფრ. 2 = [4, გვ. 195]) "აიეტი იშვა ჰელიოსისა და ანტიოპესაგან." ხოლო ჰომეროსის „ოდისეა“-ში (X, 1345-139) „ენატკბილი კორკე“ არის და აიეტისა, ხოლო „ორივე იშვა მოკვდავთ-მანათიობელი ჰელიოსისა და დედა პერსესაგან, რომელიც ოკეანემ წარმოქმნა“ [4, გვ. 175]. ბერძენი ღმერთების წარმოშობისადმი მიძღვნილ ჰესიოდეს „თეოგონია“-შიც აიეტი და კორკე ჰელიოსისა და ოკეანეს ასულ პერსეს შვილები არიან, ხოლო მუდვა თავის მხრივ ასულია აიეტისა და იდიასი [4, გვ. 186-187] და ა.შ. ეს ფაქტიც, კიდევ ერთი მოწმობაა ბერძნულ სამქაროსა და კოლხეთს შორის ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთში კოლონიზაციის დაწყებამდე ცხოველი კონტაქტებისა, რასაც წერილობით წყაროებთან ერთად, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებიც მოწმობს (იხ. [32, გვ. 9-25, სურ. 6-11]).

ლიტერატურა

1. აპოლინიოს როდოსელი, არგონავტიკა (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ა.ურუშაძემ), თბ., 1970.
2. მელიქიშვილი გ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებანი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, თბ., 1970, გვ.: 358-391
3. მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
4. ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
5. ყაუხჩიშვილი თ., პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.
6. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

VIII-VII სს-ის კორინთელი ნაწარმი შავიზღვისპირეთში ჯერ აღმოჩენილი არაა.

7. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967.
8. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980.
9. Гордезиани Р. В. Проблемы гомеровского эпоса, Тб., 1978.
10. Дворецкий И. Х. Древнегреческо-русский словарь (под ред. С. И. Соболевского), I, Москва, 1958.
11. Качарава Д., Квирквелия Г., Города и поселения Причерноморья античной эпохи (малый энциклопедический справочник), Тб., 1991.
12. Русяева А. С. Религия и культы античной Ольвии, Киев, 1992.
13. Allen A. The Fragments of Mimnermus. Text and commentary (= Palingenesia XLIV), Stuttgart, 1993.
14. Bernabe Al. Poetarum Epicorum Graecorum. Estimonia et Fragmenta. I. Leipzig. 1987.
15. Camassa G., La frequentazione micena nell' area pontica, *Επι πόντου πλαζόμενοι. Symposio italiano di Studi Egei dedicato a Luigi Bernabò Brea e Goivanni Pugliese Caratelli*", Roma- Atene, 1999, გვ. 269-283.
16. Davies M., *Epicorum Graecorum Fragmenta*, Gottingen, 1988.
17. Dinçol-Belkis Dinçol Ali M., *Die Urartaäische Inschrift aus Hanak(Kars), "Hittite and other Anatolian and Near Eastern Studies in Honour at Sedat Alp"*, Ankara, 1992, გვ. 109-115.
18. Dräger P. *Argo Pasimelusa (= Palingenesia 43)*, Stuttgart, 1993.
19. Dräger P., Aia, " *Der Neue Pauly*", I, 1985, გვ. 306-307.
20. Hiller S., Possible historical reasons for the rediscovery of the Mycenaean past in the age of Homer, "The Greek Renaissance of the Eighth century B.C.: Tradition and Innovation (Ed. by R.Hägg). Athens, 1985, გვ. 9-14.

21. Hiller S., *The Mycenaens and Black Sea*, "Thalassa: L' Egee pre-historique et la Mer" (=Aegaeum. Annales d'archeologie egeene de l'Universite de Liège 7), Liege, 1991, გვ. 207-216.
22. Huxley G.L., *Greek Epic Poetry*, London, 1969.
23. Jorro Fr.A. (Redact.), *Diccionario Griego-Espanol*, I, *Diccionario Micénico*, Madrid, 1985.
24. Ka arava D., *L'île Leuke*, "Religions du Pont-Euxin (Actes du VIIIe Symposium de Vani)", Paris, 1999, გვ. 61-63.
25. Landau O., *Mykenisch-Griechische Personennamen*, Göteborg, 1958.
26. Latacz J., *Eumelos aus Korinth*, "Der Neue Pauly," IV, 1998, გვ. 250.
27. Lesky A., *Aia*, "Gesammelte Schriften," Bern-Münster, 1966, გვ. 26-62.
28. Liddel H.G., Scott R., *A Greek – English Lexicon*, Oxford, 1996.
29. Lordkipanidze O., *La geste des Argonautes dans le premiers epo-peés grecques*, "Sur les traces des Argonautes" (Actes du 6 ieme symposium de Vani), Paris, 1996, გვ. 21-46.
30. Lordkipanidze O., *Das alte Georgien (Kolchis und Iberien) in Strabons Geographie*, Amsterdam, 1996.
31. Lordkipanidze O., *Phasis: the River and City in Colchis* (= *Geographica Historica* 15), Stuttgart, 2000.
32. Lordkipanidze O. *The Golden Fleec: Myth, Euhemeristic Explanation and Archaeology*, "Oxford Journal of Archaeology," 20, N1, 2001, გვ. 1-38.
33. Malkin J., *Religion and Colonization in Ancient Greece*, London, 1987.
34. Merkelbach R., West M.L., *Fragmenta Hesiodica*, Oxford, 1967.
35. Papadopulos A., *Prehistoric Aegean and the Regions of the Black Sea and Kaukasos: Archaeological Evidence and Myths*. "Phasis, Greek and Roman Studies," vol. 2-3, Tbilisi, 2000, გვ. 311-313.
36. Scafa E., *Le relazioni esterne dei regni miceni: i testi in Lincare B.* "Επι ποντον πλαζομενοι (Symposio italiano... სრულად იხ. [15, გვ. 269-283].

37. "Tübinger Atlas des Vorderen Orients", Wiesbaden, 1993.
38. West M.L. *Jambi et Elegi Graeci*, Oxford, 1992.
39. Wilamowitz von Moellendorf U., *Hellenistische Dichtung in der Zeit des Kallimachos, II*, Berlin, 1924.

О. Лордкипанидзе

К пониманию Евмэл, Коринтиака, фр. 2А. Davies

В "Коринтиаке" Евмела, фр. 2А. Davies, царь Айэт первоначально является правителем Коринфа, а затем становится царем Колхиды. Можно предположить, что это является проявлением идеологии греческой колонизации, согласно которой колонизируемые земли рассматривались, как исконно принадлежащие грекам.

О. Lordkipanidze

To the Interpretation of Eumelus' Corinthiaca, Fr. 2A, Davies¹⁴

In Eumelus' "Corinthiaca" (Fr. 2A, Davies) Aectes is initially the ruler of Corinth, and then he becomes King of Colchis. It can be hypothesized that this is a kind of manifestation of the ideology of Greek Colonization implying that all colonized lands belonged originally to Greeks.

¹⁴ The paper was written during the author's work at scientific institutions of Germany (University of Konstanz and the Römisch-Germanisches Zentral-Museum in Mainz) as a Research awardce of the Alexander von Humboldt Foundation.

ნაბითი მსხვერპლი ქართულ მითოსსა და რიტუალში

ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებსა და მათი რიტუალური რეალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რწმენას, რომლის თანახმად ქრისტიანულ წმინდანს (ან სალოცავს, ხატს) ნებით მოჰყავს სამსხვერპლო ცხოველი, რომელიც მას ასევე ნებაყოფლობით ეწირება. ამ ფაქტის ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინებად ითვლება ილორის წმინდა გიორგის დღეობა, 20 ნოემბერი, როცა წმინდანს თავად მოჰყავდა სამსხვერპლო ხარი. საბედნიეროდ, ეს დღესასწაული წარმოდგენს იშვიათ გამონაკლისს, რადგან, განსხვავებით დანარჩენებისაგან, გვაქვს მისი აღწერილობა XVIII საუკუნის შუახანებიდან, რომელიც მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ შეასრულა (იგი სამეგრელოში ცხოვრობდა 1633-54 წლებში, პირველი წიგნი გამოსცა 1649 წელს ნეაპოლში)¹. ამ აღწერილობის თანახმად ოც ნოემბერს მთავარი თავადაზნაურობასა და ყველა კარისკაცთან ერთად, ასევე ოდიშის ხალხის თანხლებით, მიდიოდა ილორის ეკლესიაში დღესასწაულზე დასასწრებლად და იმის სანახავად, თუ როგორ მოიყვანს წმინდა გიორგი ხარს. ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღესასწაულზე არა მარტო ოდიშის ხალხი, არამედ აფხაზებიც და სვანებიც ესწრებიანო. დღესასწაულის წინა დღეს ეკლესიის კარიბჭესთან ამალით მისული მთავარი კლიტით აქეტივინებდა გალავანს და კედელზე თავის ბეჭედს ასვამდა. მერე დილით მთავარი გათენებამდე ბრუნდებოდა ეკლესიაში, ამაღასთან და ხალხთან ერთად შეამონმებდა თავის ბეჭედს, მერე მოხსნიდა მას და შედიოდა გალავანში. აქ, გალავნის ბჭესა და ეკლესიას შორის დაინახავდნენ წმინდანის მიერ მოყვანილ ხარს და ყველა მოწინებით დახრიდა თავს. ეკლესიაში

მაშინვე იწყებოდა ზარების რეკვა და ყველა გაიგებდა, რომ წმინდანმა სასწაული ამ წელსაც აღასრულა. ხალხს მიაჩნდა, რომ წმინდანი იმ ღამეს ხარს სამჯერ გაატარებდა მთიდან ზღვამდე და პირიქით და მერე დატოვებდა ეკლესიაში (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938. გვ. 142). ეს წესი რქანჯელოს შემდეგაც არ გადავარდნილა და XIX ს-ის შუა ხანებამდე შემოუნახავს თავი. ხარის მოყვანა, გვიანდელი ცნობით, მოასწავებდა მშვიდობას, კარგს მოსავალს და მთელი წლის ბედნიერებას. ადრეო, აღნიშნულია ცნობაში, ხარი მოდიოდა ყოველწლიურად, შემდეგ თურმე 3-4 წელში ერთხელ, ხოლო ბოლოს, ჩვენთვის უახლოეს წლებში, როგორც ტექსტი აღნიშნავს, უკანასკნელად 1851 წელს გამოჩენილა² მოსწავების მნიშვნელობას ხალხი სასწაულით მოსულ ხარს არქანჯელოს დროსაც ანიჭებდა. თუ ხარი დაჭერის დროს არ ნებდებოდა ეს ომს ნიშნავდა, ზურგზე დანოლილი და მტვერში ამოგანგლული ხარი კარგ მოსავალს მოასწავებდა, თუ ცვრით დანამულს იპოვიდნენ, ბევრი ღვინო მოვაო, თუ ფერად ქერა იქნებოდა, ადამიანთა და პირუტყვთა ხშირი სიკვდილი იქნებოდა, თეთრი, ან ჭრელი, ფრიად კარგ ნიშნად ითვლებოდა. ლამბერტის შენიშვნით ეს ნიშნები ყოველ წელს მტყუვნდებოდა, მაგრამ მაინც სწამდათ, როგორც სახარება.

ხარს გაიყვანენ გალავნის გარედ და დააკვლევინებდნენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველიდანვე ეკუთვნის ეს ხელობა. ამ ოჯახშივე დარჩენილია ხარის დასაკლავი ძველი ნაჯახი, რომელსაც ინახავდნენ, როგორც საღმრთო ნივთს და სხვაზე არაფერზე არ ხმარობენ. „ის კაცი რომ დაკლავს ხარს, გაანანილებს კიდევ: უმეტესი ნაწილი რქებითურთ ეკუთვნის მთავარს. ამ რქებს მთავარი შეამკობს ოქროთი და ძვირფასი ქვებით და დიდ დღესასწაულებში იმ რქებით ღვინოს დალევს წმ. გიორგის სადიდებლად. იმერეთის მეფესაც კარგი ნაწილი ეკუთვნის, თუმცა მეფესთან მთავარი მტრად იყო და ომობდა კიდევ, მაგრამ ამან მისი ნაწილი მაინც გაუგზავნა მეფეს...

აგრევე მოიქცა მთავარი გურიელის მიმართ. სხვა და სხვა ძველებურ გვარებს ოდიშში მისი წილი აქვს მიჩნეული. რაც დარჩება, დაჭრიან ძალიან წმვრილ-წვრილად და დაურიგებენ ხალხს. ამ ხორცს გაახმობენ კვამლზე და დიდის სასოებით შეინახავენ ავადმყოფობის დროს მოსახმარად”³.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ XVII ს-ის შუახანებში სამეგრელოში აღწერილი წარმოდგენა მხოლოდ აქაურობისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ირკვევა, რომ წმინდა გიორგის დღესასწაულებზე უდემი (მესხეთი), ხანში, (იმერეთი), ფხატრემი (სვანეთი) წმინდა გიორგის დღეს) ნებით შედიოდა სამსხვერპლო ცხოველი⁴, ოღონდ მოდიოდა არა, ხარი, არამედ ირემი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო გაუნაწყენებიათ, რის შემდეგაც ირემი აღარ გამოჩენილა და მის ნაცვლად წმინდანს ხარის გამოგზავნა დაუწყია. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წმინდა გიორგის ან სხვა მწმინდანის მიერ ხარის ან ირმის ეკლესიაში შეყვანის ფაქტი ამ სახით დამონმებული არ არის. სამაგიეროდ, ნაცვლად „მიყვანისა“, გიორგის საკუთარი ძალით, „მიუდის“, როგორც მლოცველი, ისე ნადირიც. ეს ვითარება აღბეჭდილია ფოლკლორში. ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე ხალხურმა ლექსმა, რომლებიც ქართლსა და კახეთშია ჩანერილი, წმინდა გიორგის საბრძანისია მაღალი მთა და იქ დაბრძანებულს მიუდის როგორც მლოცავი ისე ნადირი. ასე მაგალითად:

გორიჯვრის წმინდა გიორგი,
გადმომცქერალი მტკვრისაო;
მლოცავი ბევრი წამოვა,
ქარელისა და სკრისაო.

მეორე ლექსში ნათქვამია:

ცა ჭებდეს, ქუხდეს, ელავდეს, -
წმინდა გიორგი იქნება
ნოგიროს წვერზე დაბრძანდა
გიორგი დობილიანი...

მოტანილი ლექსებიდან პირველი, გორიჯვრის წმინდა გიორგის შესახებ, ჩანერილია დილომში, ხოლო მეორე ს. მაკალათიას მიერ, თუშეთში; აქ გიორგი ამინდის გამგებლადაც არის წარმოდგენილი, ჩვენი მსჯელობისათვის განსაკუთრებით საყურადღებო ლექსები ჩანერილია ქართლში, სადაც ნათქვამია:

ეს ჩვენი წმინდა გიორგი
მალლა გორაზე სვენია,
ნადირი ბევრი მიუდის,
არჩვი, ირემი, შველია,
დათვს რალა მოარბენინებს,
ვაი, შიში რა ძნელია.

ზუსტად იგივე ტექსტია ჩანერილი თ. რაზიკაშვილის მიერ ატოცის წმინდა გიორგიზე, სადაც ნაცვლად „ეს ჩვენი...“-სა დასახელებულია „ატოცის წმინდა გიორგი“ და შემდეგ გრძელდება როგორც ზემოხსენებულ ტექსტშია. აქ საყურადღებოა ხაზგასმა იმისა, რომ წმინდანი კი არ ეძებს და იჭერს ნადირს, არამედ იგი მას ნებაყოფლობით, თუ შიშით „მიუდის“ ყოველ შემთხვევაში, თანახმად ტექსტისა დათვი ამკარად შიშით მირბის. იგივე დამოკიდებულება იკვეთება წმინდანსა და „მლოცავს“ შორის სხვა ლექსების თანახმად:

„წმინდა გიორგის მშვენება
შორს მიუდგება გორსაო,
შორით მაიყვანს მლოცავსა,
დაკუტებულსა მონასა.

წმინდა გიორგის მშვენება
შორს მიადგება გორასა,
შორით მაიყვანს მლოცავსა,
ბრმასა, კოჭლსა და მონასა.

„ხელში უჭირავს მათრახი,
სამოცდასამი მხარია;
რასაც გადაჰკრა, გადასწვა,
მაგის დაკრული ცხარეა“.

ზოგ ვარიანტში აღნიშნული მოტივი ებმის ამოსულ აღ-
ვის ხესა და ზედ დამნიფებულ, საჭმელად შემოსულ ყურძენს.
ეს კომპლექსი კარგად არის შესწავლილი ქართულ ეთნოგრა-
ფიულ ლიტერატურაში⁵. მოტიანილი ტექსტები ცხადყოფენ,
რომ წმინდა გიორგი ტაროსის გამგებელია, იგი ხელმათრახი-
ანია და ამ მათრახით ყველაფრის დანვა შეუძლია, ამიტომ მი-
სი შიში აქვს ნადირს და „მიუდის“, ასევე შიშით „მიიყვანს“
მლოცავსაც (ქართ. ხალხური პოეზია, ტომი პირველი, თბილი-
სი, 1972 წელი. გვ. 142-146; 354-358); ეს მომენტი რამდენადმე
ეხმიანება არქანჯელო ლამბერტის მიერ მოწვედილ ცნობასაც,
სადაც განსაკუთრებული ხაზი გაესმის შიშს წმინდანის წინა-
შე. ლამბერტის მიხედვით „ხალხში ის ცრუმორწმუნეობა არის
გავრცელებული, რომ ამ დღეს (20 ნოემბერს ი. ს.) ეს დიდებუ-
ლი მოწამე მოიპარავს არემარეში ხარს და ღამით მიიყვანს
ილორის ეკლესიაში, რომელიც მის სახელზე არის აშენებული.
ამ ეკლესიას პატივს სცემენ არა თუ მეგრელები, არამედ მახ-
ლობელი ხალხები. ამიტომაც მდიდარია ეს ეკლესია... მაგრამ
ფიქრი არ არის, რომ ვინმემ გაქურდოს იგი, ან მტრის გეშით
მივიდნენ და გაძარცვონ... მისი ძვირფასი ქვები რომ გზაში
დააბნიონ, ...ხელს არავინ ახლებს... ამ წმინდანის შიში მარტო
აქაურებს კი არ აქვთ, არამედ თვით აფხაზებსაც, რომლებიც
სახელგანთქმული ქურდები არიან და თურქებსაც... ეს შიში
უმთავრესად აი საიდან წარმოსდგება: ამ ეკლესიაზე მიმაგრე-

ბულია რამდენიმე ფრიად დიდი შუბი, რომელთაც რკინის დიდი ორპირი წვეტი აქვთ... წმ. გიორგი ერთ-ერთი შუბით უსათუოდ მოჰკლავს იმ კაცს, ვინც მის მიმართ უპატივცემულობას გამოიჩინს. ამით დაშინებული ვერავინ ვერ ჰბედავს ამ ეკლესიის გაქურდვას, ან სხვანაირად შეურაცხყოფას". ეს აღწერა და ხატების სიმდიდრე თითქოს იმეორებს არმაზის კერპის სიმდიდრის აღწერას, რომელსაც ეკავა ოქროს ჯაჭვი და ზედ ძვირფასი თვლები, ზურმუხტი და ბივრილი ესხა. მას ხელში ეჭირა ელვასავით ბრწყინვალე ხმალი (მოქნეული ხმალი: „ელვასა ჰგავდა ცისასა“. ხალხური. ი.ს.), რომელსაც უსათუოდ სცემდა მას, ვინც რამეს დააკლებდა არმაზის დიდებას, ან სხვა ღმერთთა მსახურებთან გააბამდა ურთიერთობას⁶.

ორივე ჯგუფი მასალებისა, რომელთა შესახებ მქონდა მსჯელობა, მიუხედავად განსხვავებისა, ერთსა და იგივე მითო-რელიგიურ წარმოდგენას ემყარება. ღვთაებას, რომელიც ან ეკლესიაშია დავალებული, ან მაღალი გორის წვერზე აქვს თავისი სამლოცველო, ნებით მიჰყავს მის წინაშე ნადირი, და ასევე მლოცველი. მართალია, მისვლა გარეგნულად ნებაზე დამყარებულს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ეს „ნებაყოფლობითი“ მსხვერპლი და მოლოცვა შიშზეა დაფუძნებული. სამეგრელოს ვითარებაში აქ ნებაყოფლობას ქრისტიანული სასწაულის სახე მიუღია. წმ. გიორგი იპარავს ხარს და სასწაულებრივად შეჰყავს იგი ეკლესიის ეზოში. ამით იგი მითრას გვაგვონებს, რომლის ერთ-ერთის ზედმეტსახელი იყო „ხარიპარია“. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეპითეტი წმინდა გიორგისათვის ტრადიციული არ უნდა იყოს. მასალის თანახმად მას თავის დროზე ირემი „მიუდიოდა“ სამლოცველოში. რომელიც გარკვეული კონფლიქტური ვითარების შემდეგ ხარით ჩანაცვლებულა. ტექსტებში არსად არ არის ნათქვამი, რომ წმინდანი ოდესმე ირემს იპარავდა. ირემი ნებით მიდიოდა სამსხვერპლოდ და მოგვიანებით ირმის რიტუალს (თუ ასეთი ოდესმე არსებობდა) ხარის რიტუალი ჩანაცვლებია. საერთოდ, რიტუ-

ალურ მასალაში ამკარად მჟღავნდება გარეული ნადირ-ფრინ-ველის შინაურით ჩანაცვლების ტენდენცია, რის თაობაზე უკვე გაქონდა მსჯელობა⁷. ვფიქრობ, რომ წმინდა გიორგისათვის თავის ნებით შენირულ ცხოველთა შორის ასეთი ცვლილება ამ ზოგადი პროცესის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება უნდა იყოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ შემდეგი: ქართველებს სწამდათ, რომ ადრე მთის წვერზე, ხოლო შემდგომ აქვე აგებულ სამლოცველოში მდგომ წმინდანს, გიორგი პირველმონაშეს, მსხვერპლად თავისი ნებით მიუდიოდა ნადირი. ეს ალბათ მითოსურ დროში ხდებოდა, რომელსაც საზღვარი დაუდო ადამიანთა მიერ წმინდა მსხვერპლის ამა თუ იმ ფორმით შეურაცხყოფამ. ამის შემდეგ ნადირი ქრება რიტუალიდან და მის ნაცვლად მოდის ხარი. ხარი შინაური ცხოველია და რიტუალურად ადვილად რეალიზებადია. იგი ერთხანს ალბათ ირმის „სიმბოლოს“ წარმოდგენდა (ასევე, როგორც „მეფის განადირების რიტუალში ტექსტში ნახსენებ ხოხობს პრაქტიკაში ენაცვლება ქათამი). მაგრამ მითოსური და საკრალური ასპექტების შესუსტების შემდგომ გაჩნდა სიუჟეტი, რომელიც მონოდებულია ახსნას ჩანაცვლების „პრაქტიკული მიზეზი“. წარმოდგენები სალოცავში თავისი ნებით მისული სამსხვერპლო ცხოველების შესახებ მთელს კავკასიაშია გავრცელებული. ამათ რიგს განეკუთვნება სიუჟეტები ტაძართა ადგილის შერჩევის შესახებ, როცა ტაძრის ასაგებ ადგილს მიაჩნებნებ ნებითმავალი ხარი, ან ურემში გაბმული წყვილი, როცა ისინი მიაგორებენ ურემს ზედ დასვენებული მეხითმოკლული მიცვალებულით, თუ სარწმუნოებისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირით (მაგ. დავითისა და კონსტანტინეს მისვენება მონაშეთას ადგილზე). ყველა ამ შემთხვევაში ჯერ ნადირი, ხოლო შემდგომ მისი ექვივალენტი, პირუტყვი, წმინდა ადგილზე, ანუ საკრალურ კვანძში მიჰყავს ღვთაების ძალას. ასეთი, ნებით მოსული ცხოველები

იმ ადგილას იწირებიან და როგორც ჩანს, საფუძველს უყრიან დროში რიტმულად განმეორებად რიტუალს.

ეთნოგრაფთა მიერ წლების მანძილზეა შემჩნეული მთხრობელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება სამსხვერპლო ცხოველთა ქცევისადმი. ისინი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ მიყვანილი შესანიერი (ძირითადად მოზვერი, ხარი) „მადლიანად შეენირა“, „თავისი ნებით დანვა“ და ა. შ. შესანიერის საქონლის გაჯიუტებას, მით უფრო გაქცევას, დიდ უბედურებად თვლიან და მიაჩნიათ, რომ მსხვერპლი სალოცავმა არ შეინირა. ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენირვისას ცდილობდნენ გაეთამაშებინათ ცხოველთა ნებაყოფლობითი ქცევა: მაგ. ა. დავითიანის ცნობით სვანები შესანიერ ხარებს არყით ათრობდნენ, რადგან ასეთ მდგომარეობაში ისინი წინააღმდეგობას არ უწევდნენ და დაკვლისას არც კი დაიბღავლებდნენ. ვფიქრობ, რომ ცხერის „უდრტვიწველობა“ ალბათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რამაც განაპირობა ამ ცხოველის განსაკუთრებული ადგილი სამსხვერპლო ცხოველთა რიგში. აღსანიშნავია, რომ ეს მომენტი დატვირთულია ორმაგი, შესაძლოა სამმაგი მნიშვნელობებით: უპირველეს ყოფლისა იგი იმეორებს სალოცავში თავის ნებით პირველად მისული ცხოველის შენირვის პირველ სცენას, შემდეგ ყოველი კერძო შემთხვევა აჰყავს სასწაულებრივ მნიშვნელობამდე და ბოლოს მიანიშნებს იმ უმთავრესზე, რისთვისაც მსხვერპლი შეინირება: შესანიერავი მიღებულია. აქედან გამომდინარე, იძულებით მსხვერპლი არ არსებობს, იგი მაშინ განხორციელდება, როცა შენირვა ნეტარებაა შენირულისათვის. ასეთი დამოკიდებულება შენირვისადმი მხოლოდ ცხოველ-ფრინველთა შენირვით არ შემოიფარგლება, ასე ფიქრობდნენ მორწმუნეები, მაშინაც როცა ღვთაებას ნებით წირავდნენ სიცოცხლეს, ან სხეულის ნაწილს (მაგ. თვითდასაჭურისება), მიიყენებდნენ ჭრილობებს, წირავდნენ საკუთარ პირველშობილებს და ა. შ. კომპენსაცია მათი გადასვლისათვის „საიქიოს სკნელში“ იყო

მარადიული ყოფნა ღვთაების ნიაღში. ეს პოზიცია აშკარად შევიდა ახალ დიდ რელიგიებში (მაგ. ქრისტიანთა უდაბნოში განდგომა, მარტილობა, ხორცის დათრგუნვა, მარხვა და სხვ.), როცა მძიმე ღვანლი რელიგიურ აზრს იძენს მხოლოდ ნებაყოფლობითობისას.

აღსანიშნავია, რომ ღვთაებრივი გარემოს აღდგენისა და, ასე ვთქვათ, „კვლავწარმოების“ ტრადიცია საერთოდ დამახასიათებელია ქართველთა მითო-რელიგიური აზროვნების მრავალი სფეროსათვის. ნადირის „მისვლის“, უხვი სანადირო ღვთაებრივი გარემოსა და თვით ღვთაების ნადირობის ანალოგიური სცენა იმართებოდა მეფეთა ნადირობისას, რომლის განსაკუთრებულად საინტერესო ფორმა უნდა იყოს მეფის საახალწლო ნადირობა, საკმაოდ დანვრილებით აღწერილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. ახალი წლის დილით საჩუხში წინანარ მომწყვედულ მხეცებს გამოუშვებენ, გამოსასვლელში კი მეფე და დიდებულები იდგენ, რომლებიც ისრით ხოცავდნენ „ზედმოსულ“ ცხოველებს. ასე რომ, აქ ზუსტად თამაშდება მხეცთა და ნადირთა „ნებით“ მისვლის იგივე სცენა, რაც ატოცის და გორიჯვრის წმინდა გიორგის ლექსებშია აღწერილი⁸. იგივე სურათი, ოღონდ მითოსური მასშტაბით აღწერილი აქვს შოთა რუსთაველსაც: როსტევეანი ბრძანებს: „მინდორი მოიარენით, დასცევით ჯოგი ნადირთა!“ მეორე დღეს მეფესა და მის მხლებლებთან „მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშშიუნვდომელი, ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი...“ (ვეფხისტყაოსანი, სტრ. 70, 74). აღსანიშნავია, რომ ვახუშტისა და რუსთაველის ცნობათა შედარებისას აშკარად ჩანს როგორც გარეულ ცხოველთა თავშეყრის, „დაცვის“ წესი, ასევე ნადირობის გარეგნული ნიშნები: ნადირი მეფეს, რომელიც ქართველთა აზრით „ღვთისშვილია“⁹. ე. ი. ღვთაებრივის მატერიალურ რეალიზაციას წარმოადგენს, „მიუდის“, როგორც ღვთაებას, ადრე, ვიდრე იგი მხოლოდ რჩეული იყო და არა მეფე, მას კარგ სანადირო ადგილებს აძლევდა ღვთაება. მონადირეები კი გაქცეულ

ჯოგებს დევნიდნენ და ისრით ხოცავდნენ. ასეთივე სცენები მეორდება ბრინჯაოს ცნობილ რიტუალურ სარტყლებზე, რომლებიც ძვ. წ-ის პირველი ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნებიან. მართალია, სარტყლებზე გამოსახულია არა „მისვლა“ ნადირისა, არამედ მათი დევნა, მაგრამ მათი არაბუნებრივი სიმრავლე, ასევე მონადირევთა მთელი რიგი ნიშნები (მაგ. ფულიურობა) ავლენს მთელი სცენის მითოსურ განკუთვნილებას. აქ წარმოდგენა ჩამოყალიბების პროცესშია და ასახულია მისი ის დონე, სადაც ღვთაებას რჩეული მონადირე კარგ სანადირო ადგილში შეჰყავს. სანადირო საჩხებები, მარეკები და ა. შ. უფრო გვიანდელი სოციალური გარემოს პროდუქტია და რიტუალსა და მითოსში მოგვიანებით უნდა შეჭრილიყო. უპირველესი და უადრესი კი იქნებოდა მითოსური „მდიდარი სანადირო ადგილები“, სადაც ნადირობა ღვთაებათა რჩეულების ხვედრია. ეს წარმოდგენა ებმის მეორე, საკმაოდ თვალსაჩინოდ ჩამოყალიბებულ შეხედულებას, რომლის შესაბამისად, ნადირს ჰყავს პატრონი, რომელსაც შეუძლია აჩუქოს, ანუ მოაპოვებინოს „თავისი“ ცხოველი თავის რჩეულს. თუ ამ შეხედულებიდან ამოვალთ და მას შესაძლო სოციალურ-ისტორიული ცვლილებების შესაბამისად განვიხილავთ, რჩეულის მემკვიდრედ მეფე გვევლინება. სანადირო-სარეწაო უპირატესობები საზოგადოების ინტერესებთან შესაბამისობაში, სოციალური უპირატესობების სახეს იღებენ. ნადირობა, როგორც ოდესღაც ღვთაებასთან ურთიერთობის ფორმა და შესაბამისად საკრალიზებული პროცესი, მოგვიანებით წარმოგვიდგება არა როგორც საკრალური აქტი, არამედ სოციალური უპირატესობა. იგი გამოდის ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკრალური სფეროდან და ადგილს იჭერს სოციალურ უპირატესობათა სფეროში. ამდენად რიგი ოდესღაც საკრალური სიუჟეტებისა ქრისტიანულ პრაქტიკაში იჭრება, ზოგიც რელიგიის ყურადღების გარეშე რჩება და სავალდებულო ტრადიციულ ქმედებად იქცევა, რომლის მრწამსობრივი

არსი სამუდამოდ არის დაკარგული. ამის მაგალითია მეფის განადირების საქორნილო რიტუალი, ცხოველთა გაცოცხლება და გაჩუქება ნადირთა ღვთაებების მიერ და სხვა¹⁰.

მოტანილი ქართული სინამდვილის ამსახველი მასალა ცხადყოფს, რომ მას ისტორიული დინამიკის საკუთარი, შიდა პროცესიც გააჩნია. მისი სხვადასხვა ეტაპები ფიქსირდება სხვადასხვა ღვთაებრივი პერსონების მონაწილეობითა და შესაძლებლობებით, რომელთაგან ყველაზე უძველეს ფენას წარმოსახავს ნადირის პატრონი თუ მწყემსი ქალღვთაებისა და მონადირე-რჩეულის ურთიერთობით. ეს პრაქტიკაში გამოიხატება სამეურნეო-სარენაო წარმატებითა და სოციალურ შკალაზე პრესტიჟული ადგილით, ხოლო მითოსში ქალღვთაებისა და ჭაბუკი მონადირის ფიზიკური სიახლოვით, რის შენარჩუნებას გარკვეული პირობების დაცვა ჭირდება. მომდევნო დონედ მიგვაჩნია მონადირეთა-რჩეულთა მოხვედრა „კარგ (უხე) სანადირო ადგილებში,“ სადაც ისინი მფარველი-მიჯნური ქალღვთაებას ნებით ხვდებიან. მითოსისა და რელიგიური წარმოდგენების ეს ვერსია უნდა იყოს ასახული ბრინჯაოს სარტყლების მხატვრობაში, სადაც ზოგჯერ გამოსახულია ქალღვთაების საუფლო და მისი ცხოველები მარტო, ზოგჯერ მონადირეებთან ერთად. უფრო მოგვიანებით, „რჩეულთა“ სოციალური დანიანურებისა და მათი მეფედ ფორმირების მხარდამხარ, მითოსში და ალბათ რიტუალშიც შესაბამისი კორექცია უნდა მომხდარიყო. მეფე-მონადირეებს (მაგ. ფარნავაზს) ხელს უწყობენ ძველი მფარველები. მითოსი, კვალდაკვალ დესაკრალიზაციის პროცესისა, ლეგენდად იქცევა და სოციალურ ასპექტს იძენს, რომელიც განვითარების ტენდენციას მხოლოდ ამ მხრივ ავლენს. მოგვიანებით, სინკრეტული პროცესების გავლენით, ძველი ქალღვთაებების ადგილს მამრი ღვთაებები და ქრისტიანული წმინდანები იჭერენ, რომელთაც ნადირი უკვე თავიანთი ძალისა და „შიშის“ გამო მიუდით. ეს პროცესი (მდებრობითი ღვთებების ჩანაცვლება მამრობითი

ღვთაებებითა და გმირებით) ქრისტიანობამდე ბევრად ადრე ჩანს დაწყებული, რის დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით. ამ პროცესზე მიგვითითებს იგივე ლეგენდა ფარნავაზის შესახებ, რომელიც რჩეული მონადირე და სამეფოს დამაარსებელი გმირი იყო. მეფეთა მიმართ ნადირის ღვთაებათა და მწყემსთა კეთილი განწყობა ამ წარმოდგენების აღმოცენებასთან ერთად ხდება. იგივე ხაზის განვითარების უკანასკნელი დონე ვლინდება „ოდისეის“ ერთ ეპიზოდში, როცა მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოდისეევს „რომელიღაცა“ ღვთაება უგზავნის უზარმაზარ ირემს. ტერმინი „რომელიღაცა“ აშკარად მიუთითებს სერიოზულ ცვლილებებზე, რაც უკვე მომხდარია ამ მიმართულებით ჰომეროსის საზოგადოებაში: მითოსი უკვე ნაწილობრივ კარგავს მკაფიო გამომსახველობას, ზუსტ ორიენტაციას და ამიტომ ბუნდოვან ტერმინს იყენებს¹¹. ქართული წყარო, რომელიც ქრისტიანი ავტორის შემოქმედებაა, აღარ ამბობს, რომ ფარნაოზი ქალღვთაების გამოგზავნილ ირემს დაედევნა. ავტორმა ეს უკვე აღარ იცის, მაგრამ ჭაბუკი მონადირე განძამდე, ამის შედეგად ძალაუფლებამდე, მიიყვანა, ირემმა, რომელიც ქალღვთაების ზოომორფული სახეა. ორთავე შემთხვევაში არქაული მითოსური მოტივი მოქმედებს, მაგრამ განსხვავებული სოციალური გარემოს ზემოქმედებას განიცდის.

ანალოგიური სიუჟეტები მცირედი სახეცვლილებებით, დამონმებულია რუსეთის ჩრდილოეთში ნოვგოროდის გუბერნიაში ბელოზეროს მხარეში, რაც აღწერილია ბ. ი. სოკოლოვე-ბის მიერ 1910 წელს გამოცემულ ნაშრომში „ბელოზეროს მხარის ზღაპრები და სიმღერები“ თანახმად აღწერილობისა, ამ რეგიონის სოფელ პრეჩისტში 8 სექტემბერს საეკლესიო დღესასწაულზე გლეხებს მოჰყავთ „შეპირებული“ საქონელი. ერთ ხარს კლავენ ამ საქმისათვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე, ხორცს ხარშავენ და გლეხებს ურიგებენ. დანარჩენ ხარებს მიჰყიდიან ხორცის ვაჭრებს, ხოლო შემოსული ფული

ხმარდება ეკლესიას და სამღვდლოებას. ხალხში დაცული ლეგენდის თანახმად 50 წლის წინათ ამ ეკლესიაში 8 სექტემბერს პრეჩისტში თავისი ნებით მოდიოდნენ ირმები და მოფრინდებოდნენ იხვები. ამავე რეგიონის სხვა ეკლესიაში, კერძოდ ბოგოსლოვსკისა და კამენევსკის უბნებში, ეკლესიაში მიდიოდა ორი ირემი, რომელთაგან, ერთს კლავდნენ და მლოცველთათვის ხარშავდნენ, ხოლო მეორე ტყეში ბრუნდებოდა. ერთხელ მღვდელ ვანკას ორივე დაუკლავს და ამის შემდეგ აქ ირემი აღარ გამოჩენილა. ამის შემდეგ ხალხს გადაუწყვეტია მოეყვანათ მსხვილფეხა საქონელი და მათი საშუალებით შეეცვალათ ირმები. მოყვანილი საქონლიდან ერთს დღესასწაულზე კლავდნენ და ხორცს მლოცველთათვის ხარჯავდნენ, ხოლო დანარჩენ საქონელს კი ჰყიდდნენ¹². ამავე აღწერილობაში ნათქვამია, რომ გარდა ზემოხსენებული ცხოველებისა, ადრე პრეჩისტის ეკლესიაში მოდიოდნენ ვეშჩოზეროდან (ტბაა ასეთი, ი. ს.) გამოსული ხარები. განსხვავებული სხვა საქონლისაგან, საუცხოო ჯიშისა, რომელთა ნამრავლი, გლეხების სიტყვით, აქა-იქ კიდევ ყოფილა შემორჩენილი სოფლებში.

განსხვავებით ქართულისაგან, მხედველობაში მაქვს ილორის რიტუალი, ნოვგოროდის გუბერნიაში ნადირისა და ხარების სალოცავში მოსვლა გართულებულია დამატებითი გადმოცემით ზღვის ხარების შესახებ, რომელთა შესაბამისი წარმოდგენები ქართულ ყოფაშიც არის შესწავლილი ეთნოგრაფების მიერ (ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური, მ. მაკალათია...), მაგრამ ამ მოტივს ამჟამინდელ კვლევასთან უშუალო კავშირი არა აქვს და ამ მიმართებით მხოლოდ აღნიშვნით დაგეგმავილდებით. ანგარიში უნდა გაენიოს იმ გარემოებას, რომ ეს მოტივი მონაწილეობს ნებაყოფლობით შეწირვის ცერემონიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ კი ზღვიდან გამოსული ხარები იძლეოდნენ შთამომავლობას და, ბუნებრივია, ეს უნარი ექნებოდათ ირმებსაც, რომელთაც შემდეგ ხარები ჩაენაცვლნენ, ასევე მწარმოებელი მოზერების და არა მხვნელი ხა-

რები უნდა მოერეკა ხალხსაც მითოსური ცხოველების მაგივრად. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს რიტუალი გამიზნული უნდა ყოფილიყო გარკვეული პროფილით ლოცვისათვის, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა ნაყოფიერების ზომორფულ სიმბოლიკას, მისი მამრობითი ფორმით. სამწუხაროდ აღმწერები არ გვაძლევენ ცნობას იმის თაობაზე, თუ კერძოდ რომელ წმინდანს ეხებოდა ეს რიტუალი, რომელიც სასწაულის გაგრძელებას წარმოადგენდა. ასევე არაფერია თქმული ცხოველთა ფერისა და ქცევის მიხედვით მომავლის მინიშნებაზე, რაც ქართული მასალის იტერპრეტაციისათვის დამატებით საშუალებას მოგვცემდა. ყურადღებას იქცევს მხოლოდ რეგიონში არსებული გამოქვაბულები, სადაც წინაქრისტიანული საკერპეების არსებობას ვარაუდობენ. ასევე საინტერესოა სახელი ტბისა, „ვეშჩოზერო“, თარგმანში ალბათ „გრძნეული ტბა“ (вещный- გრძნეული, წინასწარმეტყველი). ამ ტბიდან გამოდიან ხარები, რომლებიც ეკლესიაში დგებიან.

ივანე ტოლსტოის კვლევის მნიშვნელოვან მასშტაბს ანიჭებს მის მიერ შესწავლილი ანტიკური მასალა, სადაც იგივე წარმოდგენები და სიუჟეტების ძირითადი მომენტებია ფიქსირებული. პირველი ავტორი, რომელსაც ჩვენთვის საყურადღებო ცნობები აქვს მოტანილი, არის არიანე, რომლის, „ევექსინოს პონტოს პერიპლუსში“ აღწერილია შავი ზღვის კუნძულ ლევკეს აქილევსის სალოცავი და აქაური სასწაული. იმის გამო, რომ კუნძული აქილევსის საკუთრებად ითვლებოდა, აქ აკრძალული იყო დასახლება. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ ის პირები, ვინც მის კულტს ემსახურებოდნენ. არიანეს მიხედვით ყველა, ვინც ამ კუნძულზე აპირებდა გამგზავრებას, თან გაიყოლიებდა სამსხვერპლოდ გამიზნულ თხებს, რომელთაც კუნძულზე შეწირავდნენ ან დაკვლის, ან თავისუფლად გაშვების წესით. მაგრამ იყო შემთხვევა, როცა კუნძულზე შემთხვევით მოხვდებოდა გემი. ასეთ გემზე, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ცხოველი არ ყავდათ და მას მგზავრები

აქილევსისაგან ყიდულობდნენ. შესყიდვა კი ასე ხდება: აირჩევენ ცხოველს საძოვარზე და შემდეგ ეკითხებოდნენ ადგილობრივ სამისნოს კარგია თუ არა არჩეული ცხოველი. ამის შემდეგ დებდნენ საფასურს ტაძარში. თუ მისანი ფასს დაინუნებდა, მყიდველი უმატებდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე მყიდველი საკმარის ფასს არ გაიღებდა. როცა ფასი აქილევსისთვის მისაღები გახდებოდა, ცხოველი თავისი ნებით მოდიოდა და საკურთხეველთან დგებოდა. ამგვარადო, წერს არიანე, გმირს (აქილევსს) მრავალი ვერცხლი აქვს შეწირული სამსხვერპლო ცხოველის საფასურის სახით¹³. ეტყობა არიანე საგანგებოდ დაინტერესდა კუნძულ ლევკეს კულტითა და ამ კულტის წარმომავლობით. გადმოცემის თანახმად კუნძული ზღვიდან ამოუზიდავს თეტიდას აქილევსის საცხოვრებლად. იგი აქ დაბინავებულა მშვენიერ ელენესთან, მის მეუღლესა და მენყვილესთან ერთად, რომელსაც აქ უპოვნია თავისი მშფოთვარე ცხოვრების დასასრული¹⁴. კუნძულზე არიანეს დროს მდგარა აქილევსის ძველი ტაძარი ქანდაკებით, რომელშიაც დაცული ყოფილა ძვირფასი თვლები, ჭურჭელი, სამკაული, კედლებზე წარწერილი ჰქონიათ აქილევსისა და პატროკლეს სადიდებელი ლექსები, ტაძარს ემსახურებოდნენ ზღვის ფრინველები, რომლებიც ყოველდღივით ინამავდნენ ბუმბულს, ტაძარს ასველებენ და იატაკს გვიდნენ ფრთებით¹⁵. ეს მომენტები საყურადღებოა ერთის მხრივ როგორც ანალოგია ილორის ტაძარში დაცული განძისა (თვლებისა), ხოლო, მეორეს მხრივ, თვალსაჩინო პარალელია ნოვგოროდის მხარის პრეჩისტის ტაძრის სასწაულისა, სადაც ცხოველებთან ერთად ტაძარში ფრინველებიც მოფრინავენ.

ი. ტოლსტოის იგივე მოტივი მოჰყავს ფილოსტრატესაგან, როცა იგი მოგვითხრობს თრაკიელი გმირის, რესოსის თავგადასავალ-ლეგენდას. რესოსი იყო შვილი ეინევსის (ან მდინარის ღვთაების სტრიმონისა) და მუზა კოლიოპესი, თუ ევტერპასი, მეფობდა თრაკიაში. იგი იყო ტროელების მოკავშირე,

ცნობილი მეომარი, ეტლოსანი, თვალისმომჭრელად თეთრი ცხენების პატრონი, რომელთაც შეედლოთ ტროას ბედის გადანყვეტა: თუ ისინი შესვამდნენ მდინარე ქსანთოსის წყალს ტროას კარიბჭესთან და მოძოვდნენ აქ, მაშინ ტროა უძლეველი გახდებოდა. ამიტომ მას ტროაში მოსვლამდე თავს დაესხნენ ოდისევსი და დიომიდე. ვიდრე დიომიდე მრესოსი და მისი მხლებლები ამოხოცა, ოდისევსმა ცხენები წაიყვანა. ეს ამბები აღწერილია ილიადაში, (X, 425-440; 485-510), ასევე ევრიპიდესა და ვირგილიუსთან¹⁶. ი. ტოლსტოის მოყავს ნაწყვეტი ფილოსტრატედან, სადაც ნათქვამია, რომ სიკვდილის შემდგომ გმირი რესოსი თავის მიქვეყნიურ ცხოვრებას როდოპის მთებში ატარებს და ისევე, როგორც სიცოცხლეში, მთებში დაქრის თავისი სწრაფი ცხენებით, ნადირობს და იბრძვის. გმირის ნადირობის ამბებს ხალხი იტყობს იმით, რომ „... იმ ადგილების ეშვი, შველი და საერთოდ ყოველგვარი ნადირი, რომელიც კი ამ მთაზე არის, მიდის გმირის საკურთხეველთან და დაუბორკავად, ნებაყოფლობით უწვებიან სამსხვერპლო დანას“¹⁷. რუსული მასალისა და ანტიკური წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ი. ტოლსტოი ფიქრობს, რომ მის მიერ მოკვლეულ მთელ სივრცეზე გავრცელებულია ერთი ტიპის რიტუალი, როცა ღმერთი თავად უგზავნიდა ტრაპეზისათვის ადამიანებს თავის ცხოველებს. საკულტო წმინდა ტრაპეზზე ხდებოდა ღვთაების რჩეული, თუ თანმხლები ცხოველის კოლექტიური შეჭმა, რაც ღვთაებასთან ზიარებასაც აღნიშნავდა და ღვთაების მსახური კოლექტივის ერთობლიობასაც, მაგრამ ავტორი, გამოთქვამს რა ამ მოსაზრებას, მსჯელობას ამ მიმართულებით აღარ აგრძელებს.

წარმოდგენილ ანტიკურ მასალაში, ისევე როგორც რუსულში, დიდი თვალსაჩინოებით არის გამოკვეთილი მსგავსება როგორც რიტუალის ცალკეულ ელემენტთა, ისე მათ სრულ კომპლექსებს შორის. ი. ტოლსტოის ვერ დავეთანხმებით, როცა იგი რიტუალის საფუძველად მიიჩნევს ღრმად არქაულ

რწმენას, რომლის თანახმად ღვთაება ადამიანებს აძლევს მისი კუთვნილი ცხოველის ხორცის შეჭმის უფლებას, უგზავნის რა ასეთ ცხოველს რიტუალური სუფრისათვის. საეჭვოა, რომ ოდესმე ასეთი რწმენა არსებობდა. უფრო სწორად ღვთაება ადამიანს აძლევდა ცხოველს, მაგრამ არა ამ შემთხვევაში. რიტუალში რეალიზებული კონცეფცია გაცილებით უფრო რთულია და წინააღმდეგობრივი, ვიდრე ი. ტოლსტოის მიერ შემოთავაზებული ახსნა. შევეცდები, რომ ჩამოვაყალიბო ჩემი თვალსაზრისი.

მას შემდეგ, რაც აღმოცენდა წარმოდგენა ღვთაებაზე, ანუ დასრულდა რელიგიის, როგორც ადამიანთა მსოფლგაგების ძირითადი პრინციპის გენეზისი, მათ მიენერებათ მიზეზობრივ პრობლემათა გადაწყვეტისათვის საჭირო ზებუნებრივი ძალა. ღვთაებებს ადამიანებზე განუზომლად მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ, თუმცა მათი პანთეონები აგებულნი არიან ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედი კავშირების მიხედვით და ანალოგიურ სოციალურ და სამეურნეო ფორმებში მჟღავნდებიან. ძველი პანთეონები ნათესაურ ჯგუფებს წარმოადგენდნენ. ე. ი. შესაძლოა, რომ ღვთაებათა სამყაროში მიმდინარე პროცესების ახსნისათვის აქტიურად გამოვიყენოთ ადამიანთა საზოგადოებებისათვის ტიპიური სოციალური ძვრები. თანახმად რელიგიის ისტორიაში მიღებული აზრისა, ცხოველთა ყოველ ჯიშს ყავდა თავისი „პატრონი“ „დედა“, რომლის ფიზიკური და ქცევითი ნიშნები ოპტიმალურად გამოხატავდა აღებული ჯიშის ცხოველთა ყველა თვისებას. იგი თითქოს ნადირის კრებით განსახიერებას წარმოადგენდა და მასზე იყო დამოკიდებული მონადირის წარმატება თუ წარუმატებლობა. ეს მოდელი გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება მივიჩნიოთ სანათესაო გვარის წარმოდგენად გარე სამყაროზე. მოგვიანებით, ცხოველთა დომესტიკაციის პროცესის დასრულებისა და სამწყემსო მეურნეობის განვითარების შემდეგ, უნდა გაჩენილიყო წარმოდგენა მამრობით „ნადირთ

მწყემსზე", რომელიც ფეხს იკიდებს დედური ბუნების ნადირთ პატრონის გვერდით. ამას მოწმობს კავკასიის სხვადასხვა ხალხებში დამონმებული სიუჟეტები ნადირთა მწყემსების წყვილის, გოგოსა და ბიჭის შესახებ. როცა გოგო მწყემსავს, ნადირს მაშინ მონადირე ვერ მიეკარება, რადგან გოგო ძალზე ფხიზლად დარაჯობს თავის საქონელს". ბიჭი კი დაუდევარია და როცა ის მწყემსავს ნადირს, მონადირეს „წარმატება ელის" საბოლოოდ ეს წარმოდგენები თავს იყრის „ნადირთ პატრონთა" ოჯახის შესახებ, რომლის სათავეში დგას მამა, ამ უკანასკნელს ყავს ცოლი, ვაჟი, ქალიშვილები, რომლებიც დროდადრო მონადირეებს ირჩევენ და მათთან სატრფიალო კავშირს აბამენ. „ოჯახს", ასევე ყავს მსახური. ცხადია, ეს ცნობა გვიანდელია და სწორედ ამიტომაც არის მასში ჩართული ნადირთ მწყემსის ქალიშვილების ეპიზოდი. ჩვენ ვიცით, რომ ადრე ისინი დამოუკიდებელი ღვთაებები იყვნენ. ქალი „ნადირთ პატრონის" სიძველე ეჭვს არ იწვევს და დასტურდება თუნდაც იმით, რომ მამრობითი „მწყემსის" იპოსტასი არასოდეს არ არის ცხოველი. მას საერთოდ არ ახასიათებს არავითარი მეტამორფოზა და მასალებში მხოლოდ ჭარმაგი კაცის სახით არის ცნობილი. ქალღვთაებას კი მუდამ ახლავს თავისი რჩეული ცხოველი და ვლინდება როგორც ადამიანის, ისე ცხოველის სახით. მაგალითად, ბეთქილის ბალადაში თეთრი ჯიხვი იღებს განრისხებული ქალღვთაების სახეს, რაც საბედისწეროდ მთავრდება ბეთქილისათვის მამრი ღვთაებამწყემსები მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის წესს ასრულებენ და დაბნეულ მონადირეს კერასთან იწვევენ. დანარჩენი ფორმები მონადირესთან ურთიერთობებისა ქალღვთაებათა საშუალებებით ხორციელდება, რომლებმაც მითოსის გვიანდელ ვერსიაში მამრობითი ნადირთ მწყემსის ქალიშვილთა ადგილი დაიჭირეს. ეს ფაქტი მათ ადრინდელობაზე მიუთითებს მამრობითი ნადირთ მწყემსთა გვერდით ქალღვთაებები ისევ აგრძელებენ არსებობას, მონადირეთა შორის ირჩევენ საუკე-

თესოს, რომელთაც მუდამ აჯილდოვებენ წარმატებით: „რჩეულმა“ გარკვეული პირობები უნდა დაიცვას, უერთგულოს თავის მფარველ ქალურ გენიას და მაშინ გარანტირებული ექნება წარმატება საქმეშიაც და სოციალურ სფეროშიც. ამიტომ ტომების ძველი მეთაურები, რომლებიც ამავე დროს რჩეულებიც იყვნენ, განასახიერებდნენ მთელი სოციალური ჯგუფის კეთილდღეობას. ამ რწმენამ მოგვიანებით საკრალური მეფეების კულტის აღმოცენება - განვითარებაში ჰპოვა ასახვა, რისი ტარნსფორმირებული და დეგრადირებული ვერსიები თანამედროვეობაშიაც იჩენს თავს. ხდება ნადირთ მწყემსის დედრობითი და მამრობითი პერსონების ფორმირება და მათი ფუნქციის გადატანა ქრისტიანულ წმინდანებზე ნახევრად ღვთაებებისა და გაღმერთებული გმირების პერსონებზე, რისი თვალნათლივი მაგალითია როგორც ქართული და რუსული ეთნოგრაფიული მასალა, ისე აქილევისა და რესოსის კულტში აღწერილი ფაქტები. ღვთაებებს, განსხვავებით მონადირეთაგან, ნადირი „მიუღიო“, ისინი ნადირს ისევე წველიან, ამრავლებენ და კლავენ, როგორც მწყემსები თავიანთ საქონელს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი დაკლული, შეჭმული და შემდეგ გაცოცხლებული ცხოველებით მონადირეებს ასაჩუქრებენ. ნადირი, რომელიც ნადირთ მწყემსს არ მოუხმარია, მონადირისათვის უხილავია. ასე რომ, მონადირე სავესებით ნადირთ მწყემსზეა დამოკიდებული. ამ წარმოდგენებში უშუალოდ არის არეკლილი სოციალურ და სამეურნეო სფეროში მომხდარი ცვლილებები, რომელიც გამოიხატა ორგანიზებული, კულტურული მესაქონლეობის უპირატესობით ნადირობის წინაშე და მწყემსის უპირატესობით მონადირის წინაშე. მითოსურ-რელიგიურ წარმოდგენებში ნადირთა სამყარო ადამიანთა მეურნეობის ანალოგიურ ორგანიზაციად არის წარმოდგენილი, რომელსაც სათავეში უდგას ნაყოფიერების ღვთაება, მამრი, ან მდედრი, ან წყვილი, რომლებიც განაგებენ მთელ ცხოვრებას, მათ შორის აღორძინება-განსახ-

ლების ასპექტებსაც, რომელთა გენერირება ხდება ძველი სიმბოლოების ახლებურად გააზრების საშუალებებით. ამ წარმოდგენათა ნაკვალევი არის შემორჩენილი ზემოთ მოტანილ სასწაულებრივ ფაქტებში, ასევე მეფეთა ნადირობებში, როცა ხდება რეალიზაცია ღვთაების რჩეულის ნიშნისა და მათ ნადირობისას „ნადირი მიუდის“. რესოსთან დაკავშირებულ წარმოდგენებში არქაული ფორმები უფრო მეტადაა შენარჩუნებული, ხოლო აქილევეს, შესაბამისად არიანეს თანამედროვე ბერძენთა საზოგადოების ნიშან-თვისებისა, ვაჭრობისათვის მოუკიდია ხელი, თუმცა უძველესი და უმთავრესი მათ ღვთაებრივ ბუნებაში, რაც გამოხატულია ფორმულით „ნადირი მიუდის“ ორივე შემთხვევაშია დაცული. ცხადია, ილორის წმინდა გიორგის მიერ მოყვანილი ხარი ამ არქაული წარმოდგენის გვიანდელ გაგრძელებას წარმოადგენს ქრისტიანული ელფერით. აქ წმინდანი ახდენს სასწაულს, თუმცა არქაული მოგონება მეტამორფოზის სახით მაინცაა შენარჩუნებული: უნინ სალოცავში ირემი მიდიოდა, შემდეგ, გარკვეული მიზეზის გამო წმინდანმა იგი ხარით შეცვალა. იგივე მიზეზს ასახელებენ ბელოზეროს ეკლესიაშიც, სადაც ვანკა მღვდელმა ერთის ნაცვლად ორივე მისული ირემი დაკლა, რის შემდგომაც ხალხმა დაიწყო ხარების მოყვანა, ერთის დაკვლა, ხოლო დანარჩენის გაყიდვა და მსგავსად აქილევისის კულტისა, აღებული ფულის ეკლესიისათვის მოხმარება. ცხადია, ყველა ეს გადმოცემა, უძველესი ფორმით დამახასიათებელია პირველადი კულტურული სივრცისათვის, სადაც ინდოევროპელებთან ერთად ქართველებიც ცხოვრობდნენ და მონაწილეობდნენ კულტურულ ფასეულობათა ფორმების შექმნის პროცესში. მითოსი აახლოვებდა და ურთიერშელწევადს ხდიდა ეთნოკულტურულ ერთეულებს. როგორც ჩანს ქრისტიანობის გავრცელების გარკვეულ ეტაპზე, როცა ახალი სარწმუნოება რეალურად შევიდა ხალხში, მან ძველი, კულტურულად ღია გარემოს როლი იტვირთა. ამიტომ გახდა შესაძლებელი ბელოზეროსა და

ილორში მომხდარიყო უძველესი მოტივების ახლებური რეკონსტრუქტიურება მართლმადიდებლობის ბაზაზე, სადაც თავს იყრიან ერთის მხრივ უძველესი წარმოდგენები ნადირთა პატრონის შესახებ, რომელთაც „ნადირი მიუდის“ და მეორეს მხრივ ქრისტიანული წმინდანები, რომელთაც ეს უძველესი ნიშანი სინკრეტიზმის კულტურულ-ისტორიულმა პროცესმა ღვთაებრიობის დასტურად ხელუხლებლად შეინარჩუნა და ახლებური სასწაულისათვის გამოიყენა.

ილორის წმინდა გიორგის მიერ ხარის მოყვანა უფრო აქილევსის საკურთხეველთან შესანიერი ცხოველის მოსვლას გავს. ილორში ეს გიორგის ძალის სასწაულებრივ გამოვლენად ითვლება და რთული სოციალური სიმბოლიზმით არის დატვირთული. აქილევსის საკურთხეველში კი ცხოველის მისვლას, სოციალურად ნაკლები ფუნქცია აკისრია და მხოლოდ გმირის ზებუნებრივ ძალას წარმოაჩენს. როგორც ჩანს მთელს ამ ცერემონიაში უმთავრესი ელემენტი მაინც ცხოველის მოყვანაა, ხოლო მისი სოლციალური დატვირთვა გარემოს შესაბამისად ხდება. ნებაყოფლობითი, მსხვერპლი ცხოველური იქნება ის, თუ ადამიანური, მატერიალური თუ ზნეობრივი, ღვთაების ძალის გამოვლენის უმთავრესი ნიშანია.

განსხვავებულად არის წარმოდგენილი ძირეული მითოლოგიური ფაქტის სოციალური ეფექტი ქართლსა და კახეთში მოპოვებულ მასალაში. აქ წმინდანი მაღალ მთაზე ზის და ნადირი „ბევრი მიუდის“ არ ჩანს არც ქურუმი, არც სხვა ვინმე მსახური, ან დამსწრე, როგორც ეს წინა ვარიანტებშია აღწერილი. ასევე ბევრი მიდის მლოცავი. ამ თვალსაზრისით ნადირსა და მლოცავს შორის ერთგვარი ტოლობის ნიშანია დასმული. წმინდანის ძალა ვლინდება „მისვლით“, რასაც თანაბრად ემორჩილება ადამიანიც და ცხოველიც. აღწერილი ვითარება უფრო თრაკიელი გმირის კულტისათვის დამახასიათებელ მოვლენებთან პოულობს საერთოს და მას ემთხვევა. ქართულ მითოსში დაღუპული ჭაბუკი მონადირე და მეფე-მონადირე

ფრიად პოპულარული პერსონაჟებია. თრაკიელი გმირის, რესოსის სახეში ეს ორი ფიგურა ერთიანდება. ქართლ-კახური რწმენები მთაზე დასვენებული წმინდა გიორგის შესახებ თითქმის მთლიანად ემთხვევა რესოსზე არსებულ შეხედულებას, სადაც ღვთაების ძალა ასევე ნადირის მისვლითა და ნებით შეწირვის სახით არის გამოსახული. გარდა ამისა გასათვალისწინებელია დამთხვევა თავად ღვთაებათა ნიშანთა შორის. ორივე ჭაბუკია, წამებულია, ცხენოსანია (ეტილოსანი) მეომარია, რაც მათ ტიპოლოგიურ სიახლოვეს ადასტურებს. ორივე შემთხვევაში იგულისხმება სოციალურად დიფერენცირებული გარემო, რომელმაც განაპირობა სიუჟეტის ძირითადი ელემენტების თავისებურება (მისვლით გამოხატული ძალა, მორჩილება, შიში), მაგრამ არსებობს განსხვავებაც, რომელიც ინვარიანტული მოტივის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და ეთნოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბების შედეგად უნდა განვიხილოთ.

ყურადღებას იმსახურებს ზოომორფული სიმბოლოები და მათი სოციალური დინამიკა. პირველ დონეზე განლაგებულია მხეცი და ნადირი, მეორეზე პირუტყვი, თხა და ხარი. კონკრეტულად პირველ დონეზე აქტიურია ირემი, რომელიც მეორე დონეზე იცვლება ხარით. მეორე დონეზე აქილევსის კულტში ფიგურირებს თხა - ცხოველი, რომელსაც თავისი თვისებებით შუალედური ადგილი უჭირავს გარეულსა და შინაურს შორის და ამ ნიშნით მრავალ ხალხში წმინდა ცხოველების, ჯიხვის, ნიამორის და ა. შ. თანაბრად განიხილება. იგი ძირითადი რიტუალური ცხოველია, რიტუალურად ითვლება მისი პროდუქტიც. მაშინ როცა იმავე ეთნოკუოტურულ ზონაში, მსხვილფეხა საქონელი და მისი პროდუქცია არარიტუალურად ითვლება. თხის განსაკუთრებული საკრალურობა იხსნება მისი კონტაქტით გარეულ ცხოველებთან, „წმინდა ნადირთან“, რომელსაც თხა ხშირად უჯავრდება და შერეულ შთამომავლობას იძლევა. ყარაყორუმში ასეთ ცხოველთა რიცხვს

ემატება გარეული ცხვარიც¹⁸. ეს მომენტი თხის რიტუალური მარკირებისათვის საყურადღებო მასალას იძლევა, მით უფრო თუ მის ისტორიულ სიძველესაც გავითვალისწინებთ. ვფიქრობ, რომ თხის შესახებ არსებულ წარმოდგენებში ასეთი შეხედულება ძალიან ძველი წარმომავლობისა უნდა იყოს. ეგებ სწორედ თხა არის ის ცხოველი, საიდანაც დომესტიკაციის პროცესი დაიწყო. ვ. მასონს შედგენილი აქვს ცხრილი ადრესამინათმოქმედო საზოგადოებათა კერამიკულ ნაწარმზე გამოსახულ ზოომორფული მოტივებისა შუა აზიისა და ირანისათვის. ამ ცხრილში თხების გამოსახულება მერყეობს 34-74 პროცენტს შორის, მაშინ როცა მსხვილფეხა საქონლის გამოსახულებები რიგ რაიონში საერთოდ არ არის, ან 1-14 პროცენტს შორის მერყეობს. მეორე ადგილზეა ფრინველთა გამოსახულებები, რომელთაც ხალებიანი ჯიქების გამოსახულებები მოსდევს¹⁹. თვით ვ. მასონი ამ მოვლენის ტოტემიზმის გადმონაშთების ზემოქმედებით ხსნის, (იქვე გვ. 376-394). ამჯერად ამ საკითხზე მსჯელობის გაშლა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ოღონდ აღვნიშნავთ, რომ მსხვილფეხა საქონლის საკრალური როლის გაზრდა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიწისმოქმედების განვითარებასთან, რაც კიდევაც აისახა გვიანდელ წარმოდგენებში, სადაც ირემს, ჯიხვს და ა. შ. ცვლის სალოცავში მოსული ხარი. ამდენად არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის შეპირისპირება გვაძლევს საკმაოდ მკაფიო სურათს, სადაც უძველეს ეტაპზე წარმოდგენილია ნადირი, შემდგომ შუალედური შინაური ცხოველი, თხა, ხოლო საბოლოოდ ხარი, როგორც უმაღლესი დონე ზოომორფული საკრალურობისა. თხის განსაკუთრებული მდგომარეობა ძველ კულტურებში თანამედროვეობისათვის იძლევა შებრუნებულ სურათს: იგი, როგორც ნკალებ პროდუქტიური ცხოველი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს გარეულის რიგი თვისებები, უწმინდურად ითვლება და მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში შესაძლო შესაწირ ცხოველს, ან, ძალის მსგა-

ვსად, საერთოდ ანტისმსხვერპლს წარმოადგენს. გარეულ ნადირსა და თხას ცვლის სამსხვერპლო ცხვარი, ხარი, რომლებიც ოპტიმალურად წარმოსახავენ მიწათმოქმედის ინტერესს. ყოველი ასეთი მსხვერპლშენიერვა სასტიკად იდევნებოდა ოფიციალური ქრისტიანული დოქტრინით²⁰. ამდენად ამ რიტუალის არქაული, წინაქრისტიანული წარმომავლობა დავას არ ინვეს. იგი აღმოცენებული და ჩამოყალიბებულია ვრცელ კულტურულ წრეში, ნაყოფიერების კულტის ხანგრძლივი განვითარების მხარდამხარ. ამ დიდ პოლიეთნიკურ გარემოში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა წინაპრებიც, რომელთა კულტურულმა მონაპოვარმა ამა თუ იმ ფორმით დღემდე შემოინახა თავი.

ლიტერატურა:

1. არქანჯელო ლამბერტი – სამეგრელოს აღწერა, თბილისი 1936.
2. История войны и владычества русских на кавказе., Н. Дубровина, т. I. Очерк Кавказа и народов его населяющих СПб, 1871, стр. 16-17).
3. არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ. გვ. 142-143.
4. გ. ჩიტაია, შრომები I, თბ., 1997. 15-16
5. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის I გვ. 39-42; ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა თბილისი, 1993, გვ. 177.
6. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით ტ. I. თბილისი, 1995. გვ. 89.

7. ი. სურგულაძე, - ერთი საქორწილო მითოსური და სოციალური ბუნებისათვის (მეფის განადირების ანალიზის ცდა), „მაცნე“, ისტორიის... სერია, №2, 1989.
8. ბატონიშვილი ვახუშტი, - აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973 წ. გვ. 28-29.
9. ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმეობის ინსტიტუტი) „მაცნე“ ისტორიის... სერია, №3, 1971.
10. ი. სურგულაძე, - ერთი საქორწილო გვ. 35-62.
11. გ. ერქომაიშვილი - „ოდისეას“ X სიმღერის ერთი პასაჟის ინტერპრეტაციისათვის. კრებ. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის საიუბილეოდ, თბ., 1999, გვ. 151.
12. Новгородский сборник, I, 1865, стр. 286 в ст. И. И. Толстого «Чудо у жертвенника Аилла на Белом острове. В сборнике И. И. Толстой, Статьи и фольклоре, М-Л., 1966, СТР. 19-23.
13. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა კომენტარი და რუკა ნათელა კეჭელაძისა თბ., 1961. გვ. 57.
14. ი. სურგულაძე, „ტყავის სიმბოლიკა და ტყაოსნის მითოლოგემა ქართულ მითოსში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV გვ. 166. იქვე სათანადო ლიტერატურა.
15. ფლავიუს არიანე, დასახ. ნაშრ. გვ. 56.
16. Реальный словарь классических древностей по Любкеру, СПб, 1885. (შესაბამის სტატიაში).
17. И. И. Толстой, ук. соч. стр. 21.
18. К. Йиетмар, Гелигии Гиндукуша, М., 1986, стр. 229, 257.
19. В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток. Л. 1964. рис. 72.
20. ე. მეტრეველი - 1784 წლის საეკლესიო კრების დადგენილება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B.

Selfsacrifice in the World of Georgian Myth and Ritual

In Mingrelia, at an autumn feast of Saint-George a sacrificial bull used to be introduced into the yard of a church of Saint-George. The believers would find him there in the morning when the principal broke the seal and opened the door. This "miracle" was first described by Archangelo Lamberti in XVII century (before 1654), the last description by N. Daushvili appears nearly by 1851. According to the legend, in the old time a deer used to come to the church, which would be sacrificed by people to the saint. After having been accidentally offended the deer ceased to come, and a bull substituted it. Such legends are known not only in Ilori but all over the other regions of Georgia as well the other version spread in Kartli tells that the saint "is sitting upon a high mountain" and pilgrims and beasts come to him. Bull also used to be sacrificed in Russia, Novgorod region. Here, two deer would come every time, one of them would be killed for believers and another returned back to the forest. Once a priest killed both deer after that animals wouldn't show up anymore. Since then people started to collect bulls, one of them would be killed, the other would be sold to get money for the church.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიისათვის

ძველსპარსულ და ძველბერძნულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, აქემენიანთა ორანის მეფის დარიოს I-ის (ძვ. წ. 521-486 წწ.) მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ქართველური ტომებით დასახლებული რეგიონები - ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო - ირანის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესასწავლად ძირითად წერილობით პირველწყაროს დარიოს I-ის სპარსული ლურსმული წარწერები (ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილი წარწერა, წარწერა ნახში-ი რუსტამიდან, წარწერა ოქროს ფირფიტაზე) და ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობები წარმოადენენ. აღნიშნულ წერილობით ძეგლებში მდიდარი ინფორმაციაა მოცემული აქემენიანთა იმპერიის წარმოქმნის, მმართველი სამეფოს საგვარეულოს წარმოშობისა და სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ისტორიის შესახებ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ წყაროებში დაცული ცნობები აქემენიანთა სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებული ქვეყნებისა და ხალხების შესახებ.

მკვლევრებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს დარიოს I-ის წარწერებში დასახელებული ქვეყნების ნუსხებს და იმ სხვაობას, რომელიც მათი ურთიერთშედარებისას მოწმდება. სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, დარიოს I-ისადმი დაქვემდებარებული ქვეყნების რაოდენობაში შეიმჩნევა. ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, დარიოს I-ს მამისაგან 23 ქვეყანაზე ბატონობის უფლება ერგო („ამბობს მეფე დარააავაჰუ: აჰურამაზდას ნებით მე ხელმწიფე ვარ. აჰურამა-

ზღამ მე მიბოძა სამეფო. ამბობს მეფე დარააფეაჰუ: აი, ქვეყნები, რომელიც მერგო აჰურამაზდას ნებით; რომელთა ზედაც ხელმწიფე ვიყავ: პარსა, უფჯა, ბაბირუ, ასურა, არაბაა, ზღვისპირეთი, მუდრააა, სპარდა, აუნა, მადა, არმინა, კატპატუკა, პართავა, ზრანკა, ჰარაიავა, უვარაზმი, ბახტრი, სუგადა, განდარა, საკა, თატაგუ, ჰარაჰუვატი, მაკა. სულ ოცდასამი ქვეყანა") (1, გვ. 298). ნახშ-ი რუსტამის წარწერაში აქემენიდებისადმი დაქვემდებარებული ქვეყნების რიცხვი 30-ს აღწევს („... აცხადებს მეფე დარააფეაჰუ აჰურამაზდას ნებით დავიპყარ მე ეს ქვეყნები სპარსეთის გარდა, მე მათ ვეუფლე და ვყავ მოხარკედ, აღასრულებდნენ ბრძანებას ჩემსას და მიჰყვებოდნენ კანონსა ჩემსა: მიდია, უფჯა და ჰარაიავა, პართნი და ბახტრი, სოლდნი, ხვარაზმი, ჰარაუვატი, თატაგუ, ზრანკა, განდარა, სკვითნი ჰაუმავარგა, ჰინდო და სკვითნიც ქუდწვეტიანნი, მუდრაია, ასურ-ბაბილონი და არაბეთი, არმინა, სპარდა და კატპატუკა, ავანნი, სკვითნი ზღვის იქითელნი, სკუდრა, ავანნი ფარის მპყრობელნი, პუნტი, ქუშია, მაჩია, კარკა) (1, გვ. 313)

სპარსული ლურსმული წარწერები ჰეროდოტესაგან განსხვავებით არაფერს ამბობენ ქართველური ტომების (სასპიერების, მოსხების, ტიბარენების, მაკრონების, მოსინიკების) შესახებ.

ჰეროდოტეს „ისტორიის“ მოწმობით, აქემენიანთა იმპერია 20 სატრაპიად იყო დაყოფილი (2, გვ. 224). თითოეული სატრაპია რამდენიმე ეთნოსს აერთიანებდა, რომელიც ვალდებული იყო ყოველწლიურად გარკვეული ოდენობის ხარკი გადაეხადა ცენტრალური ხელისუფლებისათვის და რიგი სხვა ვალდებულებებიც შეესრულებინა. ასე რომ, ჰეროდოტეს ცნობები მნიშვნელოვნად ავსებენ დარიოს I-ის წარწერებში არსებულ ინფორმაციას მის იმპერიაში შემავალი ქვეყნების შესახებ: რაც მთავარია, ჰეროდოტე დამორჩილებულ ხალხთა შორის ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგი-

ონში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველურ ტომებსაც იხსენიებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ხალხის ძველი ისტორიის ცალკეული საყურადღებო საკითხების შესასწავლად. გასათვალისწინებელი ისიცაა, რომ როგორც ვარაუდობენ, ჰეროდოტე ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ფართოდ სარგებლობდა ოფიციალური დოკუმენტური მასალით (1, გვ. 332), რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი თხზულების („ისტორია“), როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას.

ჰეროდოტეს თანახმად: „მატიენებს, სასპეირებს და ალაროდებს შენერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია. მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებსა და მარებს შენერილი ჰქონდათ 300 ტალანტი, ესაა მეცხრამეტე სატრაპია (2, გვ. 226).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ვარაუდია გამოთქმული სპარსულ და ძველბერძნულ წყაროებში დაცულ ინფორმაციებს შორის არსებული განსხვავების ასახსნელად. ზოგი მკვლევარის აზრით, განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ დარიოს I-ის წარწერებში დაპყრობილი ქვეყნების ჩამონათვალია, ხოლო ჰეროდოტესთან - სატრაპიებში (საგადასახადო ოლქებში) გაერთიანებული ქვეყნები და ხალხები. ასე მაგალითად, ბ. ტურაევი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ძველ სპარსულ წარწერებში „არა ადმინისტრაციული ოლქებია აღწერილი, არამედ - ისტორიულ-გეოგრაფიული“ (3, გვ. 138).

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ი. დიაკონოვი ვრცლად შეეხო. მეცნიერის მიერ „მიდიის ისტორიაში“ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აქემენიდ მეფეთა წარწერებში ასახული ქვეყნების სიები და სატრაპიებში შესული ხალხების ჰეროდოტესეული ჩამონათვალი არსებითად ერთმანეთს ემთხვევა. სხვაობა უბრალოდ ოლქების დასახელების თანმიმდევრობაშია. ი. დიაკონოვი სხვადასხვა (ანტიკური ხანის ავტორებისა

და ძველი სომხური საისტორიო მწერლობის) მონაცემებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ მიდიის ბატონობის ეპოქაში უკვე არსებობდა მასზე დამოკიდებული სომეხთა სამეფო. ისტორიის ასპარეზზე აქემენიანთა გამორჩენის შემდეგ იგი, როგორც ჩანს, ორ - XVIII და XIX - სატრაპიად დაიყო. მკვლევრის აზრით, გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ XIX სატრაპია აქემენიანთა სამეფოსადმი გვიან იქნა მიერთებული. ავტორისავე თვალსაზრისით, ამ სატრაპიაში გაერთიანებულ ტომებს საკუთარი მმართველობა გააჩნდათ (4, გვ. 341).

მ. ინაძე შესაძლებლად მიიჩნევს ვარაუდს, რომლის თანახმადაც, დარიოსის წარწერებში მოხსენიებული „არმინას ქვეყანა“ ჰეროდოტესეულ XVIII სატრაპიაში გაერთიანებულ ზოგიერთ ტომსაც (ალაროდელებს და შესაძლოა, სასპეირებსაც) მოიცავდა. ამ შემთხვევაში მ. ინაძე ბ. პიოტროვსკის იმ მოსაზრებას იმონმებს, რომლის მიხედვითაც, ჰეროდოტეს დროს „არმენიად“ წოდებული ტერიტორია არა ერთი ხალხით, არა ერთი რომელიმე დიდი ეთნიკური ჯგუფით იყო დასახლებული, არამედ მრავალრიცხოვანი ტომებით, რომლებიც ურარტუს დაცემის შემდეგ ჯერ კიდევ იქ სახლობდნენ. რაც შეეხება ჰეროდოტესეულ XIX სატრაპიაში შემავალ ტომებს (მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები) მ. ინაძის ვარაუდით, ისინი, შესაძლოა დარიოსისეული წარწერების „კაპადოკია“ („კატპატუკა“) ტერმინის ქვეშ მოიაზრებოდნენ (5, გვ. 165).

ცნობილია, რომ ტერმინი „არმინა“, როგორც „ურარტუს“ სინონიმი, პირველად ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილ დარიოს I-ის წარწერებში გვხვდება (ამ ტერმინს ბეჰისტუნის წარწერის ელამურ ვარიანტში har-mi-nu-ja შეესაბამება, ხოლო აქადურში - u-ra-aš-tu (10, გვ. 171). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ უკვე ძვ. წ. VI საუკუნეში სავარაუდო უნდა იყოს სომხური ტომობრივი გაერთიანების ან სულაც სომხური სამეფოს არ-

სებობა, რომელიც იმ დროს ძლიერი მიდიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა (6, გვ. 238-239).

ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში, როდესაც მიდიამ ნაირი-ურარტუ დაიპყრო, ამ რეგიონში შექმნილმა ვითარებამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები გამოიწვია. მკვლევრები სწორედ ამ პერიოდს უკავშირებენ სომხების გააქტიურებას: კერძოდ, ნაირი-ურარტუს ყოფილ ტერიტორიაზე სომხური ეთნიკური ელემენტის გავრცელებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა და უმაღლეს წერტილს ძვ. წ. I ს-ში მიაღწია, როდესაც სომეხ ხელისუფალთა მცდელობით მათმა პოლიტიკურმა გავლენამ (გარკვეული დროით), ფაქტობრივად ნაირი-ურარტუს თითქმის მთელი ტერიტორია მოიცვა (7, გვ. 141).

ნაირი-ურარტუს სამეფოს დაცემამ (ძვ. წ. 585 წ.) ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილი ტომობრივი გაერთიანების წარმოქმნასაც შეუწყო ხელი. ამ გაერთიანებაში წამყვანი როლი სასპეირებს ეკუთვნოდათ. ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობები ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო და გასათვალისწინებელია. ჰეროდოტეს მოწმობით: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მენამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ეთნოსი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე (2, გვ. 262 (IV, 37)). დაახლოებით ასეთივე ინფორმაციის შემცველია ჰეროდოტეს შემდეგი ცნობაც: „ხოლო მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული [კაცისათვის], ხოლო კოლხიდიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ტომია ამ [ქვეყნებს] შორის. ეს არის

სასპეირების [ტომი], ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიდიაში (I, 104)" (2, გვ. 75-76).

როგორც ვხედავთ, ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში ძლიერი და დიდი მიდიის სახელმწიფოსა და კოლხეთის სამეფოს გვერდით სასპეირების ძლიერი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებაც არსებობდა. მის საზღვრებში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელი რეგიონი იყო მოქცეული, რომელიც ურარტუ-ნაირის კუთვნილ ყოფილ ჩრდილოეთ მხარეებსაც მოიცავდა (8, გვ. 97).

ამგვარად, ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებში შექმნილი ვითარება დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში მიდიისაგან დამოუკიდებელი სასპეირების მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს, რომლის ბირთვს აღმოსავლურ-ქართული ტომები შეადგენენ, ხოლო, ამ პოლიტიკური გაერთიანების სამხრეთით სომხური პოლიტიკური გაერთიანებაა წარმოდგენილი, რომელიც მიდიას ექვემდებარება.

ძველპარსული და ძველბერძნული წერილობითი წყაროების თანახმად, ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებიდან აქემენიანთა დინასტიის დამაარსებელი კიროსი ირანის ძლიერ სახელმწიფოს აფუძნებს, რომლის შემადგენლობაშიც მიდია, მცირე აზია, სირია, პალესტინა, ბაბილონი შედის (9, გვ. 350-353). ამიერიდან ირანის დაქვემდებარებაში, მიდიის გარდა, ამ უკანასკნელის მიერ დამორჩილებული არმინა - არმენიაც (ბაბილონური წყაროების ურარტუც) ექცევა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ მიდიის დასუსტების ხანაში არმინა - არმენიისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნილიყო ტომობრივი გაერთიანების დაარსებისათვის.

ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ბეჰისტუნის წარწერაში არმინა-არმენიის ცალკე ქვეყნად მოხსენიების ფაქტი გვაძლევს. იგივე დასტურდება ნახშ-ი რუსტამის წარწერაშიც, სადაც არმინა-არმენიას სა-

ხელს 30 ქვეყანას შორის ვხვდებით (1, გვ. 313). შემთხვევითობად ვერც ჰეროდოტეს თხზულებაში დაცულ იმ ცნობასაც მივიჩნევთ, რომლის თანახმადაც, „პაქტიდიან, არმენიელთაგან და მის მეზობლად მცხოვრებთაგან ვიდრე ექსინის პონტომდე, დარიოსს 400 ტალანტი მისდიოდა. ესაა მეცამეტე სატრაპია“ (III, 93). (2, გვ. 225-226).

რაც შეეხება ჰეროდოტესეულ XVIII და XIX სატრაპიებს, შემდეგი უნდა აღინიშნოს: ჩვენი ვარაუდით, ბეჰისტუნის წარწერაში ჰეროდოტესეული XVIII და XIX სატრაპიებისა და მათში შემავალი ქარველური ტომების მოუხსენებლობა ამ წარწერის შედგენის თარიღით აიხსნება. საქმე ისაა, რომ ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილი წარწერა დარიოსის მეფობის ადრეულ ეტაპს ასახავს, იმ დროს, როდესაც ქართველური ტომებით დასახლებული რეგიონი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჯერ კიდევ არ შედიოდა აქემენიანთა იმპერიის ფარგლებში და ამდენად დარიოსის მიერ ჩამოთვლილი ქვეყნებისა და ხალხების ნუსხაში ვერ მოხვდებოდა.

ამგვარ ვარაუდს გარკვეულწილად თავად ბეჰისტუნის წარწერაც ადასტურებს. ერთი რომ, მეფე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი 23 ქვეყანა მას მემკვიდრეობით ერგო („ამბობს დარააჲაჰუ: აი, ქვეყნები, რომელიც მერგო აჰურამაზდას ნებით“ (1, გვ. 298) და არა ბრძოლით.

მეორეც, ირკვევა, რომ ტახტზე ასვლის პირველ წლებში მას საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა: აჯანყებები მიდიაში, არმინაში, განდგომილი ელამი, ასურეთი და ეგვიპტე, კონფლიქტები სამეფო კარზე და ა.შ. (1, გვ. 298-308). სწორედ ამ მიზეზებით დარიოს I-ის უპირველეს ამოცანას ქვეყანაში მშვიდობის დამყარება და ძველ საზღვრებში იმპერიის მოქცევა წარმოადგენდა. მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლო მას ეზრუნა ახალი ტერიტორიების დაპყრობა - შემოერთებაზე.

ის, რომ ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორია, ჰეროდოტესეული XVIII და XIX სატრაპიები, მოგვიანებით მართლაც შედიოდნენ აქიმენიდური ირანის შემადგენლობაში საეჭვო არ უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაციას დარიოს I-ის მეფობის დასასრულის ხანით დათარიღებული „ნარნერა ოქროს ფირფიტაზე“ შეიცავს, სადაც ზოგადაადა მოხაზული აქიმენიანთა ირანის ფარგლები („აი სამოფო, რომელსაც მე ვფლობ: სკვითიიდან სოგდიანას იქითა მხარეს, - კუშიამდე, ინდოეთიდან - ლიდამდე...“) (9, გვ. 365). ამ საზღვრებში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომებიც უნდა იგულისხმებოდნენ.

დაახლოებით ასეთივე სიტუაციის ამსახველი უნდა იყოს დარიოს I-ის ნახში-ი რუსტამის ნარნერის ტექსტიც, სადაც ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილი ნარნერიდან განსხვავებით, მეფის მიერ დამორჩილებული ხალხების რიცხვში „სკვითნი ზღვისიქითელნი, („საკა პარადრაია“) (1, გვ. 313-314) იხსენიებიან, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ირანი ნახში-ი რუსტამის ნარნერის შედგენის დროისათვის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ავრცელებდა თავის იურისდიქციას.

ზემოთქმულ ვარაუდს ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობებიც ადასტურებენ. ჰეროდოტეს თანახმად, დარიოს I-ის ძის, ქსერქსეს (ძვ. წ. 485-465წწ.) მიერ საბერძნეთის წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ოპერაციებში (ძვ. წ. 480 წ.) ქართველური ტომებიც მონაწილეობდნენ. ისევე როგორც ირანის მიერ დამორჩილებულ სხვა ხალხებს, მათაც სპარსელები წინამძღოლობდნენ: „მოსხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, ხოლო ფარები და შუბები - პატარა, შუბების წვერები კი გრძელები ჰქონდათ. ლაშქრობდნენ ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები, რომლებიც მოსხებსავით იქვნენ შეჭურვილნი. მათ საომარ რიგზე მართავდნენ შემდეგი მეთაურები: მოსხებს და ტიბარენებს - არიომარდე, რომელიც დარიოსისა და

პარმისის შვილი იყო, ეს უკანასკნელი კი სმერდისის შვილი იყო, კიროსის შვილისა. მაკრონებსა და მოსინიკებს [წინამძღოლობდა] არტაიკტე ხერასმის ძე, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს განაგებდა.

მარებს ჰქონდათ თავებზე ადგილობრივი მოწნული მუზარადები, ტყავის პატარა ფარები და ხელშუბები. ხოლო კოლხებს თავებზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამას გარდა - დანები. მარებსა და კოლხებს განაგებდა ფარანდატე ტეასპის ძე. ალაროდიელები და სასპეირები ლაშქრობდნენ კოლხების მსგავსად შეიარაღებულები. მათ წინამძღოლობდა მასისტოს სირომიტრესის ძე (11, VII, 78, 79 გვ. 113).

ქსენოფონტის (ძვ. წ. V-IV სს.) „ანაბასისის“ მონაცემებით, ძვ. წ. 401 წლისათვის სასპეირებს, ფასიანებთან ერთად, კვლავ ირანის მეფისნაცვალს მართავდა, მას ტირიბაზი ერქვა. იმავე ავტორის მოწმობით, კოლხები და მათი მეზობელი მაკრონები, მოსინიკები, კოიტები, ტიბარენები, ხალიბები, ხალდები უკვე დამოუკიდებელნი იყვნენ (12, VII, 8, გვ. 113-114).

ამგვარად, ზემომოტანილიდან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობები დარიოსისეული XVIII და XIX სატრაპიების შესახებ რეალურ ისტორიულ ვითარებას ასახავს. იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული ისტორიუ-ადმინისტრაციული ერთეულების დაფუძნება დარიოს I-ის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების ბოლო ეტაპს უკავშირდებოდა და არა მეფობის პირველ წლებს. ეს ერთეულები ქსერქსეს მეფობის დროსაც განაგრძობდნენ ფუნქციონირებას. ძვ. წ. 401 წლისათვის ქართველური ტომების უმრავლესობა უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობდა. თუ გავიზიარებთ ნ. ხაზარაძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ძვ. წ. 401 წლის შემდგომ ხანაში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო „მოსხიკე“

„მოსხების ქვეყნის („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „არიან ქართლი“) ეგიდით გაერთიანდა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ამ დროისათვის ჰეროდოტესეული XVIII და XIX სატრაპიების ქართველური ტომები ტერმინ „მოსხიკე“-ს („მოსხების ქვეყნის“) ქვეშ იგულისხმებოდნენ (13, გვ. 172-177). ასე უნდა გაგრძელებული ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნამდე, როდესაც ფარნავაზმა „არიან-ქართლის“ („მოსხიკე“-ს) მეფის შვილი - აზო ქაჯთა ქალაქთან სასტიკად დაამარცხა და ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში მცხოვრები ქართველური ტომების ქართლის სამეფოს (იბერიას) დაუქვემდებარა (14, გვ. 388-390).

ლიტერატურა:

1. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
2. ჰეროდოტე, ისტორია, თ. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1975.
3. Б. А. Тураев, История древнего Востока, Ленинград, 1935.
4. И. М. Дьяконов, История Мидии, Москва-Ленинград, 1956.
5. Вопросы древней истории, Тбилиси, 1973.
6. И. М. Дьяконов, Предыстория Армянского народа, Ереван, 1968.
7. გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951.
8. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955.

9. Хрестоматия по истории древнего Востока, под редакцией В. В. Струве и Д. Г. Редера, Москва, 1963.
10. R. G. Kent, Old Persian, New Haven, Connecticut, 1953.
11. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.
12. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბილისი, 1967.
13. ნ. ხაზარაძე, მოსხების ქვეყნის („მოსხიკე“-ს) წარმოქმნისა და დაცემის თარიღის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, I, თბილისი-ახალციხე, 1998.
14. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები, თბილისი, 1997.

Т. Джанашия

К древней истории юго-западной Грузии

Согласно сведениям древнеперсидских и древнегреческих источников, в период царствования Дария I регионы, заселенные картвельскими племенами (юго-западная часть исторической Грузии и юго-восточное побережье Черного моря), вошли в состав Ахеменидского Ирана.

Для изучения интересующих нас вопросов, огромное значение имеют следующие источники: клинописные надписи Дария I (на Бехистунской скале; надпись из Нак-

ши-Рустема; надпись на золотой табличке) и "История" Геродота.

Следует отметить, что при изучении сведений, сохранившихся в вышеупомянутых источниках, выявлены некоторые различия, что весьма значимо для реконструкции реальной исторической ситуации конца IV в. до н. э. Речь идет в основном о различии в перечислении количества стран и народов населяющих Ахеменидское государство. Интересен факт упоминания в Бехистунской надписи "Армина" и отсутствие при этом областей, соответствующих XVIII и XIX сатрапиям Геродота. Также наблюдаются некоторые расхождения и между сведениями, в самих надписях Дария I (ср. Бехистунскую надпись и надпись из Нахш-и-Рустема).

По нашему предположению, эти различия обусловлены тем, что в интересующих нас источниках отражено политическое положение различных периодов царствования Дария I. На основе анализа источников, мы предполагаем, что Бехистунская надпись Дария I описывает состав персидского государства в начале его царствования. Неупоминание в этой надписи племен, перечисленных у Геродота в составе XVIII и XIX сатрапий (матиены, сасперы, алародии, мосхи, тибарены, макроны, мосинойки, мары), можно объяснить тем, что в начале царствования Дария I они еще не входили в состав Ахеменидской державы. Данное предположение частично подтверждается сведениями Геродота о четырех народах (колхи, сасперы, медийцы, персы), где сасперы (в конце первой половины VI-го века до н. э.) являлись весьма крупным политическим образованием, независимым от Мидии. По нашему предположению, включение в персидскую державу картвельских племен произошло позже: после установления мира в Ахеменидском цар-

стве и завоевательной политики Дария I, что и отразилось в надписях из Накш-и-Рустема и описывающих границы Ахеменидской державы.

T. Djanashia

Zur alten Geschichte des historishcen Südwestgeorgiens

Laut den in altpersischen und altgriechischen Quellen bewahrten Angaben wurden zur Zeit von Darius I die mit kartwelischen Stämmen besiedelten Gebiete (der südwestliche Teil des historischen Georgiens und die süd stliche Küste des Schwarzen Meeres) dem Achemenidischen Reich einverleibt.

Zum Studium der uns interessierenden Probleme nehmen eigentlich die folgenden Quellen eine enorme Bedeutung an: Keilschriften von Darius I (auf dem Felsen Bechistun, aus Nachsch-i Rustam, auf einer Goldtafel) und die Geschichte von Herodotus.

Es ist anzumerken, daß während der Erforschung der in den obenerwähnten Quellen bewährten Angaben einige Verschiedenheiten entdeckt worden sind, was wohl höchstbedeutend für die Feststellung der geschichtlichen Lage im 6. Jahrhundert v. u. Z. ist. Im wesentlichen handelt es sich um die Differenz (die sich gerade in den erwähnten Quellen bezeugen läßt) an der Aufzählung der das Achemenidische Reich bildenden Länder und Völkerschaften. Interessant ist etwa im Falle der Keilschrift von Bechistun die Tatsache, daß das Land "Armina", doch keines der den bei Herodotus vorkommenden 18. und 19. Satrapien entsprechenden Gebiete, erwähnt wird. Es lassen

sich ebenfalls einige Verschiedenheiten selbst zwischen den in den Keilschriften von Darius I bewahrten Angaben beachten (vgl. die Keilschriften von Bechistun und Nachsch-i Rustam).

Unserer Annahme nach sollten diese Verschiedenheiten darauf zurückgeführt werden, daß die uns interessierenden Quellen die zu verschiedenen Zeitpunkten der Regierung von Darius I vorhandene politische Lage widerspiegeln. Aufgrund der Analyse dieser Quellen nehmen wir an, daß die Keilschrift von Bechistun die Zusammensetzung des Reichs zu Anfang der Regierung von Darius I abspiegelt. Obendrein läßt sich die Nichterwähnung der Gebiete derjenigen Stämme, die nach Angaben von Herodotus zu den 18. und 19. Satrapien gehören, daran erläutern, daß sie (d.h. die Stämme) am Anfang der Regierung von Darius I noch nicht das Achemenidische Reich mitbildeten. So eine Annahme kann sich damit bekräftigt werden, daß Saspeirianer, soweit die Angaben von Herodotus zu der s. g. vier Volkerschaften (Kolchier, Sasperianer, Midianer, Persianer) verweisen, zu der Mitte des 6. Jahrhunderts v.u. Z eine überaus mächtige von Midien unabhängige politische Einheit bildeten. Das in der Inschrift von Bechistun erwähnte Land "Armina" konnte, unserer Meinung nach, nicht das Sasperianergebiet einschließen. Wir sind der Ansicht, daß die kartwelischen Stämme erst später dem Achemenidischen Reich einverleibt worden sein mußten. Nachdem im Achemenidischen Reich Ordnung geschaffen worden war, wurden in Laufe der weiteren Eroberungspolitik von Darius I die kartwelischen Stämme angeschlossen. Es ist anzunehmen, daß diese Lage in den Keilschriften aus Nachsch-i Rustam und auf der Goldtafel widerspiegelt worden ist. In den erwähnten Keilschriften werden die Grenzen des Reichs von Darius I geschildert.

ДРЕВНЕКОЛХИДСКИЙ ОЧАГ ПРОИЗВОДСТВА ЖЕЛЕЗА В УЩЕЛЬЕ РЕКИ ЧАКВИСЦКАЛИ

За последние 40 лет грузинские археологи провели серьезную работу по программе изучения древнеколхидского центра производства железа. Было установлено, что на территории древней Колхиды существовал мощный, единый металлургический центр производства железа, отдельными очагами занимавший всю предгорную полосу Восточного и, по всей вероятности, Юго-Восточного Причерноморья. Эти очаги были сосредоточены в ущельях рек: Чорохи, Чолоки-Очхамури, Супса-Губазеули, Хоб-Очхамури и насчитывали до 400 железоплавильных мастерских [7, сс. 41-178], (рис.1)



рис.1

В 2000 году началось изучение еще одного очага древнего производства железа в ущелье реки Чаквисцкали (Аджарская АР). Здесь, на территории села Чаисубани (в 3,5-4 км от берега

моря) были выявлены две железоплавильные мастерские, условно названные нами "Чаисубани I,1" и "Чаисубани I,2" (рис.2). Мастерские расположены на холме, покрытой чайной плантацией и другими субтропическими растениями, на склоне южной экспозиции.

Археологические раскопки производились на участке площадью 400 м². Породы здесь те же, что и во всей субтропической полосе предгорной зоны Восточного Причерноморья, и, составляют, в основном, мощные красноземы покрытые желтыми делювиальными глинами с примесью зернышек магнетита.

В следствии раскопок железоплавильной мастерской "Чаисубани I,1" были выявлены останки железоплавильной печи, составного каменного стола (наковальни) предназначенного для первичной обработки вынутой из печи губчатой массы и навала производственных отходов.

Конструкция железоплавильной печи "Чаисубани I,1" типична [1; 7, сс. 41-178]. Она устроена в яме и имеет форму перевернутой усеченной пирамиды. Верхние две трети печи облицованы камнями большого размера, а нижняя одна треть – представляет собой сферическое углубление, обмазанное толстым слоем раствора огнеупорной глины. Таким же раствором, по всем данным, обмазывалась вся внутренняя поверхность печи перед загрузкой шихтой [8, сс. 84-93]. Под воздействием высокой температуры (1200-1260 градусов) облицовочные камни имели сиренсвато-красноватую окраску, а глиняная обмазка – пепельный цвет. Грунт вокруг печи на глубине 15-20 см, под воздействием высокой температуры также имел красную окраску. Такая же ситуация наблюдается при раскопках почти всех мастерских выявленных на территории древней Колхиды [7, сс. 41-178].

Внутреннее пространство печи было заполнено облицовочными камнями, фрагментами глиняной обмазки печи, золой,

кромкой древесного угля, глиной. Тамже был представлен единственный фрагмент согла воздуходушных мехов.

Высота сохранившейся части печи- 118 см, ширина: в верхней части – 60 см, в середине – 36 см, у дна – 30 см.

Выше по склону холма, примерно в 150 см от железоплавильной печи был обнаружен стол-наковальня для обработки крицы. Он сохранился фрагментально, в виде обожженной докрасна площадки, по периметру обведенной рядом камней. Внутреннее ее пространство было мозаично выложено плоскими камнями, обломками керамики и глиняной обмазки.

Навал производственных отходов представлен к юго-западу от ж/п печи, на расстоянии 3-4 метров от нее. Толщина навала составляет 40-50 см. В навале были представлены куски железного шлака, фрагменты глиняной обмазки печи, большое количество золы и кусков древесного угля, фрагменты сопел воздуходушных мехов и керамической посуды, каменные ступки и т.д.

Железоплавильная мастерская "Чаисубани I,2" была обнаружена рядом с ж/п печью "Чарнали I,1" на расстоянии 50 см. от нее. По своей конструкции железоплавильная печь данной мастерской повторяет первую, и имеет форму усеченной перевернутой пирамиды. Верхняя часть ямы облицована рваными камнями, а нижняя часть обмазана толстым слоем огнеупорной глины. Следует отметить, что все внутреннее пространство печи было заполнено кусками шлака, это дает возможность предположить, что данная мастерская прекратила свое функционирование намного раньше мастерской "Чаисубани I,1".

Высота сохранившейся части печи "Чаисубани I,2" составляет 110 см, ширина: в верхней части – 75 см, в середине – 48 см, у дна – 40 см.

Для обработки крицы, по видимому, мастер данной мастерской пользовался тем же составным каменным столом, что и владелец первой мастерской.

Навал производственных отходов данной мастерской, можно предположить, со временем слился с отходами близлежащей мастерской.

Выявленные при раскопках керамические изделия, несмотря на то, что представлены в небольшом количестве, являются специфичными для железоплавильных мастерских. Первым делом выделим фрагменты глиняных сопел воздуходувных мехов (рис.3). Три из них являются внешним фрагментом печи, а одна, деталью внутреннего пространства печи.

В навале было выявлено несколько фрагментов толстостенных сосудов, украшенных снаружи широкими каннелюрами, выполненными способом "гранения."(рис.3). Такая керамика, как известно, была выявлена при раскопках железоплавильных мастерских: "Цецхлаури", "Легва", "Чарнали", "Аскана" и т.д [7, сс.41-178]; также, на дюнных поселениях Уреки, Пичвнари и Бобквати [5, сс. 106-107; 6, сс. 119-132]; в нижнем слое цихисдзирского поселения [2, сс.102-154], в III и IV слоях поселения "Намчедури" [3, сс.13-18], в IV слое древнего поселения Кулеви, близ устья р. Хоби [4, сс. 28-29] и т.д.

Из каменного инвентаря выявленного при раскопках мастерских можно выделить ступки с одной и тремя выемками для дробления флюсов, молоты и пестики (рис.4).

Данная железоплавильная мастерская по керамическому материалу датируется X-VIII вв до н.э.

Раскопки железоплавильной мастерской в ущелье Чаквисцкали расширила в эпоху раннего железа ареал деятельности древних колхов занятых производством железа. Это еще раз подтвер-

ждает, что древняя Колхида занимала ведущую роль в развитии этой важной отрасли человеческой деятельности.

ЛИТЕРАТУРА

1. Гзелшвили И.А., Железоплавильное дело в древней Грузии, ТБ., 1964.
2. Ипаншвили А., Итоги археологических раскопок Петра-Цихидзири в 1962-1965 гг. Памятники Юго-Западной Грузии, IV, ТБ., 1974, сс.102-154
3. Микеладзе Т.К. Хахутаншвили Д.А., Древнеколхидское поселение Намчедури, ТБ., 1985, сс.13-18
4. Микеладзе Т., Барамидзе М., Пхакадзе Г., Лордкипанидзе Г., Мухелишвили Д., Хахутаншвили Д., Итоги археологических исследований Колхидской Экспедиции. Полевые археологические исследования в 1973 г. (краткие отчеты). ТБ., 1974, сс. 28-29.
5. Рамишвили А. К. К датировке Пичвнарских приморских стоянок. "Мацне" АН ГССР. Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1974, № 2, сс.106-107.
6. Рамишвили А. К. Древние поселения приморской полосы в районе Чакви. Труды Батумского научно-исследовательского института, №3, 1964, сс. 119-132.
7. Хахутаншвили Д. А. Производство железа в древней Колхиде, ТБ., 1987, сс. 41-178
8. Хахутаншвили Д. А. Сырьевая база и техника производства железа в древней Колхиде, "История горной науки и техники," ТБ. 1979, сс. 84-93.

რკინის წარმოების ძველკოლხური კერა ჩაქვისწყლის ხეობაში

2000 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩაქვისწყლის ხეობაში გამოვლინდა ძველკოლხური რკინის წარმოების ახალი კერა. სოფ. ჩაისუბნის ტერიტორიაზე შესწავლილ იქნა რკინის სადნობი ორი სახელოსნო, რომლებსაც პირობითად „ჩაისუბანი I,1“ და „ჩაისუბანი I,2“ ვუწოდეთ.

სახელოსნოების ტერიტორიაზე დადასტურდა რკინის სადნობი ქურები, სპეციალური შედგენილი მაგიდა ლუგვი რკინის დასამუშავებლად, წარმოების ნარჩენები, კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები და ა. შ.

სახელოსნოები დათარიღდა ძვ. წ. X-VIII საუკუნეებით.

N. Khakhutaishvili

The Ancient Kolkhian Centre of iron-production in the Gorge of Chakvistkali

During the summer 2000 archaeological excavations that took place in the Chakvistkali Gorge at the village of Chaisubani in Adjara, a new center of ancient Kolkhian iron production was discovered. In the process of this investigation, two iron foundries were uncovered and conditionally named "Chaisubani I,1" and "Chaisubani I,2" and dated from 10th to 8th centuries B. C.





рис. 2




рис.3.




рис.4.

Описание иллюстраций

рис 1. Схема расположения производственных очагов древнекол-
хидского центра железнодоычы

рис. 2. Железноплавильные мастерские "Чаисубани I,1" и "Чаис-
убани I,2". План и разрезы

рис.3. Фрагменты глиняных сопел воздуходувных мехов и глиня-
ных сосудов

рис.4. Ступки для дробления флюсов, молоты и пестики

მითი და არქაული სულიერი კულტურის სტრუქტურა

არქაული საზოგადოების აზროვნების წესს მითი წარმოადგენს. იგი ადამიანის მთელ ცნობიერებას მოიცავდა, განსაზღვრავდა მისი ცხოვრების წესს. მითი ყველაფერში ვლინდებოდა, ცოცხალ არსებასა და საგანში, ყოველ ქმედებაში, მეტყველებაში (25, 227).

ამდენად, არქაული ადამიანის მსოფლალქმის ყოველი გამოვლენა, რიტუალი იქნებოდა ეს თუ ორნამენტი, ცეკვა თუ ზეპირი მით-შემოქმედება, გამოხატავდა სოციალური დამოკიდებულებას სამყაროსადმი, ღირებულებათა საერთო სისტემას, რომელიც აზროვნების ერთადერთი წესით, მსოფლალქმის ერთი ფორმით - მითით იყო განსაზღვრული.

მითი ყოვლისმომცველი არქაული სულიერი კულტურისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური სინკრეტიზმის გამოხატულების ერთადერთი ფორმა იყო (17, 11). ამიტომ მას ახასიათებდა უნივერსალური, უტილიტარული მხატვრული სინკრეტიზმი, სადაც არქაული ცნობიერების ფორმები სრულ მთლიანობაში იყვნენ, უფრო სწორედ ურთიერთდიფუზიური ფორმით არსებობდნენ (10), განსაზღვრავდნენ ერთმანეთს და ქმნიდნენ პირველად სინკრეტულ კომპლექსს (19,11), რომელიც მთლიანად მითით იყო განსაზღვრული.

ამდენად, მითი, დღეს, გააზრებული უნდა იყოს როგორც ისეთი მთლიანობა, რომლისგანაც ჯერ იყო გამოყოფილი ცნობიერების ისეთი ფორმები, როგორიც არის მეცნიერება, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება, სამართალი და სხვ., მაგრამ მითი ცნობიერების ამ ფორმათა უბრალო წარევი კი არ იყო, არამედ მათ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენდა, რის გამოც ამ ფორმათა მოქმედება პირველ რიგში მათი აზროვნე-

ბის წესით, მითით იყო განსაზღვრული და მისი თავისებური ხასიათიდან გამომდინარეობდა.

ამგვარად, არქაული საზოგადოებრივი ცნობიერების სრული ერთიანობის პირობებში მითი ჩანასახოვან ფორმებში მოიცავდა როგორც რელიგიას, ასევე ხელოვნებას, უმარტივეს კლასიფიკაციებს, სიტყვიერ შემოქმედებას და მათ დამოუკიდებელ არსებობას შეუძლებელს ხდიდა.

არქაული ადამიანი ცდილობდა სინამდვილის გააზრებას, მის გარშემო არსებული მოვლენებისა და სამყაროში მიმდინარე რთული მოვლენების ახსნას. ამისათვის საჭირო იყო მის გარშემო არსებული მრავალფეროვან და რთულ სამყაროში გარკვეული წესრიგის შეტანა, მოვლენათა თუ საგანთა დაჯგუფება, რათა ადამიანს, თუნდაც მარტივი რეაგირება მოეხდინა სამყაროში მიმდინარე პროცესებზე.

ამდენად, არქაულ საზოგადოებაში მითი გარკვეულ წილად მეცნიერების ფუნქციასაც შეითავსებდა, ვინაიდან წესრიგი შექმონდა ადამიანის გარშემო არსებულ მოვლენათა დაუსრულებელ ცვალებადობაში. ამიტომ ფიქრობენ, რომ მოვლენათა კლასიფიცირება, რომელიც ბუნებრივია, მაშინ თეორიულ მიზანს არ ისახავდა, პირველად სწორედ ენასა და მითში განხორციელდა (31, 61).

ნიშანდობლივია, რომ უკვე ადრემინათმოქმედი ტომების სულიერ კულტურაში, აშკარად შეინიშნება, რომ ადამიანმა გაიაზრა სამყარო, როგორც გარკვეული მთლიანობა, შექმნა მისი ვერტიკალური აგებულების მოდელი და ამის შესაბამისად მოახერხა ცხოველთა სამყაროს დაჯგუფებაც. ზესკნელში ფრინველები მოათავსა, ქვესკნელში - თევზები და ქვეწარმავლები, ხოლო შუასკნელში - რქოსანი ცხოველები.

ადამიანის მიერ სამყაროს გრძნობადი ათვისების პროცესში მნიშვნელოვან როლს რიცხვებიც ასრულებდნენ. რიცხვები სიმბოლურად გაიაზრებოდა და მათ საკრალური მნიშვნელობა ჰქონდათ მინიჭებული. რიცხვებში, პირველ რიგში,

სამყაროს გაგებასა და აღწერისათვის აუცილებელი კოდი იყო ჩადებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ სიდიდეებს, როგორიც არის სამი და ოთხი. სამის გააზრებაზე იყო დაფუძნებული სამყაროს ვერტიკალური აგებულების დინამიური მოდელის შექმნა (23, 93-94), რომელშიც ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის არსებობა იყო ნავარაუდები.

ე. კასირერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ არ არსებობს კოსმოგონია, რომელშიც სამყაროს ოთხი ძირითადი მიმართულების დაპირისპირება არ წარმოადგენდეს იმ უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომელიც სამყაროს გააზრებისა და ახსნისათვის იყო გამოყენებული (28, 98). ოთხზეა დაფუძნებული სამყაროს ჰორიზონტალური, სტატიკური მოდელი, რომელშიც იგი წარმოგვიდგება, როგორც მონესრიგებული, იდეალური სტრუქტურის მქონე განუყოფელი მთლიანობა (23, 94-95).

სამი და ოთხი ჯამში ახალ საკრალურ სიდიდეს, შვიდს ქმნის. მას მაგიურ რიცხვს უწოდებენ. იგი ყოველთვის გამოხატავს ერთიანი სამყაროს იდეას და სამყაროული ხის კონსტანტას წარმოადგენს. ამ რიცხვს დაუკავშირდა შემდეგ დროინდელი რელიგიური პანთეონისა და დღესასწაულების გააზრება და დაწესება (18).

ამასთან დაკავშირებით, უაღრესად საყურადღებოა ქართული სიტყვა „სამოთხე“. მასში საკრალური რიცხვების სამის, ოთხის, შესაბამისად შვიდისა და ხის კავშირია ასახული. ამავე დროს სამოთხე საკრალურ, მონესრიგებულ, იდეალურ სამყოფელსაც აღნიშნავს.

სამყაროში მიმდინარე პროცესების, მასში მოქმედი ძალების თუ ობიექტების გააზრება, მათი კონცეპტუალური სახის შექმნა, ცნობიერების ფუნქციას შეადგენს და ამდენად, მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ადამიანის მიერ სამყაროს კულტურული ათვისება მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც იგი ახერხებს სამყაროს „ცნებითი მოდელის“ შე-

ქმნას? მის გარშემო არსებული ობიექტებისა თუ მოვლენების საკუთარ ცნებით „ლექსიკონში“ შეტანას. ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის გარეგნულ გამოვლენად მიჩნეულია ობიექტის ან მოვლენისათვის სახელის შერქმევა. ამდენად, სამყარო მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ათვისებულად, როდესაც მოხდება ობიექტის ენასთან ასიმილაცია (30, 138, 147).

არქაული ადამიანის მეტყველებისა და აზროვნების ერთმანეთისგან დაცილება არც შეიძლება. მათ ერთი საფუძველი აქვთ. კულტურის განვითარების ადრეულ საფეხურზე ისინი ერთობლივად მოქმედებენ. სწორედ მითოსური აზროვნების ზემოქმედების შედეგად სიტყვაში ძლიერდება მისი სემანტიკური ფუნქცია და იგი გადაიქცევა ობიექტური მნიშვნელობის მატარებლად და სიმბოლოდ (11, 568). ამიტომ ფიქრობენ, რომ არქაული აზროვნების წესი ენასა, ტრადიციებსა და რიტუალებშია ყველაზე სრულად შენახული და მათი მეშვეობით არის გამოხატული (31).

ის რასაც ჩვენ „ისტორიულ ცნობიერებას“ ვუწოდებთ, ადამიანის კულტურული განვითარების გვიანდელი მონაპოვარია. მისი გამოჩენა მხოლოდ ბერძენ ისტორიკოსებს უკავშირდება. მართლაც, მითისტვის დამახასიათებელი დროის სისტემა, გამორიცხავდა ისტორიული ცნობიერების არსებობის შესაძლებლობას (2; 270-271). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მითი გარკვეული აზრით, ისტორიასაც მოიცავდა, რადგან იგი ყოველთვის ნარსულზე, უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკრალურ ეპოქაზე მოგვითხრობდა და ამით ახერხებდა საზოგადოებაში მოქმედი სოციალური და კულტურული ნორმების ჩამოყალიბებასა და დანესებას (26, 12). საკრალურ ისტორიაში დაცული იყო საზოგადოების ძირითადი კოსმოლოგიური კონცეფცია, ნათესაური და საოჯახო ურთიერთობათა აუცილებელი სქემები. მითი მოითხოვდა ხალხის საკრალური ისტორიის შენახვასა და მისი შემდგომი თაობებისათვის გადა-

ცემას, რათა არ დარღვეულიყო ადამიანის საკრალურთან მუდმივი და აუცილებელი კავშირი.

მითს, როგორც აზროვნების წესს პასუხი უნდა გაეცა არა მხოლოდ იმაზე, თუ რა არის სამყარო, არამედ იმაზეც, თუ რა არის ადამიანი, საიდან და როგორ წარმოიშვა იგი. ამიტომ, მითის მთლიანობაში პრიმიტიული კოსმოლოგია და პრიმიტიული ანთროპოლოგია ერთად იწყებს არსებობას, ვინაიდან მითოსურ ცნობიერებაში ადამიანის წარმოშობა უშუალოდ ერწყმოდა სამყაროს წარმოშობას, საკრალურ ეპოქასა და ადამიანთა მითოსურ პირველსახეს (2, 27).

თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ მითი ცნობიერების ყველა ფორმას მოიცავდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ რელიგია მითის სინკრეტულ კომპლექსში იღებს სათავეს. ამდენად, მითი დასაბამითვე პოტენციური რელიგია იყო (2, 254). ისევე, როგორც პოტენციური ფილოსოფია, ისტორია და ა.შ.

არქაულმა ადამიანმა ადრევე შექმნა ტაბუს სისტემა, მაგიის აპარატი. მაგრამ მათთვის დამახასიათებელ უმარტივეს შეხედულებებსა და რელიგიურ დოგმებს შორის დიდი განსხვავებაა. მითისათვის დამახასიათებელი ტაბუს სისტემა არასოდეს არ ემყარებოდა რაიმე იდეალურ მიზანდასახულობას. მასში მთავარი მოქმედება იყო და არა მოქმედების მოტივი. მაგრამ უკვე ძველი ალთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებში იგრძნობა ადამიანის აზროვნების ახალი მიმართულება, ვინაიდან აქ მხოლოდ გულის სინმინდეს ენიჭება რელიგიური მნიშვნელობა და სიდიადე. ამიტომაც მაგიას ქაოტურ ცრურწმენას უწოდებენ, ხოლო რელიგია ადამიანის ზნეობრივი იდეალების სიმბოლურ გამოხატულებად არის მიჩნეული (2, 145).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მითოსური ცნობიერებისათვის მხოლოდ ერთი აბსოლიუტური რეალობა არსებობს, სადაც ერთეულთა ერთობის პრინციპი და თვით უსასრულობაც, სავსებით მატერიალურად არის გამოვლენილი. მითი ვერ ანსხვავებს ბუნებრივსა და ზებუნებრივს, რეალურსა და იდეა-

ლურს. მითი რეალობაა, რომელშიც ადამიანის რეალური და მაგიურ-რიტუალური მოქმედება შერწყმულია ერთმანეთთან და ერთიანობაში არსებობს. მითისაგან განსხვავებით, რელიგიური ცნობიერება ორ, ერთმანეთისაგან გამიჯნულ სამყაროს გამოარჩევს. ერთია ხილული, რომელშიც ბუნებრივი კანონები მოქმედებენ და უხილავი, რომელიც მხოლოდ ზებუნებრივი ძალების მოქმედებას ემორჩილება (8, 273). ადამიანი ტრანსცენდენტური ხდება ბუნების მიმართ. ქრისტიანობა პირველ რიგში იმით დაუპირისპირდა წარმართობას, რომ ადამიანისა და ბუნების დუალიზმი დაამყარა, ადამიანი ბუნებას მოსწყვიტა და მთელი მისი ყურადღება ზეციურ სამყაროზე გადაიტანა (14, 196).

მითოსური ცნობიერება დროის უაღრესად თავისებური შეგრძნებით ხასიათდება. მითში წარსული უდიდესი მნიშვნელობით იყო განსაზღვრული, რის გამოც მას ორიენტაცია წარსულზე ჰქონდა ალებული (3). მითისაგან განსხვავებით, რელიგია ორიენტაციას ანმყოფე, მიმდინარე მომენტზე იღებს (29). მითისთვის დამახასიათებელი დროის ციკლური განცდა გამორიცხავს სანყისის ცნებას, დროის ციკლური განვითარების თავისებურ სქემაში თვით მრავალჯერ განმეორებადი კოსმოგონიაც აღარ განიცდება როგორც სანყისი. მხოლოდ რელიგიურმა აზროვნებამ, იუდაიზმმა და შემდეგ ქრისტიანობამ დროის სრულიად ახლებური გააზრება გამოიმუშავა და არა განმეორებადი, არამედ ხაზოვანი დრო დაამკვიდრა (14, 196).

მითიურ სამყაროში სხვადასხვაგვარი ღვთაებები მოქმედებდნენ, მაგრამ მათი გააზრება არც შეიძლებოდა ყოფილიყო რელიგიური. ისინი უფრო მითოსური გმირები იყვნენ, ვიდრე სასწაულმოქმედი ზებუნებრივი არსებანი. ეს ღვთაებები, ისევე როგორც თვით ადამიანი, ბუნების განუყოფელ ნაწილად განიცდებოდნენ. ისინი ცოცხალი არსების თვისებებს იძენდნენ, ადამიანურ ურთიერთობებს ამყარებდნენ, ბუნების განახლებისა და სიუხვისათვის იღვწოდნენ, ებრძოდნენ ბო-

როტებას და კოსმოსში აუცილებელი ნესრიგის არსებობას უწყობდნენ ხელს. ღვთაებები ხშირად კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ქაოსის შემოტევა, ტრადიკული სიყვარული ან გველეშაპის შეურიგებელი მტრობა. ამის გამო ღვთაება ან გმირი დროებით ილუპებოდა, ან ქვესკნელში იკარგებოდა, რაც დედამინაზე სიცოცხლის, სიკეთისა და ნესრიგის აღორძინების საწინდარი იყო.

ადამიანის რეალური და რიტუალურ-მაგიური მოქმედება მტკიცედ იყო შერწყმული ერთმანეთთან. ადამიანები განმსჭვალული იყვნენ მთელ ბუნებასთან, ასევე ღვთაებებთან მათი სრული ერთიანობის გრძნობით. ეს კი გამორიცხავდა პიროვნების, ადამიანის ინდივიდუალობის ცნებას, არჩევანის უფლებას. ამიტომაც მითი, უფრო მოქმედების ხატად არის მიჩნეული, ვიდრე აზროვნებისა (2, 139). რელიგია კი აზროვნების ხატია და მასში სწორედ პიროვნებასა და მის ნააზრევს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

მართლაც, მითოსური ცნობიერება ვერ ახერხებს ადამიანთა ერთიანი კოლექტივის დიფერენცირებას. მისთვის უცხოა პიროვნების, ადამიანის ინდივიდუალობის, „ადამიანური ხასიათის“ ცნება. ამიტომაც არის არქაული კულტურა მთლიანად ანონიმური. დიდხანს ითვლებოდა, რომ ადამიანის პრობლემა ელინური კულტურის აღმოჩენა იყო (4, 217). მაგრამ დღეისათვის სამართლიანად არის მიჩნეული, რომ ადამიანის ინდივიდუალიზაციის პროცესი ძველ აღმოსავლურ კულტურაში დაიწყო. ი. ვეინბერგის შენიშვნით, მახლობელ ძველ აღმოსავლეთში ადამიანი უკვე გაიაზრებოდა როგორც ფიზიკური და ფსიქიკური საწყისის ერთიანობა, აღიარებული იყო ის ფაქტი, რომ ადამიანს აქვს (და იგი იყენებს კიდევც) არჩევანის უფლებას, გრძნობს თავის განსაკუთრებულობას, რის გამოც აქ ადამიანი პიროვნებად განიცდება (7, 97-99). მაგრამ, ამასთან ერთად, მახლობელ ძველ აღმოსავლეთში ადამიანი ჯერ კიდევ

ისეთ გარემოში ცხოვრობდა, რომელშიც ზეცა - ღვთაებათა სამყოფელი და დედამიწა - ადამიანთა სამყარო, ერთი განუყოფელი მთლიანობის ნაწილებს წარმოადგენდნენ, სამარადისოდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, განსაზღვრავდნენ ერთმანეთს. მახლობელი ძველი აღმოსავლური სამყაროს მოდელში განსაკუთრებული საკრალურობით ხასიათდებოდა ყველაფერი ის, რასაც წარსულთან და კომოგონიის აქტთან ჰქონდა რაიმე კავშირი. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ცნობიერება მაშინ, ისტორიის ამ ადრეულ საფეხურზე, ჯერ კიდევ მთლიანად მითოსური იყო. ამიტომაც უძველეს მესოპოტამიაში რელიგიას არ ჰქონდა მინიჭებული დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა. ადამიანები ზომიერ რელიგიურ კლიმატში ცხოვრობდნენ. ამ ჰავას განაპირობებდა არა იმდენად საკულტო, რამდენადაც სოციალური და ეკონომიკური კოორდინატები (20, 178-179).

არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ შუმერში ძვ. წ. III ათასწლეულამდე არ ყოფილა ჩამოყალიბებული ერთიანი, რამდენადმე სისტემური რელიგიური პანთეონი. თუმცა კი უკვე არსებობდნენ საერთო შუმერული ღვთაებები: ღვთაებათა და ადამიანთა მეუფე ენლილი, მსოფლიო ოკეანის გამგებელი ენკი, სიყვარულის ღვთაება ინანა და სხვ. ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი არც ერთი შუმერული მითი, რომელშიც უშუალოდ სამყაროს შექმნა იყოს ასახული. მაგრამ თითქმის ყველა მათგანში საუბარია იმაზე თუ როგორ მოქმედებდნენ ღვთაებები, როგორ ამყარებდნენ აუცილებელ წესრიგს ქვეყანაზე და ხალხს კულტურულ მიღწევებს აცნობდნენ (12, 122-133). განვითარების ამ საფეხურზე ამ ღვთაებათა გააზრება ჯერ კიდევ მთლიანად მითოსური იყო. განსაკუთრებით საყურადღებოა ინანასა და დუმუზის თავგადასავალი, რომელზეც მოგვითხრობენ შუმერული მითები და რომლებიც იმ პერიოდის სარიტუალო პოეზიაშიც არის ფართოდ ასახული. ამ ძეგლებში ლაპარაკია ინანასა და დუმუზის სიყვარულზე, მათ ღვთა-

ებრივ ქორწინებაზე ედუმუზის ქვესკნელში ჩასვლაზე, მის სიკვდილზე და ხელახალ დაბადებაზე. აქ სრულად არის ხორცშესხმული მეტაფორა, სიცოცხლე-სიკვდილი-სიცოცხლე, რომელიც მითოსურ ცნობიერებაში, მართალია ზოგჯერ სახეშეცვლილად, მაგრამ მარადიულად მოქმედებს.

ბაბილონის კოსმოგონია განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოგვიდგენს. ცნობილი პოემის „ენუმა ელიშის“ ანალიზი ცხადყოფს, რომ მას აშკარად გამოკვეთილი, ახალი მიზანი აქვს - სხვა ღმერთებთან შედარებით განადიდოს მარდუკი და შუმერული ღვთაებების უშუალო მემკვიდრედ წარმოაჩინოს იგი. ტიამატის დამარცხება და მარდუკის მიერ სამყაროს შექმნა ადასტურებს და ხაზს უსვამს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ ყველა კოსმოსური ძალის დამმარცხებელი მარდუკი მთელი სამყაროს მეუფე ხდება.

ბერძნული მითოლოგია ანტიკური სამყაროს სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში მრავალ ცვლილებას განიცდის. უძველესი პერიოდის აზროვნების წესს ა. ლოსევი გულუბრყვილო მითოლოგიას უწოდებს. სწორედ აქ იღებენ დასაბამს, აქ იწყებენ ფორმირებას აპოლონი, არტემიდე, აფროდიტა და სხვა ღვთაებები, რომლებიც გვიან ოლიმპოს გარშემო გაერთიანდნენ.

მითოლოგიის, როგორც მსოფლალქმის, როგორც ერთიანი აზროვნების წესის რღვევა ანტიკურ საბერძნეთში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არქაულ ხანაში დაიწყო და კლასიკურ ხანაშიც გაგრძელდა. ვინაიდან, როგორც აღნიშნავს ს. ავერინცევი, ჰომეროსი უკვე აღარ იყო პირველყოფილი მითოლოგია, ხოლო სოფოკლე ჯერ კიდევ არ შეიძლება მთლიანად მიეკუთნოს ინდივიდუალურ ლიტერატურას (5, 11). ანტიკურ საბერძნეთში თვალნათლივ გამოიკვეთა მითოლოგიის, როგორც ერთიანი აზროვნების წესის, როგორც სინამდვილის მხატვრულ-სახეობრივი ალქმის საშუალების რღვევის პროცესი. ამ ერთიანი, სინკრეტული კომპლექსიდან მიეცა აქ დასა-

ბამი მეცნიერების მთელ რიგ დარგებს, დაიბადა დრამა და კომედია, რომლებიც, სახვით ხელოვნებასთან ერთად ჯერ კიდევ მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული მითთან.

ცნობიერების განვითარებასთან ერთად, მითის „ყოვლისმომცველობა“ შეიზღუდა და აზრის გარკვეული დასაბუთების აუცილებლობა გარდაუვალი გახდა. უკვე ანტიკურ საბერძნეთში, მითის ერთიანი კომპლექსის რღვევის შედეგად, შეიქმნა ფილოსოფია, როგორც მოძღვრება სამყაროს შესახებ. აქ უკვე ძვ. წ.-ის VI ს., ე. წ. მილეთის სკოლაში, დაიწყო სამყაროს ახლებური გააზრება და მისი რაობისა და წარმოშობის შესახებ, სხვადასხვაგვარი, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თაღესმა სამყაროს საფუძვლად წყალი მიიჩნია. ამასთან ერთად, იგი აღიარებდა სამყაროს სრულ ერთიანობას, მის გასულდგმულების უნარს, ღმერთის, სამყაროს, გონისა და სულის ერთიანობას, რაც ცხადია, მითის დიალექტიკური ბუნებისაგან გამომდინარეობდა.

ანაქსიმენი სამყაროს საწყისად ჰაერს მიიჩნევდა, რომელიც უსაზღვროა სივრცეში, აღვსილია ღვთაებრივი ძალებით, მარადიულად მოძრაობს. ჰაერის შეკუმშვის შედეგად წარმოიშვა დედამიწა, შემდეგ - კი ციური მნათობები. ანაქსიმანდრეს აზრით, კოსმოსს მარადიული წარმოშობის უნარი ჰქონდა და მის მომავალს ბედისწერა განაგებდა.

სწორედ ეს არის ბერძნული „ნატურფილოსოფია“, მისტიკური სიმბოლიზმის ფილოსოფია, ანუ ჯერ კიდევ მითი. ა. ლოსევის თვალსაზრისით, მილეთის სკოლის მთელი ნააზრევი არის სამყაროს ახსნის მისტიკური ცდა, რომელიც მითის ბრწყინვალე საფარის ქვეშ არის მოქცეული (15, 100-120).

მითოლოგიის წარმოშობა ცხოვრებამ განაპირობა. ადამიანის წინაშე მან დააყენა სამყაროს ახსნის, მისი გარკვეული გააზრების აუცილებლობა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა მითი, როგორც სამყაროზე ადამიანის შეხედულებათა თავისებური სისტემა, როგორც გარკვეული აზროვნების წესი. მითოლოგია

ყოველთვის ცდილობდა აეხსნა ცხოვრებისეული მოვლენები, მოეხდინა სამყაროს თავისებური მოდელირება, მოვლენათა კლასიფიცირება, გამხდარიყო სამყაროსა და თვით ადამიანის თავისებური ინტერპრეტატორი. მითოლოგია ცდილობდა დაესაბუთებინა ადამიანთა ქცევის აუცილებელი ნორმები, წესჩვეულებები, გამართლება მოეძებნა მათთვის, მიეცა სანქცია, მოეხდინა მათი საკრალიზაცია. ასე მყარდებოდა მტკიცე კავშირი ზეპირ მითებსა და რიტუალებს შორის. რიტუალები ხშირად მითების ინსცენირებას წარმოადგენდნენ, ხოლო მითები, თავის მხრივ, ხსნიდნენ და ასაბუთებდნენ ამ ცერემონიალის არსს. რიტუალები თანდათან მტკიცდებოდნენ, კანონიკურ სახეს იღებდნენ, დიდ ძალას იძენდნენ და ერთიანი მითოსური ცნობიერების რღვევასთან ერთად უკვე დამოუკიდებელ და მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციუმის ცხოვრებაში.

მითოლოგიისა და ხელოვნების ურთიერთობა ალბათ ამოუწურავი თემაა. დღეს ამ თემაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის ძირითადი დებულება, რომ მითი ცნობიერების სხვადასხვა ფორმათა უბრალო ნარევი კი არ იყო, არამედ მათი ორგანული მთლიანობა. ამ მთლიანობის დაშლის შედეგად დაიწყო ხელოვნებამ დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ ხელოვნების გენეტიკურმა სიახლოვემ მითთან მნიშვნელოვნად განაპირობა ხელოვნების თავისთავადობა. ცნობიერების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, რომლებიც აგრეთვე მითში იღებდნენ დასაბამს, ხელოვნებამ, როგორც სინამდვილის მხატვრულ-სახეობრივმა გააზრების ფორმამ, უფრო მეტად შეინარჩუნა ის პოლიფუნქციურობა, რომელიც ობიექტურად მითისთვის იყო დამახასიათებელი (1). გარდა ამისა, მითისთვის ნიშანდობლივი ემოციური სანყისი, მსოფლალქმის ხატოვანი სისტემა განსაკუთრებით უახლოვებდა ერთმანეთს მითსა და სახვით ხელოვნებას, რომელშიც მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები, მეტ-ნაკლე-

ბი სიხშირით და სიძლიერით, ალბათ, ყოველთვის იყო ასახული.

ცნობილია, რომ ხელოვნება, რელიგიასთან ერთად, კულტურის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს. ხელოვნება ყველაზე სრულად წარმოგვიდგენს კულტურის სახეს, გვიჩვენებს მას არა ცალმხრივად, არამედ მთლიანობაში. ხელოვნება ყველაზე უკეთ ქმნის იმ კულტურის მოდელს, რომელსაც თვითონ განეკუთვნება (10, 246) კულტურა და ხელოვნება შინაგანი სტრუქტურითაც ემსგავსება ერთმანეთს. ნ. ჭავჭავაძე წერს, რომ კულტურა არის ადამიანის მიერ მისი განხორციელებული ღირებულების სამყარო, რომელშიც ყოველთვის არის წარმოდგენილი როგორც იდეალური ღირებულება, ასევე მისი რეალური მატარებელიც, ვინაიდან კულტურაში ასახულია იდეალური ღირებულების არა აბსტრაქტული ხატი, არამედ ნაჩვენებია ის, თუ როგორ მოქმედებს ეს იდეალური ღირებულება რეალობაში - შრომის იარაღებში, ვენახებსა და მინდვრებში, სოციალურ ინსტიტუტებში, ადამიანის ქცევის ნორმებში და ა. შ. ამიტომ არის კულტურა იდეალურისა და რეალურის, ობიექტურისა და სუბიექტურის, მატერიალურისა და სულიერის ერთობლიობა. ნ. ჭავჭავაძის შენიშვნით, იგივე ნიშნები ხელოვნებასაც ახასიათებს, ვინაიდან ხელოვნების უმთავრესი ესთეტიკური ღირებულება არის სწორედ სუბიექტურის ობიექტივიზირება, იდეალურის მატერიალიზაცია, მასში ჩადებული იდეალური შინაარსის გადმოცემა (24, 158-161).

კულტურისა და ხელოვნების, როგორც მთელისა და ნაწილის ურთიერთობა ორმხრივია. ამიტომ ყოველთვის ინტერესს იწვევს ის, თუ როგორ განსაზღვრავს კულტურის მთლიანი სისტემა მის ერთერთ შემადგენელ ნაწილს. მეორე მხრივ კი, გარკვევა იმისა, თუ როგორ ხორციელდება უკუკავშირი როდესაც თამაშობს ხელოვნება კულტურის სისტემაში.

კულტურისა და ხელოვნების ეს ორმხრივი ურთიერთობა არქაულ საზოგადოებაში, მისი სპეციფიურობის გამო, ცხადია, ვერ ხორციელდება. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ არქაულ ეპოქაში მითი იყო არა მხოლოდ სიტყვიერად გამოხატული მოთხრობა, არამედ ადამიანის ყველა ქმედება, ყოველი საგანი, მეტყველება, თვით „ყოფა ანუ მთელი მისი ცნობიერება და ყველაფერი ის, რისკენაც ეს ცნობიერება იყო მიმართული“ (25, 28). ამდენად, ადამიანის მხატვრული შემოქმედება არ უნდა იყოს განხილული, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილი და ადამიანის მოქმედების დამოუკიდებელი სფერო. არქაული ხელოვნება იგივე მითია, კულტურის თვითშეგნებაა, თავისებური „კოდი“, ის გასაღები, რომელიც ყველაზე უკეთ გვიხსნის კულტურის კონტექსტს, სრულად გადმოგვცემს მის შინაარსს (10, 250).

უძველესი ხელოვნება, რომელსაც გამოყენებითი ხასიათი აქვს, განეკუთვნება სინკრეტული შემოქმედების სფეროს, და სოციალური რიტუალურ-მაგიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სწორედ იგი გამოხატავს ყველაზე სრულად უძველესი მითოსური კულტურის ძირითად არსს, ადამიანთა დიდი კოლექტივების საერთო მსოფლგაგებას, საზოგადოების ყველა ძირითად ღირებულებას (30, 46). მის უნარს - აღიქვას და გამოხატოს სხვადასხვაგვარი ფორმა, რიტმი, ფასეულობა (27, 46).

ამდენად, არქაული ხელოვნების ყოველი ნიმუში დღეს გააზრებული უნდა იყოს, როგორც კოლექტიური საწყისის გამოხატულება, რომლებშიც ხორცშესხმულია არა ინდივიდუალური წარმოდგენები, არამედ თაობათა მიერ გამომუშავებული კოლექტიური შეხედულებები. ეს ძეგლები ყველაზე სრულად ასახავენ საზოგადოების მიერ გამომუშავებულ ძირითად შეხედულებებს მთელ სამყაროზე.

მართლაც, არქაულ ხანაში, პლასტიკური ან ორნამენტული სახეებით გადმოცემული იყო ადამიანის მთელი სულიერი სამყარო, მისი შეხედულებები ობიექტურად არსებულ სინამ-

დვილებზე. ეს ხელოვნება ცალკეული ხატების, სიმბოლოების საშუალებით მატერიალურ, ხელშესახებ სახეს აძლევდა იმას, რაც უხილავი იყო, საკრალური და ამით ადამიანი სულიერ სამყაროში შეჰყავდა. გარდა ამისა, არქაული ხელოვნების ძეგლებზე გამოხატული სხვადასხვა საგნები, ადამიანთა თუ ცხოველთა გამოსახულებანი, რეალურად არსებულის მაგივრობას სწევდნენ. ამით, ეს ხელოვნება, თავის უმთავრეს ამოცანას ასრულებდა - აღბეჭდავდა სამყაროს, მაგიურად მოქმედებდა გარემოზე, ამავე დროს, გადასცემდა ზუსტ ინფორმაციას (6, 132).

არქაულ ხელოვნებას ფუნქციონალური ხასიათი აქვს. ბ. როულენდის განსაზღვრებით, ამგვარ ხელოვნებას არ შეიძლება ვუნოდოთ რეალისტური. უპირველეს ყოვლისა, იგი კონცეპტუალურია, ვინაიდან არქაული ხელოვნების ერთერთ უმთავრეს ამოცანას ობიექტის არსის წარმოჩენა, უნივერსალური, ადვილად შესაცნობი სიმბოლოს გადმოცემა შეადგენს. (22, 710) ამიტომაც, ამ ძეგლებზე წარმოდგენილი გამოსახულებები გარკვეული აზრის მქონე ნიშნებად არის მიჩნეული. ამ ნიშნების ამკარად გამოხატული და ძლიერი აზრობრივი დატვირთვა აქვთ, დაახლოებით ისეთი, როგორც ენას თანამედროვე მეტყველებაში (23, 40). არქაული კულტურის ძეგლებზე ასახული ნიშნები განიხილება როგორც თავისებური სემანტიკური სტრუქტურები, როგორც უაღრესად დინამიკური სემიოტიკური სისტემა, რომლის სწორი გაგება იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი იგი გააზრებული იქნება, როგორც განუყოფელი მთლიანობა, ხოლო მისთვის დამახასიათებლად ევოლუცია - როგორც ერთიანი, უწყვეტი, შინაგანი ლოგიკის მქონე პროცესი (21, 5-12). არ არის შემთხვევითი, რომ კ. ლევი სტროსი მითის სტრუქტურას განიხილავდა როგორც გარკვეულ ნიშანთა სისტემას, რომელიც, მეტყველებასთან ერთად, ინფორმაციის საუკეთესო საშუალება იყო, ისევე, როგორც მუსიკა, მხატვრული სტრუქტურის იდეალური

ნიმუში (13, 165). ამდენად შეიძლება ითქვას, რომ არქაული, გამოყენებითი ხელოვნება სპონტანურად აღადგენდა მითოსური ცნობიერების ძირითად სტრუქტურებს და გადმოგვცემდა სოციუმის მსოფლალქმის მთელ ნყობას.

არქაული კულტურა უაღრესად ტრადიციული და მკაცრად კანონიზირებულია. მხატვრული შემოქმედების აქტი ყოველთვის ტრადიციისა და კანონის ზუსტ შესრულებას გულისხმობს (16,6). არქაული ხელოვნება მხოლოდ მაშინ აღასრულებს თავის უმთავსერ მაგიურ ფუნქციას, როდესაც ზუსტად დაიცავს ტრადიციას, წარსულში შექმნილ და წარსულზე ორიენტირებულ იმ კანონს, რომელიც, ყოველთვის საზოგადოების მსოფლალქმით იყო განსაზღვრული.

ამგვარად, არქაულ საზოგადოებაში სულიერ კულტურას ერთიანი და დაუნანვერებული ხასიათი ჰქონდა. იგი მთლიანად იყო განსაზღვრული უაღრესად ემოციური, ხატოვანი აზროვნების ერთი წესით, მსოფლალქმის ერთადერთი ფორმით - მითოსით. ამიტომაც არის, რომ მითს, ერთგვარ პირველად ოკეანეს ადარებენ, რომლისგანაც ჯერ არ არის გამოყოფილი მეცნიერება, სიტყვიერება, რელიგია, ხელოვნება, სამართალი, ფილოსოფია, თეოლოგია (5, 125) სწორედ ეს სინკრეტულობა წარმოადგენს არქაული სულიერი კულტურის ყველაზე თვალშისაცემ ნიშანს, განსაზღვრავს მის თავისებურებებსა და განუმეორებლობას.

ლიტერატურა

1. ვ. ასათიანი, ხელოვნებისა და მითოსის ურთიერთმიმართების საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, УДК 809-39

2. ე. კასირერი, რა არის ადამიანი, თბ., 1993.
3. მ. ხიდაშელი, მითოლოგია – არქაული საზოგადოების აზროვნების წესი, „მნათობი“, 2000 წ. № 3-4.
4. С.С.Аверинцев, Греческая "литература" и ближневосточная "словестность". Типологии и взаимосвязи литератур древнего мира.) М. 1971.
5. С.С.Аверинцев, "Аналитическая психология" К.Г.Юнга и закономерности творческой фантазии, в кн. О современной буржуазной эстетике, М. 1972.
6. Р.Арпхейм, Искусство и визуальное восприятие, М. 1974.
7. И. П. Вейнберг, Человек в культуре древнего Ближнего Востока, М. 1986.
8. А. В. Гулыга, Миф, как философская система. Античная культура и современные науки, М. 1985.
9. В.В.Иванов, Очерки по истории семиотики, М. 1973.
- 10.М. С. Каган, Искусство в системе культуры. Советское искусствознание, 1978, вып. П
- 11.Э. Кассирер, Избранное, Опыт о человеке, М. 1998.
- 12.С. Н. Крамер, Мифология Шумера и Аккада, Мифологии древнего мира, М. 1977.
- 13.К.Леви-Стросс, Структура мифов, Вопр. философии 1970, №7.
- 14.Линц Уайт мл., Исторические корни нашего экологического кризиса. Глобальные проблемы и общечеловеческие ценности. М. 1990.
15. А.Ф.Лосев, Очерки античного символизма и мифологии, М. 1993.
- 16.Ю.М.Лотман, Каноническое искусство, как информационный парадокс, в сб. Проблема канона в древнем и средневековом искусстве Азии и Африки, М. 1973.
- 17.Е.М.Мелетинский, Происхождение героического эпоса, М. 1963.

18. Дж.Миллер, Магическое число семь плюс или минус два. О некоторых пределах нашей способности перерабатывать информацию. в сб. Инженерная психология, М. 1964.
19. В.Б.Мириманов, Первобытное и традиционное искусство М. 1973.
20. А.Л.Оппейгейм, Древняя Месопотамия, М. 1980.
21. Д. С. Раевский, Модель мира скифской культуры, М. 1985.
22. Б.Роулэнд, Искусство Запада и Востока, М. 1958.
23. В.Н.Топоров, К происхождению некоторых поэтических символов, Ранние формы искусства, I, М. 1972.
24. Н.З.Чавчавадзе, Культура и ценности, Тб. 1984.
25. О.М.Фрейдсберг, Миф и литература древности, М. 1978.
26. М.Элиаде, Тайные общества, инициации и посвящения, М. 1999.
27. К. L. Andersson, Art Primitive Societies, N.Y. 1979.
28. E.Cassirer, Philosophy of Symbolic Forms, XV
29. A.Hultkrantz, Les religions de Indiens primitifs de l'Amerique, 1963.
30. A.Leroi-Gourhan, La geste et la parole, II Paris, 1964.
31. C.Lévi-Strauss, La Pensee sauvage, Paris, 1962.

М. Хидашели

Структура архаической культуры и миф

Для духовной культуры архаического общества характерен универсальный, утилитарный художественный синкретизм, в котором все формы архаичного сознания не отделены друг от друга, они сосуществуют во взаимной диффузии и образуют т.н. синкретический культурный комплекс, полностью обусловленный универсальной формой мировосприятия этого общества - мифо-

логией. По этому, миф, можно рассматривать, как потенциальную религию, философию, литературу и т.д.

Только древнее прикладное искусство, которое по содержанию концептуально, с наибольшей полнотой раскрывает смысл всей древней культуры. Миф полностью выражает себя через искусство. По этому именно это искусство может рассматриваться как "код" этой культуры, передающий все ее содержание, объясняющий ее основной контекст.

M. Khidasheli

Structure of the Archaic Spiritual Culture and the Myth

Myth is viewed as the embodiment of primordial syncretism. Unlike the spiritual culture of later times, the culture of the archaic society is characterized by universal, utilitarian artistic syncretism, in which forms of archaic consciousness are not separated from one another, on the contrary, they co-exist in mutual diffusion, forming the so called syncretic cultural complex, conditioned completely by the universal form of the outlook and world perception of this society, that is, mythology. That is why ritual, rite, ornament, oral traditions on the creation of the world should be regarded as a manifestation of myth, common to all modes of thinking.

It is only ancient applied art that conceptually discloses by its content to the greatest extent the essence of the entire ancient culture. Myth expresses itself almost entirely through art. Therefore, exactly archaic applied art can be regarded as the main "code" of this culture, conveying its content most completely and explaining its main context.

ᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁ

РЕЦЕНЗИИ

REVIEWS

გრიგოლ გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, 103 გვ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის გამომცემლობამ (ა. ო. „პროგრესი“) ძველი სამყაროს ეთნოკულტურული ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებას საშუალება მისცა გასცნობოდა ქართული ხეთოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გრიგოლ გიორგაძის მიერ 1998-2000 წლებში შექმნილ საინტერესო ნაშრომების სერიას, რომელიც ხეთური და ასურული ლურსმული წერილობითი ძეგლების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური კუთვნილების რთული და დღემდე სადისკუსიო პრობლემის ახლებურ გააზრებას ეძღვნება.

სარეცენზიო ნაშრომი ქართული და რუსულენოვანი წინათქმით იწყება. მასში შეტანილია სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები: „ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის“ (ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე) („არტანუჯი“, 10, 2000, გვ. 9-16), „Неиндоевропейские этнические группы (хатты, каски) в древней Анатолии по хеттским клинописным текстам“, ინგლისური რეზიუმეტი („Разыскания по истории Абхазии“/Грузия, Тб., 1999, с. 9-16) და „ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“ („საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები“, IV, თბ., 1998, გვ. 15-20). ნაშრომს დამატების სახით ორი ნარკვე-

ვი ერთვის: „ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები (ზოგადი მიმოხილვა) („ქართული დიპლომატია“, I, თბ., 1994, გვ. 30-46) და „ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადემის ბრძოლა)“ („გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, I, 1995, გვ. 13-30). კრებულის ბოლო გვერდები (გვ. 102-108) გაზეთ „თბილისის“ 1999 წლის 9 აპრილის ნომერში დ. ოსეფაშვილის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ხასიათის წერილს ეთმობა, სადაც მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავდაა ნაჩვენები ქართული სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლების პოზიტიური დამოკიდებულება გრიგოლ გიორგაძის ახალ ხეთოლოგიურ და ქართველოლოგიურ ძიებებთან დაკავშირებით.

ქასქების (ქაშქების) პრობლემით გრიგოლ გიორგაძე რამდენიმე ათეული წლის წინათ დაინტერესდა. ალბათ სიმბოლურია, რომ მკვლევრის პირველი ნაბიჯები საისტორიო მეცნიერების დიდ გზაზე სწორედ ქასქების (ქაშქების) ისტორიის შესწავლის წარმატებული შედეგებით დაიწყო. XX ს-ის 50-60-იან წლებში საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში („Переднеазиатский сборник“, „Вестник древней истории“, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“ და სხვ.) გამოქვეყნებულმა, ქასქების (ქაშქების) პრობლემებისადმი მიძღვნილმა მისმა პირველმა გამოკვლევებმა იმთავითვე მიიქციეს ამ დარგის სპეციალისტთა ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს. და აი, XX ს-ის ბოლო ხუთწლეულში, ახლა უკვე მსოფლიო სამეცნიერო წრეებში საყოველთაოდ აღიარებული ხეთოლოგი, ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე, კვლავ უბრუნდება თავის პირველ „გატაცებას“ - ქასქებს (ქაშქებს). ამჯერად მას ძირითადი ყურადღება ქასქების (ქაშქების) ეთნიკური წარმომავლობის პრობლემაზე გადააქვს. უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1998-2000 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში მეცნიერი ქასქების (ქაშქე-

ბის) ეთნოკულტურულ ისტორიას ქართველთა ეთნოგენეზის კონტექსტში იკვლევს და ამით დიდი წვლილი შეაქვს ქართველთა უძველესი ისტორიის ახლებურ გააზრებაში.

ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხეთურ და ასურულ წერილობით ძეგლებში მრავალგზის მოხსენიებული ქასქების (ქაშქების) ეთნიკური წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ქასქები (ქაშქები) ხათები (პროტოხეთები) ან მათი მონათესავე ტომები იყვნენ, მეორენი მათ აფხაზურ-ადიღურ ტომებად წარმოგვიდგენენ და აქედან გამომდინარე შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებენ, მესამენი ქასქებს (ქაშქებს) ძველი ანატოლიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში ძველთაგანვე განსახლებულ მკვიდრ ეთნოსებს მიაკუთვნებენ.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი მართებულად უარყოფს თვალსაზრისს ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) აფხაზურ-ადიღური წარმომავლობის შესახებ, რომელიც, ძირითადად, „ქასქა“ - „ქაშქა“ და VIII-XII საუკუნეების ბიზანტიურ, არაბულ და რუსულ წერილობით წყაროებში ჩერქეზ-ადიღეელების აღმნიშვნელი ტერმინების: „ქასახია“, „ქაშაგ“, „ქაშაქია“, „კასოგი“, „ქაშოგი“, „ქეშიგი“ ფონეტიკურ მსგავსებას ეფუძვნება. გრიგოლ გიორგაძე ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ლინგვისტური თვალსაზრისით გარეგანი მსგავსება ხეთური წყაროების „ქასქა/ქაშქა“ ტერმინისა შუა საუკუნეების დროინდელ „ქაშაგ“ სახელწოდებასთან, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი წყვეტილია სივრცესა (დაახლ. 3000 კმ.) და დროში (მინიმუმ 20 საუკუნე). სახელთა მსგავსებაზე აგებული ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ხეთური წყაროების ქასქების გაიგივებისა ჩერქეზულ (ადიღურ) ტომებთან ქაშაგებთან (ისევე როგორც ზოგიერთი მკვლევარი ასურული ლურსმული ტექსტების აბეშლაელებს აკავშირებს აფსილებთან და აქედან გამომდინარე, აფსუელე-

ბთან, ე. ი. თანამედროვე აფხაზებთან). მაგრამ საკითხავია, რამდენად მართებულია ტომთა იგივეობის გამოცხადება „ქასქა/ქაშქა“ და „ქაშაგ“ ტერმინთა სავარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით? პირადად მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი არ უნდა იყოს გადამწყვეტი არგუმენტი ქასქებისა და ჩერქეზების რეალური იგივეობის დადგენისათვის (ისევე როგორც აქედან გამომდინარე ზოგიერთი ძალზედ შორს მიმავალი დასკვნისათვის). სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინთა მსგავსება შემთხვევითია“ (სარეცენზიო კრებული, გვ. 13-14; იქვე იხ. გვ. 23-24, 47-48 და სხვ.)

გრიგოლ გიორგაძის მიერ გამოთქმული ახალი თვალსაზრისის თანახმად, რომელიც მის წინამორბედ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე უშაკოვი და სხვები) ვარაუდებსა და წლების მანძილზე ხეთური ტექსტების სკრუპულოზური კვლევა-ძიების შედეგად მოძიებულ ახალ მონაცემებს ეფუძვნება, ხეთურ, შუა და ახალ ასურულ ლურსმულ, ეგვიპტურ იეროგლიფურ, უგარიტულ ტექსტებში „ქასქა“, „ქაშქა“, „გაშგა“, „კაშკა“, „ქაშკა“, Kškš (Kaškaš), Gašgaia, Kaškaia, Kaska-Kaska, Ktkym ტერმინებით აღნიშნული ეთნოსი (ეთნიკური ერთობა) გენეტიკურად მაინცადამაინც კოლხურ (დასავლურქართველურ, მეგრულ-ჭანურ) ეთნიკურ სამყაროსთანაა დაკავშირებული.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი კონცეფციის შემუშავებისას მეცნიერი ორ ძირითად ფაქტორს ითვალისწინებს: ეთნოგეოგრაფიულსა და ეთნოლინგვისტურს.

ავტორი ყურადღებას იმ არსებითი ხასიათის გარემოებაზე ამახვილებს, რომ ძვ. წ. XVI ს-ის დამდეგიდან მოყოლებული (როდესაც ხეთურ ტექსტებში პირველად ჩნდება ქასქების (ქაშქების) სახელწოდება) და უფრო ადრეც, ეს ტომები ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით, ჩრდილო აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით (შესაძლოა, მდ. ჭოროხის სათავეებამდე) მდებარე

იმ ვრცელ რეგიონში სახლობდნენ, რომელიც ძველთაგანვე ქართველური (სამხრეთ კოლხური) ტომებისა (ტიბარენების, ხალიბების, მოსინიკების, მაკრონების და სხვათა) და მათი კულტურის არეალს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ეთნოლიგვისტურ ფაქტორს, შემდეგი უნდა აღინიშნოს: ბ-მა გრიგოლმა პირველმა ქასქების პრობლემის მკვლევართაგან ხეთურ ტექსტებში შემონახული ქასქური ტოპონიმების, ანთროპონიმების, ორონიმების, ჰიდრონიმების, ცალკეული ტერმინებისა და სიტყვების ლინგვისტური ანალიზის გზით აჩვენა, რომ ქასქური ლექსემები ბგერითი შემადგენლობით, ფონემათა განაწილების სისტემით, მანარმოებელ აფიქსთა ხასიათით (რაც საუკუნეებს უძღვება) დასავლურ-ქართულ (მეგრულ-ჭანურ) ენებთან ავლენს გენეტიკურ სიახლოვეს (სარეცენზიო კრებული, გვ. 15-17; 24-26 და სხვა).

ნაშრომში სპეციალურადაა შესწავლილი ხათებისა და ქასქების, აგრეთვე ასურული წერილობითი ძეგლების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინებით აღნიშნული ეთნოსების ურთიერთმიმართების საკითხები. აქაც ავტორი არა ერთ ახალ, ორიგინალურ თვალსაზრისს გვთავაზობს.

ძვ. წ. XII ს-ის I ნახევრით დათარიღებული ასურული ლურსმული წარწერების ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე და რიგი სხვა მომენტის გათვალისწინებით, ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე არ იზიარებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულ მოსაზრებას „ქაშქა“ „აბეშლა“ ტერმინების იგივეობისა და ქაშაგ-აფსილებად ქაშქა-აბეშლას მიჩნევის შესახებ. ავტორი სავსებით მართებულად დაასკვნის, რომ: ძნელია ქაშქები და აბეშლაელები ერთმანეთთან გავაიგივოთ. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ქაშქა“ და „აბეშლა“ ორი სხვადასხვა ტერმინია და არა ერთი ტომის ვარიანტი სახელწოდებები. მაშასადამე, ისინი ორი სხვადასხვა ტომის (ნათესაურის) აღმნიშვნელია“ (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 67).

„ქაშქა“ „აბეშლა“ ტერმინთა ლინგვისტური ანალიზის გზით ავტორი კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვალსაზრისს ავითარებს. ბ-ნი გრიგოლის თანახმად, ასურული ტექსტების „აბეშლა“ და ძველბერძენი ავტორების „აფსილი“ სინონიმებს წარმოადგენენ. მაგრამ ისინი არა აფხაზურ-ადიღეური, არამედ კოლხური (მეგრულ-ჭანური) წარმომავლობის ტომების აღმნიშვნელ ტერმინებადაა მისაჩნვევი. ამგვარი დასკვნის გაზიარების შემთხვევაში, ავტორის აზრით, „აფსილ“ ტერმინში დამონმებული -ილ სუფიქსი შესაძლოა განვიხილოთ, „როგორც პროტოხეთურ-ქართველური წარმომავლობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსი, ხოლო „აფსილ“ ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „აფს-ელი“, „აფს-იდან მომდინარე“ (მდრ. ქასქების საკუთარი სახელი „ქასქაილ“, ე.ი. „ქასქელი“ და ა. შ.) (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 71).

ზემოთ აღინიშნა, რომ კრებულის დამატება გრიგოლ გიორგაძის ორ სამეცნიერო ნარკვევის პუბლიკაციებს ეთმობა. პირველი ხეთებსა და ქასქებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს გვაცნობს, მეორე - ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიას, კადემის ბრძოლასთან დაკავშირებულ პერიპეტიებსა და ამ ბრძოლაში ქასქების (ქაშქების, ეგვიპტური წყაროების ქშქშ) მონაწილეობის ამსახველ ავტორის მიერ გამოვლენილ მასალას.

როგორც პირველი, ისევე მეორე ნარკვევი მრავალმხრივ საინტერესო ახალი ინფორმაციის შემცველია. ირკვევა, რომ ხეთებსა და ქასქებს (ქაშქებს) შორის დადებული ხელშეკრულებები, ფრაგმენტურობის მიუხედავად, პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ არა მხოლოდ ქასქების (ქაშქების) პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის, არამედ ამ ტომების ეთნოგენეზისის პრობლემის შესწავლისთვისაც. ავტორი ხელშეკრულებების ტექსტების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იმ საყურადღებო დასკვნამდე მიდის, რომ ქასქები ხეთურისაგან განსხვავებულ, საკუთარ ენა-

ზე მეტყველებენ „... მთელ ხეთურ ლურსმულ არქივში - დასძენს მეცნიერი - არსად არ არის აღნიშნული, რომ ქასქები ლაპარაკობდნენ „ხათურად“ („ხათილი“), რაც უდაოდ მხედველობაშია მისაღები ქასქური ენის ბუნების გარკვევისას. ამ ენის შესახებ ხეთური ტექსტები საერთოდ დუმან, მაგრამ, ცხადია, ქასქების ენა არ უნდა ყოფილიყო ხეთური („ნასილი“), ხურიტულ („ხურლილი“), ლუვიური („ლუილი“), ფალაური („ფალაუმნილი“) და ა. შ... მაგრამ ამასთანავე სრულიადაც არ იქნება მოულოდნელი, თუ ქასქური ენა დასაკავშირებელი იქნება დასავლურ-ქართველურ ენებთან, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ უკანასკნელთა მატარებელი ეთნიკური ჯგუფები ბინადრობდნენ ტერიტორიაზე, რომელიც ადრეულ ხანებში ქასქებთან იყო დაკავშირებული (პონტოს აღმოსავლეთი მხარე)“ (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 87-88).

ჟურნალისტიკმა დალი ოსეფაშვილმა გაზეთ „თბილისის“ 1999 წლის 9 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატია ასე დაასათაურა: „ვის ეკუთვნიან ქაშქები?“ ბ-ნ გრიგოლის ზემოგანხილული სამეცნიერო ნაშრომის - „ხეთური და ასურულ-ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის“ - გაცნობა საკმაოდ სერიოზულ საფუძველს გვაძლევს ჟურნალისტიკის დასმულ კითხვაზე ვუპასუხოთ: ქაშქები კოლხურ (დასავლეთ ქართველურ) ეთნოკულტურულ სამყაროს ეკუთვნიან.

ნანა ხაზარაძე

აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის ახალი მონოგრაფია ისევე, როგორც მისი რჩეული ნაშრომების კრებული „ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი“ (თბილისი, ლოგოსი, 1999, 220 გვ.) ევროპული ტრადიციის თანახმად მრავალენოვანია, ქართულის გარდა მასში ნარმოდგენილი ცალკეული ნარკვევები დაბეჭდილია გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მონოგრაფიად სარეცენზიო წიგნის მოხსენიება იმით არის გამართლებული, რომ მასში თავმოყრილი სტატიები ერთ საკითხს ეხება, ერთი თემატიკით არის გაერთიანებული - ეს ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობის გარკვევაა. ამ თვალსაზრისით ის ორგანული ნაწილია ზემოხსენებული რჩეული ნაშრომების კრებულის, რომლის პირველ, ხეთოლოგიური ნარკვევების განყოფილებას, წარმოდგენილს ხეთთა პოლიტიკური ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და რელიგიისა და კულტურის ისტორიის თავებით შეჭველად აკლდა ეთნიკური ისტორიის თავი, ასეთად უნდა იქნეს აღქმული მეცნიერის ახალი მონოგრაფია. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის“ საეტაპო ნაშრომია, არა მხოლოდ თავად მეცნიერისათვის, რომელიც ამ პრობლემებს 1956 წლიდან (თავისი საკანდიდატო დისერტაციიდან მოყოლებული) იკვლევს და 45 წლიანი კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ თვალსაზრისსა და არგუმენტებს ერთ წიგნად მოუყარა თავი, არამედ მთელი ხეთოლოგიური დისციპლინისათვის, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ახალ წიგნში ახალი თვალსაზრისი და ახალი არგუმენტები წარმოადგინა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ლამის საბოლოოდ გადაწყვეტილად მიიჩნეოდა.

წინათქმაში ავტორი წერს: „დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით ქასქები შეიძლება ყოფილიყვნენ: (1) ხათები (პროტოხეთები) თუ არა მათი მონათესავე ტომები; (2) აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობის ტომები ან (3) ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის (მოგვიანო პონტოს) მკვიდრნი“ (გვ. 5).

აქ წარმოდგენილი სამი ჰიპოთეზის ორამდე დაყვანა უპრობლემოდ შეიძლება, პირველი და მეორე ჰიპოთეზის გაერთიანებით, რადგან ხათებს (პროტოხეთებს) ამჟამად სწორედ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხად მიიჩნევენ მკვლევართა ერთი ნაწილი (ი. დიაკონოვი, ვიარ. ივანოვი და სხვ.) და შესაბამისად, თუ ქასქები (ქაშქები) ხათებად ან მათ მონათესავე ტომებად იქნებიან ჩათვლილნი, ისინი ავტომატურად აფხაზურ-ადიღეური ეთნოსის წიაღში იქნებიან საგულვებელი.

ხათების (პროტოხეთებისა) და ქაშქების ახლო ნათესაობას, თუ იგივეობას არ ვარაუდობდა 50-იან წლებში თავად გრიგოლ გიორგაძეც ზემოხსენებულ საკანდიდატო დისერტაციაში; აკად. გიორგი მელიქიშვილი, რომელიც ქაშქების ხალხის ჩრდილო-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღეურ) წარმომავლობას ამტკიცებდა 1953 წელს, იქვე შენიშნავდა: „მაგრამ გამორიცხული არ არის მეორე შესაძლებლობაც: ქაშქები ჩრდილო-კავკასიურ სამყაროსთან ენობრივად უაღრესად ახლო მდგომი მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ე. წ. პროტოხეთების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ“.

მოგვიანებით (1965 წ.) გ. მელიქიშვილმა შეცვალა თავისი მოსაზრება ხათებთან დაკავშირებით, ისინი მას აღარ მიაჩნდა არც „მცირე აზიის უძველეს მოსახლეობად“ (ე. ი. ავტოქტონებად) და აღარც „ჩრდილო-კავკასიურ სამყაროსთან ენობრივად უაღრესად ახლო მდგომად“ არამედ მიაკუთვნებდა მათ „აღმოსავლეთის მთიანეთის“ ავტოქტონებს ე. ი. ზაგროსისა და ჩრდილო მესოპოტამიის მთიანეთის მკვიდრ ხალხებს (ხურიტებთან, ურარტუელებთან, ელამელებთან, კასიტებთან,

ლულებსა და გუტის ტომებთან ერთად), მაგრამ თავისი ახალი თვალსაზრისის ფონზეც ის ქაშქებს კვლავ ცალსახად ჩრდილო-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღეურ) ტომად მიიჩნევს, და უკვე გამორიცხავს ხათებთან მათ ნათესაობას.

რაც შეეხება სხვა მკვლევრებს მათ მნიშვნელოვან ნაწილს სრულიად სარწმუნოდ და ეჭვმიუტანლად მიაჩნიათ ხათების, ქაშქებისა და აბეშლაელების აფხაზურ-ადიღეური (ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური) წარმომავლობა აკად. ვიარჩესლავ ივანოვი თავის სტატიაში: „ხეთური ენის მიმართების შესახებ ჩრდილოდასავლურკავკასიურთან“, რომელიც 1985 წელს გამოქვეყნდა კრებულში „Древняя Анатолия“, აცხადებს კიდევ, არსებული მონაცემები: „делают гипотезу в целом доказанной при необходимости уяснения большого числа деталей в будущем“. ამავე პოზიციის დასამკვიდრებლად იღწვოდა ავტორიტეტული რუსი მეცნიერი ი. დიაკონოვი, იღწვის ი. დუნაევსკაია და სხვ. რომ არაფერი ვთქვათ თვით აფხაზ მკვლევრებზე, (ვ. არძინბა, ვ. ჩირიკბა და სხვ.).

ასეთ ფონზე აკად. გრიგოლ გიორგაძის წიგნის გამოცემა, რომელიც გაბატონებულ თვალსაზრისს უპირისპირდება მეტყველებს არა მხოლოდ მისი ავტორის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე, არამედ მის მეცნიერულ გაბედულებაზეც, მით უმეტეს, რომ მას მოუხდა არა მხოლოდ სხვისი კონცეფციების უარყოფა, არამედ გადასინჯვა თავისი ძველი პოზიციისაც.

აკად. გრიგოლ გიორგაძის წიგნის ამოცანა პრაქტიკულად ორია: ა) უარყოს, ამჟამად პოსტსაბჭოთა სივრცეში გაბატონებული მოსაზრება ეთნიკური ტერმინების „ქაშქა“ და „აბეშლა“-ს იდენტურობისა ეთნიკურ ტერმინებთან „ქაშაგ“ და „აბასილი“ („აფსილი“) და ამ ტერმინთა იდენტურობის ვარაუდზე დაფუძნებადი ჰიპოთეზა ქაშქებისა და აბეშლაელების აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის შესახებ; და ბ). ხელახლა წამოაყენოს ჰიპოთეზა ქაშქებისა და აბეშლაელების კუთვნილების შესახებ ქართველური (დასავლურ ქართველური)

ეთნიკური სამყაროსადმი (ქაშქების იდენტიფიკაციას კოლხე-ბთან მანამდეც ახდენდნენ აკად. ივ. ჯავახიშვილი, პ. უშაკოვი და სხვ.) და ახალი არგუმენტებით უზრუნველყოს იგი. საბოლოო მიზანი კი ერთია: რეალისტური მიმართულება მისცეს ქაშქების ეთნიკური ვინაობის კვლევას, დაუსახოს მას ახალი ორიენტირები და პერსპექტივები, დააბრუნოს ამ საკითხის კვლევა მკაცრ მეცნიერულ ჩარჩოებში.

თუ რამდენად ფაქიზი დამოკიდებულება აქვს აკადემიკოს გიორგაძეს მეცნიერული არგუმენტაციისადმი და რამდენად ფრთხილი და მომთხოვნია იგი ფაქტების შერჩევისადმი კარგად ჩანს იმის მაგალითზე, თუ როგორ აანალიზებს ეთნონიმს ქასქა (ქაშქა), საკვანძო ტერმინს რომელიც საფუძვლად დაედო ე, წ. აფხაზურ-ადიღურ ჰიპოთეზას:

„ქასქების დაკავშირება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სახელწოდება „ქასქა /ქაშქა“ ავლენს ბგერით სიახლოვეს ჩერქეზი (ადიღე) ხალხის აღმნიშვნელ სახელწოდებასთან, ე. ი. „ქაშაგ“-თან, რომელიც გადმოიცემოდა შუა საუკუნეების წყაროებში შემდეგი ფორმებით: „ქასახია“ (VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელ ავტორებთან, X საუკუნეში მოღვაწე კონსტანტინე პორფიროგენეტთან), „ქაშაგ“, „ქაშაგია“ (არაბულ წყაროებში, მასუდისთან - X ს.), „კასოგი“ (ძველ რუსულ ტექსტში: „Повесть временных лет“-1113 წ.) „ქაშოგი“, „ქეშიგი“ (ძველ ქართულ წყაროებში - 10. 273. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა „ქაშაგ“-ი საბასთან განმარტებულია როგორც „მოზრდილი ტყვე“, ხოლო ფანასკერტელთან სიტყვა „ქაშაქი“ ახსნილია, როგორც „წუენი ქერის კორკოტისა“, ტერმინი „ქაშაქის წყალი“ კი გამოიყენებოდა ლუდის აღსანიშნავად) და ა. შ. ლინგვისტური თვალსაზრისით გარეგანი მსგავსება ხეთური წყაროების „ქასქა/ქაშქა“ ტერმინისა შუა საუკუნეების დროინდელ „ქაშაგ“ სახელწოდებასთან, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი წყვეტილია სივრცისა (და-

ახლ. 3000 კმ) და დროში (მინიმუმ 20 საუკუნე). სახელთა ამ მსგავსებაზეა აგებული ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ხეთური წყაროების ქასქების გაიგივებისა ჩერქეზულ (ადილეურ) ტომებთან - ქაშქებთან (ისევე როგორც ზოგიერთი მკვლევარი ასურულ ლურსმული ტექსტების აბეშლაელებს აკავშირებს აფსილებთან და აქედან გამომდინარე, აფსუელებთან, ე. ი. თანამედროვე აფხაზებთან). მაგრამ საკითხავია, რამდენად მართებულია აღნიშნულ ტომთა იგივეობის გამოცხადება „ქასქა/ქაშქა“ და „ქაშაგ“ ტერმინთა სავარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით? პირადად მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი არ უნდა იყოს გადამწყვეტი არგუმენტი ქასქებისა და ჩერქეზების რეალური იგივეობის დადგენისათვის (ისევე როგორც აქედან გამომდინარე ზოგიერთი ძალზედ შორს მიმავალი დასკვნისათვის). სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინთა მსგავსება შემთხვევითია. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ხეთური წყაროების „ქაშქა“ ტერმინი მსგავსია ან იდენტურია სხვადასხვა ეპოქის იმ ტომთა (და ხალხთა) სახელწოდებებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ახლაც ცხოვრობენ მსოფლიოს სულ სხვადასხვა მხარეში, მსაგალითად, აფრიკაში (კამერუნში ტომი „ქასქა“), ევროპაში (ლათ. Casca), აზიაში (ინდოეთში მცხოვრები ტომები „გაშქა“), თვით მოგვიანო ხანების მცირე აზიაში: „ბოლეგასგუს“ (ანკარის ჩრდილოეთით), „ქესქოს“ (პამფილიაში) და ა. შ.

სხვადასხვა წარმოშობის ხალხთა აღსანიშნავად ერთი და იმავე ტერმინის ხმარების მაგალითები მრავლადაა შემორჩენილი...

თუკი დავუშვებთ, რომ ხეთური ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და შუა საუკუნეების ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური „ქაშაგ“ ტერმინთა მსგავსება შეიძლება იყოს შემთხვევითი, მაშინ ამ შემთხვევითობის დამადასტურებელ არგუმენტად ხომ არ გამოდგება ვარაუდი, რომლის თანახმადაც ჩრდილო-

დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული „ქაშაგ“ ეთნონიმი განეკუთვნება იმ -გ- სუფიქსით ნაწარმოებ ადგილობრივ ეთნონიმებს, როგორცაა „სანიგ“, „პაჭანიგ“, „აბაზგ“... ამ ეთნონიმებში -გ- სუფიქსი ხომ არ შეიძლება ადგილობრივი, უფრო სწორად, ინდო-ირანული წარმომავლობისა იყოს? განიხილავს რა ქართულში დადასტურებულ სიტყვა „ქაშაგს“ „მოზრდილი ტყვის“ მნიშვნელობით, მზია ანდრონიკაშვილი იქვე მიუთითებს, რომ „ქაშაგი“ აღნიშნავდა „ყაბარდოელს“, ე. ი. -გ- სუფიქსი ამ შემთხვევაში სწორედ წარმომავლობის სუფიქსის როლში გამოდის. -გ- სუფიქსიანი ტოპონიმები მრავლადაა შემორჩენილი ოსურშიც: „თუალლაგ“ „თუალელი“, „კუდაირაგ“ - „კუდაროელი“, „ჯაუკომაგ“ - „ჯავისხეველი“, „ხუსაირაგ“ - „სამხრელი“

ამგვარად, „ქაშქა“ და „ქაშაგ“ სახელთა გარეგანი მსგავსების გარდა, რაიმე სხვა სახის კავშირი ქასქებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა შორის ჯერჯერობით არ გამოვლენილა. ამიტომ, მოსაზრება ქასქების გენეტიკური კავშირისა აფხაზურ-ადიღურ ტომებთან, როგორც ეს ივარაუდება დღესაც (განსაკუთრებით აფხაზ მკვლევართა მიერ), მიმაჩნია არაღამაჯერებლად...“ (გვ. 13-15).

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთმოყვანილი მსჯელობით მან ფაქტობრივად მოხსნა ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი თუ მითი, რომელიც საფუძვლად ედო ქასქების (ქაშქების) წარმომავლობის აფხაზურ-ადიღურ ჰიპოთეზას. თავს უფლებას მივცემ ერთი წმინდა ლინგვისტური არგუმენტით შევამაგრო აკად. გრიგოლ გიორგაძის ეს, მთლიანობაში უნაკლოდ არგმუნეტირებული მსჯელობა.

„ქასქა“//„ქაშქა“ და „ქაშაგ“-ის იდენტიფიკაციას ერთი გადაულახავი ფონეტიკური დაბრკოლება ახლავს:

ნებისმიერი დამწერლობა აღნიშნულ ტერმინს უგამონაკლისოდ გადმოსცემს როგორც Kškš (ეგვიპტური, იკითხებოდა როგორც, Kaškaš უკანასკნელი თანხმოვანი ასახავს ხეთურის

სახელობითი ბრუნვის ნიშანს - აჭ, რაც ცხადყოფს, რომ ეგვიპტურმა ქაშქების სახელი ხეთურიდან ისესხა და თანაც სახელობითი ბრუნვის ფორმით); *Kaška*-(აჭ), *Ka-aš-ga*-(აჭ), *Ga-aš-ga*-(აჭ), *Qa-aš-qa*-(აჭ), *Kaš-ga*-(აჭ), (ხეთური), *Gašgaia* (ელ-ამარნას არქივი), *Kaškaia* (შუა აქადური), *Kaska* და *Kask-u* (ახალ აქადურში, -u სახელობითი ბრუნვის ნიშანია აქადურში) და ა. შ. პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არცერთ დანერლობაში *sk//šk* მიმდევრობა არ არის გათიშული ხმონით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა აქ მოყვანილი დამნერლობა სილაბურია და *sk//šk* მიმდევრობის გათიშვა ხმოვანით სავალდებულოც კია ასეთი დამნერლობებისათვის თუ თანხმოვანთა შორის ხმოვანი იქნება პოვნიერი და ის თანხმოვანთა ჰარმონიულ დეცესიურ კომპლექსს არ გადმოსცემს. ამდენად, თუ ამოსავალი ფორმა იქნებოდა, ვთქვათ, ქაშაგ ტიპისა და არა ქაშქა//ქაშგა ტიპისა, მაშინ ეს ხმოვანი ყოველმიზეზგარეშე აისახებოდა დანერილობაში, ისევე როგორც ნაკითხვის ყოველგვარი ორჭოფობის გასაფანტავად აისახა **a** ხმოვანი მისი გაორმაგების გზით ფორმაში: *Ka-aš-ka*-(აჭ), რაც ცალსახა დასკვნის საშუალებასა და უფლებას გვაძლევს ქაშქა//ქასქა ფორმაში შქ//სქ კომპლექსია.

ახლა ვნახოთ ასეთივე სტრუქტურისაა თუ არა ჩერქეზთა აღმნიშვნელი ტერმინი „ქაშაგ“-ი.

ნებისმიერი დამნერლობა აღნიშნულ ტერმინს უგამონაკლისოდ გადმოსცემს როგორც: *Kasahia* (ბიზანტიური ბერძნული), *Kašag* და *Kašakia* (არაბული), *Kasog* (რუსული) ქაშოგი, ქეშიგი (ძველი ქართული) ქაშაგ სვანური და ა. შ.

პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში აქვს იმას, რომ ყველა ენაზე და ყველა დამნერლობაში *Sag//Šog* მიმდევრობა წარმოდგენილია ხმოვანით ინტერკონსონანტურ პოზიციაში და არასოდეს კონსონანტური კომპლექსის სახით (თუ არ ჩავთვლით რედუქციას გამონვეულს

ზოგიერთ ენაში ბრუნვის ან მრავლობითის ფორმანტების და-
რთვით მაგ. სვანურში „ქაშაგ“-ჩერქეზი, მაგრამ „ქაშგ-არ“ -
ჩერქეზები, ასევეა ოსურში და სხვ.). ამდენად ქაშაგ ფორმაში
შქ//სქ კომპლექსის არსებობა ამ ტერმინის არსებობის არ-
ცერთ ეტაპზე არ არის სავარაუდო, რადგან ხმოვანი პოვნეი-
რია იმ ენებშიც კი (მაგ. ქართული, სვანური), რომლებშიც ეს
კომპლექსები კანონიკურია და არსოდეს არ ითიშება ხმო-
ვნით.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქაშქა//ქასქა და ქა-
შაგ სხვადასხვა სტრუქტურის სიტყვებია მათი ფონეტიკური
მსგავსება შემთხვევითი და ქაშქებისა და ქაშაგების ეთნიკუ-
რი იდენტიფიკაციისათვის არა მარტო არასაკმარისი, არამედ
პრინციპულად გამომრიცხველი ასეთი იდენტიფიკაციის დაშ-
ვებისაც კი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მკვლევარი,
რომელიც მომავალშიც მოინდომებს ხეთური და ასურული
ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აფხაზურ-
ადილური მოდგმის ქაშაგების იდენტიფიკაციას და ამ გზით
ქაშქების (ქასქების) ეთნიკური წარმომავლობის დადგენას
თავს მეცნიერების გარეშე დააყენებს და აკად. გრიგოლ გიო-
რგაძის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან
საბოლოოდ და სრული უეჭველობით გადაწყვიტა ეს საკითხი.

მითი ქასქების (ქაშქების) დასავლურ კავკასიური (აფხა-
ზურ-ადილური) წარმომავლობის შესახებ ეფუძნებოდა რამ-
დენიმე მითოლოგიას და უმთავრესი მათ შორის იყო ეთნო-
ნიმთა ასეთი წყვილების არსებობა: ერთის მხრივ - „ქაშქა“ და
„აბეშლა“, მეორეს მხრივ - „ქაშაგ“-ი და „აბშილ“-ი („აფშილ“-
ი). ამ მეორე წყვილის კუთნილება აფხაზურ-ადილური სამყა-
როსადმი უეჭველად იყო მიჩნეული და შესაბამისად აფხა-
ზურ-ადილური მოდგმის ხალხად ცხადდებოდნენ ქაშაგებიც
და აბეშლაელებიც. თუ რამდენად არასაიმედო აღმოჩნდა ქაშ-
ქებისა და ქაშაგების დაკავშირებისა თუ იდენტიფიკაციის

როგორც ისტორიული, ასევე ლინგვისტული საფუძველი ვფიქრობ უკვე ცალსახად არის გარკვეული. ამდენად ამ წყვილებს არა მართო დაეკარგათ მტკიცებულების ძალა, არამედ თავად ეს მინიმალური წყვილებიც ფიქციად უნდა იქნან ცნობილნი.

ზემოხსენებულ მინიმალურ წყვილთა გარდა, რომელიც როგორც გაირკვა, შემთხვევითი ფონეტიკური მსგავსების ხასიათს ატარებენ მკვლევრებს რამდენიმე საეჭვო ლექსიკური დაკავშირება ჰქონდათ, რომელთაგან არც ერთს არ მოეპოვებოდა დამაჯერებელი ეტიმოლოგია, ეს სიტუაცია არც ამ ბოლო დროს შეცვლილა, მიუხედავად ვიარ. ივანოვისა და განსაკუთრებით აფხაზი მეცნიერების თავგამოდებული მცდელობისა.

აკად. გრიგოლ გიორგაძე წერს: „„ქაშქა“ და „აბეშლა“ არ წამოადგენენ ვარიანტულ სახელწოდებებს, რაც უარყოფს ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდს „ქასქა“ და „აფსილის“ იდენტურობის შესახებ, რამდენადაც ასეთი ვარაუდი ეფუძნებოდა სწორედ „ქასქა“, „აბეშლა“ და „აფსილი“ ტერმინების იგივეობის დაშვებას“. (გვ. 52). ეს დასკვნა ტექსტების სკრუპულოზურ ანალიზს ეყრდნობა.

რაც შეეხება აკად. გრიგოლ გიორგაძის ნაშრომის მეორე ამოცანას ხელახლა, ახლა უკვე არა ინტუიციის, არამედ არგუმენტების დონეზე წამოაყენოს ჰიპოთეზა ქასქების და აბეშლას გენეტიკური სიახლოვისა თუ იდენტიფიკაციისა დასავლურ-ქართველურ (ზანურ, სვანურ) სამყაროსთან, განსაკუთრებით სამხრეთ კოლხურ ტომებთან და ამისათვის გამოიყენოს ქაშქების (ქასქების) ონომასტიკა: ანთროპონიმული და ტოპონიმური მოდელები, თუ გრამატიკული აფიქსები, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სარეცენზიო წიგნის ავტორის მიერ მონიშნულია კვლევის უაღრესად პერსპექტიული არეალი, დღევანდელ ეტაპზე კი შეიძლება თავად მეცნიერის კვალდაკვალ ითქვას, რომ „მოსაზრებათა ნაწილი ჰიპოთეზების დონეზეა

წარმოდგენილი, თუმცა იმედია, მომავალი კვლევა-ძიება გარკვეულ შუქს მოფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს" (გვ. 71).

მომავალი კვლევა-ძიება ნამდვილად მოიტანს მნიშვნელოვან შედეგებს და მრავალ ურთულეს საკითხსაც მოჰფენს შუქს, და ამაში თვალსაჩინო წვლილს შეიტანს აკად. გრიგოლ გიორგაძის სარეცენზიო წიგნი, როგორც კვლევის ახალი მიმართულების განმსაზღვრელი ნაშრომი, რომელიც ამ სფეროში იმავდროულად თანამედროვე ასირიოლოგიის დონესაც განსაზღვრავს.

მიხეილ ქურდიანი

НОВЫЕ ИЗЫСКАНИЯ ПО ПРОБЛЕМАМ ДРЕВНЕЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Нана Хазарадзе – автор ряда научных трудов по востоковедению и каказоведению, получивших, признание специалистов как у нас в стране, так и за рубежом.

Новая монография Н. Хазарадзе «Этнополитические проблемы древней истории Грузии (мосхи)», выпущенная в свет издательством «Мецниереба» АН Грузии, завершает многолетние исследования. Она сразу же обратила на себя внимание широкого круга ученых. И это вполне понятно: монография посвящена вопросу, который давно вызывает оживленный интерес специалистов истории древнейшего грузинского племени мосхов-месхов, одного из важнейших компонентов грузинского народа.

Было время, когда проблема этногенеза мосхов-месхов решалась лишь на основе данных Библии (Книга бытия), скудных и расплывчатых сообщений классических авторов и сведений историка I века Иосифа Флавия («Иудейская война»). С тех пор источники информации расширились. Открытия, имевшие место на территории Передней Азии и Закавказья, дали возможность использовать разного вида источники — письменные и вещественные документы.

В монографии Н. Хазарадзе существенно и ново то, что в ней исследование истории мосхов-месхов впервые обосновано с привлечением широкого и разнообразного материала.

Все основные положения автора основываются на результатах комплексного изучения самых разных исторических источников.

Она собрала и сделала предметом специального исследования ассирийские, урартские, лувийско-иероглифические (тоже хеттско-иероглифические), древнееврейские, древнеперсидские, древнегреческие, римские, армянские и грузинские исторические тексты. Наряду с ранее известными письменными источниками, большинству которых, кстати, Дано новое толкование, в монографии впервые использованы обнаруженные в последнее время в Анатолии эпиграфические памятники. Особо следует отметить данные лувийско - иероглифических надписей, которые вообще впервые вводятся в научный оборот в связи с проблемой мосхов-месхов. Выводы, сделанные автором на основе этих изысканий, вносят существенные коррективы в историю изучения мосхов-месхов, что, в свою очередь, открывает новые перспективы в деле исследования проблемы этногенеза кавказских и малоазийских племен.

В монографии Н. Хазарадзе широко использован и проанализирован выявленный на территории Передней Азии и Юго-Западной Грузии новый археологический материал, также как и богатые этнотопонимические и языковые данные этих регионов. Тем самым автор существенно расширяет источниковедческую базу для последующих изысканий в области древней истории Кавказа и Передней Азии.

Следует подчеркнуть, что для работы Н. Хазарадзе характерен не только критический подход к засвидетельствованным в письменных источниках данным, но и предельно исчерпывающее использование каждого факта, даже самой, казалось бы, незначительной детали, нюансу, что придает выдвинутым ею положениям не только убедительность, но и свежесть, яркость, своеобразие.

В монографии отчетливо прослеживаются два основных направления: изучение вопросов исторической географии Южно-

го Кавказа и Передней Азии и этногенеза обитавших в этих регионах племен.

Естественно, что узловым вопросом рассматриваемой монографии стала проблема взаимосвязи мосхов-месхов, упомянутых в греко-римских письменных источниках, и мушков из древневосточных (ассирийских, урартских клинописных, лувийско-иероглифических, древнееврейских) эпиграфических памятников. Не вскрыв характера этой связи, невозможно не только научить политическую историю картвельского племени мосхов-месхов, но и понять его этнокультурную природу. Н. Хазарадзе отлично справилась с этой задачей. Она сумела выстроить цельную, стройную и весьма убедительную концепцию об идентичности мосхов-месхов и мушков.

Проблема этнической принадлежности мосхов-месхов, мушков тесно связана, как известно, с проблемами этногенеза и Других древнеанатолийских племен. Все эти вопросы в монографии Н. Хазарадзе стали предметом целенаправленного специального изучения.

В монографии прослеживается этническая история месхов, начиная с XII в. до н. э. по I в. н. э.

Н. Хазарадзе выдвинула весьма важный вывод о том, что месте расселения мосхов в VI—V вв. до н. э. следует ИСКАТЬ в районах современных Токата, Карахисара и Гюмюшхано (северо-восточная окраина Малой Азии). Такая локализация территории обитания мосхов-месхов существенно уточняет высказанные в научной литературе в связи с этим вопросом соображения. На основе анализа сочинения древнегреческого географа Страбона (I в. до н. э. — I в. н. э.), в котором упоминаются «Мосхийские горы», «Страна мосхов», «Святылище Левкофеи», «Оракул Фрикаса», и сопоставления Страбона с другими древнегреческими авторами, Н. Хазарадзе приходит к интересным заключениям о лока-

лизации этих географических единиц и мифологических памятников. По ее мнению, названием «Мосхийские горы» Страбон обозначает две разные горные системы, одна из которых находилась на северной границе «Страны мосхов» (западные отроги Малого Кавказа), вторая — на южной (водораздельные хребты бассейнов рек Чорохи и Куры, Чорохи и Евфрата, Евфрата и Аракса), из чего следует, что Страбону «Страну мосхов» правильнее всего отождествлять с исторической Месхети, охватывавшей всю Юго-Западную Грузию.

Безусловным успехом Н. Хазарадзе следует считать выдвинутые ею положения, касающиеся чрезвычайно сложных и спорных историко-географических и хронологических вопросов «Страны мушков», упомянутой в древневосточных источниках, и соседних с ней политических единиц. Автор убедительно показывает, что территория расселения мушков органически связана с тем регионом, где, согласно древнегреческой традиции, жили племена картвельского происхождения, в частности мосхи-масхи.

Монография Н. В. Хазарадзе «Этнополитические проблемы древней истории Грузии (мосхи)» — безусловно ценное приобретение советской исторической науки, она является новым этапом в научном изучении актуальных проблем истории Кавказа и Древнего Востока.

Георгий Читаия,
академик АН Грузинской ССР.

ამ უკანასკნელ ხანებში მკვლევართა შეუწელებელ ყურადღებას იქცევს კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერის - მცირე აზიის (ანატოლიის) ადრეული პერიოდის ისტორიისა და კულტურის საკითხები. ამ ვრცელ ტერიტორიაზე ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა წარმოშობის (ინდოევროპელ, არაინდოევროპელ) ტომთა და ხალხთა შერევა. მცირე აზიაში არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო წარმოიქმნა (ხეთების სამეფო ძვ. წ. II ათასწლეულში, ფრიგია, ლიდია ძვ. წ. I ათასწლეულში და სხვ.), მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ისინი თანდათან გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან ისე, რომ ვერც ერთმა ვერ შეძლო მოეღწია ჩვენს ეპოქამდე.

მეცნიერთა, განსაკუთრებით, ხეთოლოგთა მზარდ ინტერესს იწვევს ძვ. წ. I ათასწლეულის მცირე აზიის ისტორიისა და კულტურის საკითხები, რაც სავსებით გასაგებია: დროის აღნიშნული მონაკვეთი, რომელიც განიხილება როგორც უძველესი მეცნიერული საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. ინტენსიურად იკვლევენ (როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში) აღნიშნული ხანის ანატოლიის არა მარტო ისტორიისა და კულტურას, არამედ ე. წ. „გვიანანატოლიურ“ ენებს, მათ შორის ხეთურ (ლუვიურ) იეროგლიფურ ენას, რომელიც, როგორც ხეთურ-იეროგლიფური დამწერლობის წარმატებით გაშიფვრის წყალობით გაირკვა, განეკუთვნება ხეთურ (ანატოლიურ) ინდოევროპულ ენათა ჯგუფს.

უდავოდ მისასაღმებელია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნანა ხაზარაძის წიგნის - „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“ - გამოჩენა, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა. მონოგრაფია ეძღვნება ძვ. წ. I ათასწლეულის, კერძოდ, IX-VII საუკუნეების ასურულ ლურსმულ წყა-

როებში მოხსენიებული აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეთნიკური გაერთიანების - თაბალის ისტორიის საკითხებს, რომლებიც ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიის ცალკეულ მომენტებს ეხმაურება.

თაბალის პრობლემის შესწავლა მკვლევართ აყენებდა და აყენებს გარკვეული სიძნელების წინაშე. ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, წერილობითი წყაროების მონაცემთა სიმცირეში. მაგრამ მას შემდეგ, რაც თაბალის სავარაუდებელ ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები (50-იანი წლებიდან) და მეცნიერთა განკარგულებაში თანდათან ჩნდება თაბალისა და მის მომიჯნავე რაიონებში აღმოჩენილი ხეთური (ლუვიური) იეროგლიფური ტექსტების ახალი მონაცემები, ამ პრობლემის შესწავლის ახალი პერსპექტივებიც გადაიშალა. სკრუპულოზულად დაამუშავა რა ახალი არქეოლოგიური მასალისა და სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების სათანადო უახლესი მონაცემები (ხეთური, ასურული და ურარტული ლურსმული დოკუმენტებისა, იეროგლიფური ხეთური (ლუვიური) ნარწერებისა, ბიბლიისა, ძველი ბერძნული, რომაული და ბიზანტიური ტექსტებისა და სხვ.), ისევე როგორც წინამორბედ მკვლევართა მეცნიერული მემკვიდრეობა თაბალის ისტორიასთან დაკავშირებით, ნ. ხაზარაძემ ძველადმოსავლური მეცნიერების, განსაკუთრებით ხეთოლოგიისა და ასირიოლოგიის (ვინრო მნიშვნელობით) თანამედროვე მიღწევათა შუქზე სრულიად ახლებურად წარმოადგინა. სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა გამოიყენა მთელი ფაქტობრივი მასალა, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა შესასწავლ პრობლემასთან და ჩაატარა ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის კომპლექსური კვლევა-ძიება. მხოლოდ ამნაირად შეიძლებოდა ამ რთული პრობლემის ახლებურად გააზრება ძველადმოსავლური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

სარეცენზიო ნაშრომში ორიგინალურადაა გაშუქებული მეცნიერის აზრის ისტორიული გეოგრაფიის არაერთი, პირველ

რიგში, თვით თაბალის ადგილმდებარეობის საკითხი. თაბალის ლოკალიზაციის საკითხები განხილულია ისე საფუძვლიანად, რომ ნ. ხაზარაძის კვლევის შედეგები ამ მხრივ ძალზედ გვაახლოვებს საერთოდ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დროინდელი მცირე აზიის ევნიკურ-პოლიტიკური გაერთიანებების ადგილმდებარეობათა საკითხის საბოლოო გადანყვებასთან.

მონოგრაფიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მესამე თავს, რომელშიც განხილულია სახელწოდება „თაბალი“ (ტერმინის სავარაუდო წარმოშობა, მისი გავრცელების არეალი და ა. შ.) და თაბალის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხი. ნ. ხაზარაძე კრიტიკულად განიხილავს ამჟამად მეცნიერთა განკარგულებაში არსებულ მასალას „თაბალ“ ტერმინთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი, ხეთურ-ლუვიურ სამყაროში უძველესი ხანებიდან გავრცეებული სხვადასხვა რანგის სახელწოდებებსა თუ ტერმინებს, რომლებიც შეიცავენ „თაბალ-თაფალ“ სიტყვას და დღემდე არცერთ მკვლევარს არ გამოუყენებია ასურული წყაროებისა და ბიბლიის „თაბალ“-„თუბალთან“ დასაკავშირებლად.

„თაბალ“ ტერმინის გარდა, ნ. ხაზარაძე აანალიზებს თაბალური ონომასტიკონისა (ე. ი. საკუთარი სახელებისა) და თაბალური პანთეონის ღვთაებათა სახელწოდებებს. მიღებული დასკვნები ფრიად საგულისხმოა: თაბალის მეფეთა თუ სხვა პირთა სახელი, ისევე როგორც თაბალურ ღვთაებათა სახელწოდებანი, წარმოშობის მიხედვით, აშკარად ხეთურ-ლუვიურია. ლუვიურ ეთნო-კულტურულ სამყაროსთან ავლენს დიდ გავლენას თაბალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიც. ყოველივე ეს დამაჯერებლად ხდის დასკვნას, რომ ძვ.წ. IX-XII სს-ში თაბალის ქვეყნის მოსახლეობა კულტურულად და ეთნოგენეტიკურად წარმოადგენდა ხეთური (ლუვიური) სამყაროს ტრადიციების განმგრძელებელ ეთნიკურ ერთეულს, ეს იმას ნიშნავს, რომ თაბალის ქვეყანა დასახლებული უნდა ყოფი-

ლიყო ხეთურ-ლუვიური ინდოევროპული წარმოშობის ტომები.

მართალია, სარეცენზიო, ნაშრომში განხილული ფაქტობრივი მასალა სათანადო საფუძველს არ იძლევა ვივარაუდოთ საკუთრივ თაბალის ტერიტორიაზე ქართველური ტომების არსებობა, მაგრამ რიგი მონაცემები მიუთითებს, როგორც ამას თვით ნ. ხაზარაძე შენიშნავს, თაბალურ სამყაროსთან დასავლურ-ქართველური ტომების გარკვეულ კონტრაქტებზე, რომლებსაც ადგილი უნდა ჰქონდეს ძვ. წ. IX-VII სს-ში (თაბალის და დასავლურ-ქართულ ტომებს შორის პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობანი შეიძლებოდა უფრო გვიან, ძვ. წ. VII ს-ის მომდევნო ხანებშიც განხორციელებულიყო).

ნ. ხაზარაძეს მაქსიმალურად აქვს გამოყენებული წერილობითი წყაროების ცნობები ძვ. წ. IX-VII სს-ის თაბალის პოლიტიკური ისტორიის შესახებ. თაბალელთა მტერი - ძლიერი ასურეთი ხშირად თავის სასარგებლოდ სწყვეტდა გამუდმებული მეტოქეობის ბედს. უწევდა რა ასურეთს მედგარ წინააღმდეგობას, თაბალი ამავე დროს ახერხებდა მეზობელი წვრილი სამთავროებისა თუ ტომთა გაერთიანებების დამორჩილებასაც. ასურული წყაროების ცნობები „თაბალის 24 მეფის“ (ისევე როგორც „თაბალის 20 მეფის“) არსებობის შესახებ ისე უნდა გავიგოთ, რომ თაბალი აერთიანებდა მცირე აზიის 24 (ან 20) წვრილ პოლიტიკურ ერთეულს, რომელთა შორის ერთი განიხილებოდა, როგორც „დიდი მეფე“. ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის დროს (ძვ. წ. 859-824 წწ.) თაბალის ასეთი მეფე იყო თუათი (თუვათი). სავარაუდებელია, რომ სწორედ თაბალის ამ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებაში უნდა შესულიყვნენ მცირე აზიაში მცხოვრები ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომები, მათ შორის თაბალიდან ჩრდილოეთით თუ ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსახლე დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომები.

სარეცენზიო შრომის ავტორი დაწვრილებით განიხილავს თაბალისათვის ნავარაუდევ ტერიტორიაზე კომერეელთა არსე-ბობის საკითხს.

დამაჯერებლად გამოიყურება ნ. ხაზარაძის მიერ წარმოდ-გენილი სურათი თაბალის საზოგადოებრივი და სამეურნეო გან-ვითარების შესახებ.

ასეთია, მოკლედ, იმ საკითხთა წრე, რომლებიც სარეცენ-ზიო ნაშრომში თაბალის პრობლემასთან დაკავშირებითაა გან-ხილული. მიღებულ მეცნიერულ დასკვნებს გაეცნობა სპეცია-ლისტთა ფართო წრე, რასაც ემსახურება საკმაოდ ვრცელი რე-ზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ახალ საფეხურზე აიყვანა რა თაბალის პრობლემის შესწა-ვლა, ნ. ხაზარაძემ ჩვენს ისტორიოგრაფიას შემატა საყურადღე-ბო მეცნიერული გამოკვლევა. მართალია, თაბალის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, როგორც ამას თვით ავტორიც აღნიშნავს, კვლავ რჩება ბურუსით გარემოცული, რაც გამოწვეულია იმით, რომ ძველდამოსავლური მეცნიერების განვითარების თანამედ-როვე ეტაპზე შეუძლებელია უფრო ღრმად ჩავენდეთ საკვლევ პრობლემას. მაგრამ იმეღია, მომავალში თვით სარეცენზიო მო-ნოგრაფიის ავტორი ახალი ფაქტობრივი მასალის გამოვლენით თაბალის ისტორიის კიდევ უფრო ნათელ სურათს წარმოგვი-დგენს.

სარეცენზიო ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, რომელშიც თავმოყრილია დღეისათვის მეცნიერთა განკარგულებაში არსე-ბული თაბალის ისტორიის ამსახველი ყველა სახის მასალა. ამ ორიგინალურ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც მნიშვნე-ლოვნად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს თაბალის ისტორიაზე და იძლევა პრობლემის მომავალი კვლევა-ძიების პერსპექტი-ვებს, გულისყურით გაეცნობა ყველა, ვინც დაინტერესებულია თაბალის ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობით.

გრიგოლ გიორგაძე

ერის ეთნიკური ისტორიის სათავეებთან

(საყურადღებო გამოკვლევა მოსხ-მესხებზე)

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ნანა ხაზარაძე საქართველოში ძველი საზოგადოებების ისტორიასა და კულტურას იკვლევს. იგი მრავალი სამეცნიერო წერილისა და ორი მონოგრაფიის ავტორია, ხშირად მონაწილეობს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობს იგი ფრიგიელებისა და მუშქი-მოსხი-მესხების პრობლემას. ამ საკითხს მიუძღვნა მან მონოგრაფია - „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)“, რომელიც ახლახან გამომცემლობა მეცნიერებამ“ დასტამბა.

ასეთი ნაშრომის შექმნა შეეძლო მხოლოდ ფართო ერუდიციის მკვლევარს, რომელიც თავისუფლად იყენებს ასურულ, ურურტულ, ლუვიურ-იეროგლიფურ, ებრაულ, ბერძნულ-რომაულ, ქართულ, სომხურ წერილობით წყაროებს, მრავალრიცხოვან ლიტერატურას სხვადასხვა ევროპულ ენებზე, აგრეთვე, საბჭოთა და უცხოური არქეოლოგიის თანამედროვე მიღწევებს.

ავტორი მონოგრაფიაში დიდ ადგილს უთმობს მესხების ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევას, კერძოდ, მის ლოკალიზაციას. აღსანიშნავია, რომ იგი ძვ. წ. VI-V საუკუნეებისთვის მოსხების ნავარაუდევ ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მათიენების მიწა-წყლით, ხოლო სამხრეთიდან ტიბარენების ქვეყნით საზღვრავს.

შემდეგ ნანა ხაზარაძე ახდენს მოსხების ქვეყნის (მოსხიკეს) ლოკალიზაციას ძვ. წ. I - ახ. წ. I საუკუნეებში. ამისათვის მას სჭირდება მოსხური მთების მდებარეობის ზუსტად დადგენა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების ანალიზით ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ „მოსხების“ სახელწოდებით აღნიშნული

მთების ერთი ნაწილი ისტორიული მესხეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვართან თავსდება (ჭოროხ-არაქსისა და ჭოროხ-მტკვრის წყალგამყოფი მთების ადგილას), ხოლო მეორე („აჭარა-გურიის შორის მთები“, ლაღი ანუ ფერსათი) - იმავე მესხეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან (დღევანდელი მცირე კავკასიონის უკიდურეს დასავლეთ სექტორში).

ავტორის აზრით, სტრაბონისა და კლავდიოს პტოლემეაიოსის ცნობების შესწავლა ცხადყოფს, რომ „მოსხური მთების“ სახელწოდებით ძვ. წ. I ახ. წ. II საუკუნეების ბერძნულ მწერლობაში აღინიშნებოდა მთების ორი სხვადასხვა რიგი. ამათგან ერთი კოლხეთის სამხრეთ საზღვარზე მდებარეობდა (მცირე კავკასიონის დასავლეთი რაიონი), ხოლო მეორე (სამხრეთით მდებარე) იბერიას საზღვრავდა არმენიისაგან (ჭოროხ-მტკვრისა, ჭოროხ-ევფრატისა და ევფრატ-არაქსის წყალგამყოფი ქედები).

რამდენადაც მოსხური მთების წარმოდგენილ ლოკალიზაციას ზოგადად ეთანხმება ვახუშტის მიერ შემუშავებული ვარიანტი, ნ. ხაზარაძე ასკვნის, რომ ვახუშტი საკმაოდ კარგად იცნობდა ანტიკური ხანის მწერლობას. ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ანტიკურ ავტორთა ცნობებისა და ქართული წერილობითი წყაროების გარდა, ალბათ, ითვალისწინებდა ცოცხალ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტრადიციასაც.

ნაშრომში მოსხური მთების ლოკალიზაციის დაზუსტებით გამოტანილია საყურადღებო დასკვნა, რომ „მოსხების ქვეყანა (სამ ნაწილად გაყოფამდე) მოიცავდა, ფეოდალური ხანის ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურით, კოლა-არტაანს, კლარჯეთს, შავშეთს და სპერს, ანუ მთელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს“. (გვ. 55).

მუშქების მეზობელი ქვეყნების (ქუე, თაბალი, ათუნა) ადგილმდებარეობის განსაზღვრამ ნ. ხაზარაძეს საშუალება

მისცა დაეზუსტებინა ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ასურულ წყაროებში მოხსენიებული მუშქების ქვეყნის ადგილმდებარეობა. იგი მოთავსდა ამიერ და იმიერ ტაოს, ჯავახეთის, სამცხეს, ეგრის, აჭარას, ბასიანსა, ქუე-ათუნა-თაბაღის დასავლეთით, დღევანდელ მდინარე ყიზილ-ირმაკის შუა დინების სამხრეთით.

ხართაფუსა და იარირისის ძვ. წ. VIII საუკუნის ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების ახლებურად წაკითხვისა და მასში დასახელებული პუნქტების თანმიმდევრობის გათვალისწინებით ნ. ხაზარაძე ამაგრებს კავინიაკის დასკვნას, რომ მუშქების ქვეყანა მაზიის აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთ სირიის (ქარხემიშის) დასავლეთით მდებარეობდა, რაც ეთანხმება ხართაფუსა და სარგონ II-ის ასურული ტექსტების ჩვენებებს კილიკიის ტავროსის ჩრდილოდასავლეთითა და შუა პალისის სამხრეთით მუშქების განსახლების შესახებ.

ნანა ხაზარაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გვიანხეთური ხანის მუშქების განსახლების სავარაუდო ტერიტორიაზე, ისევე როგორც აღმოსავლეთ ანატოლიაში, ალიშარ IV ტიპის მოხატული კერამიკა იყო გაბატონებული, იმ დროს, როდესაც საკუთრივ ფრიგიის ტერიტორიაზე იმავე როლს მონოქრომული, ნაცრისფერი კერამიკა ასრულებდა. ფრიგიაში მოხატული კერამიკა მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედში გავრცელდა. ნანა ხაზარაძე ეყრდნობა მ. მელინსკის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც მოხატული კერამიკა, ისევე როგორც კულტურის სხვა ელემენტები, აღმოსავლეთ ანატოლიაში მუშქებმა შემოიტანეს მათი სავარაუდო კავკასიური სამშობლოდან.

უაღრესად საინტერესო პარაგრაფში - „მოსხები, მუშქები“ - ნ. ხაზარაძე მკვეთრად მიჯნავს ფრიგიის ტერიტორიაზე ფრიგიულ ენაზე მოლაპარაკე ხალხს, რომლებიც იქ მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნიდან ჩანან, და მუშქებს, რომელთა კუთვნილ ტერიტორიაზე და მის მეზობელ სამეფო-სამთავროებში აყვა-

ვებას განიცდიდა ლუვიელების მიერ ჯერ კიდევ ძვ. წ. XVI ს-ში შექმნილი „ლუვიურ-იეროგლიფური“ დამწერლობა. ასევე განსხვავდებოდნენ მუშქები ფრიგიელებისაგან არქეოლოგიური და სულიერი კულტურით.

მონოგრაფიაში ზემო ევფრატის რეგიონში მუშქების პირველი გამოჩენა ძვ. წ. XII საუკუნითაა დათარიღებული, დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე სომხების წინაპრების მოსვლა კი - არა უადრეს ძვ. წ. VII საუკუნის 70-60 იანი წლებით. ამდენად, სომხების წინაპრებთან მუშქების გაიგივება უმართებულა.

რაც შეეხება მუშქებთან მოსხების გაიგივების საკითხს, მას ნანა ხაზარაძე ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაციის, კოლხური კულტურის გავრცელების, ონომასტიკონისა და ღვთაებათა სახელწოდებების გათვალისწინებით დამაჯერებლად წყვეტს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნანა ხაზარაძის მონოგრაფიაში მუშქი-მოსხების პრობლემიტს გადაჭრა დიდადაა დანინაურებული. ნაშრომი ამდიდრებს საისტორიო ლიტერატურას და, შესაბამისად, ჩვენს ცოდნას მახლობელი აღმოსავლეთის ძველი ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით.

ჯონდო გვასალია

მნიშვნელოვანი წვლილი

სამხრეთ ამიერკავკასიისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და ვინაობის შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა აღნიშნულ ტერიტორიაზე მობინადრე ტომთა ეთნოგენეზის შესახებ წამოჭრილი საკითხები დღესაც მკვლევართა შორის დაუცხრომელ დავას და აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა ძველალმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული მუშქების - მოსოქების განსახლებისა და ეთნიკური წარმომავლობის პრობლემა. სირთულე ამ პრობლემისა განაპირობა როგორც წყაროთა არაჩვეულებრივმა სიმცირემ, ისე იმ გარემოებამაც, რომ მუშქების - მოსოქების ვინაობის გარკვევა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ანატოლიისა და წინა აზიის, სამხრეთ ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ვრცელ ტერიტორიაზე ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მოსახლე მრავალრიცხოვან ტომთა ეთნოგენეზის კვლევასთან.

ამასთან, მართალია XX ს-ის არაერთმა ფრიად ავტორიტეტულმა მეცნიერმა (ა. სეისი, რ. გერნი და სხვა) გამოთქვა მოსაზრება მუშქეების ბერძნული წყაროების მოსხებთან პირდაპირი ეთნიკური ნათესაობის შესახებ, მაგრამ მუშქების წარმომავლობასთან დაკავშირებით ამავე დროს წარმოიქმნა სხვა კონცეფციებიც, რომელნიც მოსხებთან მათი იგივეობის მტკიცებას გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიან და ამ თვალსაზრისზე მდგომ მკვლევართაგან მოითხოვენ პრობლემის ხელახალ შესწავლას, მის გადასინჯვას უახლესი მეცნიერული მიღწევებისა და საისტორიო მონაცემების გათვალისწინებით. ნ. ხაზარაძის ახლახან გამოქვეყნებული ნაშრომი - „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები“ სწორედ ამ რთული ამოცანის გადაჭრას ემსახურება. მისი

ერთ-ერთი მთავარი მიზანია ძველალმოსავლური წყაროების „მუშქების ქვეყნის“ ადგილმდებარეობის გარკვევა და მოსხებთან მათი ეთნიკური იგივეობის დადგენა.

ნ. ხაზარაძის საკვლევი სფერო მხოლოდ მუშქების ეთნიკური წარმომავლობის შესწავლით და მოსხებთან მათი იგივეობის დადგენით არ შემოიფარგლება. მის ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას - ანტიკური წყაროების მოსხების ძველ ისტორიასაც. ავტორი აქ განმარტავს ეთნიკურ ტერმინს „მოსხი“, განიხილავს მოსხების ეთნოგენეზისს, ახდენს მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციას და სხვ. აღნიშნული საკითხები, მართალია, დიდი ხანია იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას, რადგან მათი გადაჭრა მჭიდროდ უკავშირდება ქართველ ტომთა ეთნიკური და პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესის, ქართლის სახელმწიფოს გენეზისის შესწავლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ეს საკითხი დღეს მთელი სისრულით არაა გარკვეული და დადგენილი.

ნ. ხაზარაძის ნაშრომი მანამდე დაწერილი გამოკვლევებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი წარმოადგენს მუშქების და მოსხების, როგორც ეთნიკური წარმომავლობის, ასევე პოლიტიკური ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის ცდას. როგორც უკვე ითქვა, ასეთი სამუშაო აქამდე არავის ჩაუტარებია. და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რადგან აღნიშნული საკითხების ორმხრივი კვლევა მოითხოვს როგორც ძველალმოსავლური (ასურული, ურარტული, ლუვიურ-იეროგლიფური, ძველებრაული) წყაროების საფუძვლიან ცოდნას, ასევე ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობების დეტალურ ანალიზს. ამასთან, საჭიროა მკვლევარი იყოს არა მხოლოდ ძველი აღმოსავლეთის, არამედ ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის სპეციალისტიც და საისტორიო წერილობით წყაროებთან ერთად კარგად ფლობდეს უახლეს არქეოლოგიურ მასალას და ტერმინოლოგიური კვლევის შედეგებს.

ნ. ხაზარაძე არა მხოლოდ ფართოდ იყენებს არსებულ წერილობით ცნობებს, არქეოლოგიურ, ტერმინოლოგიურ მასალას, არამედ ცდილობს მის წინაშე დასმული საკითხი განიხილოს სხვადასხვა სახის წყაროთა კომპლექსური, ერთობლივი შესწავლის საფუძველზე, რაც მისი ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

იმის გამო, რომ მუშქების - მოსოქებისა და მოსხების ეთნიკური იგივეობის პრობლემის შესწავლა მჭიდროდაა გადანასკვეული ანატოლიისა და მის მეზობლად მოსახლე ტომთა ეთნოგენეზის კვლევასთან, ავტორი საფუძველიანად განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: მუშქების ურთიერთმიმართება ფრიგიელებთან და სომხების წინაპრებთან, სომეხთა წინაპრების ურთიერთობა ფრიგიელებთან, ფრიგიელთა გამოჩენა მცირე აზიაში, სომეხთა მიგრაცია, სომხეთის ზეგანზე მათი მოსვლის ქრონოლოგიური ჩარჩოები. აქ ნ. ხაზარაძე დიდ ყურადღებას უთმობს მუშქების ქვეყნის მეზობლად მდებარე ალზის, ფურუქუზის, ქათმუხის, ხათეს, თაბალის, ხილაქუს, ქუეს ლოკალიზაციის დადგენას. ძველადმოსავლური წყაროების მუშქების, ერთი მხრივ, მცირე აზიის სხვა ტომებთან ურთიერთმიმართებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მოსხებთან ურთიერთკავშირში კვლევა ავტორის უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ხაზარაძის მიერ შესრულებული დიდი სამუშაო, ანტიკური წყაროების მოსხების განსახლების ადგილისა და მათი ისტორიის ცალკეული საკითხების დასადგენად. ბერძნული წყაროებიდან გამომდინარე, ავტორი გამოჰყოფს ორ ძირითად პერიოდს: პირველი - ეს არის ძვ. წ. VI-I სს-ები, როდესაც მოსხები შორს ვრცელდებიან სამხრეთით. მათთვის სავარაუდო ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უშუალოდ ემეზობლება მათიენების მიწა-წყალს, ხოლო სამხრეთით ტიბარენების კუთვნილ ქვეყანას ეკვრის. მეორე პერიოდი მოიცავს ძვ. წ. I- ახ. წ. I სს-ებს, როდესაც

„მოსხების ქვეყნის“ სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ტერიტორია ისტორიული მესხეთის ადგილზე თავსდება. ამრიგად, ნყაროთა ანალიზის საფუძველზე ავტორი საყურადღებო დასკვნამდე მიდის, რომლის თანახმად ძვ. წ. VI-V სს-ის მოსხების მიწა-წყალი სამხრეთიდან უშუალოდ ესაზღვრებოდა სტრაბონისეული „მოსხიკესათვის“ ნავარაუდევ ტერიტორიას (ისტორიულ მესხეთს). მოსხების განსახლების კვლევისას ნ. ხაზარაძე დანვრილებით განიხილავს აგრეთვე მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს: მატინების, კაპადოკიელი სირიელების, ტიბარენების ქვეყნის, „მოსხური მთები“ ადგილმდებარეობას, ხორზენე-ხოტენე-კატარძენეს საზღვრებს; ადგენს ხორზენესა და კატარძენეს იგივეობას, რაც მას საშუალებას აძლევს, ეს ქვეყანა მოათავსოს არა კლარჯეთის ადგილზე, არამედ სპერისა და ტაოს დასავლეთ რაიონში; აზუსტებს იბერიისა და სომხეთის საზღვრებს და სხვა მრავალი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ავტორის მიერ ჩატარებული დიდი სამუშაო, რომელიც ლევკოთეას სამლოცველოს შესახებ სტრაბონთან დაცული ცნობების კრიტიკულ განხილვას ეძღვნება. სავსებით დამაჯერებელი ჩანს ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები როგორც ამ ცნობათა მეცნიერული შეფასების, ასევე თვით ლევკოთეას სამლოცველოს ლოკალიზაციის შესახებ.

ნერილობითი ნყაროებისადმი ასეთ ფრთხილ, კრიტიკულ მიდგომას ნ. ხაზარაძე მთელ წიგნში იჩენს.

აქვე გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი სურვილი, რომლებიც მომავალში შეიძლება გაითვალისწინოს ავტორმა. სახელდობრ, სასურველი იყო, ავტორს სტრაბონთან მოხსენიებული „მოსხთა ქვეყნის“ - „მოსხიკეს“ ადგილმდებარეობის დადგენასთან ერთად აღენიშნა რა რეალურ ისტორიული შინაარსი იგულისხმება ამ სახელწოდებაში. „მოსხიკე“ მხოლოდ მოსხთა ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც კოლხეთის, ან იბერი-

ის პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდა, თუ „მოსხიკეს“ სახით ერთ დროს არსებობდა მოსხთა რალაც ცალკე პოლიტიკური ერთეული?

ეს თუ მართლაც ასეა და „მოსხიკე“ გარდა გეოგრაფიულია, პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი სახელწოდებაცაა, მაშინ საჭიროა გაირკვეს - როდის შეიძლება ვივარაუდოთ მოსხთა ამ პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნა. საინტერესო იქნებოდა აგრეთვე ავტორს თავისი მოსაზრება გამოეთქვა იმის შესახებ, თუ როდის ხდება მოსხიკეს დანაწილება იბერიას, კოლხეთსა და სომხეთს შორის, რის შესახებაც საგულისხმო ცნობებს გვანვდის სტრაბონი.

ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ სამხრეთ ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ძველი მოსახლეობის ეთნოგენეზისის და ისტორიის სფეროში ნ. ხაზარაძეს შესრულებული აქვს შრომატევადი, უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაო.

ამ გამოკვლევით ავტორს მრავალმხრივ საყურადღებო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის წარსულის შესწავლის საქმეში.

მერი ინაძე

შინაარსი
СОДЕРЖАНИЕ
CONTENTS

გრიგოლ გიორგაძე
ნანა ხაზარაძე – 70..... 5

ჯულიეტა რუხაძე
ჩემი მეგობარი - ნანა ხაზარაძე..... 19

ძველი ახლო აღმოსავლეთი
ДРЕВНИЙ БЛИЖНИЙ ВОСТОК
ANCIENT NEAR EAST

ლევან გორდეზიანი
ტროას ომის თარიღისათვის.....28

Л. Гордезиани
К датировке троянской войны.....37

L. Gordesiani
Zur Datierung des Troianischen Krieges..... 38

Giorgi Leon Kavtaradze
Two Transcaucasian Ethnonyms of the Anatolian Origin.....39

გ. ქავთარაძე
ანატოლიური წარმომავლობის ორი ამიერკავკასიური
ეთნონიმი..... 56

Konstantine Pitskhelauri

Burial Mounds of Bakurtsikhe

(Central Transcaucasia, Valley of Alazani)..... 59

კ. ფიცხელაური

ბაკურციხის გორასამარხი.....76

პაატა რამიშვილი

ძველასურელ ვაჭართა საქმიანობის ამსახველი

„კაპადოკიური“ ფირფიტები ქიულთეფე/ქანესიდან..... 78

П. Рамишвили

„Каппадокийские“ таблички из Кюльтепе/Каниша о деятельности староассирийских купцов.....92

P. Ramishvili

"Cappadocian" Texts from Kültepe/Kanish Concerning the Activities of Old Assyrian Merchants..... 93

რუსუდან რცხილაძე

ბაბილონის დაცემის ეპიზოდი ჰეროდოტეს „ისტორიაში“ და მისი ინტერპრეტაცია.....94

P. Рцхиладзе

Иртерпретация эпизода падения Вавилона в "Истории" Геродота.....106

R. Rzciladze

Zur Interpretation der Episode des Verfalls von Babylon in der "Geschichte" von Herodot.....107

ირინე ტატიშვილი

რამდენი მზე ჰყავდათ ხეთებს?..... 109

И. Татишвили

Сколько солнц было у хеттов?..... 120

I.Tatischvili

Wieviel Sonnen hatten die Hethiter?..... 120

მიხეილ ქურდიანი	
ხუბუშქია	
(საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი ისტორიის ეთნო- ლინგვისტური პრობლემები I.).....	121
M. Kurdiani,	
Хубушкиа	
(Этно-лингвистические проблемы древней истории Грузии, Кавказа и ближнего Востока I.).....	134
M. Kurdiani	
Hubuskia	
(The ethno-linguistical problems of Georgia, Caucasus and Near-East's ancient history. I.).....	135
Джсмал Шарашенидзе	
О некоторых особенностях системы вознаграждения труда в государственном хозяйстве Шумера эпохи III династии Ура (Вознаграждение растительным маслом).....	137
Dj. Sharashenidse	
Some Features of the System of Labour Compensation in the State economy of Sumer at the Time of the Third Dynasty of Ur (Payment with Vegetable Oil).....	153
მანანა ხვედელიძე	
„ღმერთო, მომეცი სიტყვა...“.....	155
M. Khvedelidze	
«Господи, дай мне слово...».....	166
M. Khvedelidze	
“Oh Lord, may you give me a word...”.....	166

საქართველო და კავკასია
ГРУЗИЯ И КАВКАЗ
GEORGIA AND THE CAUCASUS

ნინო აბაკელია	
ტელურიული და ხთონური თეოფანიები ქართულ მიტო-რიტუალურ სისტემაში.....	168
Н. Абакелия	
Теллурические и хтонические теофании в грузинской мифо-ритуальной системе.....	187
N. Abakelia	
Telluric and Chthonic Theophanies in Georgian Mythico-ritual System.....	188
თინა იველაშვილი	
სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოცია- ლური მდგომარეობა ძვ. წ. III-I ათასწლეულებში.....	189
Т. Ивелашвили	
Этно-социальное положение населения Южной Грузии в III-I тысячелетиях до н. э.....	203
T. Ivelashvili	
The ethnic and social conditions of the population of Souther Georgia in the 3rd and 1st millenia B. C.....	204
მერი ინაძე	
კოლხეთის აღწერილობა პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“ (წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი).....	205
М. Инадзе	
Описание Колхиды в сочинении Плиния Старшего ”Естественная история“ (Источниковедческий очерк).....	220

M. Inadze	
Die Beschreibund Kolchis in "Naturalis Hictoria" Des Pliniys uns ihre Quellen.....	222
ოთარ ლორთქიფანიძე	
ევმელოს კორინთელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის.....	223
O. Лорткипанидзе	
К пониманию Евмэл, Коринтиака, фр. 2А. Davies.....	234
O. Lordkipanidze	
To the Interpretation of Eumelus' Corinthiaca, Fr. 2A, Davies.....	234
ირაკლი სურგულაძე	
ნებიტი მსხვერპლი ქართულ მითოსსა და რიტუალში.....	235
I. Cyrgyladze	
Selfsacrifice in the World of Georgian Myth and Ritual.....	260
თამარ ჯანაშია	
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიისათვის.....	261
T. Джанашия	
К древней истории юго-западной Грузии.....	271
T. Djanashia	
Zur alten Geschichte des historishcen Südwestgeorgiens.....	273
ნანა ხახუთაიშვილი	
Древнеколыхидский очаг производства желсза в ущелье реки Чаквисцкали.....	275

ნ. ხახუტაიშვილი რკინის წარმოების ძველკოლხური კერა ჩაქვისწყლის ხეობაში.....	280
N. Khakhutaishvili The Ancient Kolkhian Centre of iron-production in the Gorge of Chakvistskali.....	280
მანანა ხიდაშელი მითი და არქაული სულიერი კულტურის სტრუქტურა.....	285
M. Khidasheli Структура архаической культуры и миф.....	301
M. Khidasheli Structure of the Archaic Spiritual Culture and the Myth.....	302

რეცენზიები
РЕЦЕНЗИИ
REVIEWS

რეცენზიები ნაშრომზე: გრიგოლ გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, 103 გვ.	
ნანა ხაზარაძე.....	304
მიხეილ ქურდიანი.....	311
Георгий Читаия Новые изыскания по проблемам древней истории Грузии.....	321
(“ЗАРЯ ВОСТОКА”, 18 октября, 1985, №241)	

გრიგოლ გიორგაძე
თაბალის პრობლემა..... 325
(„ლიტერატურული საქართველო“, 8 ივნისი, 1979, №23.)

ჯონდო გვასალია
ერის ეთნიკური ისტორიის სათავეებთან
(საყურადღებო გამოკვლევა მოსხ-მესხებზე)..... 330
(„თბილისი“, 4 ნოემბერი, 1985, №253.)

მერი ინაძე
მნიშვნელოვანი წვლილი..... 334
(„ლიტერატურული საქართველო“, 5 ივლისი, 1985.)

გარეკანის წინა გვერდზე

ძველადომოსავლური ქალღვთაება თავსაბურავით